ილია ტაბაღუა

საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში

(XIII—XX სს-ის პირველი მეოთხედი)

III

(1628—1638 წწ.)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

63.3(2Г)
ტ 133

წინამდებარე ნაშრომი ისევე, როგორც 1984 და 1986 წლებში გამოქვეყნებული ორი წიგნი I (XIII—XVI სს.) და II (1600—1628 წწ.), დაწერილია ევროპის ქვეყნების (იტალია, ვატიკანი, საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია, ესპანეთი, პორტუგალია) არქივებსა და წიგნსაცავებში (ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ, გერმანულ ენებზე) არსებული და ავტორის მიერ მიკვლეული მასალების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ საქართველოს 1628—1633 წლების ისტორიულ მოვლენებს.

Данная работа также, как и предыдущие 1984 и 1986 гг. опубликованные две книги: I (XIII—XVI вв.) и II (1600—1628 гг.), написана на основании документов и материалов (существующих на латинском, итальянском, французском, английском, испанском, португальском, немецком языках) и обнаруженных автором данной работы в архивах и книгохранилищах стран Европы: в Италии, Ватикане, Франции, Англии, Испании, Португалии и Австрии. Хронологическии данный том охватывает 1628—1633 гг.

Le volume en question, comme les volumes précedents: vol. I (XIII-e—XVI-e siècles) et vol. II (1600—1628), publiés en 1984 et 1986, utilisent les documents et les matériaux (rédigés en latin, italien, français, anglais, espagnol, portugais, allemand) découverts par l' auteur dans les archives et dans les bibliothèques de différents pays d'Europe (Italie, Vatican, France, Angleterre, Espagne, Portugal, Autriche). Le volume présent ambrasse les années 1628—1633. Cf. Préface.

რედაქტორი: გ. ბუაჩიძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ჯამბურია,
ისტ. მეცნ. კანდიდატი ქ. ჩხატარაიშვილი

0505010000
ტ ————— 201—87
М 607 (06) —87
© გამომცემლობა „მეცნიერება“. 1987.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს 1628—1633 წლებს და შედგება წინასიტყვაობის, შესავლისა და შემდეგი ოთხი თავისაგან: „კათოლიკე მისიონერები საქართველოს შესახებ 1628—1630 წწ.“; „დონ პიეტრო ავიტაბილე — თეიმურაზ მეფის ელჩი რომის პაპთან“; „დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე“; „როსტომის გამეფება ქართლში (1633 წ.)“.

მათ მოსდევთ: უცხოური დოკუმენტების ქართული თარგმანი კომენტარებით, დოკუმენტები ორიგინალის ენაზე (ჩემს მიერ ამოკითხული და დადგენილი ტექსტები) ფოტოპირებით და, ბოლოს, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

შესავალში — „ცნობები საქართველოზე 1628 წლამდე“ — თავმოყრილია მასალები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსა და ქართველი ხალხის ისტორიის საკითხებთან; ნაჩვენებია საქართველოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან და ევროპის ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოსადმი; ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა და ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები; რომის პაპების დამოკიდებულება საქართველოსადმი: ვატიკანის სხვადასხვა რელიგიური ორდენების მისიონერთა ჩამოსვლა საქართველოში და მათი საქმიანობა.

აქვეა მოცემული ფრანგი ავტორის კლოდ მალენგრის მიერ ქეთევან დედოფლისა და იმდროინდელი საქართველოს შესახებ მოთხრობილი ამბების თარგმანი კომენტარებით, ესპანელი ავტორის ანტონიო დე გოვეას ცნობები საქართველოზე და სხვ. აქვე ნაჩვენებია აღნიშნული პერიოდის საქართველოს მესვეურთა ცდები, მოენახათ მოკავშირეები ორი დიდი დამპყრობელი მეზობლის — სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ.

პირველ თავში — „კათოლიკე მისიონერები საქართველოს შესახებ 1628—1630 წწ.-ში“ — მოთხრობილია თეატინელი მისიონერების პირველი ჯგუფის (დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო, მორჩილი ძმა კლავდიო) ჩამოსვლა გორში 1628 წლის 14 დეკემბერს, მათი შეხვედრები და ურთიერთობა თეიმურაზ მეფეს-

თან და ზაქარია კათალიკოსთან; მათი სამისიონერო მოღვაწეობის დაწყება ქართლსა და კახეთში.

აქვე განხილულია ის წერილები, რომლებიც თეატინელმა მისიონერებმა ჩამოიტანეს თეიმურაზ მეფისა და კათალიკოსის სახელზე.

ამის შემდეგ დაიწყო მიწერ-მოწერა საქართველოსა და რომს შორის: თეიმურაზ მეფემ და ზაქარია კათალიკოსმა წერილები მისწერეს რომის პაპს ურბან VIII-ს და წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს.

გორიდან რომში წერილებს აგზავნიდნენ თეატინელი მისიონერები — დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო. აქვე განხილულია როგორც მათ მიერ რომში გაგზავნილი წერილების, ისევე რომიდან მიღებული საპასუხო წერილების შინაარსი.

თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის მიერ გორიდან რომში გაგზავნილ წერილებში ლაპარაკია იმაზე, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა სპარსელების შემოსევებს აღმოსავლეთ საქართველოში: „რაც შეეხება ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას, — სწერდა თეიმურაზ მეფე რომის პაპს ურბან VIII-ს, — რომელშიც ჩვენ და ყველა ჩვენთაგანი ვიმყოფებით [მეტად მძიმეა]. წმიდა მამებმა ნახეს გატიალებული ველები, ხისა და ქვის შენობების ნანგრევები; ეკლესიებში არ დარჩა არც ერთი წმინდანის გამოსახულება, არც იქ არსებული ვერცხლის საგნები, როგორც ამის შესახებ თქვენს უწმინდესობას მოახსენებენ თვითონ წმიდა მამები. ამიტომ გევედრებით გამოგვიგზავნოთ ეკლესიებში სამსახურის შესასრულებლად აუცილებელი, თუნდაც რამდენიმე საგანი... ამჟამად ჩვენს ქვეყანას აუცილებლად სჭირდება ექიმი, რომელიც ზედმიწევნით ფლობს თავის პროფესიას, ვინაიდან ქვეყანაში მძვინვარებს საშიში ავადმყოფობანი... ასევე გვჭირდება მხატვარი ეკლესიების კედლების მოსახატავად“.

ქვეყნისა და ქართველი ხალხის ასეთი მძიმე მდგომარეობა დადასტურებულია თეატინელი მისიონერების (პირველ რიგში, დონ პიეტრო ავიტაბილეს) მიერ გორიდან რომში გაგზავნილ წერილებში.

ამავე თავში ნაჩვენებია ცდები იმ გზების მონახვისა, რომლებიც საქართველოსა და რომს შორის მუდმივი კავშირისათვის უნდა დადგენილიყო. ასეთი მუდმივი და უშიშარი გზა აუცილებელი იყო არა მარტო კათოლიკე მისიონერების მოგზაურობისათვის, არამედ სხვა პირებისათვისაც (სპეციალური დავალებით გაგზავნილი პირები, დესპანები და სხვ.), რამდენადაც თურქეთის სამფლობელოებზე გავლა ყოველთვის დაკავშირებული იყო სიძნელეებთან და სიკვდილის საშიშროებასთან, რაც გამოიხატებოდა მისიონერების დაკავებით, ჩხრეკვით, წერილების ჩამორთმევით, ხოლო ზოგჯერ კი მისიონერების ფიზიკური მოსპობითაც კი (1646 წელს კონსტანტინოპოლში დაა-

პატიმრეს და საპყრობილეში მხეცურად მოჰკლეს რომიდან დაბრუნებული და სამეგრელოში მიმავალი ლევან II დადიანის ელჩი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე).

საქართველოსა და იტალიას შორის უშიშარი გზის დადგენის შესახებ მსჯელობის დროს მიუთითებდნენ ისეთ გზებზე, რომლებიც გაივლიდნენ შავი ზღვის ნაპირებზე, პოლონეთზე, რუსეთზე და ა. შ., კერძოდ, ქრისტიანულ ქვეყნებზე.

მეორე თავში — „დონ პიეტრო ავიტაბილე — თეიმურაზ მეფის ელჩი რომის პაპთან" — განხილულია ამ ელჩობის მიზეზი და მიზანი. როცა თეიმურაზ მეფემ რომის პაპის წერილი მიიღო, მან მაშინვე უპასუხა მას. მაგრამ მალე გორში დაბრუნდა თეიმურაზ მეფის დავალებით ევროპაში გაგზავნილი ნიკიფორე ირბახი, რომელმაც თეიმურაზ მეფეს პაპის ურბან VIII-ის ახალი წერილი ჩამოუტანა. ამის შემდეგ თეიმურაზმა გადაწყვიტა გაეგზავნა თავისი ელჩი ვატიკანში, რათა საქართველოს ურთიერთობა რომთან უფრო ეფექტური გაეხადა.

ამ მიზნით, რომის პაპისა და წმიდა კონგრეგაციია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან, თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილებით აღჭურვილი დონ პიეტრო ავიტაბილე 1630 წლის 3 აგვისტოს გორიდან რომს გაემგზავრა. იგი რომში ჩავიდა 1631 წლის თებერვალში.

გარდა ზემოხსენებული წერილებისა, დონ პიეტრო ავიტაბილემ პაპსა და წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათები (ზეპირადაც გამოვიდა მათ წინაშე), სადაც აღწერილი იყო იმ დროისათვის საქართველოში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება; ქართველი ხალხის თავგამოდებული ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის. დონ პიეტრო ავიტაბილე ასევე მიუთითებდა იმ სიმპათიებზე, რომლებსაც იჩენდნენ ქართველები კათოლიკური რელიგიისა და რომის ეკლესიისადმი.

კარდინალთა კოლეგიამ სპეციალურად იმსჯელა საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარებისა და თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილებში აღნიშნული ზოგიერთი თხოვნის შესრულების შესახებ. ასევე გადაწყდა საქართველოში გაეგზავნათ მისიონერთა ახალი, უფრო დიდი ჯგუფი — ათი კაცი. დონ პიეტრო ავიტაბილემ ისინი 1632 წლის ივლისში საქართველოში ჩამოიყვანა.

მესამე თავში — „დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე", განხილულია ამ იტალიელი მისიონერის „ცნობები", მოცემულია ამ „ცნობების" ქარ-

თული თარგმანი და მითითებულია ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს „ცნობების“ ავტორის მიერ დაშვებულ უზუსტობაზე, რაც, ალბათ, გამოწვეული იყო იმით, რომ მას არ ჰყავდა თარჯიმანი, ხოლო თვითონ ჯოვანი და ლუკამ ადგილობრივი ენები არ იცოდა.

მეოთხე თავში — „როსტომის გამეფება ქართლში (1633 წ.)“ გადმოცემულია მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს როსტომ ხანის მეთაურობით სპარსეთის ლაშქრის ქართლში შემოსვლა 1633 წლის თებერვალში. აქვე ნაჩვენებია ქართლში როსტომის შემოსვლის წინ ქვეყნის შიგნით შექმნილი პოლიტიკური ვითარება და თეიმურაზ მეფის გადასვლა იმერეთში.

ПРЕДИСЛОВИЕ

Данная книга является третьим из запланированных нами изданий. Хронологически охватывает 1628—1633 гг. и состоит из предисловия, введения и следующих четырех глав: «Миссионеры-католики о Грузии в 1628—1630 гг.», «Дон Пьетро Авитабиле — посол Теймураза к Римскому папе», «Сведения миссионера доминиканца Джовани Джулиано да Лука об Абхазии и Менгрелии», «Воцарение Ростома в Картли (1633 г.)».

Далее следуют: документы (переведенные на грузинский язык с комментариями), документы на языке оригиналов (установленные нами тексты и фотокопии оригиналов), а также указатель имен и географических названий.

Во введении — «Сведения о Грузии до 1628 года» собраны материалы, обнаруженные автором в разных книгохранилищах стран Европы. Здесь даны материалы связанные с Грузией и грузинским народом до 1628 г. и показаны отношения Грузии с европейскими странами, отношения этих стран с Грузией, Грузия в политической жизни стран Европы в указанный период, борьба грузинского народа против иноземных захватчиков за независимость страны, а также разные моменты из жизни грузинского народа, отношение Ватикана с Грузией и приезд в Грузию в разное время католиков — миссионеров. Кроме того, показаны попытки правителей тогдашней Грузии найти союзников против двух сильных соседей-завоевателей — Персии и Турции; попытки царя Картли Симона первого установить контакты с Россией. Здесь же даны новые материалы о мученической смерти царицы Кетеван в Ширазе в 1624 г., дается полный перевод на грузинский язык работы французского автора XVII века Клода Маленгра «О царице Грузии Кетеван и грузинских царях, убитых по приказу персидского государя шаха Аббаса».

В первой главе «Католические миссионеры о Грузии в 1628—1630 гг» рассказывается о приезде в Грузию (в г. Гори) католиков-миссионеров театинцев 14 декабря 1628 года, которые, найдя подходящие условия для миссионерской работы, сообщали в Рим о благожелательности и сердечности, с какими миссионеры были встречены

царем Грузии Теймуразом и католикосом Восточной Грузии Захарием.

Миссионеры — театинцы получили от царя небольшой дом с пристроенной к нему церковью и развернули активную работу. Их небольшая резиденция в Гори вскоре превратилась в центр духовного обновления.

В инструкциях, данных миссионерам из Рима, указывалось: «Миссионеры должны постоянно помнить о том, что они не только проповедники евангелия, но, находясь в Грузии, выполняют также еще одно ответственное поручение — миссионеры должны не лениться и прилежно подмечать и записывать все, что, как в религиозной, так и в политической, этнографической и культурной областях, может послужить делу изучения грузинского народа, а также обо всем замеченном направлять в Рим подробные отчеты».

Когда миссионеры приехали, повсюду в Грузии были видны следы ужасного опустошения — результаты последних нашествий персов; страна была разрушена и ограблена. Об этом писали в своих письмах, посланных из Гори в Рим, миссионеры-театинцы. Вот, например, что писал префект миссии театинцев в Гори Дон Пьетро Авитабиле: «Царство пребывает в таком разрушении, что глядеть больно. Без преувеличения можно сказать, что персы не оставили здесь камня на камне. Несчастный царь живет в шалаше... все церкви повержены в руины, лики святых обезображены, алтари разбиты, священные сосуды украдены, колокола сняты, все украшения разграблены. Со слезами на глазах наблюдаешь, как служат таинство мессы — нет ни креста, ни подсвечников, алтарь пуст, чаша из куска дерева, ризы настолько убогие, что с них и пыль-то стряхивать грех. В общем, вообразите всю ту нищету, какая бывает в стране, разрушенной войной».

Миссионеры посылали подробные сведения о Грузии и грузинах в Рим. Они давали высокую оценку царю Теймуразу: «Царь же обладает таким живым умом, что просто поражаешься. У него благородное, преисполненное царственного величия лицо. Он охотно вступает в беседу о св. писании и учении отцов церкви».

В этой же главе речь идет о попытках установить новый надежный путь между Грузией и Римом: во избежание провалов и опасностей, во время путешествия миссионеров и др. лиц, миссионеры должны были вести переговоры с царем Грузии об открытии нового пути, который через Черное море, устье Днепра, земли казаков и через Польшу обеспечил бы надежную связь между Грузией и Римом

Во второй главе «Дон Пьетро Авитабиле — посол Теймураза к Римскому папе» рассказывается об этом посольстве. После того как царь Теймураз получил письма

из Рима, он решил направить своего посла в Рим. Выбор царя остановился на префекте театинцев в Гори Доне Пьетро Авитабиле. Этот последний с удовольствием согласился: срочная необходимость информировать о политическом и религиозном положении в Грузии Ватикан и организации приезда новых миссионеров из Италии в Грузию побудили Дона Пьетро Авитабиле предпринять это путешествие, в ходе которого он исполнял одновременно функции посла грузинского царя Теймураза первого. 3 августа 1630 г. он выехал из Гори и 10 июля 1632 г. вернулся обратно.

В Риме Дон Пьетро Авитабиле по-отечески был принят папой Урбаном VIII, которому он вручил, кроме письма от царя Грузии и каталикоса, пространный свой доклад о политическом и религиозном положении в Грузии.

31 августа 1630 г. Ватикан направил в Грузию еще двух миссионеров — театинцев — Арканджело Ламберти и Дона Джузеппе Джудиче. Арк. Ламберти написал две книги о Грузии, которые опубликовал в Неаполе после возвращения через 20 лет из Грузии.

Коллегия кардиналов Св. Конгрегации де Пропаганда Фиде во главе с папой на специальном заседании обсуждала вопросы связанные с Грузией, и приняла решение о введении в Грузии мессы на грузинском языке и о выполнении некоторых просьб царя Теймураза и каталикоса Захария. Также было решено послать в Грузию новую группу миссионеров — театинцев. Эта группа в составе 10 человек во главе с Доном Пьетро Авитабиле прибыла в Гори в июле 1632 г.

В третьей главе «Сведения миссионера — доминиканца Джовани Джулиано да Лука об Абхазии и Менгрелии» даются эти сведения в переводе на грузинский язык, с комментариями. Итальянский текст этих «Сведений» мы взяли из архива Ватикана.

В четвертой главе «Воцарение Ростома в Картли (1633 г.)» показаны причины, которые привели к вступлению персидских войск в Грузию и воцарению в Картли (Восточная Грузия) Ростома; политическое положение в восточной Грузии в этот период, удаление в Имерети (Западная Грузия) царя Теймураза со своей свитой и первые месяцы царствования Ростома в Картли.

PREFACE

Le présent volume, le troisième dans l'édition que nous projetons, comprend chronologiquement les années 1628—1633 et se compose d'une préface, d'une introduction et des quatre chapitres suivants: „Les missionnaires catholiques sur la Géorgie en 1628—1630", „Don Pietro Avitabile — ambassadeur du roi Teimuraz auprès du Pape de Rome", „Données du missionnaire dominicain Giovanni Giuliano da Lucca sur l' Abkhasie et la Mingrelie", „Intronisation de Rostom au Kartli (en 1633)".

Suivent: Documents (traduits en georgiens et commentés), documents originaux (textes établis par nous et photocopies des originaux), index des noms propres et géographiques.

L'introduction — „Données sur la Géorgie jusqu'en 1628" — contient des matériaux découverts par l'auteur dans diverses bibliothèques d'Europe. On y trouve des documents ayant trait à la Géorgie, au peuple géorgien à partir du XIII-e siècle jusqu'en 1628. On y montre: les relations de la Géorgie avec les pays d'Europe, relations de ces derniers avec la Géorgie, la Géorgie dans la vie politique des pays d'Europe de cette période, la lutte du peuple géorgien contre les envahisseurs étrangers, pour l'indépendance du pays, de même que divers moments de la vie du peuple géorgien; les relations du Vatican avec la Géorgie et l'arrivée en Géorgie à des moments différents de missionnaires catholiques.

A part cela, on y montre les tentatives des dirigents de la Géorgie à cette époque de trouver des allies contre deux voisins puissants la Perse et la Turquie. Les tentatives du roi du Kartli Simon I d'établir des contacts avec la Russie. On y trouve des matériaux nouveaux sur le martyre de la reine Kétevane à Chiraz (en Perse) en 1624.

Dans le premier chapitre — „Les missionnaires catholiques sur la Géorgie en 1628—1630“ — on relate l'arrivée en Géorgie (à Gori) des missionnaires catholiques le 14 décembre 1628. Ayant trouvé sur place des conditions convenables de travail, les missionnaires annoncèrent à Rome, au Pape Urban VIII la bienveillance et l'accueil que le roi de Géorgie Teimuraz et le catholicos Zakharia leur réservèrent.

Les missionnaires téathins reçurent du roi une petite maison et une église qui y attenait. Les missionnaires déployèrent une activité intense et leur petite résidence à Gori devint un centre spirituel.

Dans les instructions que les missionnaires reçurent de Rome il était dit: „...arrivata che sará nella Giorgia, d'informarsi minutamente et essatamente di tutte le cose di quella Corte: di conoscere e sapere i nomi di tutti i Prencipi del sangue del Re, di tutti i personaggi più principali, tanto ecclesiastici quanto secolari, e cosi huomini come donne: di tutte le cittá e luoghi più notabili del paese: delle strade ivi più frequentate da mercanti e passeggeri: delle amicitie e corrispondenze con altre nationi, che colá si tengano, e da che sorte di forestieri e per qual via sia frequentato il paese: con chi habbiano nimicitia o guerra o altri interessi: con chi confinino da ogni banda; e di tutte queste cose e di mille altre che le detterá la sua molta prudenza, non le sia grave di tenerci in Roma, del continouo bene informati; poiche dalla buona notitia che si haverá qui di ogni particolare a quel paese appartenente, dipenderá in gran parte quanto di buono qui in Roma per servizio loro si potrá fare“. (Cf. Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito di Pietro della Valle..., p. 31).

A l'arrivée des missionnaires on pouvait voir partout en Géorgie les traces de dévastations terribles causées par les invasions persanes. Le pays éttait pillé et saccagé.

Les missionnaires téathins évoquaient ces faits dans les lettres qu'ils adressaient de Gori à Rome. Dans ce même chapitre il s'agit d'une tentative d'établir une nouvelle voie sûre entre la Géorgie et Rome par la Russie et la Pologne, c'est-à-dire, par les pays chrétiens et cathoiliques.

Le second chapitre — „Don Pietro Avitabile — ambassadeur du roi Teimuraz auprès du Pape de Rome“-Après avoir reçu une lettre de Rome, le roi Teimuraz décida d'envoyer à Rome son ambassade. Le roi choisit à ces fins le préfet de la mission des téathins à

Gori Don Pietro Avitabile. Ce dernier accepta avec plaisir: l'urgente nécessité d'informer le Vatican de la situation politique et religieuse de la Géorgie et d'organiser l'arrivée de nouveaux missionnaires en Géorgie incitèrent Don Pietro Avitabile àentreprendre ce voyage au cours duquel il assumait également les fonctions d'ambassadeur du roi de Géorgie Teimuraz I. Il partit de Gori le 3 août 1630 et y retourna le 10 juillet 1632.

A Rome Don Pietro Avitabile fut reçu d'une manière paternelle par Urban VIII à qui il remit, à part les lettres du roi de Géorgie et du catholicos, une relation détaillèe sur l'état politique et religieux de la Gèorgie.

Le Collège des cardinaux de la Sacra Congregatione de Propaganda Fide, avec le Pape Urban VIII en tête, examina la question géorgienne pendant une réunion spéciale et décida d'introduire en Géorgie la messe en langue géorgienne et de répondre à certaines demandes du roi Teimuraz et du catholicos Zakharia. On décida également d'envoyer en Géorgie un nouveau groupe de missionnaires téathins. Ce groupe de 10 personnes, conduit par Don Pietro Avitabile, arriva en Géorgie le 10 juillet 1632.

Dans le troisième chapitre — „Données du missionnaire dominicain Giovanni Giuliano da Lucca sur l'Abkhazie et sur la Mingrelie"—on trouve ces données en traduction géorgienne.

Dans le quatrième chapitre — „Intronisation de Rostom au Kartli (en 1633)" — on montre les causes qui décidèrent de l'entrée des troupes persanes en Géorgie et de l'intronisation de Rostom au Kartli (Géorgie orientale); la situation politique en Géorgie orientale à cette époque, le passage du roi Teimuraz et de sa suite en Imérelie (Géorgie occidentale) et les premiers mois du règne de Rostom au Kartli.

შესავალი

(ცნობები საქართველოზე 1628 წლამდე)[1]

XIII საუკუნის 30-იან წლებიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწეობდნენ ფრანცისკანელი, კაპუჩინი და მონასტერიელი მისიონერები[2]. ამ დროს აღმოსავლეთის ქვეყნებში ბენედიქტიანთა ორდენის მისიონერთა მოღვაწეობა ნაკლებადაა შესწავლილი[3].

ფრანცისკანელ მისიონერთა მოღვაწეობა კი აღწერილი აქვთ ვადინგოს[4], ჩივეცას[5] და სხვა ავტორებს[6]. პაპმა გრეგორიო IX-მ (1227—1241) ბევრი რამ გააკეთა ფრანცისკანელი მისიონერების საშუალებით ბერძნების, ქართველებისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხების რელიგიური ერთიანობისათვის. ამ მისიონერების საშუალებით პაპი შეეცადა დამასკოს სულთანი მელიქ-ელ-აშრაფიც კი მოექცია ქრისტიანობაში. პაპი გრეგორიო თავის მისიონერებს სარკინოზებთანაც აგზავნიდა, სადაც მათ პატივით ღებულობდნენ[7].

---

[1] წინამდებარე წიგნის ამ ნაწილში განხილული და შესწავლილია მასალა, რომელიც ჩვენს წინა ორ წიგნში ვერ შევიდა: იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I (XIII—XVI სს.), თბ., 1984; II (1600—1628), თბ., 1986.

[2] წმიდა ფრანჩესკომ ქ. ასიზიდან (იტალია, პერუჯას პროვინცია) 1209 წელს შექმნა „მინორიტი" („უმცროსი") ძმების ორდენი. ამ ორდენის წესდება დაამტკიცა პაპმა ინოკენტი III-მ 1215 წელს. აქედან — ფრანცისკანელთა ორდენი. ეს ორდენი სამ შტოდ იყოფა: მინორიტ-ფრანცისკანელები, მინორიტ-კაპუჩინები და მინორიტ-მონასტირიელები (კაპუჩინი წარმოდგება „კაპუჩიო"-დან: კაპიშონი, ყაბალახი, კაპიშონიანი პლაში; მონასტირიელები — „მონასტერიო", „ნასტერიუმ" — სახლი, სადაც ბერები და მონაზვნები ცხოვრობდნენ).

[3] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h O. F. M., Biblioteca Bio-Bibliografica della Terra Santa e dell' Oriente Francescano, t. I (XIII s.), Firenze, 1906, p. 137. ჩვენ აქ ვიყენებთ ამ ავტორის ხუთტომეულს, რომლებშიც მოცემულია წმინდა მიწებსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში XIII ს. დასაწყისიდან 1400 წლამდე კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის შესახებ მდიდარი მასალა.

[4] L. W a d d i n g o, Annales... ad anno 1233, №3—7,26.

[5] C i v e z z a, Storia di Missioni, t. I, pp. 214—219.

[6] De G u b e r n a t i s, Orbis Seraphicus: De missionibus, t. I, Lib. 2, Cap. 3.

[7] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. I, p. 163.

1233 წლის 13 თებერვალს პაპი გრეგორიო IX ზემოხსენებულ სულთანს, მოუწოდებდა რა ქრისტიანობის მისაღებად, სწერდა: „სიყვარულით მიიღეთ ეს ჩვენი საყვარელი შვილები (მისიონერები. — ი. ტ.), რომლებიც თქვენთან მოდიან სწორედ თქვენი გადარჩენის მიზნით“[8]. მსგავსი წერილი პაპმა იმავე წლის 26 მაისს ფრანცისკანელი მისიონერების ხელით გაუგზავნა ბაღდადის სულთანს — ხალიფა მოსტანსერ ბილანსაც[9].

პაპი გრეგორიო IX-ის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ საქართველოს შესახებ ცნობები მას მიუღია ფრანცისკანელი მისიონერის მორჩილი ძმა ჯაკომო[10] და როსანოსაგან[11], რომელიც, როგორც პაპის ნუნციო[12], თავის ამხანაგებთან ერთად საქართველოში ყოფილა[13].

პაპი გრეგორიოს 1233 წლის 11 აპრილის ბულაში „Cum sit omnis“, იგი მოხსენიებულია, როგორც მოციქული, რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად სპეციალური დავალებით იგზავნება აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. საქართველოდან დაბრუნებულმა ჯაკომო და როსანომ პაპს მოახსენა, რომ საქართველოს მეფე „პატივით ეპყრობოდა ორდენის მისიონერებს და იმ შრომას, რომელსაც მათი საშუალებით ეწეოდა რომის პაპი“[14]. ამიტომ პაპმა გრეგორიომ ჯაკომო და როსანო თავის ამხანაგებთან ერთად კვლავ გაგზავნა საქართველოში[15]. 1233 წელს საქართველოში დაარსდა ფრანცისკანელთა მისიონი.

---

[8] Ibid.

[9] L. W a d d i i n g o, Annales, ad anno 1246 №5.

[10] „და“ „დი“ — იტალიურში მიუთითებს სადაურობაზე: ანდრეა და პერუჯა (ანდრეა პერუჯადან), გულიელმო და კიერი (კიერიდან), მატეო და კიეტი (კიეტიდან), ჯოვანი და ლუკა (ლუკადან) და სხვ.

[11] „და როსანო“, „დე როსანო“ — როსანოდან. როსანო ქალაქია იტალიაში (კალაბრიის პროვინციაში), საიდანაც წარმოშობით იყო ჯაკომო. ამ პიროვნების მიმართ ზოგჯერ დოკუმენტებში გვხვდება: „დი როსანო“ და „დე როსანო“.

[12] „ნუნციო“, „ნუნციუს“ — ლათინურიდან: მაცნე, შიკრიკი. ნუნციო — პაპის წარმომადგენელი, ელჩი უცხოეთის ქვეყნებში.

[13] არსებობს ცნობა, რომლის თანახმად, ჯაკომო და როსანო, თითქოს, 1228 წელს საქართველოში ყოფილა. იხ. L. W a d d i n g o, Annales Mino:um, Anno 1232—1233; Ballar, t. I, Anno 1233; M. A. B e l i n, Histoire de la latinité de Constantinople, 2-e éd., Paris, 1894, pp. 77—78; P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. I, p. 113.

[14] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. II, p. 292.

[15] L. W a d d i n g o, Annales Minorum, Anno 1233, №5; H y a c i n t h e S b a r a l e a, Bularium Franciscanorum, Romae, 1749, t. I, p. 102; P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, O. F. M., Op. cit., t. II (XIII—XIV ss.), Firenze, 1913, p. 299. ჯაკომო და როსანოს საქართველოს მეფესთან მოჰქონდა პაპი გრეგორიოს წერილი.

პაპი ინოკენტი IV-ის (1243—1254) დროს — 1247 წელს, აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნეს ფრანცისკანელი მორჩილი ძმა ანდრეა და პერუჯა. მას ახლდა რამდენიმე მისიონერი. მათ დავალებული ჰქონდათ ქართველებისა და სომხების დაკავშირება რომის ეკლესიასთან[16]. ანდრეა და პერუჯას და მისი მეგობრების აღმოსავლეთში მოღვაწეობის ისტორია კარგადაა შესწავლილი[17]. ამ მისიონერებმა დაითანხმეს სომხეთის პატრიარქი და მისი ეპისკოპოსები, ეცნოთ რომის პაპის პირველობა და იურისდიქცია ყველა მათ ეკლესიაზე. მათ თან წაიღეს ხსენებული პატრიარქის წერილი პაპ ინოკენტ IV-სთან, სადაც ეს ფრანცისკანელი მინორიტი მისიონერები მოხსენიებულნი არიან, როგორც „შესანიშნავი მღვდელმსახურები, რომლებიც ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და იმსახურებენ ყველა ადამიანის პატივისცემას"[18].

როგორც საბუთებიდან ჩანს, 1258 წელს მინორიტი ფრანცისკანელი მისიონერები წარმატებით მოღვაწეობდნენ იბერიელთა, ქართველთა შორის[19]. XIII საუკუნის მასალებში, იერუსალიმში მცხოვრებ ქრისტიანთა შორის მოხსენიებულია ქართველებიც[20].

პაპმა ალექსანდრე IV-მ (1254—1261) დიდი პრივილეგიები უბოძა ფრანცისკანელ მისიონერებს, რომლებიც მან გაგზავნა საქართველოში, სომხეთში, ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში[21].

„დიდი დედოფლის თამარის (1184—1212) შემდეგ მემკვიდრეობით საქართველოს ტახტზე დაჯდა გიორგი IV (1212—1223) — პასიური და უზნეო ადამიანი"[22]. მისი გარდაცვალების შემდეგ „საქართველოს მმართველობა ხელში აიღო მისმა დამ რუსუდანმა (1223—1247), რომელიც არ განსხვავდებოდა [ხასიათით] დედისაგან, მაგრამ იგი იყო უღბლო [მას ბედი არ წყალობდა]"[23]. მისი მეფობის დროს (1224 წ.) დამყარდა კონტაქტები საქართველოსა და ვატიკანს შორის[24].

---

16 L. W a d d i n g o, Annales Minorum, Anno 1247, №13; P. G i r o l a m o G o l u b o v i c h O. F. M., Op. cit., t. II, p. 216.

17 იხ. L. W a d d i n g o, Annales Minorum, ad anno 1247, №13.

18 P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. II, p. 216.

19 Ibid., p. 235.

20 Ibid., p. 408.

21 Ibid., p. 292.

22 Ibid., p. 299.

23 Ibid.

24 იხ. I. M. T a b a g u a, Note sulla storia dei Rapporti tra il Papato di Roma e i Re della Georgia (secoli XIII—XVII), „Annali", dell'Istituto Universitario Orientale, vol. 45, Napoli, 1985.

მაგრამ ამ კონტაქტების განვითარებას ხელი შეუშალა უცხოელი დამპყრობლების თავდასხმებმა საქართველოზე[25].

პაპმა ონორე III-მ 1223 წელს, ხოლო პაპმა გრეგორიო IX-მ 1233 წელს წერილები გამოუგზავნეს რუსუდან დედოფალს და დავით მეფეს. პაპი გრეგორიო IX-ის წერილის სათაური ასეთი იყო: „საქართველოს დედოფალს რუსუდანს და მის შვილს დავით მეფეს". ეს წერილი საქართველოში მისიონერმა ჯაკომო და როსანომ ჩამოიტანა[26]. პაპის ამ წერილიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკვე კარგი ურთიერთობა არსებობდა ვატიკანსა და საქართველოს შორის საერთოდ, კერძოდ, რელიგიურ საკითხებში. საქართველოში კარგად ღებულობდნენ პაპების მიერ გამოგზავნილ კათოლიკე მისიონერებს[27].

რამდენიმე წლის შემდეგ პაპმა გრეგორიომ საქართველოში კვლავ გამოგზავნა მისიონერთა ახალი ჯგუფი და წერილი მოსწერა დედოფალ რუსუდანს და მეფე დავითს. ამ წერილიდანაც ჩანს, რომ საქართველოში მისიონერები კარგად მიუღიათ[28]. „XIV საუკუნეში იბერიის სამეფოში ფრანცისკანელ მისიონერებს ორი მონასტერი ჰქონდათ. ამ მონასტრების ადგილსამყოფელი და სახელწოდებები ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო სამეფოს დედაქალაქში — თბილისში, რომელიც აღმოსავლეთის საეკლესიო იერარქიაში — ვიკარიაში შედიოდა"[29]. პიზანოს კატალოგში ამ მონასტრებიდან ერთ-ერთი მონასტრის ადგილსამყოფელოდ დასახელებულია: „ივერია, თეფელისიუს" — იბერია, თბილისი[30].

მონღოლთა ზოგიერთი ხანი კარგად ღებულობდა რომის პაპის მიერ აღმოსავლეთში გაგზავნილ მისიონერებს. ჯერ კიდევ პაპმა ალექსანდრე IV-მ (1254—1261) გაგზავნა ფრანცისკანელ მისიონერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი აღმოსავლეთში — ყივჩაღებთან, მონღოლებთან, სპარსელებთან და სხვ. სპარსეთში ისინი კარგად მიუღია ჰულაგუ ხანს, რომელიც „ყოველთვის კეთილგანწყობით ეპყრობოდა ქრისტიანებს და მაჰმადიანების თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო"[31]. აბაღა ხანიც კარგად იყო განწყობილი მისიონერებისადმი,

---

[25] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., p. 299.

[26] R a y n o l d i (Odericus Raynoldus), Annales Ecclesiatici, t. XII, Romae, 1646. Anno 1240, №38—43; M. T a m a r a t i, L'Eglise Géorgienne des origines jusqu'á nos jours, Rome, 1910, pp. 425—426.

[27] M. T a m a r a t i, Op. cit., pp. 425—426; P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., p. 300.

[28] Od. R a y n o l d i, Op. cit., anno 1240, №38—43.

[29] Ibid.; P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. II, p. 300.

[30] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. II, p. 300.

[31] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. II, p. 392.

მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ (1282 წლის 1 აპრილი), ხელისუფლება ხელში აიღო ნიგუდარ ახმედმა (1282—1284), რომელიც სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს[32].

კათოლიკე მისიონერებს აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქვეყნებში მძიმე და საშიშ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა. ცნობილია, მაგალითად, ორი ფრანცისკანელი მისიონერის — ანტონიო სომეხისა და ალდობრანდინო ფლორენციელის მკვლელობა სპარსეთში[33].

1284 წელს ორი მისიონერი, ორი მორჩილი ძმა ფრანცისკანელი— კონრად საქსონელი და სტეფანო უნგრელი იბერიაში წავიდნენ[34]. აქვე საქართველოს შესახებ ნათქვამია: საქართველო (ივერია, ვიერია — იბერია) — გურჯისტანი, ეს არის სამეფო, რომელიც მდებარეობს დიდი სომხეთის ჩრდილოეთით, კავკასიაში და გადაჭიმულია კასპიისა და შავ ზღვებს შორის. მისი დედაქალაქია თბილისი. აქვე მოხსენიებულია ალბანია და აფხაზეთი[35]. ამ დროს საქართველოში ყოფილა ხუთი კათოლიკური მონასტერი, მათ შორის ორი თბილისში და ერთი ახალციხეში.

აქვე მოცემულია ასეთი ცნობა: „1310 წელი. საქართველო: საქართველოს მეფის დავით VI-ისა და ბევრი სხვა ქართველის კათოლიკურ სარწმუნოებაში მოქცევა“[36]. შემდეგ: „ძვირფასი ისტორიული წყარო — ბრიტანეთის კოდექსი: „Nero A. IX“, შედგენილი XIV საუკუნის პირველ ათეულ წელს, სადაც მოხსენიებულია ფრანცისკანელთა ორი მონასტერი იბერიაში (საქართველოში)“[37]. 1310 წელს საქართველოში ორი ფრანცისკანელი ბერი ყოფილა.

რაც შეეხება ცნობას საქართველოს მეფისა და სხვა ქართველების კათოლიკებად მოქცევის შესახებ აქ, ალბათ, იგულისხმება დავით მეფის მიერ კათოლიკე მისიონერების კარგი მიღება: „საქართველოს მეფემ დავით VI-მ, დემეტრე II-ის შვილმა, რომელიც მეფობდა 1292—1310 წწ-ში, მიიღო პაპი ნიკოლოზ IV-ის (1288—1292) მიერ გამოგზავნილი ორი ფრანცისკანელი ნუნციო: გულიელმო და კიერი, მატეო და კიეტი. მათ მეფეს (უკვე დავით VI-ს. — ი. ტ.) 1291 წლის

---

[32] Ibid.

[33] Ibid.

[34] Ibid., p. 429. Fr. Conrado di Sassonia, Fr. Stefano Ungaro. ორივე საქართველოში დაიღუპა 1288 წელს.

[35] Ibid., p. 555.

[36] P. Girolamo Golubovich, Op. cit., t. III (1300—1332), Firenze, 1919, p. 158: „Ubi rex illius gentis, et multi de populo, istis annis sunt conversi, et fideliter (rex) migravit a seculo“.

[37] P. Girolamo Golubovich, Op. cit., t. III, p. 158.

23 აგვისტოს ჩამოუტანეს პაპის მიერ დემეტრე II-ისადმი მიწერილი წერილი“[38]. მაგრამ დემეტრე II ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო.

მ. თამარაშვილი ეხება ამ საკითხს თავის წიგნში და მოაქვს პაპის ნიკოლოზ IV-ის მიერ სხვადასხვა დროს გამოგზავნილი სამი წერილის შინაარსი[39]. პირველი წერილი დაწერილია რიეტში[40] 1289 წლის 5 ივლისს საქართველოს მეფის დემეტრეს სახელზე. ამ წერილში ლაპარაკია საქართველოსა და რომის ეკლესიების ურთიერთობაზე[41]. მეორე წერილი დაწერილია საქართველოს პატრიარქის სახელზე ამავე ქალაქში, ამავე წლის 9 ივლისს. ამ წერილშიც ეკლესიების ერთიანობაზეა მსჯელობა[42]. დემეტრესა და პატრიარქის ეს წერილები საქართველოში ჩამოუტანია მორჩილ ძმას ჯაკომო დე მონტერკორბინოს. მესამე წერილი დაწერილია ორვიეტოში[43] 1291 წლის 10 სექტემბერს მეფე დემეტრეს სახელზე[44].

1321 წლის სექტემბერში პაპი იოანე XXII-ის (1316—1334) ბრძანებით ჯაკომო და კამერინო სხვა მისიონერებთან ერთად გაგზავნეს აღმოსავლეთის ქვეყნებში. მათ მიჰქონდათ პაპის წერილები აღმოსავლეთის ქვეყნების მეფე-მთავრებთან. საქართველოს მეფისადმი მიწერილი პაპის წერილის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: „...პაპი მოუწოდებს ქართველებს რომის ეკლესიასთან კავშირს და რეკომენდაციას აძლევს მეფის წინაშე თავის კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც თათრებისკენ მიდიან. ამ მისიონერებმა საქართველოს სამეფოზე უნდა გაიარონ...“[45].

1321 წლის 15 ოქტომბერს პაპმა იოანე XXII-მ საქართველოს მეფეს გიორგი ბრწყინვალესა და სარქის თბილელს[46] წერილი მისწე-

---

38 M. Tamarati, Op. cit., pp. 431—434.

39 Ibid.

40 რიეტი—ქალაქი იტალიაში, რომის ჩრდილოეთით, ლაციის პროვინციაში.

41 E. Langlois, Registro de Nicolas IV, Paris, 1893, t. II, №2238, p. 393; M. Tamarati, Op. cit., pp. 431—432; P. Girolamo Golubovich, Op. cit., III, p. 158.

42 E. Langlois, Op. cit., №2221, p. 391; M. Tamarati, Op. cit., pp. 432—433; P. Girolamo Golubovich, Op. cit., p. 158..

43 ორვიეტო—იტალიაში, რომის აღმოსავლეთით, აბრუცის პროვინციაში.

44 E. Langlois, Op. cit., t. II, №6810, p. 904; M. Tamarati, Op. cit., pp. 431—432.

45 L. Waddingo, anno 1321, №27; Raynoldi, anno 1321, №8; P. Girolamo Golubovich, Op. cit., t. III, p. 215.

46 ტექსტში: Sarkis de Teffelicio.

რა, რომელშიც გადმოცემულია მოწოდება რომის ეკლესიასთან შეერთების შესახებ[47].

იმავე წლის 22 ნოემბერს პაპმა იოანე XXII-მ ქ. ავინიონიდან[48] წერილები გაუგზავნა აღმოსავლეთის ქვეყნების არქიეპისკოპოსებს, მათ შორის, თბილისის არქიეპისკოპოსსაც. პაპი მათ ამშვიდებდა ტკბილი სიტყვებით, აძლევდა ინდულგენციებს და აქებდა იმპერატორს (გერმანიისას), რომელსაც კარგად მიუღია პაპის მიერ გაგზავნილი ფრანცისკანელი მისიონერები. ამავე თარიღით საქართველოს მეფის სახელზე მიღებულ პაპის წერილში მოხსენიებულია ვინმე „ტირაზონ თბილისელი“[49].

1329 წლის 19 აგვისტოს პაპმა იოანე XXII-მ ეპისკოპოსებად დანიშნა: თბილისში — იოანე ფლორენციელი, ხოლო სებასტოპოლში (ისკურია, სამეგრელოში) — პიეტრო ჯერალდი[50]. ეს უკანასკნელი წარმოშობით იყო ინგლისელი და დაკავშირებული იყო გენუელთა კოლონიასთან. მან წერილი გაგზავნა რომში ამ მხარეში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობის შესახებ[51].

იმავე წლის 19 აგვისტოს აკურთხეს აღმოსავლეთის ქვეყნებში გასაგზავნი ექვსი ეპისკოპოსი. მომდევნო წლის 9 აპრილს ისინი აღმოსავლეთისკენ გაემგზავრნენ. თითოეულ მათგანს მიჰყვებოდა დომინიკანელ და ფრანცისკანელ მისიონერთა ჯგუფი. მათ ხელთ ჰქონდათ ამა თუ იმ ადგილზე მათი დანიშვნის შესახებ პაპის ბულა[52]. თბილისის ეპისკოპოსმა, რომელიც ამ თანამდებობაზე იყო 1330—1348 წლებში, მეფე გიორგი V-ს ჩამოუტანა პაპის წერილი, რომელშიც პაპი მეფეს მოუწოდებდა შეერთებოდა რომის ეკლესიას. მანვე მეფეს გადასცა პაპის მეორე წერილი, რომელშიც თვითონ იოანე ფლორენციელის დახასიათება და რეკომენდაცია იყო მოცემული. იოანე ფლორენციელის მუშაობა თბილისში მეტად ნაყოფიერი ყოფილა,

---

[47] L. Waddingo, Annales Minoritum, an. 1321, №27; Od. Raynoldi, Annales Ecclesiastici, An. 1321, №8; H. Sbaralea, Bullarium Franciscarorum, t. V, p. 210.

[48] ავინიონი—ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში.

[49] ტექსტში: „Tirazon de Thefeliz“.

[50] 1330 წელს სებასტოპოლიდან რომში გაგზავნილ მის წერილებში ნათქვამია, რომ ამ ქალაქში მცხოვრებლები ქრისტიანები არიან და მონების გაყიდვას მისდევენ. Heyd, Le Colonie Commerciali, t. II, p. 62.

[51] Ibid.; Girolamo Golubovich, Op. cit;, t. III, p. 351: „Giovanni di Firenze, vescovo di Tiflis nella Georgia;... Pietro Geraldi, vescovo di Savastopoli (Iscuria, in Mingrelia)“.

[52] P. Girolamo Golubovich, Op. cit., t. III, p. 351.

რაც მისივე თბილისიდან რომში გაგზავნილი წერილებიდან ჩანს. იგი 1348 წ. გარდაიცვალა. მის ადგილზე დაინიშნა ბერტრანდო კოლეტი. თბილისიდან რომში გაგზავნილ წერილებში აღნიშნულია, რომ გიორგი მეფე კათოლიკე მისიონერებს პატივით ღებულობდა.

ზემოხსენებულმა ეპისკოპოსებმა ტრაპეზუნდზე გავლის დროს პაპის ერთი წერილი გადასცეს ტრაპეზუნდის იმპერატორს, ხოლო შემდეგ განაგრძეს რა გზა, პაპის მეორე წერილი გადასცეს „კორატიჩენსის მეფეს"[53]. ეს იმერეთის (ქუთაისის) მეფე უნდა იყოს[54]. აქვე ლაპარაკია „ალბორსის" ხალხზე[55], რომელსაც „სურს კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთება"[56]. ამავე საბუთში მოხსენიებულია აგრეთვე: „ტეფელისენემ", „რეჯი ტეფელისანსი ჯეორჯიანე"[57].

დაახლოებით 1332—1333 წწ-ში საფრანგეთის მეფემ ფილიპე VI ვალუამ (1320—1350), რომელმაც წმინდა მიწების განთავისუფლებისათვის ჯვარი აღმართა და მოლაპარაკებას ეწეოდა ევროპის ქვეყნებს, მათ შორის, ვენეციის მეთაურებთან[58], ეგვიპტის სულთანის წინააღმდეგ ლაშქრობაზე, მოისურვა კავშირი შეეკრა „თავრიზის იმპერატორ შაჰ აბუსაიდ ხანთან" და თბილისის („ტეფელისიის"), ანუ საქართველოს მეფე გიორგისთან. ფრანცისკანელმა მისიონერებმა და მთავარმა ფრანგმა ვაჭრებმა, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ საფრანგეთის მეფის წერილის გადაცემა ზემოხსენებული პირებისათვის, იმსჯელეს და გადაწყვიტეს: ფილიპეს წერილი არ გადაეცათ შაჰისათვის, ვინაიდან ამ დროისათვის შაჰმა კავშირი დასდო ეგვიპტის სულთანთან. ალბათ, იმიტომ რომ იმ დროს ერთ მათგანს ემუქრებოდნენ თურქები, ხოლო მეორეს — უზბეკები. მეორე წერილი კი, მორჩილმა ძმებმა რიკარდო მერჩერიმ და ალექსანდრე ინგლისელმა გადასცეს თბილისში საქართველოს მეფეს გიორგი V ბრწყინვალეს.

საქართველოს მეფემ პატივით მიიღო საფრანგეთის მეფის დესპანები, პატივისცემის ნიშნად წერილი შუბლზე მიიდო და შემდეგ, გაეცნო რა მის შინაარსს, მეფისათვის გადასაცემად შემდეგი პასუხი გასცა (რომელიც, ცხადია, არ ესიამოვნებოდა საფრანგეთის მეფეს): „საფრანგეთის მეფეები ხშირად შეაგულიანებდნენ ხოლმე აღმოსავ-

---

53 „კორატიჩენს" — „კორატიკუმ", „კორატიჩენსის", „კოტატისიონ", „კუტატის", „კუტაის".

54 P. Girolamo Golubovich, Op. cit., t. III, pp. 352—353.

55 „ალბორს". „ელბრუზ", „ელბურზ" — ელბრუსი. იგულისხმება კავკასია.

56 P. Girolamo Golubovich, Op. cit., p. 353.

57 Ibid., pp. 358: „Tephelicensem", „Tefelicensi Georginae"; „Regi Tefelicensi georgianae".

58 P. Girolamo Golubovich, Op. cit., t. II pp. 192—194.

ლეთის ხელმწიფეებს სარკინოზების წინააღმდეგ, დაჰპირდებოდნენ რა მათ დახმარებას, ხოლო შემდეგ თვითონ არ მიდიოდნენ დასახმარებლად, მიატოვებდნენ რა მათ მარტო; ისინი კი ღებულობდნენ სამწუხარო შედეგებს ასეთი ომიდან. მიუხედავად ამისა, გადაეცით მის უდიდებულესობას — მეფეს, რომ როგორც კი იგი ზღვაზე გადავა, იქვე მნახავს მე მისი განკარგულების შესრულების მიზნით მისულს 30 ათასიანი ლაშქრით"[59]. საქართველოს მეფის ეს პასუხი ფრანცისკანელმა დესპანებმა გადასცეს საფრანგეთის მეფეს,

1335 წელს ავგუსტინელ მორჩილ ძმას ჯაკომო ვერონელს სინას მთაზე ყოფნის დროს, 5 აგვისტოს, წმიდა საფლავის ეკლესიაც უნახავს და აღნიშნავს, რომ იქ სამი ბერძნული წესის ქართველი ბერი ყოფილა. „ისინი მუდამ იყვნენ წმიდა საფლავის ამ ეკლესიაში. ეს სამი მოხუცი ბერი — კალიგერები, ე. ი. ბერძნული წესის ბერები, იჯდნენ დღე და ღამე ეკლესიაში და იქიდან არ გამოდიოდნენ"[60] — წერს ჯაკომო ვერონელი. 1336 წელს სუდჰეიმი ასევე მოიხსენიებს რამდენიმე ქართველ ბერს, რომლებიც ქრისტეს წმიდა საფლავის ეკლესიაში იყვნენ[61]. ქრისტეს წმიდა საფლავის გასაღები, წერს ჯიროლამო გოლუბოვიჩი, მათ ხელში იყო და მნახველებისაგან ისინი „ვენეციურ ფულს" მოითხოვდნენ, თუ ისინი სამრეკლოში შესვლას მოისურვებდნენ. ქართველი ბერების ეს პრივილეგია დიდხანს ვერ გაგრძელდა, ვინაიდან ფრანცისკანელი მისიონერები ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ წმიდა საფლავს და მალე მიაღწიეს კიდეც ამას[62].

მორჩილი ძმა ანტონიო — ჯერ სალონიკის არქიეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ მალტის ეპისკოპოსი, 1370 წლის 22 აგვისტოს, პაპის წერილის თანახმად, 25 ფრანცისკანელ მისიონერთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც. აი 1370 წლის 22 აგვისტოს პაპის წერილი ეპისკოპოს ანტონიოსადმი ამის შესახებ: „მიგვაჩნია რა აუცილებლად გავაგზავნოთ ღვთის მუშაკები ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ქ ვ ე ყ ა ն ა შ ი[63] და აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ცხოვრობენ სქიზმის მიმდევრები[64] და

---

[59] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. III, p. 415; J e a n R i c h a r d, La Papauté et les missions d' Orient au Moyen Age (XIII-e—XV-e siècles), Ecole Française de Rome Palais Farnèse, 1977, p. 54.

[60] Liber peregrinationis fr. Iacobi de Verona (1335), edito dal Röhricht, „Revue de l'Or. Latin", t. III, p. 186; P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. IV (1333—1345), Firenze, 1923, p. 21.

[61] S u d h e i m, Itiner, „Archives de l'Or. Latin", t. II B, pp. 353—354.

[62] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. IV, p. 21.

[63] ხაზგასმულია ტექსტში.

[64] სქიზმა — განხეთქილება, განსხვავება რელიგიურ წესებში. განსხვავება ბერძნულ-მართლმადიდებლურ და ლათინურ-კათოლიკურ რელიგიურ წესებს შო-

ურწმუნოები. ჩვენ მოციქულებრივ საქმედ ვთვლით, შევარჩიოთ ამ საქმისათვის ისეთი ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი თავმდაბლობით და რწმენით, რომლებიც რწმენის გასავრცელებლად მზად არიან და ამ საქმისათვის გამოდგებიან.

გარდა ამისა, ვეყრდნობით რა უფლის მიერ შენს წინდახედულებას და ერთგულებას, გიბოძებთ შენ ამ წერილით უფლებამოსილებას, შეარჩიო [მისიონერები], მიიღო [ისინი] და გაემგზავროთ ამ ქვეყანაში, ს ა დ ა ც შ ე ნ ჩ ვ ე ნ გ ა გ ა გ ზ ა ვ ნ ე თ ო რ ჯ ე რ[65], 25 მისიონერი ბერი, რომელთა მასწავლებელიც შენ ხარ და რომლებიც შენი აზრით, გამოდგებიან ამ მიზნისათვის მათი მორიდებული ჩვევის, განათლებისა და ცხოვრების მიხედვით და ასევე ის პირებიც, ვიზედაც შენ შეგიძლია მიიღო სათანადო ცნობები იმავე ორდენიდან ან სხვა ორდენიდანაც.

უფლებამოსილებას გაძლევთ ასევე, შენს მიერ შერჩეულ და შენთან გამოძახებულ ამ მორჩილ ძმებთან ერთად, გაემგზავროთ ზემოხსენებულ ქვეყნებში, იცხოვროთ იქ, იშრომოთ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისა და შენარჩუნებისათვის... 1370 წლის 22 აგვისტო“[66].

სამწუხაროდ, ვერ შევხვდი ცნობას იმის შესახებ, თუ როდის მოუყარა თავი ეპისკოპოსმა ანტონიომ თავის ამ თანამოძმეებს და საბოლოოდ წავიდნენ თუ არა ისინი აღნიშნულ ქვეყნებში. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ 1371 წლის 3 სექტემბერს კუნძულ მალტაზე ანტონიოს ადგილზე აირჩიეს წმიდა მამა კონრადო[67]. იქნებ ეს მოხდა იმიტომ რომ ანტონიო წავიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოღვაწეოდ. მაგრამ ამის შესახებ საბუთებში ვერაფერს შევხვდი. ზემოთ მოტანილი წერილიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ეპისკოპოსი ანტონიო ორჯერ ყოფილა საქართველოში.

1389 წელს ქართველები მოხსენიებულია „გოლგოთას“ ამბებთან დაკავშირებით. აქ ნათქვამია: „გოლგოთას“ მთაზე[68] ქართველები

რის. კათოლიკები ქართველებს (ორთოდოქსულ ქრისტიანებს, რომლებმაც ქრისტიანობა ბერძნებიდან მიიღეს და იცავენ ამ წესებს) ბერძნული სქიზმის მიმდევრებს უწოდებენ.

[65] ხაზგასმულია ტექსტში.

[66] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. V (1346—1400), Firenze, 1927, p. 155; E u b e l, Bull., t. VI №1104; L. W a d d i n g o, Annales Minorum, An. 1370, № 13; Od. R a y n o l d i, Annales Ecclesiastici, An. 1370. № 8.

[67] P. G i r o l a m o G o l u b o v i c h, Op. cit., t. V, p. 155.

[68] „გოლგოთა“ — ებრაული სიტყვიდან: „გოლგოთა“ — ბორცვი, მთა, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს; „გოლგოთა“, „კალვერ“, ლათ. „კალვარია“ — მამაცი.

წირვას აყენებდნენ ქართული კულტის მიხედვით, უფრო მოშორებით, ვენეციელები — ვენეციური კულტის მიხედვით, უნგრელები — უნგრული კულტის მიხედვით, უფრო შორს, ფრანკები — ფრანკთა კულტის მიხედვით. გოლგოთას ქვემოთ, წირვას აყენებენ იბერიელები — იბერიული კულტის მიხედვით...«[69] 1400 წელს იბერიელები იყვნენ იერუსალიმში, წმიდა საფლავის ეკლესიაში[70]. აქვე, ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია, რომ „იბერიის მეფემ გიორგიმ სასტიკად დაამარცხა არაბები და გაძარცვა მათ მიერ დაპყრობილი მიწები, ხელთ იგდო ასევე დიდი რაოდენობით არაბები“.

ამის შემდეგ, მოსულის ვეზირმა გამალ-ელ-დინმა, ალალმართალმა და გულმოწყალე ადამიანმა, რომელმაც არა მარტო სირიისა და სპარსეთის, არამედ ინდოეთის ქალაქებშიც კი ააგო დავრდომილთა და მოხუცებისათვის თავშესაფარი სახლები და მოამარაგა ისინი ყოველივე იმით, რაც მათთვის საჭირო იყო, მოისურვა გაენთავისუფლებინა ზემოხსენებული არაბები იბერიელების ხელიდან.

1476 წელს გამალ-ელ-დინმა ღირსეული და საქმიანი ადამიანი — ეპისკოპოსი მაფიანი მისივე შერჩეულ სხვა პირებთან ერთად გაგზავნა საქართველოში როგორც ელჩი. როგორც კი ისინი იბერიის საზღვრებს მიუახლოვდნენ, გიორგი მეფეს აცნობეს, რომ ასირიიდან მისკენ ელჩობა მოდის სახელდობრ იმ ქვეყნის არქიეპისკოპოსი, ორი ეპისკოპოსისა და რამდენიმე არაბის თანხლებით.

ამ ცნობით გაოცებული გიორგი მეფე თვითონ გაემგზავრა არქიეპისკოპოსი მაფიანის შესახვედრად და პატივით მიიღო, გამოუყო ბინა საცხოვრებლად და ეკლესია ღვთისმსახურებისა და ზეიმისათვის, რამდენადაც ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ უფალის მოვლინების წინადღით.

შეასრულა რა არქიეპისკოპოს მაფიანის თხოვნა, მეფემ გაათავისუფლა ბევრი არაბი ტყვე, ხოლო სხვები ოქროთი გამოისყიდეს მოსულის ვეზირის დესპანებმა. ბოლოს, გიორგი მეფემ მათთან ერთად თავისი ელჩობა გაგზავნა და საჩუქრები გაუგზავნა მოსულის ვეზირს. ვეზირის ელჩები დიდი სიხარულით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში და მოსულში ჩავიდნენ. მოსულისკენ მიმავალ იბერიის ელჩებს მიჰქონდათ შუბზე წამოგებული ჯვრები ქრისტიანების სანუგეშოდ“[71].

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგამოდებული მებრძოლის — ქართლის მეფის სიმონ I-ის (1558—1600) საგარეო პო-

---

[69] P. Girolamo Golubovich, Op. cit., t. V, p. 276.

[70] Ibid., p. 337.

[71] Cregorii Barhebraeus, Chronicon Ecclesiasticum, Parisiis-Loveni, 1877, t. III, pp. 354—356.

ლიტიკა ორ პერიოდს მოიცავს: პირველი პერიოდი (1558—1569) — სანამ იგი სპარსეთის ტყვეობაში ჩავარდებოდა, ხოლო მეორე — 1578 წლიდან, როდესაც იგი სპარსეთის ტყვეობიდან დაბრუნდა. თავისი მეფობის პირველ პერიოდში იგი მოკავშირეებს ეძებდა სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, კი დროებითი შერიგება მოხდა სპარსეთის შაჰსა და სიმონს შორის. სიმონმა გადაწყვიტა მთელი თავისი ძალებითა და დაუშრეტელი ენერგიით ებრძოლა თურქი მოძალადეების წინააღმდეგ.

სიმონ მეფე არაერთხელ შეეცადა დაემყარებინა ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან (ესპანეთი, ავსტრია, ვატიკანი და სხვ.), მიეღო მათგან დახმარება და მათთან ერთად ებრძოლა თურქეთის წინააღმდეგ[72]. დასავლეთიც (მაგალითად, გერმანიის იმპერატორი რუდოლფ II) ეძებდა სიმონთან კავშირს თურქეთის წინააღმდეგ.

თავისი მეფობის პირველ პერიოდში სიმონ მეფემ სცადა დაემყარებინა კავშირი რუსეთთან. ამ მიზნით იგი შეეცადა გამოეყენებინა ენტონი ჯენკინსონიც კი. ენტონი ჯენკინსონი, ინგლისის დედოფლის — ელისაბედის დესპანი, ინგლისის სავაჭრო კომპანიის აგენტი მოსკოვში, 1561—1563 წწ-ში, სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებით სპარსეთში იყო. 1561 წლის 18 აგვისტოს ასტრახანიდან თავრიზში მიმავალი ე. ჯენკინსონი შემახში ჩავიდა და 6 ოქტომბრამდე დარჩა იქ. შემდეგ იგი გაემგზავრა თავრიზში, სადაც შეხვდა სპარსეთის შაჰს თამაზს. შაჰთან მის შეხვედრას და საუბარს ესწრებოდა სიმონ მეფის ძმა, რჯულგანდგომილი ქართველი დაუდ ხანი. დაუდ ხანის შესახებ, შემახაში ყოფნის დროს, შემახას ხანმა ე. ჯენკინსონს უთხრა: „ეს არის ქართველი მეფის შვილი, სარწმუნოებით ქრისტიანი, რომელიც საქართველოდან სპარსეთის შაჰთან გაიქცა“[73].

შაჰთან შეხვედრის შემდეგ, 1563 წლის 10 აპრილს ე. ჯენკინსონი კვლავ შემახაში დაბრუნდა. „10 აპრილს, — წერს იგი, — ჩავედი შემახაში, სადაც დავრჩი რამდენიმე დღე“. მას აქ უნდა ეშოვა აქლემები კასპიის ზღვის სანაპირომდე ბარგის გადასატანად. „შემახაში ყოფნის დროს, — წერს ე. ჯენკინსონი, — ჩემთან მოვიდა საქართველოს მეფის მიერ გამოგზავნილი ერთი სომეხი ვაჭარი, რომელმაც მომახსენა მეფის (სიმონ მეფის. — ი. ტ.) სავალალო მდგომარეობა, რომ იგი მოქცეულია მკაცრ და უძლიერეს მბრძანებლებს შორის —

---

[72] იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში I (XIII—XVI), გვ. 114 და შემდეგ.

[73] Early Voyages and Travels to Russia and Persia by Anthony Jenkinson and other Englishman, vol. 1, New York, pp. 146—147.

თურქეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰს შორის და ეწევა განუწყვეტელ ომს მათ წინააღმდეგ“[74].

სიმონ მეფემ სომეხი ვაჭარი გაგზავნა ე. ჯენკინსონთან რჩევის მისაღებად: „როგორ შეეძლო მას (სიმონ მეფეს. — ი. ტ.) თავისი ელჩი გაეგზავნა რუსეთის იმპერატორთან“ და რა აზრისაა ამის შესახებ ე. ჯენკინსონი: „შეუძლია თუ არა მას (რუსეთის იმპერატორს. — ი. ტ.) აღმოუჩინოს დახმარება სიმონ მეფეს?“ გარდა ამისა, სიმონ მეფე თხოვდა ე. ჯენკინსონს, მოსკოვში დაბრუნების დროს ეთქვა ამის შესახებ რუსეთის მეფისათვის. ვინაიდან სიმონ მეფეს პირდაპირ რუსეთში თავისი ელჩის გაგზავნის ეშინია[75].

ე. ჯენკინსონმა სიმონ მეფის დესპანს ზეპირად გადასცა პასუხი. „მეც, — წერს ე. ჯენკინსონი, — ასევე ზეპირად ვუპასუხე მეფეს და არა მარტო დავარწმუნე იგი, გაგზავნოს თავისი ელჩი რუსეთში, არამედ შევუთვალე: ეჭვი არ მეპარება, რომ იგი (სიმონ მეფე. — ი. ტ.) ჰპოვებს მასში (რუსეთის მეფეში. — ი. ტ.) ყველაზე უფრო კეთილშობილ მეფეს, რომელიც მზად იქნება დაეხმაროს მას. ასევე ვურჩიე (სიმონ მეფეს) გზა, რომელზე გავლით მას შეუძლია გაგზავნოს ელჩი რუსეთში — ჩერქეზეთის გავლით, გამოიყენებს რა ტემრიუკის მეფის სამსახურს, რომელმაც ამას წინათ რუსეთის მეფეს (ივანე მრისხანეს. — ი. ტ.) თავისი ქალიშვილი მიათხოვა“[76].

ასეთი პასუხით გაუშვა ე. ჯენკინსონმა სომეხი ვაჭარი სიმონ მეფესთან, ხოლო ორი დღის შემდეგ, თავისი ერთ-ერთი მსახური — ედვარდ კლარკი გაგზავნა ქ. არასში, სადაც დიდი რაოდენობით იყო აბრეშუმი. ამ ქალაქში თავისი საქმეების დამთავრების შემდეგ, ე. ჯენკინსონის დავალებით, ე. კლარკს გზა უნდა განეგრძო საქართველოსკენ, ენახა პირადად სიმონ მეფე და „გადაეცა მისთვის — წერს ე. ჯენკინსონი, — ჩემი რჩევა და განზრახვები; ესაუბრა მეფესთან ჩვენი ვაჭრების დაცვაზე (რომლებსაც განზრახული აქვთ ვაჭრობა მის სამფლობელოშიც) და ამის შესახებ მისგან სათანადო გარანტიის მიღების თაობაზე“[77].

ქ. არასში ე. კლარკი შეხვდა სომეხ ვაჭრებს, რომლებმაც იგი პირდაპირ თბილისში ჩაიყვანეს. მან შეასრულა ე. ჯენკინსონის დავალება: შეხვდა და ესაუბრა სიმონ მეფეს და იმავე წლის 15 აპრილს შემახაში დაბრუნდა. 16 აპრილს ე. ჯენკინსონი შემახადან გავიდა და 21 აპრილს უკვე კასპიის ზღვის სანაპიროზე იყო[78].

---

[74] Ibid., p. 150.
[75] Ibed., p. 151.
[76] Ibid., p. 152.
[77] Ibid.
[78] Ibid.

ეხება რა ვაჭრობის საკითხებს, ე. ჯენკინსონი წერს: „შემახაში ვაჭრობის მთავარი საგანია აბრეშუმის ნედლეული, რომელიც დიდი რაოდენობითაა ქ. არასში. არასი სამი დღის სავალზეა შემახადან, ხოლო არასიდან ასევე სამი დღის გზაა საქართველომდე, რომლის მოსახლეობა ქრისტიანები არიან. ეს ის ხალხია, რომელთაც ქართველები ეწოდება. იქაც ბევრია აბრეშუმი. ამ ქვეყნის (კახეთის. — ი. ტ.) მთავარი ქალაქია ზაგემი (ძაგამი), საიდანაც სპარსეთში ყოველწლიურად იგზავნება მეტად დიდი რაოდენობის ჩვეულებრივი კაკალი, ყველა ერთნაირი, კარგი ხარისხის, თხელკანიანი, ისეთივე, როგორიც ჩვენი ფილბერდის კაკალია. მისგან ყოველწლიურად იტვირთება ქარავანი ოთხი ათასი აქლემით“[79].

1588 წლის 15 იანვარს ვატიკანში შეიკრიბა კარდინალთა კოლეგიის კონსისტორიუმი პაპი სიქსტი V-ის (1585—1590) თავმჯდომარეობით. ოქმში ნათქვამია: „სომეხი ვაჭარი[80], რომელიც რომში ჩამოვიდა, როგორც ამბობენ, გამოგზავნილია საქართველოს ქრისტიანი მეფის მიერ[81], რათა მის უწმინდესობას მოელაპარაკოს მნიშვნელოვან საკითხებზე. იგი კარდინალ რუსტიკუჩის[82] უკვე შეხვდა“[83].

სხვა ცნობაში იმავე სომეხი ვაჭრის შესახებ ვკითხულობთ: „სომეხი ჯაკომო, ქართველთა მეფის სიმონის მიერ მის უწმინდესობასთან საპასუხო წერილით გამოგზავნილი, უკვე დაბრუნდა [საქართველოში] იმპერატორთან (იმპერატორ რუდოლფ II. — ი. ტ.) ყოფნის შემდეგ, თათრეთზე და მოსკოვზე გავლით“[84].

ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს სომეხი ჯაკომო (იაკობი) მღვდელია, ზოგის მიხედვით კი ვაჭარი. ჩემი აზრით, ჩემს ხელთ არსებული საბუთების თანახმად, იგი ვაჭარია, თუმცა როგორც ცნობილია, იმ ეპოქაში სამღვდელო პირებიც არ თაკილობდნენ ვაჭრობას და ამის საშუალებით შედარებით თავისუფლად მოგზაურობდნენ.

სომეხი იაკობი მეორეჯერაც ყოფილა რომში და სიმონ მეფის სახელით შეხვედრია (იქნებ წერილიც გადასცა) რომის პაპს[85]. ჩვენ ამის დამადასტურებელი საბუთი ვნახეთ ვატიკანის არქივში[86]. სა-

---

[79] Ibid., p. 432.

[80] სომეხი ვაჭარი იაკობი. მას მიჰქონდა სიმონ მეფის წერილები. იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

[81] იგულისხმება ქართლის მეფე სიმონ პირველი (1558—1600).

[82] Rusticucci.

[83] „Orientalia Christiana Analecta“, 177, vol. 19, p. 96.

[84] Ibid., vol. 21, p. 143.

[85] W. E. D. A l l e n, A History of the Georgian People, London, 1932, p. 160.

[86] იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

ერთოდ ცნობილია სიმონ მეფის მიწერ-მოწერა რომის პაპთან. „ქართლის, მთელი საქართველოსა და საერთოდ აღმოსავლეთის [ცნობილი] მეფე“ სიმონ პირველი თავგანწირვით იცავდა თავის ქვეყანას უცხოელი დამპყრობლებისაგან. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ მან წერილი მისწერა რომის პაპს[87].

ჯოვანი ბოტერო ბენესე თავის წიგნში ეხება საქართველოს, ქართველების ბრძოლას სპარსელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. იგი განიხილავს საქართველოს ძველ პერიოდსაც და წერს, რომ ანტიკურ პერიოდში კასპიის ზღვა იმდენად არ იყო ცნობილი, რამდენადაც ევქსინის (შავი) ზღვა. არაბები კასპიის ზღვას უწოდებდნენ „ჩაკეტილ ზღვას“. მისი სიგრძე შეადგენს 800 მილს, ხოლო სიგანე — 600 მილს. ზოგიერთის აზრით, კასპიის ზღვა მიწისქვეშა ხვრელით დაკავშირებულია ევქსინის ზღვასთან. კასპიის ზღვიდან ევქსინის ზღვამდე 500 მილს ანგარიშობდნენ.

ჯოვანი ბოტერო ბენესე წერს, რომ კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის მდებარე ქვეყანაში ცხოვრობენ ქართველები. აქ იგი ასახელებს მეგრელებს და ჩერქეზებს, მაგრამ წერს: ყველას მათ დღეს ეწოდება იბერები, კოლხები და ჯიქები[88]. იმავე ავტორის მიხედვით, ქართველებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს ღვთისმოსაობის გამო: ისინი თაყვანს სცემდნენ წმ. გიორგის, ხოლო აქედან — გეორგია („საქართველო“).

იბერია მთაგორიანი ქვეყანაა, წერს იგი, მაგრამ მას არ აკლია სასიამოვნო დაბლობები და მშვენიერი ველები. იგი მდიდარია შესანიშნავი მთის არწივებით, გარეული ცხოველებით, ტყეებით, ხეობებით. იქ უხვადაა ხილის ბაღები, ღვინო. იქ არის ორი წყალუხვი მდინარე: არაქსი და მტკვარი (კირო).

რაც შეეხება საქართველოს საგარეო მდგომარეობას, ჯოვანი ბოტერო ბენესე წერს, რომ ქართველებს ბრძოლა უხდებათ სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ. ასევე ერთმანეთს ებრძვიან სპარსელები და თურქები. ამ ბრძოლის დროს ქართველები ხან ერთის მხარეზე არიან, ხან მეორის. როდესაც ავტორი ამ წიგნს წერდა, თურქების ხელში ყოფილა გორი, კლისკა (ახალციხე), ლორი, დმანისი, თბილისი (საქართველოს მთავარი ქალაქი, — შენიშნავს იგი).

სამეგრელო, წერს წიგნის ავტორი, „მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე და მისი ტერიტორია ვრცელდება ტრაპეზუნდამდე. სამეგ-

---

[87] T h o m a s A. Jesu O. C. D., De Procuranda salute omnium Centium Schismaticorum, Anversae 1613, Lib. VII, pp. 410—411.

[88] Le Relationi Universali di G i o v a n n i B o t e r r o B e n e s e,... in Venetia 1599, pp. 140—141.

რელოს ტერიტორიის მთელ სიგრძეზე რომ გაიარო, საჭიროა სამი დღე. აქ არის დაბლობი ადგილები, ტყეები (დიდი რაოდენობით ბზა და ურთხელი), ამის გამო აქ არის ფუტკარი და, მაშასადამე, თაფლი. სამეგრელოს ჰყავს თავისი მთავარი. სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში გააქვთ ცვილი, აბრეშუმი, ბზა. აქ მარცვლეულიდან საჭმელად ხმარობენ იტალიურ ფეტვს[89].

მთავარი დასახლებული ადგილია ქალაქი ფაზისი, მდ. ფაზისის შესართავთან. „ეს ქალაქი ცნობილია ოქროს საწმისით. მას უმღერის მრავალი პოეტი"[90].

ამის შემდეგ ნაშრომში აღწერილია ჩერქეზეთი, არზრუმი და სხვა ადგილები. ნაშრომს ერთვის აზიისა და ევროპის რუკები. ევროპის რუკაზე მოცემულია მთელი ამიერკავკასია და საქართველოს ტერიტორიაზე აწერია: „ქართველები".

1599 წლის 25 იანვარს ინგლისელი თავადი ენტონი შერლეი (1564—1635) ისფაჰანში შეხვდა შაჰ აბას I-ს და შესთავაზა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან კავშირის დადება თურქეთის წინააღმდეგ[91]. იმავე დროს ისფაჰანში ჩავიდა თურქეთის ელჩი მუჰამედ აღა და სულთანის სახელით შაჰს შესთავაზა 1590 წლის სპარსეთ-თურქეთის ხელშეკრულების გაგრძელება. ამ ხელშეკრულების გაგრძელება თურქეთს საშუალებას მისცემდა მთელი თავისი ძალები უნგრეთისკენ მიემართა. გარდა ამისა, სულთანი შაჰისაგან მოითხოვდა: ერთ-ერთი თავისი შვილი მძევლად გაეგზავნა კონსტანტინოპოლში, ჰაიდარ მირზას ნაცვლად, რომელიც 1594 წელს გარდაიცვალა; დაებრუნებინა თურქეთისათვის ხორასანი, ასევე ათი ათასი ოჯახი, რომელიც ადრე გადავიდა სპარსეთის ქურთისტანში. ამ მოთხოვნების საპასუხოდ შაჰ აბასმა თურქეთის ელჩს მოსჭრა წვერი და სულთანს საჩუქრად გაუგზავნა[92].

დენისონ როსის აზრით, შაჰმა კარგად მიიღო ენტონი შერლეი, მოეწონა მისი წინადადება და მისივე რჩევით, წვერებმოჭრილი თურქეთის ელჩი ხელცარიელი გაუშვა თავის ქვეყანაში. შაჰმა ე. შერლეის დაავალა თვითონვე აეღო თავისთავზე ანტითურქული კოალიციის შექმნა. ამრიგად, ე. შერლეი შაჰ აბასის ელჩი გახდა. დენისონ როსი წერს, რომ საავადმყოფოში მწოლარე ე. შერლეისთან შაჰი მივიდა და უთხრა, რომ მან ბევრი იფიქრა მის წინადადებაზე და

---

89 ტექსტში წერია: „Panico" — იტალიური ფეტვი. ალბათ, ღომისღომი.

90 Le Relationi Univrsali di Giovanni Botero Benese, p. 141.

91 Xavier—A. Flores, Le „Peso Politico de Todo el Mondo". D'Anthony Sherley ou service de l'Espagne, Paris, 1963, p. 22.

92 Ibid.

იწონებს მას. მან დასძინა: „რამდენადაც თქვენ ხართ ამ საქმის ინიციატორი, თქვენვე იქნებით მისი შემსრულებელი, ხოლო ჩემი პატიოსნება და სიტყვის შესრულება, საიმედო ხელში იქნება“[93].

შაჰ აბასმა გადაწყვიტა ე. შერლეი თავის ელჩად გაეგზავნა ევროპაში. მის მოადგილედ თუ თანაშემწედ დანიშნა ჰუსეინ ალი ბეგი, ხოლო ე. შერლეის ძმა, რობერტი, რომელიც ენტონ შერლეის თან ახლდა მოგზაურობაში (რომელიც შემდგომში ასევე შაჰის დესპანი გახდება) შაჰმა მძევლად დაიტოვა, რათა გარანტირებული ყოფილიყო ენტონი შერლეის დაბრუნებაში.

ე. შერლეის ელჩობა (დაახლოებით 25 კაცი) 1599 წლის აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში გავიდა ისფაჰანიდან. ე. შერლეის მიჰქონდა შაჰ აბასის წერილები რომის პაპის, იმპერატორ რუდოლფ II-ის, საფრანგეთის, ესპანეთის, შოტლანდიის, პოლონეთის მეფეების, დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ესექსის (ინგლისი) გრაფის, ვენეციის სენიორიისა და ტოსკანას (იტალია) დიდი ჰერცოგის სახელზე.

რამდენადაც ოტომანის იმპერიაზე გავლით ამ ელჩობისათვის გზა დაკეტილი იყო, მათ გადაწყვიტეს ევროპაში რუსეთის გავლით წასულიყვნენ. მით უფრო, რომ შაჰის მეორე ელჩობა რუსეთში მიდიოდა, რათა შაჰის სახელით მიელოცა ბორის გოდუნოვისათვის სამეფო ტახტზე ასვლა. 1599 წლის ნოემბერში ეს ელჩობა უკვე მოსკოვში იყო, სადაც დაახლოებით 5 თვე დარჩა. მოსკოვიდან იაროსლავზე, რიბინსკსა და ხოლმოგორზე გავლით ეს ელჩობა არხანგელსკში ჩავიდა და გემით დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. 1600 წლის 11 ოქტომბერს კი უკვე პრაღაში იყო.

იმავე წლის 29 ოქტომბერს, საფრანგეთის მეფემ ანრი IV-მ გაიგო თუ არა შაჰის ელჩის ე. შერლეის ევროპაში მოგზაურობის შესახებ, წერილი მისწერა თავის ელჩს კონსტანტინოპოლში, რათა ამ უკანასკნელს საქმის კურსში ჩაეყენებინა სულთანი[94].

პრაღაში ვენეციის ელჩის პიეტრო დუოდოს ცნობით, 7 ნოემბერს იმპერატორმა რუდოლფ II-მ დიდი პომპით მიიღო შაჰ აბასის დესპანი. „ამ ინგლისელმა, — წერს პიეტრო დუოდო, — რომელიც ესპანურად ლაპარაკობდა, სპარსეთის შაჰის სახელით შესთავაზა მის საიმპერატორო უდიდებულესობას, წარმართოს თავისი არმია თურქეთის წინააღმდეგ და შეაგულიანოს ასევე არაბები და

---

[93] Ross E. Denisson, Sir Ahtony Sherley and his Persian Adventure, London, 1933, pp. 19—20.

[94] Jules Berger de Xivrey, Recueil des lettres missives de Henri IV, Paris, 18 [illegible], t. V, p. [illegible]4.

ქართველები, რათა ჩაბმულიყვნენ მათთან ამ ლაშქრობაში...“[95]

შაჰ აბასის დესპანს საუბარი ჰქონდა ვენეციის ელჩთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპარსეთთან ევროპის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას, რამდენადაც სპარსეთში მოიპოვებოდა აბრეშუმი და სანელებლები, რომელთა გატანა ევროპაში სამოგებო საქმე იქნებოდა ორივე მხარისათვის[96].

იმპერატორმა რუდოლფ II-მ მოიწონა შაჰის წინადადება. მას უნდოდა ე. შერლეი მაშინვე დაებრუნებინა შაჰთან, ხოლო ევროპის მონარქებისათვის შაჰის წერილების გადაცემას თვითონ იღებდა თავისთავზე. მაგრამ როდესაც ამაზე ე. შერლეიმ უარი თქვა, იმპერატორმა თავისი ელჩი გაგზავნა შაჰთან და ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობაზე თანხმობა შეუთვალა[97].

20 ნოემბერს კვლავ მიიღო იმპერატორმა შაჰის დესპანი. მოლაპარაკება განახლდა. შეთანხმდნენ, რომ შექმნილიყო ანტითურქული ლიგა, რომლის თითოეული მონაწილე ვალდებულებას იკისრებდა, რომ არ შეწყვეტდა ომს და არ დადებდა სეპარატულ ზავს, სანამ ომი არ დამთავრდებოდა. ყოველივე ეს ელჩმა პიეტრო დოუდომ ვენეციის სენიორიას მაშინვე აცნობა[98].

საქმე თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთი გარემოება უშლიდა ხელს: შაჰ აბასის დესპანი იყო ინგლისელი, ხოლო ინგლისის დედოფლის სიმპათიები თურქეთისადმი და ანტიპათიები ვენის სასახლის კარისადმი საყოველთაოდ ცნობილი იყო. ამიტომ ვენაში ზოგიერთებს ეჭვი შეეპარათ ენტონი შერლეის აქტიურობაში: ხომ არ იყო იგი ინგლისის აგენტი და მის ამ მოგზაურობაში სხვა რაიმე ხომ არ იმალებოდა?

1601 წლის 5 თებერვალს ენტონი შერლეის ელჩობა პრაღიდან რომში გაემგზავრა. მას უნდოდა ვენეციაში წასვლა, მაგრამ ელჩმა პიეტრო დუოდომ არ ურჩია, ვინაიდან ამ დროს ვენეციაში თურქეთის ელჩობას ელოდნენ. ქ. სიენაში შაჰის ელჩობას პაპის პრელატი შეხვდა, რათა იგი რომში მიეცილებინა. მაგრამ ამ დროს ატყდა დავა ენტონი შერლეისა და მის მოადგილე ჰუსეინ ალი ბეგს შორის ევ-

---

[95] „...et di far uscire anpo in campagna seco et gli arabi et li georgiani“. (ხაზი ჩვენია.—ი. ტ.).

[96] X a v i e r—A. F l o r e s, Op. cit., pp. 23—24.

[97] იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

[98] Ch. S c h e f e r, Estat de la Perse en 1660, par le P. Raphaël du Mans, Supérieur de la Mission des Capucins d'Ispahan, publié avec notes et appendice par Ch. Schefer, Paris, 1890, p. 280.

როპის მონარქებისათვის განკუთვნილი შაჰის საჩუქრების (32 ყუთის) გაქრობის გამო. როგორც გამოირკვა, ისინი გზაში გაჰყიდა ე. შერლეიმ. ყოველ შემთხვევისათვის ამიერიდან ელჩობის შემადგენლობაში არეულობა დაიწყო. 5 აპრილს ისინი რომში ჩავიდნენ. პაპი კლემენტ VIII იძულებული გახდა ელჩი და მისი მოადგილე ცალ-ცალკე მიეღო: ე. შერლეი 25 აპრილს, ჰუსეინ ალი ბეგი — 26 აპრილს. ე. შერლეიმ მოახსენა პაპს შაჰ აბასის წინადადება, გადასცა შაჰის წერილი და დასძინა, რომ შაჰი ვალდებულებას კისრულობდა პატივი ეცა კათოლიკური ეკლესიებისათვის, თავის ქვეყანაში ნება დაერთო აეგოთ მისიონერებს ეკლესიები და სამრეკლოები. გარდა ამისა, თუ ქრისტიანები დაიწყებდნენ ბრძოლას წმინდა მიწების განთავისუფლებისათვის. შაჰი მათ მისცემდა 50 ათას ცხენს[99].

პაპთან ამ მოლაპარაკებას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. ამას ხელი შეუშალა შაჰის წარგზავნილებს შორის განუწყვეტელმა დავამ. კარდინალი ოსატი მეფე ანრი IV-ს სწერდა: ერთი ხელმწიფის მიერ გამოგზავნილ ორ კაცს არ შეუძლია ერთმანეთს შორის შეთანხმდნენ და ისინი როგორ შესძლებენ ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის საერთო ენის გამონახვას და მათი ძალების გაერთიანებას თურქეთის წინააღმდეგ?[100] იმავე მეფისადმი გაგზავნილ მეორე წერილში კარდინალი დასძენდა: ჩემი აზრით, ევროპის მონარქებისათვის ამ ელჩობიდან მოსალოდნელი არაა დიდი შედეგი. იგი მხოლოდ გამოიწვევს ხარჯებს და მეტ არაფერს.

ენტონი შერლეი თვითონ მიხვდა, რომ მისი მისია უკვე ჩაშლილი იყო. მას შაჰის სულ ათი წერილი მიჰქონდა. აქედან, მხოლოდ ორ პიროვნებას — იმპერატორ რუდოლფ II-სა და პაპ კლემენტ VIII-ს გადასცა წერილები. ვენეციის სენიორიამ იგი არ მიიღო; დიდი ბრიტანეთის დედოფალმა აუკრძალა მას ინგლისში დაბრუნება; საფრანგეთის მეფემ ანრი IV-მ არ მოისურვა ანტითურქულ ლიგაში მონაწილეობა და ამის შესახებ თვითონ აცნობა თურქეთის სულთანს. ელჩობა რომიდან მადრიდში ჩავიდა, მაგრამ იგი უკვე ფაქტიურად ელჩობას არ წარმოადგენდა. ჰუსეინ ალი ბეგი მალე სპარსეთში დაბრუნდა. ენტონი შერლეი საბოლოოდ ესპანეთის მეფის სამსახურში შევიდა, მაგრამ არც იქ გაუმართლდა. 1611 წელს იგი მადრიდში შეხვდა თავის ძმას რობერტს, რომელიც შაჰ აბასის ელჩის წოდებით მადრიდში ესპანეთის მეფეს ფილიპე III-ს შეხვდა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ძმების პოლიტიკა თურქეთის მიმართ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა: ენტონი ანტითურქული კოალიციის მომხრე იყო, რო-

---

[99] X a v i e r—A. F l o r e s, Op. cit., p. 25.
[100] Ibid.

ბერტი კი ცდილობდა შაჰ აბასი დაერწმუნებინა ინგლისთან და ჰოლანდიასთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების სარგებლობაში, ხოლო თურქეთთან ზავი დაედო.

ქართლის მეფე სიმონ I — თურქების დაუძინებელი მტერი, „დელი სიმონი" („გიჟი სიმონი"), როგორც მას თურქები უწოდებდნენ, თავგანწირვით განაგრძობდა ომს თურქების წინააღმდეგ. სპარსეთის ტყვეობიდან სიმონის დაბრუნების შემდეგ, ერთდაგვარი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დამყარდა აღმოსავლეთ საქართველოსა და სპარსეთს შორის. ისინი ერთად იბრძოდნენ თურქეთის წინააღმდეგ. ანტითურქული კოალიციის შექმნა დასავლეთის მონარქების მონაწილეობით ვერ მოხდა.

1600 წელს სიმონ მეფე ტყვედ ჩავარდა. იგი თურქებმა კონსტანტინოპოლში იედიყალეს (შვიდკოშკიანი, შვიდგომბურიანი) ციხეში ჩასვეს. მისი ტყვეობა თურქეთში დაახლოებით 11—12 წელი გაგრძელდა. ვენეციის სენატის 1612 წლის ერთ-ერთ მოხსენებაში ლაპარაკია სპარსეთის ამბებზე. აქ მოტანილია ვენეციელი დიპლომატის ს. კონტარინის წერილის (რომელიც მას მიუწერია შაჰ აბასის ერთ-ერთი ცოლისათვის — სიმონ მეფის ქალიშვილისათვის) შინაარსი, სადაც ნათქვამია, რომ სიმონ მეფე გარდაიცვალა შვიდკოშკიან ციხეში 12 წლის პატიმრობის შემდეგ — 1612 წელს.

შაჰ აბასი განაგრძობდა ომს თურქეთის წინააღმდეგ. მან გადაწყვიტა დაებრუნებინა ყველა ის ტერიტორია, რომელიც 1578 წლის შემდეგ თურქებმა სპარსეთს წაართვეს. 1603 წლის 11 აგვისტოს მოულოდნელი შეტევის შედეგად შაჰმა თავრიზი დაიკავა. საომარი მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ გადავიდა კავკასიის ტერიტორიაზე. სპარსელებმა აიღეს ნახჭევანი და ალყა შემოარტყეს ერევნის ციხესიმაგრეს. ზამთრის გამო ერევნის ალყა დიდხანს გაგრძელდა. მკაცრმა ზამთარმა დიდი ზარალი მიაყენა ჯარს. ყოველ დილას გაყინულ ჯარისკაცებს პოულობდნენ.

ამრიგად, ადამიანთა მსხვერპლი დიდი იყო როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. „მაგრამ, — წერს ანტონიო დე გოვეა, — ყველაზე მეტად იტანჯებოდნენ ეს ღარიბი და საწყალი სომხები, რომლებსაც მოწინავე ხაზზე იყენებდნენ სამუშაოზე: ისინი ორმოებს თხრიდნენ და მიწაყრილებს აგებდნენ. ასეთ ვითარებაში ისინი სიცივისაგან იტანჯებოდნენ"[101].

ერევნის ციხესიმაგრის ალყის დროს შაჰ აბასთან თავისი ლაშ-

[101] A n t h o i n e de G o u v e a, Relations des grandes Guerres et Victoires obtenues par le roy de Perse Cha Abbas contre les Empereures de Turquie Mahomet et Achmet son fils...,Rouen, 1646, p. 237.

ქრით მივიდა კახეთის მეფე ალექსანდრე II. მან შაჰს ძვირფასი საჩუქრები მიართვა და სპეციალურად შაჰის სახელზე გამოჭრილი რამდენიმე თეფში ოქროს მონეტა შაჰის წინაშე დაჰყარა*.

ანტონიო დე გოვეა წერს: „იბერიის სამეფო, რომელსაც ჩვენ დღეს გურჯისტანს ვუწოდებთ, დაყოფილია ორ პატარა მეფეს შორის. ერთ-ერთ მათგანს სიმონი ჰქვია. იგი ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ პატიმრობაში იმყოფება კონსტანტინოპოლში, რამდენადაც წინა ომის დროს იგი იყო სპარსელების მხარეზე, თურქების წინააღმდეგ. მამის არყოფნის დროს მისი უფროსი შვილი გიორგი მმართავს ქვეყანას“. ახლა ქართლის მეფემაც შესთავაზა შაჰს დახმარება. როცა მან „გაიგო შაჰის გამარჯვებების შესახებ თურქებთან ომში, შაჰს გაუგზავნა ელჩობა ძვირფასი და მრავალი საჩუქრებით და შესთავაზა თავისი სამსახური ამ ომში და სხვა წამოწყებებში, რასაც შაჰი მოისურვებს“[102].

შაჰ აბასი მაინც მეტ ყურადღებას კახეთის მეფეს აქცევდა. თუმცა ალექსანდრეს შვილი კონსტანტინე შაჰს თავისთან ჰყავდა, ახლა ალექსანდრე მეფე ლაშქრით და საჩუქრებით ეახლა, მაგრამ შაჰი მაინც არ იყო კმაყოფილი. საქმე ის იყო, რომ შაჰმა იცოდა, რომ ალექსანდრემ ფიცი მისცა ერთგულებასა და ქვეშევრდომობაზე მოსკოვის მეფეს თევდორე ივანეს ძეს, რომ მასთან თავისი ერთ-ერთი შვილი გაგზავნა, მაგრამ შაჰ აბასი ახლა ამას იმდენ ყურადღებას არ აქცევდა. მას კახეთის მეფის თურქული ორიენტაციის უფრო ეშინოდა და ამიტომ ალექსანდრეს არ ენდობოდა.

როგორც უკვე ითქვა, შაჰ აბასს თავისთან ჰყავდა ალექსანდრეს ერთ-ერთი შვილი კონსტანტინე. იგი 7 წლის ასაკიდან შაჰის კარზე იყო და ამასთანავე, უკვე გამაჰმადიანებულიც. მოსკოვის მეფეს ეს არ მოსწონდა. 1595 წლის დასაწყისში შაჰ აბასთან იყო მოსკოვის მეფის ელჩი ზვენიგოროდსკი, რომელმაც შაჰს გადასცა მეფის სურვილი — ალექსანდრეს შვილი კონსტანტინე შაჰს მოსკოვში გაეგზავნა. ამაზე შაჰმა უპასუხა: თვითონ კონსტანტინე მირზას ჰკითხეთო და როგორც მას უნდა ისე მოიქცესო. მაგრამ კონსტანტინე მირზა ამ ელჩთან არც კი მივიდა: „არაფერი მაქვს სათქმელიო“.

ამბობდნენ, რომ ალექსანდრეს ერთ-ერთ შვილს მამასთან უკმაყოფილება ჰქონდა და თურქეთის სულთანთან წავიდაო. ასეთი ამბები შაჰს მოსვენებას არ აძლევდა. საქართველოში ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის დროს (1578 წ.), ალექსანდრე მეფე კეთილად იყო

---

* იხ. თ. ქუთელია, ზაგემში მოჭრილი მონეტები, „მაცნე“, ისტორია, 1972, № 4, გვ. 133.

[102] Anthoine de Gouvea, Op. cit. p. 238.

განწყობილი ამ თურქი სარდლისადმი. თურქებისაგან დევნილმა განჯის ბეგლარბეგმა შაჰ ვერდიმ თავშესაფარი ალექსანდრეს სამეფოში ჰპოვა, მაგრამ იგი იქ მალე მოკლეს. შაჰ აბასი ამას ალექსანდრეს აბრალებდა.

ასეთი იყო შაჰის დამოკიდებულება კახეთის მეფე ალექსანდრე II-ისადმი. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლო მოეღო კახეთის ამ „ურჩი" მეფისათვის. ერთხელ შაჰმა თავისთან დაიბარა კონსტანტინე მირზა და უთხრა: „შენი მამა ჩემი მეგობარია სიტყვებით, ხოლო გულით კი თურქების". კონსტანტინე შაჰს უმტკიცებდა, რომ მამამისი შაჰის მეგობარი იყო გულითაცა და საქმითაც. ამაზე შაჰმა უპასუხა: „ამას დაიჯერებს მაშინ, როდესაც საქმეები შეთანხმებული იქნებიან სიტყვებთან". კონსტანტინემ ამის შესახებ წერილი მისწერა მამამისს და ურჩია, რაიმე მოემოქმედა თურქების წინააღმდეგ და ამის შესახებ ეცნობებინა შაჰისათვის, რათა ბოლო მოღებოდა ყოველგვარ ეჭვსა და უნდობლობას.

ალექსანდრე მეფემ, განაგრძობს ანტონიო დე გოვეა, როგორც კი მიიღო კონსტანტინეს წერილი, „შეაგროვა თავისი სამეფოს სამი თუ ოთხი ათასი საუკეთესო მხედარი, გავიდა ქალაქ ძეგამიდან (რომელიც იყო მისი სახელმწიფოს დედაქალაქი) და გასწია თბილისისკენ. თბილისი, სპარსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომების შემდეგ თურქების ხელში იყო. თბილისში იდგა 500 თუ 600 კაცისაგან შემდგარი გარნიზონი. თურქები აქ ისვენებდნენ. ომი მათ არ ეხებოდათ და ამიტომ დამშვიდებულნი იყვნენ. ამიტომ მოულოდნელი თავდასხმის გამო ვერავინ ვერ გადარჩა. ალექსანდრე ხანმა ბრძანა, თავი მოეჭრათ ყველა დახოცილისათვის. შეაგროვეს 480 თავი. ალექსანდრე ხანმა ამის შესახებ აცნობა შაჰ აბასს. ამ უკანასკნელმა დაუდასტურა ამ ცნობის მიღება და აცნობა, რომ იგი საგანგებოდ კმაყოფილია ასეთი საჩუქრით"[103].

ამ ამბების შემდეგ იყო, რომ ალექსანდრე მეფე თავისი ლაშქრით ეახლა შაჰს. შაჰთან თავისი ლაშქრით მივიდა აგრეთვე ქართლის მეფე გიორგიც. კახეთის ჯარის ნაწილებმა მონაწილეობა მიიღეს ერევნის ციხესიმაგრის გადამწყვეტ იერიშში. ამ დროს იქ ჩავიდა ინდოეთის იმპერატორის, დიდი მოგოლი აკბარის ელჩი, რომელიც ქართველ მეფეებთან ერთად დაესწრო ერევნის ციხესიმაგრის აღებას და შაჰ აბასის წინაშე შერიფ ფაშას კაპიტულაციას, ეს იყო 1604 წელს.

შაჰ აბასი „ასირიელთა მეთოდით" მოქმედებდა დაპყრობილ ქვეყნებში: ადგილობრივ მოსახლეობას აყრიდა და სხვაგან გადაასახლებდა. ასე გააკეთა მან ერევანშიც. აყარა სომხები და სპარსეთის

[103] Antholne de Gouvea, Op. cit., p. 240.

შიდა რაიონებში გადაასახლა. შემდგომში ხომ ასე მოიქცა კახეთის მოსახლეობის მიმართაც.

ანტონიო დე გოვეას თანახმად, ამ დროს ალექსანდრე მეფემ თავისი შვილის კონსტანტინეს რჩევით სთხოვა შაჰ აბასს, რათა სპარსეთის ჯარის ერთ ნაწილთან ერთად გაეგზავნა იგი კონსტანტინეს თანხლებით შირვანის (რომელსაც ზოგიერთი მცირე მიდიას უწოდებდა) პროვინციის დასაპყრობად, რამდენადაც შირვანი მდებარეობდა მისი სამეფოს მეზობლად და მისთვის ადვილი იქნებოდა მთელი თავისი ძალებით იგი დაეპყრო. შაჰ აბასს მოეწონა ეს აზრი, დათანხმდა, მისცა ალექსანდრეს და კონსტანტინეს მისი ჯარის კარგი ნაწილები და ასევე მაღალი რეპუტაციის რამდენიმე სარდალიც, ისეთები როგორიც იყვნენ: შამირ-ხანი, ალი ყული ხანი, ახმეტ ბეგი.

როდესაც შირვანში ლაშქრობისათვის გამზადებული კახეთის ლაშქარი სპარსეთის ჯარების სათავეში მყოფ კონსტანტინე მირზას შეუერთდებოდა, ვერაგი შაჰი ორი მიზნის განხორციელებას ფიქრობდა: პირველი, ამით კონსტანტინეს (იგივე შაჰის) არმია გაძლიერდებოდა და შესაძლებელი გახდებოდა შირვანიდან თურქების განდევნა, ხოლო მეორე, როცა კახეთიდან ჯარი გავიდოდა, სამეფო ცარიელი დარჩებოდა და შირვანიდან გამობრუნებულ, გამარჯვებულ კონსტანტინეს იოლად შეეძლო კახეთი დაეკავებინა და იქ გაბატონებულიყო[104].

როდესაც ალექსანდრე და კონსტანტინე თავიანთი ლაშქრით კახეთში ჩავიდნენ, ალექსანდრე მეფის შვილმა, გიორგიმ, რომელსაც მამის შემდეგ ტახტი ეკუთვნოდა, გაიგო რა კონსტანტინესა და სპარსეთის ლაშქრის ჩამოსვლის მიზანი, ცალკე შეხვდა მამამისს და უსაყვედურა, თუ რატომ დათანხმდა იგი, რომ კონსტანტინე მირზას დაეპყრო შირვანი, საქართველოს მეზობელი მხარე. ალექსანდრე მეფეს „მხედველობაში უნდა მიეღო ის, რომ კონსტანტინე მაჰმადიანია და როგორც კი სპარსეთის შაჰის დახმარებით შირვანის პროვინციას დაიპყრობს, იგი შეეცდება შეიჭრას საქართველოში (კახეთში. — ი. ტ.), იტყვის რა, რომ იგი ეკუთვნის მას, როგორც ალექსანდრეს კანონიერ შვილს“.

გიორგის ასეთი მსჯელობა სრულიად საფუძვლიანი იყო. მას ასევე საფუძვლიანად არ მოსწონდა შაჰის მიერ კონსტანტინეს ასეთი დიდი უფლებებით აღჭურვა. გიორგი ამტკიცებდა, რომ არ იყო სასურველი კახეთის გვერდით ჰყოლოდა ასეთი ძლიერი მეზობელი, რომელსაც კახეთის სამეფოზე პრეტენზია ექნებოდა. ალექსანდრე

---

104 A n t h o i n e de G o u v e a, Op. cit. p. 255.

მეფე კარგად მიხვდა ყოველივე იმას, რაც მას გიორგიმ უთხრა და აღიარა, რომ მისი შვილი მართალი იყო. იგი გიორგისთან ერთად შეუდგა გამოსავალის ძებნას. ერთადერთი საშუალება, რომელიც მამა და შვილმა გამონახეს, იყო ის, რომ გაეჭიანურებინათ ის, რაც ალექსანდრემ კონსტანტინეს დაჰპირდა — არ დახმარებოდნენ, არ მიეცათ მისთვის ის, რაც საჭირო იყო ამ ლაშქრობისათვის. დახმარების გარეშე კი შეუძლებელი იყო შირვანზე განზრახული ლაშქრობის განხორციელება და ბოლოს, კონსტანტინე იძულებული გახდებოდა უარი ეთქვა. „ალექსანდრე და მისი შვილი გიორგის მიზანი სწორედ ეს იყო: ამ გზით აეძულებინათ კონსტანტინე თავისი ლაშქრით შაჰთან დაბრუნებულიყო" — შენიშნავს ანტონიო დე გოვეა[105].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ 1505 წლის 12 მარტს კონსტანტინე მირზამ (კუსტენდილ მირზამ, როგორც მას სპარსეთში უწოდებდნენ) მოჰკლა მამა და ძმა[106]. ამ დროს იქ ახლო იყვნენ რუსეთის მეფის ელჩები, რომლებმაც მაშინვე გაიგეს ეს ამბავი. ამრიგად, კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის — გიორგის მოკვლა კახეთში, ძეგამში და არა სპარსეთში, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ზოგიერთ ევროპელ ავტორს (ანტონიო დე გოვეა, კლოდ მალენგრი და სხვ.) სხვადასხვანაირად აქვთ აღწერილი ეს მკვლელობა. მაგალითად, კონსტანტინე მირზა, წერს ანტონიო დე გოვეა, მაშინვე მიხვდა იმის მიზეზს, თუ რატომ ცდილობდა მამა-შვილი ამ ლაშქრობის გადადებას და გადაწყვიტა შური ეძია მათზე. მაგრამ „ეს მან გააკეთა გაცილებით უფრო საშინლად და მკაცრად, ვიდრე ამას ბრალდება იმსახურებდა. თუმცა ძალაუფლების სიყვარულმა არ იცის პატივისცემა, არც მოვალეობის დაცვა. მან გადაწყვიტა: მოეკლა მამა და ძმა და დაუფლებოდა სამეფოს, რაც კიდევაც გააკეთა შემდეგნაირად: მან უბრძანა იმ მსახურთ, რომელთაც უფრო ენდობოდა, რომ როგორც კი მისი ძმა მასთან ვიზიტად მივიდოდა, ხმლით აეკუწათ. მსახურებმა ბრძანება შეასრულეს და გიორგისთან ერთად მოჰკლეს რამდენიმე კაცი, რომლებიც მას ახლდნენ. ამავე დროს, მან გაგზავნა რამდენიმე სპარსელი ბრძანებით, შესულიყვნენ მამამისთან სასახლეში და თავი მოეჭრათ მისთვის"[107].

ყოველივე ამის შემდეგ, კონსტანტინე რამდენიმე ქართველთან, რომლებიც მის მხარეზე იყვნენ, და მასთან მყოფ სპარსელებთან ერთად, სათავეში ჩაუდგა თავის სპარსულ ჯარს (რომელიც კახეთის სა-

---

[105] Ibid., p. 256

[106] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 248.

[107] A n t h o i n e de G o u v e a, Op. cit., p. 256. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 73—74.

მეფის გარეთ იყო განლაგებული), შეიჭრა კახეთის სამეფოში, დაიკავა ძეგამი, ხელთ იგდო სამეფოს არც ისე მდიდარი ხაზინა, რომელიც შემონახული ჰქონდა მამამისს და დაიმორჩილა მთელი სამეფო. ამის შემდეგ კონსტანტინემ კახეთის სამეფოში შეაგროვა რვა ათასი მებრძოლი და ექვსათასიან სპარსელ ჯართან ერთად (რომელიც მან სპარსეთიდან თან ჩამოიყვანა), შეუდგა შირვანის წინააღმდეგ ლაშქრობას.

ამ დროს შირვანის მმართველი იყო სიგალას შვილი ახმეტ ფაშა, რომელიც ამ პროვინციის დედაქალაქში — შემახაში იჯდა. „გაიგო რა მან კონსტანტინეს მოახლოების შესახებ, რომ იგი უკვე ქალაქ კავალას უახლოვდებოდა და შირვანის დედაქალაქის შემახასკენ მიიწევდა, 12-ათასიანი თურქთა ლაშქრით გასწია სპარსელთა და ქართველთა ლაშქრის შესახვედრად. კონსტანტინეს ლაშქარი 14 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეხვდნენ. მოხდა დიდი ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე. იგი თურქების დამარცხებით დამთავრდა. თურქებმა უკან დაიხიეს და შემახას ციხესიმაგრეს შეაფარეს თავი ახმედ ფაშასთან ერთად, რომელიც კარგ სარდლად თვლიდა თავს. მას ახლა ბედმა არ გაუმართლა. თურქებმა ბრძოლის ველზე დაჰკარგეს სამი ათასი კაცი, ბევრი ტყვედ ჩავარდა. კონსტანტინემ კი დაახლოებით ათასი კაცი დაჰკარგა“[108].

კონსტანტინე თავის ლაშქრით მტერს მისდევდა, მაგრამ შემახაში ციხესიმაგრის კარები დაკეტილი დახვდა. თურქები ციხესიმაგრეში გამაგრდნენ. კონსტანტინემ მათ ალყა შემოარტყა.

„ქართველები, — წერს ანტონიო გოვეა, — რომლებიც ამ დროს კონსტანტინეს ახლდნენ, უკმაყოფილონი იყვნენ კონსტანტინეს მმართველობით და ღრმად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს. ისინი ეძებდნენ საშუალებას მისი მმართველობის ლიკვიდაციისათვის. მათ გადაწყვიტეს მისი ხმლით აკუწვა. ამ გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით, ერთხელ ღამით, ისინი მივიდნენ მასთან. ეგონათ, რომ კონსტანტინეს ეძინა. კონსტანტინემ გაიგო რა ხმაური, დახმარებისათვის მოუხმო თავისიანებს, მაგრამ შენიშნა რა მოსულთა მრავალრიცხოვნობა, თავისი კარავის უკანა მხრიდან გაიპარა და ქალაქ ადავილში გაიქცა“[109].

ამრიგად, კონსტანტინე ამჯერად გადარჩა. მაგრამ ქართველებს უარი არ უთქვამთ თავიანთ გადაწყვეტილებაზე, მოესპოთ მამისა და

---

[108] Ibid., p. 157.

[109] Ibid., pp. 257—258; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 250.

ძმის მკვლელი. კონსტანტინემ ადავილიდან შეატყობინა შაჰს მომხდარი ამბების შესახებ, შაჰმა კი შემოუთვალა: ნუ იჯავრებს და ნუ ეშინია. მალე გამოუგზავნის ძალებს არა მარტო შირვანის, არამედ მთელი საქართველოს დასაპყრობად. მართლაც, კონსტანტინეს შაჰ აბასისაგან მოუვიდა რვაათასიანი ლაშქარი და იგი ამ ლაშქრით მიდის კახეთისაკენ. კონსტანტინეზე თავდასხმის მონაწილე ქართველები, რომლებიც წინდაწინ გაფრთხილებულნი იყვნენ, მთებში და ტყეებში გაიქცნენ, ხოლო ვინც დარჩა, შეხვდა კონსტანტინეს ძეგამში უფრო შიშის, ვიდრე მეგობრობის გამო. მაგრამ, განაგრძობს ანტონიო დე გოვეა, რამდენადაც მამისა და ძმის სისხლი მოუწოდებდა კახელებს შურისძიებისაკენ, მისი მმართველობა კახეთის სამეფოში დიდხანს ვერ გაგრძელდა. სამეფოს გამოჩენილმა პირებმა მიიღეს გადაწყვეტილება, არ დამორჩილებოდნენ მამისა და ძმის მკვლელს. მათ გამოუტანეს მას სასჯელი — მოეკლათ ან წვალებით ჩაეკლათ იგი.

მოიხმეს და მოუწოდეს რა იმათ, ვინც მთებსა და ტყეებში გაიხიზნა, შეაგროვეს საკმაო რაოდენობის ჯარი, მეფედ გამოაცხადეს ერთადერთი ტახტის მემკვიდრე ბავშვი თეიმურაზ ხანი, გარდაცვლილი დავით ხანის შვილი (ალექსანდრეს შვილიშვილი). იგი იზრდებოდა თავისი დედის სახლში — კეთილშობილი, დიდსულოვანი და მამაცი ქალისა [ქეთევან დედოფლისა], რომელსაც თეიმურაზის მცირეწლოვანობის პერიოდში ქვეყნის მმართველობა ებარა[110]. ამის შემდეგ შეიარაღებული კახელები წავიდნენ ძეგამისაკენ, „საიდანაც მეგობრებისაგან წინასწარ გაფრთხილებული კონსტანტინე გარბოდა დარჩენილ სპარსელებთან ერთად. ამ დროს, სწორედ მათ თვალწინ, მამისა და ძმის მკვლელი ჩამოვარდა ცხენიდან, ღვთაებრივი სამართლიანობის მიერ ნასროლი ისრით სასიკვდილოდ განგმირული“[111].

ასე დამთავრდა მამისა და ძმის მკვლელის, სამშობლოს მოღალატის ცხოვრების ისტორია. „ქართველებმა აღასრულეს რა თავიანთი სურვილი, მათ არ სურდათ შეურაცხყოფა მიეყენებინათ სპარსეთის შაჰისათვის და უარი განაცხადეს ბრძოლის გაგრძელებაზე. მეორე მხრივ, სპარსელები დარჩნენ რა სარდლის გარეშე, უკან დაიხიეს,

---

[110] ზოგიერთი ცნობის მიხედვით, თეიმურაზი თავის სიცოცხლეშივე მამამისმა დავითმა გაუგზავნა შაჰს აღსაზრდელად. სხვა ცნობით, იგი დავითის გარდაცვალების შემდეგ დედამისმა ქეთევანმა გაგზავნა შაჰის კარზე ბიძამისის — გიორგის შიშით. ყოველ შემთხვევაში, 1604 წელს თეიმურაზი შაჰის კარზე იყო. იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 74—75.

[111] Anthoine de Gouvea, Op. cit., p. 259.

დატოვეს საქართველოს ტერიტორია და წავიდნენ შაჰისკენ, რომელიც იმ დროს თავისი არმიით ქალაქ ყარსთან იმყოფებოდა“[112].

შაჰ აბასმა გაიგო რა საქართველოში დატრიალებული ამბების შესახებ, დიდად შეწუხდა, კერძოდ, კონსტანტინეს დაღუპვის გამო, მაგრამ შაჰ აბასს ახლა არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ საქართველოში ახალი არმია გაეგზავნა. იგი კვლავ თურქებთან ომით იყო დაკავებული.

კახეთში თეიმურაზის გამეფება ანტონიო დე გოვეას რამდენადმე სხვანაირად აქვს აღწერილი, ვიდრე ამის შესახებ ცნობილია ქართულან სხვა წყაროებში. ანტონიო დე გოვეას მიხედვით, ახალგაზრდა თეიმურაზი ამ დროს კახეთშია და არა სპარსეთში. იგი წერს: „დავით ხანის მეუღლე, როგორც უკვე ითქვა, ამ დროს მართავდა სამეფოს. იგი გამოცხადდა შაჰ აბასთან თავის შვილ — უფლისწულ თეიმურაზითა და ერთადერთი ქალიშვილით. დაეცა შაჰის წინაშე და თხოვა რა პატიება იმის შესახებ, რაც მოხდა და აუხსნა მიზეზი, რომლის გამოც ქართველებმა ისურვეს კონსტანტინე მირზას სიკვდილი. შაჰმა შეიწყნარა მისი თხოვნა, საფუძვლიანად ჩათვალა მის მიერ დასახელებული მიზეზი და დაამტკიცა მისი შვილი თეიმურაზი კახეთის სამეფო ტახტზე. შაჰმა ისურვა ცოლად შეერთო ქალიშვილი, რომელიც დედოფალს თან ახლდა. დედოფალი დათანხმდა. ამის შემდეგ მშვიდობა და მეგობრობა განმტკიცდა მათ შორის“[113]. ეს მოხდა 1606 წელს.

ამ დროს შაჰ აბასის ჯარების წარმატებებმა შიში გამოიწვია თურქეთში, კერძოდ მოსაზღვრე ადგილების ფაშებს შორის. ისინი აშკარად გრძნობდნენ, რომ ვერ გაუმკლავდებოდნენ შაჰ აბასის ძლიერ ჯარს და დაიწყეს უბრძოლველად ჩაბარება თავიანთი ციხესიმაგრეებისა, აღუთქვამდნენ რა შაჰ აბასს თავიანთ სამსახურს. ერთ-ერთი ასეთი იყო „ლეტიფ ფაშა თბილისიდან. თბილისის ციხესიმაგრე არც ისე შორს იყო განჯიდან, რომელიც წარსულში საქართველოს მეფეებს ეკუთვნოდა, ხოლო არც ისე დიდი ხანი იყო, რაც იგი სიმონ მეფემ დაჰკარგა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სიმონ მეფე თურქებმა დაამარცხეს“.

თბილისის ციხესიმაგრეში, როგორც უკვე ითქვა, „იჯდა ლეტიფ ფაშა თურქეთის გარნიზონით [700 კაცი]. იგი თბილისში ჩავიდა გასულ წელს (1604 წ. — ი. ტ.), მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მეფემ ალყა შემოარტყა ქალაქს და [გარნიზონი ამოხოცა]. ფაშამ წერილი

---

[112] Ibid.

[113] Ibid.; იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 252—253; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 76.

მისწერა შაჰ აბასს, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი მზადაა ქალაქი ჩააბაროს იმას, ვისაც მისი უდიდებულესობა (შაჰ აბასი. — ი. ტ.) მასთან გაგზავნის იმ პირობით, რომ მას და მის ახლობლებს არ მიაყენებენ არავითარ ზიანს და ისინი შესძლებენ თავისუფლად წავიდნენ იქ, სადაც მოისურვებენ. შაჰ აბასმა მასთან გაგზავნა ალი ყული ხანი და აღუთქვა ფაშას მისი თხოვნის შესრულება". სურდა რა ციხესიმაგრის ჩაბარება, განაგრძობს ანტონიო დე გოვეა, „ფაშა გამოვიდა ციხესიმაგრიდან თავის მეუღლითა და ბავშვებით. მას მიჰყვნენ ციხესიმაგრეში მყოფნიც. ფაშა მივიდა შაჰთან[114], აკოცა ფეხზე და კიდევ ერთხელ თხოვა მისი თხოვნა შეეწყნარებინა. შაჰმა ყველა თხოვნა შეუსრულა; მისცა მას საკმაო რაოდენობით აქლემები და ჯორები, რათა წაეღო თავისი ბარგი და წაეყვანა თანმხლები პირები.

ამის შემდეგ შაჰ აბასი შევიდა ციხესიმაგრეში, რომელიც „კლდეებზე იყო მიშენებული. იქვე იყო წყლით სავსე ქვაბული. ეს წყალი იმ კლდის სამი წყაროდან მოდიოდა... ამრიგად, ორი ზარბაზნის და მათი ჰურვის (რაც მათ საკმაოდ ჰქონდათ) საშუალებით შეიძლებოდა ამ ადგილის დაცვა. მაგრამ იმათ, ვისაც იგი უნდა დაეცვა, სიმამაცე აკლდათ. შაჰს გაუმართლდა, რომ წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა ეს ციხესიმაგრე. თბილისის მეზობლად მდებარე ქალაქი დმანისი, ასევე უბრძოლველად ჩაბარდა შაჰ აბასს"[115].

რამდენიმე დღის შემდეგ, რაც შაჰმა თბილისი და დმანისი დაიკავა, მასთან მივიდნენ შირვანის საზღვართან მცხოვრები პარგვან ბეგი და კობა-კოზაკო. ისინი ჯერ შეიჭრნენ ქ. შამბრონში, დახოცეს იქ თურქები და მათი თავები შაჰ აბასს მიართვეს. აკოცეს მას ფეხზე და შამბრონის ქალაქის გასაღებიც გადასცეს. შამბრონი ორი ლიეთაა დაშორებული დემირ-კაპიდან (რკინის კარებიდან). ახლო მდებარე სხვა ადგილების ბეგებმაც გამოუცხადეს შაჰს მორჩილება და უბრძოლველად ჩაბარდნენ. შაჰ აბასი შეჩერდა ერთ ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა გუშა[116] და თავისი ერთ-ერთი სარდარი — დე ჟენე[117] ერევანში გაგზავნა ერევნის ციხესიმაგრის აღსადგენად. მან შაჰის ბრძანება 25 დღეში შეასრულა. ამის შემდეგ შაჰს შეეძლო

---

[114] გაუგებარია: შაჰმა ფაშასთან ალი ყული ხანი გაგზავნა. ახლა აქ საიდან გაჩნდა შაჰ აბასი, ანტონიო დე გოვეა ამაზე არაფერს ამბობს.

[115] Anthoine de Gouvea, Op. cit., pp. 309—310.

[116] ანტონიო დე გოვეას მიხედვით: ამ მხარის მუსლიმანები ხარებს აჯვარებდნენ სახედრებთან და გამოდიოდა პატარა ჯორი ხარის დინგით. მას უწოდებდნენ „გოშას", რაც ჯორ-ძროხას ნიშნავს.

[117] Le Capitaine Des Genets.

ერევნიდან თავისი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი წამოეყვანა და შემახაზე შეტევა დაეწყო.

ერევანში დარჩა გარნიზონი ემირგუნე ხანის მეთაურობით, ხოლო კაპიტანმა დე ჟენემ დანარჩენი ნაწილები შაჰ აბასთან წაიყვანა, რომელიც იმ დროს კარაკლისაში, ანუ შავ ეკლესიაში იყო. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ძველი სომხური ეკლესია, რომელიც აგებული იყო მხოლოდ შავი ქვისაგან.

როდესაც ერევნის ყოფილმა მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ შაჰმა ერევნის ციხესიმაგრე აღადგინა, მათ შაჰისაგან ითხოვეს ნებართვა კვლავ დაბრუნებულიყვნენ ძველ ადგილებში. შაჰმა ნება დართო და ამრიგად ქალაქის მოსახლეობა კვლავ მომრავლდა, მაგრამ მათი უმრავლესობა მაჰმადიანები იყვნენ. სომეხი ქრისტიანი მოსახლეობა შაჰმა ხომ სპარსეთის ცენტრალურ რაიონებში გადაასახლა.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ქართლის ეროვნულ გმირ მეფეს — სიმონ I-ს, რომელიც ამ დროს თურქების პატიმრობაში იყო.

სიმონ მეფესთან დაკავშირებული ამბები (მისი გამეფება და მეფობის პირველი პერიოდი, სპარსეთში ტყვეობა, ტყვეობიდან დაბრუნება და მეფობის მეორე პერიოდი, თურქეთში ტყვეობა, ქართველი მანდილოსანის, გულქარას თუ გულჩარას დიპლომატიური მოღვაწეობა და სხვ.) კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში[118].

ასევე ცნობილია ბევრი უცხოელი ავტორის (მათ შორის, ანტონიო დე გოვეას) ცნობები ამ დროის საქართველოსა და სიმონ მეფეზე. მაგრამ მაინც საჭიროდ ვცანით აქ მოვიტანოთ იმავე ანტონიო დე გოვეას ცნობები უფრო ვრცლად. ჩვენ მიზანს აქ არ შეადგენს გავარკვიოთ, თუ ვინ იყო გულქარა[119]: სიმონ მეფის მეუღლე (ანტონიო დე გოვეა), სიმონის ქალიშვილი (მ. სვანიძე), თუ „სიმონის მახლობელი ქართველი მანდილოსანი“ (ვ. გაბაშვილი).

როდესაც შაჰ აბასმა ომი განაახლა თურქეთთან, სიმონი კონსტანტინოპოლის ციხეში იჯდა. თურქები შეეცადნენ სიმონი გამოეყენებინათ შაჰთან ურთიერთობაში. როდესაც თურქებსა და სპარსელებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლები შემახას, დარუბანდისა და ბაქოსათვის. სულთანის დავალებით სიმონმა წერილი მისწერა შაჰ აბასს და ურჩია თურქებთან ომი შეეწყვიტა. სიმონს მონაწილეობა მიუღია

---

[118] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ.. 1943; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., თბ., 1971; ვ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღები“ გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი“, 1953, ტ. III და სხვ.

[119] „გულქარ“ — სპარსულიდან: „ყვავილების სახე“.

სპარსეთ-თურქეთის საზავო მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების დადებაში.

რამდენადაც სიმონ მეფის ტყვეობა დიდხანს გაგრძელდა, წერს ანტონიო დე გოვეა, მისმა მეუღლემ მოისურვა მისი ნახვა. ამ მიზნით იგი რამდენიმე მსახურის თანხლებით კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. ჩავიდა რა იქ, პირველ რიგში შეხვდა სულთან ახმედ I-ის (1603—1617) დედას (რომელიც ახმედის მცირეწლოვანების გამო — იგი 14 წლის გამეფდა — სახელმწიფოს განაგებდა) და მისი საშუალებით სიმონს[120].

გარდა ამისა, სიმონის მეუღლე გულქარა მიიღო სულთანის დედამ, ესაუბრა მას და მოეწონა ეს ქართველი მანდილოსანი. „შეხვდა რა რამდენჯერმე გულქარას და დაინახა რა მასში კეთილშობილი მანდილოსანი, იგი ესაუბრა მას ომზე, რომელსაც სპარსეთის შაჰი ეწეოდა მისი შვილის წინააღმდეგ; ესაუბრა იმის შესახებაც, რომ მან და მისმა შვილმა — დიდმა ბატონმა ახმედ I-მა გადაწყვიტეს გაანთავისუფლონ გულქარას მეუღლე სიმონი და გაგზავნონ იგი მასთან ერთად ელჩად ბეგუმთან — შაჰაბასის მამიდასთან, რათა მან აღმოუჩინოს თავის ძმისშვილს ისეთივე სამსახური, როგორსაც იგი თავის მხრივ თავის შვილს უწევდა — ცდილობდა რა გამოენახა რაიმე საშუალება და მათ შორის ომი შეწყვეტილიყო. შეწყვეტილიყო სიკვდილი და ბოროტება, რომლებსაც ეს ომები ჰბადებდა, განსაკუთრებით იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მაჰომეტის კანონს აღიარებენო.

ასეთი რეკომენდაციებით სულთანის დედამ გულქარა თავის მეუღლე სიმონთან ერთად ზეინაბ ბეგუმთან გაგზავნა. მათ მიჰქონდათ სულთნის დედის წერილი. სულთანის დედა თხოვდა შაჰ აბასის მამიდას, ზეგავლენა მოეხდინა ძმისშვილზე და გაეკეთებინა ყოველივე შესაძლებელი, რათა შაჰ აბასს უარი ეთქვა ამ მოსაბეზრებელ ომზე, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს მაჰომეტის საქმისათვის. თუ მისი ძმისშვილი გააგრძელებს ამ ომს, მხოლოდ იმისათვის, რათა დაიპყროს ქვეყნები და ციხესიმაგრეები, მაშინ იგი (სულთანის დედა. — ი. ტ.) ომის გარეშე მისცემდა მას, თავისი შვილის საშუალებით, იმდენს, რომ იგი კმაყოფილი დარჩება...

„სიმონ ხანი და მისი მეუღლე გულქარა გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლიდან. გზაში, მეექვსე თუ მეშვიდე დღეს, დიდმა ბატონმა უბრძანა სიმონ ხანს უკანვე დაბრუნებულიყო, ხოლო მის მეუღლეს, გზა განეგრძო დედამისის წერილით ხელში. მიზეზი იმისა, თუ რატომ

---

[120] A n t h o i n e de G o u v e a, Op. cit., p. 312. ტექსტში წერია: „Gulcara".

არ ისურვა დიდმა ბატონმა გამგზავრებულიყო სიმონ ხანი კონსტანტინოპოლიდან სპარსეთში, მდგომარეობდა იმაში, რომ მან იფიქრა: სიმონ ხანი არა მარტო არ დაბრუნდებოდა კონსტანტინოპოლში, არამედ აცნობებდა შაჰს კონსტანტინოპოლის სისუსტეს და იმ დიდ სიძნელეებს, რომლებსაც ოტომანთა მთელი იმპერია განიცდიდა და რომ სწორედ ამ სიძნელეების გამო აგზავნიდა სულთანი ამ ელჩობას შაჰთან და არა იმის სურვილით, რომ მიეღწია ზავისათვის და თანაეგრძნო თავისი ვასალებისათვის, რომლებიც ამ ომში იტანჯებოდნენ"[121].

გარდა ამისა, სულთნის მრჩევლები ფიქრობდნენ: როდესაც სიმონ ხანი მათ კონსტანტინოპოლში ეყოლებოდათ, „გულქარა უფრო გულმოდგინედ იმოქმედებდა ზავის მისაღწევად..."

სიმონი დააბრუნეს უკანვე კონსტანტინოპოლში და კვლავ იმავე ციხეში ჩასვეს, ხოლო გულქარამ განაგრძო გზა და მიაღწია შავ ეკლესიამდე, სადაც იგი შეხვდა შაჰ აბასს და ზეინაბ ბეგუმს. ამ უკანასკნელს გულქარამ გადასცა სულთნის დედის წერილი. ზეინაბ ბეგუმმა მაღალი შეფასება მისცა გულქარას მოგზაურობას, სულთნის დედის წერილის შინაარსს და დაჰპირდა, რომ გააკეთებდა ყოველივე შესაძლებელს და იმოქმედებდა დიდი გულმოდგინებით, რათა შეესრულებინა მისი თხოვნა.

„იმავე დღეს ზეინაბ ბეგუმმა აჩვენა ეს წერილი შაჰს და მოახსენა კონსტანტინოპოლში გულქარას ყოფნისა და სულთნის დედის წერილის შინაარსი. შაჰმა მას უპასუხა: ის, რისი გაკეთებაც მას შეუძლია, ეს არის შემდეგი: იგი მზადაა დაჰყაროს იარაღი და შეურიგდეს დიდ ბატონს, თუ იგი დაუბრუნებს მას ყველა იმ მიწას, რომელიც ფეხქვეშ გათელა ისმაილის[122] ცხენმა"[123].

ზეინაბ ბეგუმმა ამ პასუხით კონსტანტინოპოლში გაგზავნა გულქარა და თან გააყოლა თავისი მსახური მურად აღა. ისინი ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში და გადასცეს პასუხი სულთნის დედას. გაეცნო რა ამ პასუხს, უკმაყოფილო დარჩა იგი. მაგრამ რამდენადაც მას უნდოდა, რომ მის შვილს მშვიდობიანად ეცხოვრა, მისი მეფობის პირველ წლებში მაინც, მან უპასუხა მურად აღას, რომ შაჰ ისმაილის ცხენი ბევრს დარბოდა, რადგან ცუდად ჰქონდა ლაგამი ამოდებული. ამიტომ ფეხქვეშ გათელა ბევრი მიწა, რომელიც არასოდეს არ ეკუთვნო-

---

[121] **Anthoine de Gouvea**, Op. cit., pp. 312—313.

[122] ისმაილ I (1487—1524) — სპარსეთის შაჰი 1502—1524 წწ., სეფიანთა დინასტიის დამაარსებელი და შიიზმის პროპაგანდისტი.

[123] **Anthoine de Gouvea**, Op. cit., p. 314.

და არც შაჰ აბასს და არც მის წინაპრებს. თუ შაჰს სურს დაკმაყოფილდეს იმით, რაც მას ნამდვილად ოდესმე ეკუთვნოდა, მაშინ იგი მზადაა დაარწმუნოს თავისი შვილი მისცეს მას ის მიწები ყოველგვარი ომის გარეშე იმ პირობით, რომ შაჰიც ასევე დაუბრუნებს იმ ციხესიმაგრეებს, რომლებიც შაჰმა წაართვა თურქებს და რომლებიც არასოდეს არ ეკუთვნოდა არც მას და არც მის წინაპრებს. ამრიგად, დამყარდება სამტკიცო და სამუდამო მშვიდობა და თანხმობა ორივე იმპერიას შორის"[124].

გულქარას მოგზაურობასა და მიწერ-მოწერაში ბევრი დრო გავიდა. შაჰ აბას I კი მთელი თავისი ძალებით ომს განაგრძობდა. 1606 წლის 4 სექტემბერს მან გასწია შირვანის დედაქალაქ შემახასაკენ, რათა ალყა შემოერტყა მისთვის. როგორც კი შემახაში ცნობილი გახდა შაჰის ჯარების მოახლოების ამბავი, ბევრი დიდებული და ქალაქის გავლენიანი პირი გაიქცა შაჰ აბასის შესახვედრად, რათა ამით თავი გადაერჩინათ, ხოლო „თურქეთის დიდი ვეზირის შვილმა ახმეტ ფაშამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ ქალაქის მმართველობა, ელჩობა გაგზავნა შაჰ აბასთან დაჟინებითი თხოვნით, რათა არ გაეგრძელებინა ქალაქში ბრძოლა და არ შემოერტყა ალყა ციხესიმაგრისათვის. იგი შაჰს ჰპირდებოდა, რომ როგორც კი ზამთარი დამთავრდებოდა და იგი შეძლებდა გზას გადგომოდა მეუღლითა და ბავშვებით, გაანთავისუფლებდა ამ ქალაქს და წავიდოდა კონსტანტინოპოლში"[125].

ახმეტ ფაშას ამ თხოვნაზე შაჰ აბასმა უპასუხა: „ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მას უნდა სცოდნოდა, რომ შაჰი იარაღით ხელში დაიბრუნებდა მისი წინაპრების დროს თურქების მიერ უზურპირებულ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს. ამათგან ერთ-ერთია შირვანი. რადგანაც ამ დროის განმავლობაში, ზაფხულში, მან არ ისურვა გადგომოდა გზას, ამას იგი გააკეთებს ახლა — ზამთარში, ვინაიდან მას (შაჰს. — ი. ტ.) მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არ გადადოს ეს ომი, ვიდრე არ დაიბრუნებს ყველაფერს, რაც მან ლარამდე დაჰკარგა"[126].

ამ დროს ქალაქ შემახაში ხმა გავრცელდა და თვითონ ფაშას ყურამდეც კი მიაღწია, რომ თითქოს, თვითონ შაჰ აბასი, ვაჭრის ტანისამოსში გადაცმული იმყოფება შემახაში, რათა თვითონ საკუთარი თვალით ნახოს ხალხი და ციხესიმაგრე. ფაშა ააფორიაქა ამ ხმებმა. მან გადაწყვიტა მოეწყო დიდი ნადიმი, რომელზეც მიიპატიჟა არა

[124] Ibid., pp. 314—315.
[125] Ibid., p. 315.
[126] Ibid., p. 316.

მარტო ქალაქის ყველა დიდებული, არამედ ყველა უცხოელი, ვინც კი ამ დროს შემახაში იყო. ნადიმზე ყველა მოვიდა და მათ შორის ისიც, ვისზეც ფაშას ეჭვი ჰქონდა და შაჰად მიაჩნდა. როდესაც იგი შევიდა იმ დარბაზში, სადაც ფაშა იყო, „ფაშა ადგა და მიესალმა მას როგორც შაჰს. უცხო კაცი დაიბნა. ფაშამ მას უთხრა, რომ არ არის საჭირო დაემალოს მას, ვინაიდან მან ყველაფერი იცის კარგად — ვინ არის იგი; რომ ეს ქალაქი მას ეკუთვნის, ხოლო თვითონ ფაშა, მისი ვასალია". ვაჭარი იმდენად გაკვირვებული და გაოცებული იყო ფაშას ასეთი სიტყვებით, რომ არ იცოდა მისთვის რა ეპასუხა, გარდა იმისა, რომ უთხრა: „მოხდა დიდი გაუგებრობა, რომ იგი არის საწყალი ვაჭარი გილანიდან, იგი დიდი ხანია შემახაში არის და დაკავებულია თავისი საქმეებით". აქვე აღმოჩნდა რამდენიმე კაცი, რომლებიც მას კარგად იცნობდნენ. ყველამ დაიფიცა ფაშას წინაშე, რომ ეს კაცი შაჰი არ იყო, რომ იგი ჩვეულებრივი ვაჭარი იყო გილანიდან ერქვა კი აბასი, როგორც შაჰს და, ალბათ, ამან გამოიწვია ფაშასა და მისი ზოგიერთი ახლობლის დაბნეულობა[127].

შაჰ აბასი დაეუფლა შემახას. მანუჩარ ბეგმა შაჰის ბრძანებით დაიკავა დარუბანდი (დემირ-კაპი). შაჰ აბასი ჯერ კიდევ შემახაში იყო. ამ დროს მასთან გამოცხადდა ერთი სარდალი ქალაქ ბაქოდან. მას ერქვა „მეფე მიურატი". იგი მივიდა შაჰთან, „ემთხვია ფეხებზე, მიუტანა რა მას მის მიერ დახოცილი თურქების თავები, იმავე დროს გადასცა გასაღები ქალაქ ბაქოსი, რომელიც მდებარეობს კასპიის ზღვის (ზოგი მას ბაქოს ზღვას უწოდებს) ნაპირზე. მან კარგად იცოდა, რომ შაჰმა უკვე აიღო შემახა დიდი ბრძოლების გარეშე და წარმოიდგინა, რომ შაჰი ამასვე მიაღწევდა სხვა ქალაქებისა და ციხესიმაგრეების მიმართაც, რომლებიც გაცილებით უფრო სუსტად იყვნენ დაცული, ვიდრე შემახა. ამიტომ მან გადაწყვიტა მოეპოვებინა შაჰის კეთილგანწყობა, არ დალოდებოდა მის მიერ ბაქოს ალყის შემორტყმას და თვითონ გადაეცა ქალაქი უბრძოლველად".

მაგრამ, როდესაც იგი წარსდგა შაჰის წინაშე, შაჰმა ბრძანა მისთვის თავი მოეჭრათ და იქვე დასძინა: „ამ კაცმა თავის ხელობად გაიხადა ღალატი ყველას მიმართ. როდესაც თურქებმა ეს პროვინცია დაიპყრეს, მან თავი მოჭრა ბაქოს სარდალს, რომელიც მაშინ ქალაქს მართავდა, და მიართვა თურქეთის ფაშას, რომელმაც მადლობის ნიშნად იგი ამ ქალაქის თავად დანიშნა, ხოლო დღეს, როდესაც მე ვფიქრობ დავიბრუნო ეს ქალაქი, მას მოაქვს ჩემთან თურქების თავები, ცდილობს რა ამ გზით შეინარჩუნოს თავისი სიცოცხლე. იმისა-

---

127 Ibid., pp. 316—317.

თვის, რომ მან არ განაგრძოს თავისი ხელობა, მსურს, საკუთარი თავით გამოისყიდოს ის ცოდვა, რაც მას ადევს მის მიერ მოკვეთილი თავების გამო“[128].

შაჰ აბასმა „გაგზავნა შირვანის ერთ-ერთი პროვინციის მმართველი, რათა დაეკავებინა ბაქო, განთქმული თავისი ორი წყაროთი, რომელიც მდებარეობს მის ტერიტორიაზე. ამ წყაროებიდან განუწყვეტლივ მოედინება ზეთი: ერთიდან — თეთრი, ხოლო მეორედან — შავი. შავ ზეთს იყენებენ საწვავად და საერთოდ ყველაფრისათვის, რაც არაა დაკავშირებული საჭმელთან, ხოლო თეთრი ზეთი არის უნიკალური წამალი როგორც ადამიანების, ისე ცხოველების ნებისმიერი ჭრილობის სამკურნალოდ. იგი ორგანიზმში იმდენად შემღწევია, რომ ნებისმიერ ადგილზე დადებისას იჭრება სხეულში ყოველგვარი ტკივილისა და ორგანიზმის დაზიანების გარეშე“[129].

ამ დროს კონსტანტინოპოლიდან შაჰ აბასთან ჩამოვიდა თურქეთის დიდი ვეზირისა და სიმონის მიერ გამოგზავნილი პიროვნება. წერილში, რომელიც მან შაჰ აბასს გადასცა, მოცემული იყო სულთნის თხოვნა შაჰისადმი, შეწყვიტოს ომი და მიაღწიონ გონივრულ შეთანხმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ბატონი პირადად მოჰკიდებს ხელს ომის შედეგად მიღებული ზარალის შესახებ ახსნა-განმარტებას და შაჰი აგებს პასუხს ალაჰის წინაშე.

შაჰ აბასი სრულებითაც არ შეაშინა ამ მუქარამ და არც არაფერი დათმო. თქვა მხოლოდ, რომ „ის, ვინც თავისას იღებს, არავითარ უსამართლობას არ აკეთებს. თუ მოისურვებენ დანებდნენ მას ბრძოლის გარეშე. ის დაჰყრის იარაღს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამას არასოდეს არ გააკეთებს მანამ, სანამ არ დაეუფლება ყველაფერს, რაც მას ეკუთვნის“. მაგრამ საქმე ის იყო, რომ შაჰ აბასს თავისად მიაჩნდა ყველაფერი, რისი ხელში ჩაგდებაც მას სურდა.

ანტონიო დე გოვეა ეხება რა შაჰ აბასის ურთიერთობას ქეთევან დედოფალთან, ამ ამბებსაც იგი თავისებურად აღწერს. მოვიტანთ ამ ადგილებსაც მისი წიგნიდან.

როგორც კი შაჰ აბასმა შემახას ალყა შემოარტყა, ანტონიო დე გოვეას მიხედვით, შაჰმა წერილი გაუგზავნა დედოფალს[130], ალექსანდრე ხანის შვილის, დავით მირზას ქვრივს. როგორც უკვე ითქვა, კონსტანტინე მირზა უკვე მოკლულია და უფლისწულ თეიმურაზის არასრულწლოვანების გამო, სამეფოს მართავს ქეთევან დედოფალი. შაჰი წერილში დედოფლისაგან ითხოვს, გაუგზავნოს მას დიდი რაო-

---

[128] Ibid., p. 325.

[129] Ibid., pp. 325—326.

[130] ტექსტში წერია: „დიდიპალ“.

დენობით მებრძოლი და ამით სამსახური გაუწიოს მას ამ ომში. როდესაც კახეთის სამეფოში ეს წერილი მიიღეს, მთელს სამეფოში გამოაცხადეს შაჰის მოთხოვნა. მაგრამ სამეფოს დიდებულთა დიდი ნაწილი კონსტანტინეს სიკვდილის მონაწილე იყო. მათ შური იძიეს მასზე. დიდებულები შეშინდნენ. მათ ვერ წარმოიდგინეს, რომ შაჰი სამსახურისათვის იწვევდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ შაჰი სიკვდილით დასჯიდა მათ.

ამიტომ მათ ურჩიეს დედოფალს თვითონ წასულიყო შაჰთან, რამდენადაც გზა გრძელი არ იყო შაჰის ადგილსამყოფელომდე, აგრეთვე იგი, როგორც ქალი, შეიძლებოდა გამგზავრებულიყო ქალების თანხლებით და ბოდიში მოეხადა თავისი ქვეშევრდომების მაგიერ.

ეს რჩევა ქეთევან დედოფალს მოეწონა. მან გასცა ბრძანება თავი მოეყარათ სამეფოს ყველაზე ლამაზ, ახალგაზრდა და კეთილშობილ ქალისა და ქალიშვილისათვის. ეს სამი ათასი შეიარაღებული ქალი, ეპისკოპოსი, რამდენიმე მღვდელი ქეთევან დედოფლის მეთაურობით შესხდნენ ცხენებზე, გაემგზავრნენ და წარსდგნენ შაჰის წინაშე[131].

დედოფალმა შაჰს მოახსენა: თუ მას ჯარისკაცები სჭირდება, მის სამეფოს ამის მეტი სხვა არავინ ჰყავს, ხოლო თუ სიმდიდრე უნდა, იგი მას უკვე ჩამოუტანეს. ბოლოს, დედოფალმა აღიარა შაჰის წინაშე, რომ მისი ხალხი შიშითაა მოცული; აუხსნა იმის მიზეზიც, თუ რატომ არ გამოცხადდნენ მასთან მამაკაცები და თხოვა პატიება.

შაჰმა გაიცინა და ამ უცნაურ ლაშქარს მოუწყო შესანიშნავი მიღება და გაუმართა ნადიმი. დაასაჩუქრა ისინი, პატივი სცა დედოფლის თანმხლებ პირებს და უკანვე გაგზავნა ისინი საიმედო დამცველებით, ხოლო მათ მამებსა და ქმრებს აპატია მის წინაშე არგამოცხადება[132].

ქალაქ შირაზში ქეთევან დედოფლის მოწამებრივ სიკვდილსა და იმ დროის საქართველოს ამბებს ეხება ერთ-ერთი ფრანგი ავტორი კლოდ მალენგრი. წიგნის, სადაც მოთავსებულია ეს ნაშრომი, სათაურია: „კლოდ მალენგრი, ჩვენი დროის ტრაგიკული ამბები, ისტორიოგრაფი ბატონ დე სენ-ლაზარის მიერ [გამოცემული] პარიზში, 1635 წელს, სადაც მკითხველი დაინახავს რამდენიმე მშვენიერ გამონათქვამს, ვითარებას და მრავალ ღირსშესანიშნავ მაგალითს — სიმტკიცეს, გამარჯობას, სულგრძელობას, სინანულს და მონანიებას, ...ანრი დიდის, რუსების თუ მოსკოვის იმპერატორის დიმიტრი ივანეს

[131] Ibid., pp. 328—329.
[132] Ibid., pp. 329—330.

ძის, თურქეთის იმპერატორის სულთან ოსმანის და სხვათა შესახებ“[133].

ამ წიგნში მოთავსებულია კლოდ მალენგრის მოთხრობა ქეთევან დედოფლის შესახებ. მისი სათაურია: „სპარსეთის ხელმწიფის შაჰ აბასის ბრძანებით მოკლულ საქართველოს დედოფალ კატერინის[134] და ქართველი მეფეების შესახებ“[135].

---

[133] Malingre Claude, Histoires Tragiques de notre Temps, par sieur de S. Lazare Historiographe, á Paris, 1635, dans lespuelles se voyant plusieurs belles maximes, d'Estat, et quantité d'Exemples fort memorables, de constance, de courage de generosité, de regrets, et repetences... de Henry le Grand, de Demetrius loannes Empereur des Russes ou de Moscovie, de Sultan Osman Empereur des Turcs etc.

[134] ქეთევან დედოფლის სახელს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად წერს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ზოგიერთი ავტორი სიტყვა „დედოფლის“ შინაარსში ვერ ერკვევა; ზოგს იგი საკუთარ სახელად მიაჩნია, ზოგი კი მოაცილებს მას „დე“-ს. რაც მისი წარმოშობის (ადგილის) ან დიდგვაროვნების აღმნიშვნელი ჰგონია და წერს: „დე დოპოლ“ (ე. ი. ან „დოპოლიდან“, ან თავადური წარმოშობის ქალბატონი „დოპოლი“) და მერე დასძენს „დედოფალს“, ე. ი. წერენ: „ქეთევან დე დოპოლ დედოფალი“ და სხვ.

პორტუგალიურ წყაროებში („ნამდვილი ცნობები ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ“, რომლის ორი ვარიანტი არსებობს), ზოგან წერენ ქეთევანის ნაცვლად: „გატივანდა“, ზოგან — „გვატივანდეს“ ან „გვატივანდე დე დოპალ“. მამა ამბროზიო დუშ ანჟუში (რომელიც ზემოხსენებული „ცნობების“ ავტორია), მამა ჟოანო და როშა და ზოგიერთი სხვა წერენ: „დოპალის დედოფალი“; მამა მანოელ და მადრე დე დეუსი წერს: „ქეთევან დედოფალ“. ესპანეთის ელჩი სპარსეთში დონ ფიგეროა დე სილვა ი გარსია, პიეტრო დელა ვალე წერენ: „ქეთევან“; იტალიელი მისიონერი მოსკო წერს: „ქეთეო“; სომეხი არაქელ თავრიზელი წერს, რომ თეიმურაზის დედას „მარიამი“ ერქვაო; ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი შენიშნავს, რომ ამ დედოფალს ქართველები უწოდებენ „ქეთევანს“, ხოლო სპარსელები — „მარიანს“. ფრანგი ავტორი ლ. ლ. ბელანი წერს, რომ ქეთევან დედოფალს სპარსელები უწოდებდნენ „დიდემალს“, ე. ი. დედოფალს. ბერძენი ბერი გრეგორიოსი თავის ბერძნულად დაწერილ წერილში ქეთევანს უწოდებს „კეტაბანს“, ამ წერილის ლათინურ თარგმანში წერია: „კეტაბან“, ფრანგულ თარგმანში — „კეტაბა“, ინგლისურ თარგმანში — „კეტაბან“ ფრანგი ავტორი კლოდ მალენგრი, როგორც ვხედავთ წერს: „კატერინ“, გერმანელი ავტორი ანდრეას გრიფიუსი კი — „კათარინას“. ინგლისელები იტყოდნენ: „კათრინ“.

[135] „De Catherine Royne de Georgie' et des Princes Georgiens, mis à mort par commendement de Chah-Abbas Roy de Perse“, pp. 469—532. არსებობს მეორე გამოცემაც—რუანში 1641 წელს. (Malingre Claude, Histoires... 2-e édition, A Rouan, 1641). ორივე გამოცემა ერთნაირია მოცულობით და საქართველოს ამბებს მეორე გამოცემაში იგივე 469—532 გვ. უკავია. აღნიშნული წიგნი სულ 892 გვერდია. კლოდ მალენგრის ამ მოთხრობის სათაურში აღნიშნული ქართველი მეფეები: ქართლის მეფე ლუარსაბი და კახეთის მეფე თეიმურაზია, რომელთაგან ლუარსაბი ნამდვილად მოჰკლეს შაჰ აბასის ბრძანებით, ხოლო თეიმურაზი გადაურჩა ამ ვერაგი შაჰის რისხვას.

წინდაწინ მინდა შევნიშნო, რომ კლოდ მალენგრი საქართველოს ისტორიის ბევრ საკითხში ვერ ერკვევა[136], მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ ჩავთვალე, მკითხველს გავაცნო მისი მოთხრობა საქართველოზე, ჯერ ერთი, იმიტომ რომ, ასეთ შორეულ პერიოდში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული ცნობები, როგორი უზუსტობაც არ უნდა იყოს მათში, სასურველია ქართველი მკითხველისათვის; მეორე, კლოდ მალენგრის ეს ნაშრომი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და ბოლოს, საერთოდ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ გააცნო ავტორმა იმ დროის საქართველოს ამბები ევროპელ მკითხველს.

მოთხრობის სათაურის შემდეგ ავტორი იძლევა მოკლე რეზიუმეს საკითხების ჩამოთვლის წესით: „სიყვარულის ძალა", „სემირამიდი ბაბილონის დანგრევის მიზეზი" და სხვა (სულ ჩამოთვლილია 43 საკითხი). ყველა ეს საკითხი განხილულია ნაშრომში. კლოდ მალენგრი შაჰ აბასის მიერ საქართველოს აოხრებისა და ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილით დასჯის მთავარ მიზეზს ხედავს შაჰის აღვირახსნილ ვნებაში, უპატიოსნო სიყვარულში, მის ავხორცობაში და აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ისტორიაში არა ერთი ასეთი ფაქტია ცნობილი.

თავის მოთხრობას კლოდ მალენგრი პირდაპირ ასე იწყებს: „სიყვარული ღრმა ფესვებს იდგამს ადამიანების გულში და იჭრება მასში ისე ადვილად, რომ ადამიანები ძალაუნებურად სიყვარულის ტირანიის მონობაში ვარდებიან და როგორი გმირული, მამაცური, კეთილშობილური გრძნობები არ უნდა ჰქონდეთ მათ, ყოველივე ეს იფანტება იმის გამო, რომ ისინი ამ სიყვარულით იტანჯებიან, მასზე დამოკიდებულნი ხდებიან და ყოველგვარ გმირობას მის უღელ ქვეშ აქცევენ.

თუ საერთოდ ასე ამბობენ სიყვარულის შესახებ, ყველაზე უფრო ეს შეეფერება უპატიოსნო სიყვარულს, რომელიც იმდენად ძლიერად იმონებს ადამიანის ნებისყოფას, რომ ართმევს მას გონიერების თავისუფლებას, წარმართავს მას და წარმოუდგენელ უბედურებაში აგდებს.

მაგალითად, სემირამიდის[137] ავხორციანმა ცხოვრებამ საქმე ბაბილონის დანგრევამდე და ასირიის იმპერიის დიდების დაცემამდე მიი-

---

[136] კლოდ მალენგრის ეს ნაშრომი ჩვენ ერთხელ უკვე მოვიხსენიეთ. იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 137—138. იგი გამოყენებული აქვთ სხვა ავტორებსაც (მაგ., ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი). იხ. ასევე, თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, „ქეთევან დედოფლის" წყაროები, „ლიტერატურული საქართველო", 1985, 28 ივნისი.

[137] სემირამიდა (სემირამისი, შამურამატა)—ასირიისა და ბაბილონის ლეგენდარული დედოფალი: ლამაზი, თავნება, ხორციელი სიყვარულის განსახიერება. გადმოცემით მას მია-

ყვანა. ასევე, კადნიერი პარისის მიერ ელენეს გატაცებამ ამაყი ტროას დანგრევა გამოიწვია, გაჩაღდა ათწლიანი ომი, რომელშიც მრავალი სახელოვანი მხედართმთავარი დაიღუპა.

ასეთივე უბედურება იყო რომის მონარქიის კონსულატად გადაქცევის მიზეზი, რომლის საბაბი გახდა ახალგაზრდა ტარკვინიუსის[138] კადნიერება. ამ უკანასკნელმა, სიყვარულით დაბრმავებულმა, ხედავდა რა, რომ ვერც დაპირებებმა, ვერც მუქარამ ვერ გატეხა ლუკრეციუსის უმწიკვლობა, გადაწყვიტა ძალით აღესრულებინა ის სურვილი, რომელსაც სინაზით ვერ მიაღწია. ასეთი ძალადობით შეურაცხყოფილმა და აღშფოთებულმა ლუკრეციუსმა წამოიძახა რა შემდეგი სიტყვები: „დე, ყველამ დაადასტუროს, რომ მე არ შემირცხვენია სისხლის პატივი ადამიანის წინაშე და სინდისის მოვალეობა ღმერთის წინაშე“[139] და იმავე ხანჯლის დარტყმით, რომლითაც მან გაწყვიტა თავისი სიცოცხლის ძაფი, მანვე გადაჭრა თავისი სამშობლოს მონობის ჯაჭვიც. ლუკრეციუსის სამწუხარო სიკვდილით გამოწვეულმა სიბრალულმა, ზიზღმა მისი შეურაცხყოფისადმი, რომელიც ტარკვინიუსმა მას მიაყენა და ბრუტიუსის[140] ჩარევამ, ხალხს უბიძგა მონარქიის დამხობის გზით, მონობის უღლის გადაგდებისა და კონსულობის დამყარებისაკენ.

გოთების უკანასკნელმა მეფე თეოდრიხმა ესპანეთში, ერთ-ერთი დიდებული მავრიტანელი ქალისადმი მსგავსი უსამართლო მოპყრობის გამო, გონება დაჰკარგა და ამ ქვეყანაში თავისი იმპერიის დამხობის მიზეზი გახდა. მავრიტანელები, რომ შური ეძიათ თეოდორიხის ამ თავხედობისათვის, შეიჭრნენ ესპანეთში და გააჩაღეს რა დიდი ომი, შეასუსტეს გოთების ძლიერება და მოსახლეობა გაჟლიტეს.

მაგრამ, წერს კლ. მალენგრი, ჩვენს დროშიც არის არანაკლებ ღირსშესანიშნავი მაგალითი. ეს ამბები გათამაშდა საქართველოს ტერიტო-

---

წერენ ბაბილონის დაარსებას და ჩამოკიდებული ბაღების შექმნას. იხ. Petit Larousse en Couleurs, Paris, 1972, p. 1562; აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 445.

[138] ტარკვინიუსი — რომის მე-7 და უკანასკნელი მეფე; გადმოცემით, მეფობდა ძვ. წ. 534—509 წწ-ში. მისი შვილი იყო სექსტუსი. იგი გარდაიცვალა ძვ. წ. 496 წელს.

[139] „Testetu cunctis me non viollasse pudorem sanguis anté virum spiritus anté deum“.

[140] ბრუტიუს ლუციუს იულიუსი (გარდაიცვალა ძვ. წ. 508 წ.), ტარკვინიუსი ამაყის დისწული. იგი იყო მთავარი მოქმედი პირი იმ აჯანყების დროს, რომელმაც რომიდან განდევნა ტარკვინიუსები (ძვ. წ. 509 წ.) და რომლის შედეგად რომში მონარქია დაემხო; ჯერ დამყარდა კონსულობა, ხოლო შემდეგ რესპუბლიკა. ტარკვინიუსები წარმოშობით ეტრუსკები იყვნენ. მათ რომში შემოიღეს ელინისტური კულტურა.

რიაზე, სპარსეთის ხელმწიფის შაჰ აბასის უნამუსო და სასტიკი ვნების გამო საქართველოს დედოფალ ქეთევანის მიმართ.

ეს ამბები რომ აღწერო, — განაგრძობს კლ. მალენგრი, საჭიროა იცნობდე გურჯისტანს, ანუ საქართველოს. ეს არის უშესანიშნავესი, დიდებული და სასიამოვნო ქვეყანა, რომელიც კასპიის ზღვასთან მდებარეობს და შავ ზღვასთან ახლოა. ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც ახლოა შავ ზღვასთან, ანუ პონტო ევქსინთან, ესაზღვრება თურქეთს, ხოლო ის, რომელიც კასპიის ზღვასთანაა — სპარსეთს.

ეს ქვეყანა ძლიერია თავისი ბუნებრივი პირობებით, გარსშემორტყმული მთების შემწეობით და ასევე ხალხით — კეთილშობილი და მამაცი მებრძოლებით, რომლებიც ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებენ. მაგრამ იმის გამო, რომ ისინი აღიარებენ ქრისტიანობას ბერძნული წესით, ისინი არიან სქიზმატიკები და არა რომაული წესის ქრისტიანები.

საქართველოს ადრე ეწოდებოდა იბერია[141] და ამჟამად იგი დაყოფილია ოთხ სამეფოდ. ყოველ მათგანს ჰყავს თავისი მეფე და სუვერენული მთავარი. პირველ სამეფოს ეწოდება სამეგრელო[142], მეორეს — ბაშა-კური[143], მესამეს — თბილისი[144], მეოთხეს — იბერია[145]. ეს უკანასკნელი ინარჩუნებს სახელწოდებას — „გურჯისტან"[146].

სამეგრელოსა და ბაშიაჩუკის სამეფოები თავისთავად ძლიერნი და ბუნებრივად მიუვალნი არიან. ამიტომ ისინი ნაკლებად არიან დამოკიდებულნი თურქეთსა და სპარსეთზე. ამის გამო ქართველები დიდხანს ცხოვრობდნენ მშვიდობიანად, ვიდრე მათთან ომი არ გააჩაღეს თურქებმა და სპარსელებმა.

თბილისის სამეფომ, რომელიც თურქეთთან ახლო მდებარეობდა, ვერ შეძლო თავიდან აეცდინა მრავალი შემოსევა და განადგურება თურქების მხრიდან. ამ გარემოებამ აიძულა იგი მიეღო დიდი ბატონის[147] მფარველობა იმ პირობით, რომ მისი პირველივე მოთხოვნისთანავე თბილისის სამეფოს მისთვის უნდა გაეგზავნა მისი სამსახურისათვის განსაზღვრული რაოდენობის ჯარისკაცები.

---

[141] ტექსტში წერია: „ივერი". ავტორი აქ მთელ საქართველოს გულისხმობს.

[142] ტექსტში წერია: „მინგრელი".

[143] ტექსტში წერია: „ბაშა-კურ" — ბაში-აჩუკი, ე. იმერეთი.

[144] ტექსტში წერია: „ტეფლის", უნდა იყოს „ქართლი". შემდგომში კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ჩემია.

[145] ავტორი კახეთის სამეფოს „იბერიას" უწოდებს.

[146] აღმოსავლეთის ქვეყნებში, „გურჯისტანს" უწოდებენ მთელს საქართველოს და არა მის რომელიმე ნაწილს.

[147] „დიდი ბატონის" ქვეშ იგულისხმება თურქეთის სულთანი.

იბერიის სამეფო [კახეთის სამეფო], რამდენადაც სპარსეთის მეზობლად მდებარეობდა, განიცდიდა დიდ უხერხულობას: ეს აიძულებდა ამ სამეფოს გაეგზავნა სპარსეთის შაჰისათვის განსაზღვრული რაოდენობის მებრძოლები, როდესაც იგი ამას მოითხოვდა; ხოლო რამდენადაც ქართველი მებრძოლები ქრისტიანები არიან, მათ სრულებითაც არ სურთ ემსახურონ არც თურქს და არც სპარსელს. ამიტომ ქართველები ხშირად მოიშორებდნენ ხოლმე მათ უღელს, რის შედეგადაც იწყებოდა მათ შორის დიდი ომები.

„იმის გამო, რომ საქართველოს მეფეთა და ქეთევან დედოფლის ამბები დაკავშირებულია ავბედით ტრაგედიასთან, რომელიც გათამაშდა თბილისის [ქართლის] და იბერიის [კახეთის] სამეფოების ტერიტორიაზე, ორ პირველ სამეფოზე [სამეგრელოზე და ბაშიაჩუკზე], არ ვილაპარაკებ" — წერს მალენგრი.

ამრიგად, საჭიროა ვიცოდეთ, რომ „თურქეთის იმპერიაში სულთან ოსმანის (რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, მისი ამბების თხრობის დროს[148], თავის ჯარმა დაახრჩო), მისი მამის — ახმედისა და სულთან ამურატის (მურადის), რომელიც ახლა მეფობს, მმართველობის დროს, თბილისის [ქართლის] სამეფოს მმართავდა სიმონ ხანი[149], რომელსაც ჰყავდა შვილი[150]. მას ერქვა ლუარსაბ[151] მირზა[152], ხოლო იბერიის [კახეთის] სამეფოს ამ დროს მმართავდა ალექსანდრე[153], რომელსაც ორი ვაჟიშვილი ჰყავდა[154]: უფროსს ერქვა კონსტანტინე მირზა, ხოლო მეორეს — დავუდ მირზა".

დიდი ბატონის მოთხოვნით სიმონ ხანს სულთანის მორჩილება უნდა მიეღო, მაგრამ რამდენადაც სიმონ ხანმა უარი თქვა სულთნის მორჩილებაზე, თურქეთის სულთანმა მის წინააღმდეგ თბილისში დიდძალი არმია გაგზავნა. სიმონი არ იყო სათანადოდ მომზადებული წინააღმდეგობა რომ გაეწია. ომში იგი დამარცხდა — ტყვედ ჩავარდა. თავის შვილ ლუარსაბთან ერთად იგი თურქებმა კონსტანტინოპოლში

---

148 აქ იგულისხმება იმავე კლოდ მალენგრის მოთხრობა სულთან ოსმანის შესახებ, რომელიც ამავე წიგნშია მოთავსებული.

149 ტექსტში მითითებულია, რომ „ხანი" ნიშნავს „ჰერცოგს". შემდგომში ვნახავთ, რომ ავტორი ხან ხმარობს „ხანს", ხან კიდევ — „ჰერცოგს", ზოგჯერ ორივეს ერთად: „ხანი, ანუ ჰერცოგი". ჩვენ კი თარგმანში ყველგან ვხმარობთ „ხანს".

150 უნდა იყოს შვილიშვილი.

151 ტექსტში წერია: „Aloüassa" — „ალოუასა", „ალუასა", ლუარსაბი. ლუარსაბი იყო მეფე სიმონ I-ის შვილიშვილი.

152 ტექსტში ავტორი განმარტავს, რომ „მირზა ნიშნავს თავადს".

153 კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605).

154 კახეთის მეფეს ალექსანდრეს ჰყავდა ხუთი ვაჟიშვილი: კონსტანტინე, დავითი (ტექსტში წერია „დავუდ" და არა „დაუდ"), გიორგი, ერეკლე და როსტომი.

წაიყვანეს[155]. სიმონ ხანმა იქ ცოტა ხანი იცოცხლა[156], სულთნის ბრძანებით იგი მოწამლეს, ხოლო ლუარსაბ მირზა თბილისში გაგზავნეს, სადაც მას უნდა ემეფა მამამისის მაგიერ[157], მაგრამ რადგან იგი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, დიდმა ბატონმა, რათა ქვეყნის ხალხი შეგუებოდა ვითარებას და კმაყოფილი ყოფილიყო, ახლგაზრდა უფლისწულს დაუნიშნა ერთ-ერთი ბატონი, რომელსაც ერქვა მოურავი[158] და რომელიც იმ დროს თბილისის სამეფოში მართლმსაჯულების განმგებელი იყო. ეს მოურავი განაგებდა სამეფო საქმეებს მანამ, სანამ უფლისწული მცირეწლოვანი იყო და სრულასაკოვანი არ გახდა. მოურავი ქვეყანას მართავდა ისე კეთილგონივრულად და ზომიერად, რომ ყველას ჰქონდა საფუძველი ქება-დიდება შეესხა მისთვის. ამრიგად, ეს სამეფო, რომელიც საქართველოს ნაწილი იყო, ემორჩილებოდა თურქეთს[159].

იმის გამო, რომ იბერიის [კახეთის] სამეფო სპარსეთთან ახლო იყო, იგი დიდ სეფიანთა სახელმწიფოს ემორჩილებოდა. სპარსეთის ხელმწიფეს შაჰ აბასს ეშინოდა რა, [კახეთის] მეფესაც, მისი მეზობელი თბილისის სამეფოს მოქმედებით შეგულიანებულს, თურქეთის მფარველობა არ მიეღო და ამასთანავე, სურდა რა [კახეთის] მეფის ერთგულებაში დარწმუნებულიყო, ალექსანდრე ხანს გაუგზავნა ელჩი და მფარველობა შესთავაზა. ალექსანდრეს არ სურდა მფარველობა მიეღო, ვინაიდან ეშინოდა, რომ სპარსეთის მფარველობის ქვეშ მოქცევა, თურქეთის მხრიდან უხეშ მოქმედებას გამოიწვევდა. მეორე მხრივ, შიშს იწვევდა ისიც, რომ შაჰისთვის უარის თქმის შემთხვევაში ისეთ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, რა მდგომარეობაშიც სიმონ მეფე ჩავარდა თურქეთში. ამ ორი უკიდურესობიდან მან უფრო ფრთხილი გამოსავალი აირჩია. სურდა რა თავიდან აეცდინა უფრო საშიში შედეგი — ტერიტორიული სიახლოვის გამო შაჰ აბასის მფარველობა არჩია.

---

[155] სიმონი ტყვედ ჩავარდა ალგეთის ხეობაში ბრძოლების დროს. ამ დროს მისი შვილი გიორგი თავისი ლაშქრით გორში იყო და მხოლოდ მეორე დღეს გაიგო მამის ტყვედ ჩავარდნა; რაც შეეხება ლუარსაბს — სიმონის შვილიშვილს, იგი ამ დროს 8 წლის ბავშვი იყო.

[156] სიმონ ხანმა თურქების ტყვეობაში დაახლოებით 12 წელი გაატარა.

[157] სიმონის შემდეგ ქართლის მეფე გახდა მისი შვილი გიორგი (გიორგი X). მან იმეფა 1606 წლამდე.

[158] თუ აქ ავტორი მოურავ გიორგი სააკაძეს გულისხმობს, იგი ამ დროს სპარსეთთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე თურქეთთან. ტექსტში წერია: „მეურაბ“, „მევრაბ“.

[159] ავტორი ხშირად ურევს ერთმანეთში „თბილისს“ და „ქართლს“, თბილისის ციხესიმაგრეს და ქართლის სამეფოს.

შაჰმა კი, რათა დარწმუნებულიყო ალექსანდრეს ერთგულებაში, მას მძევლად თავისი უფროსი შვილი კონსტანტინე მირზა მოთხოვა. ალექსანდრეს არ შეეძლო ამაზე უარი ეთქვა და გაუგზავნა იგი. პირველი, რაც სპარსეთის შაჰმა გააკეთა ის იყო, რომ დაპირებებითა და მოფერებით კონსტანტინე მირზას უარი ათქმევინა ნამდვილ სარწმუნოებაზე[160] და მაჰმადიანობა მიაღებინა. როდესაც ამის შესახებ აცნობეს მამამისს, ალექსანდრე ხანს, მან საშინელი ტანჯვა და სინანული განიცადა. მან გადაწყვიტა ამიერიდან კონსტანტინე თავის შვილად არ ჩაეთვალა.

ალექსანდრემ თავისი მეორე შვილი, დავითი, დააქორწინა ულამაზეს, კეთილშობილ და ჭკვიან ბატონიშვილზე — ქეთევანზე. მათ შეეძინათ ვაჟიშვილი, რომელსაც დაარქვეს თეიმურაზი[161]. იგი ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც სპარსეთის ხელმწიფემ შაჰაბასმა მამამისს მოთხოვა თეიმურაზი მასთან გაეგზავნა იმ განზრახვით, რომ [კახეთის] სამეფოს ოჯახი მთლიანად თავის მხარეზე ჰყოლოდა და საქართველოში ქართული მეფური სისხლი საბოლოოდ ჩამკვდარიყო. შაჰ აბასი საერთოდ აიძულებდა ქართველებს გამაჰმადიანებულიყვნენ, რათა შემდგომში უფრო იოლად დაპატრონებოდა მთელს საქართველოს. შაჰ აბასი ამ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას მიმართავდა.

როდესაც თეიმურაზი სპარსეთში გაგზავნეს, შაჰს იგი სულ სასახლის კარზე ჰყავდა და არ იშორებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შაჰი შეეცადა თეიმურაზის მიმართაც გამოეყენებინა ყველა ის ხერხი, რაც ბიძამისის, კონსტანტინეს მიმართ გამოიყენა, რათა მასაც უარი ეთქვა ნამდვილ სარწმუნოებაზე და მაჰმადის სარწმუნოება მიეღო. მაგრამ ამ ახალგაზრდა უფლისწულმა არაფრად ჩააგდო შაჰის დაპირებები და ურყევად იდგა თავის რწმენაზე და ცდუნებათა ბობოქარ ტალღებში მტკიცე კლდედ რჩებოდა.

კონსტანტინე არ იყო ისეთი, როგორიც თეიმურაზი. რამდენადაც იგი აღიზარდა შაჰის კარზე, იმდენად ჯიუტად იცავდა მაჰმადიანობას, შაჰ აბასის ხელში იგი ბოროტების ინსტრუმენტი გახდა. შაჰს სურდა ამოეწყვიტა საქართველოს უფლისწულები, მოესპო ქრისტიანობა, განსაკუთრებით იბერიაში [კახეთში]. მაჰმადიანობაში მოექცია მთლიანად ხალხი და თავისი მორჩილებისათვის დაექვემდებარებინა ისინი.

---

[160] „ნამდვილი სარწმუნოების“ ქვეშ ევროპელი ავტორები (მისიონერები და სხვ.), გულისხმობენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, კათოლიკობას, მაჰმადიანურ, ურჯულოთა რელიგიისაგან განსხვავებით.

[161] ტექსტში წერია: „კათერინ“, „თამარას მირზა“, ე. ი. ქეთევანი, თეიმურაზ მირზა.

ერთ დღეს შაჰ აბასმა კონსტანტინე დაიბარა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მოდი აქ, კუსტენდილ[162], შვილო ჩემო. შენ იცი, თუ როგორ მიყვარხარ და როგორ მსურდა ყოველთვის ამემაღლებინე იმ ერთგულებისათვის, რომელიც ჩემდამი სამსახურში მე შენში შევნიშნე. აი, ახლა კი მინდა, რომ შენ იგრძნო ამის შედეგები. ვიფიქრე, თუ, რა საშუალებით შეიძლება გაგხადო შენ შენი ქვეყნის მეფე. ეს საქმე რომ მიღწეულ იქნეს, შენ მხედველობაში უნდა მიიღო ის, რომ მამაშენმა ალექსანდრემ შენი ძმა დავითი იმ მიზნით დააქორწინა, რომ მას იბერიის [კახეთის] სამეფო გვირგვინი დაადგას. გააკეთა რა ეს, მან შენ წაგართვა უფროსი შვილის უფლება, რომელიც შენ გეკუთვნის. ხომ უკვე არის ბავშვიც — თეიმურაზი, რომელიც მე აქ, ჩემი სასახლის კარზე გამოვაგზავნინე, რათა მასში დარწმუნებული ვიყო.

არის მეორე დაბრკოლებაც. მამაშენი ალექსანდრე უკვე მოხუცია. მან უარი თქვა შენს შვილობაზე, უკანონოდ ჩამოგართვა შენ უფროსი შვილის უფლება და მაშასადამე, მემკვიდრეობის უფლებაც. მოკლედ, შენ თვითონ ხედავ, თუ როგორ იგდებს ხელში სამეფოს შენი ძმა დავითი, სამეფოს, რომელიც შენ გეკუთვნის. ყოველივე ამის გამო, შენ ძლიერი ზიზღით უნდა განეწყო მათ მიმართ. მითხარი მე გულწრფელად: თუ ისე მოხდა, რომ მე მოვითხოვ მათ ორივეს აქ ჩამოსვლას, ვეტყვი რა, რომ პირადად მე მჭირდება ორივე და ვუბრძანებ მათ თან წამოიყვანონ ოთხი ათასი მებრძოლი, გეყოფა თუ არა შენ მამაცობა, დაიბრუნო უფროსი შვილის უფლება? ამის გაკეთება ადვილი იქნება, თუ მიიწვევ მამასა და ძმას შენთან სადილად და იქ მათ ორივეს მოკლავ. თუ შენ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებ, გარწმუნებ, რომ შენ მაშინვე გაგზავნი საქართველოში ძლიერი არმიით, რათა დაეუფლო იბერიის [კახეთის] სამეფოს. ხოლო იმისათვის, რომ ადგილობრივი დიდებულები დაშოშმინდნენ, მე შენ დაგაქორწინებ შენი ძმის დავითის ქვრივზე [ქეთევანზე].

შაჰის ასეთი წინადადებით გაოცებული კონსტანტინე დასაწყისში განიცდიდა ძლიერ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებს... მაგრამ კონსტანტინემ ხომ უკვე უარი თქვა თავის ღმერთზე, მიატოვა თავისი სარწმუნოება და რჯულგანდგომილი იყო. მას დიდხანს არ უფიქრია და შაჰს თანხმობა განუცხადა. მან აღუთქვა შაჰ აბასს მოეკლა, ის ვინც მას სიცოცხლე მისცა. სამეფო გვირგვინით შემკობილი თავისითავის ხილვის პატივმოყვარეობის წყურვილმა მოუოქრა მას სინდისის ქენჯნის აბი, თუ ეს სინდისი მას საერთოდ ჰქონდა და ბარბაროსობაზე უფრო საშინელ ამ საქმეზე უბიძგა მას.

---

162 ასე ეძახდნენ გამაჰმადიანებულ კონსტანტინე მირზას სპარსეთში.

კონსტანტინემ მამასა და ძმას გადასცა შაჰის ბრძანება მათი ჩამოსვლის შესახებ. ისინი ჩამოვიდნენ თავიანთი ჯარით და კარგადაც მიიღეს შაჰის კარზე. მას შემდეგ, რაც შაჰის სასახლის კარზე გამოხატეს მათდამი კეთილგანწყობილების ყველა ყალბი და მოჩვენებითი ნიშანი, კონსტანტინემ თავისთან მიიწვია მამა და ძმა, რათა მისთვის უფრო ადვილი ყოფილიყო განზრახვის შესრულება. მან შესანიშნავად მიიღო ისინი და ბოლოს ორივე ხანჯლით მოკლა.

ამ ტრაგედიის შემდეგ, ხმები გავრცელდა ყველგან, ქართველთა ლაშქარშიც, სადაც მორთეს ყვირილი, რომ მათი მეფე და უფლისწული მოკლა კონსტანტინემ. ეს როდი იყო მცირე საფუძველი საკუთარი სისხლის საშიშროებისათვის. შაჰ აბასმა რომ დაემშვიდებინა ისინი, განუცხადა: „შვილებო ჩემნო! მე მეტად დანაღვლიანებული ვარ მომხდარი ამბების გამო და მეტად ვწუხვარ. სამწუხარო ისაა, რომ კონსტანტინე წაეჩხუბა მათ სადილობის დროს და რისხვამ იმდენად შეიპყრო იგი, რომ ორივე მოკლა. ღვინოა ყოველივე ამ უბედურების მიზეზი. მაგრამ დამშვიდდით, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ არ დარჩებით მეფის გარეშე. თქვენ იცით, რომ კონსტანტინე უფროსია ოჯახში, იგი ტახტის ერთადერთი მემკვიდრეა. მე მინდა, რომ იგი გახდეს თქვენი მეფე. მე ვაგზავნი მას თქვენთან ერთად და თან გავატან დიდ არმიას. დაუმორჩილეთ მას როგორც თქვენს მეფეს[163].

ასეც მოიქცა შაჰ აბასი. მან კონსტანტინესთან ერთად იბერიაში [კახეთში] გაგზავნა გარდა ოთხი ათასი ქართველისა (რომელიც ალექსანდრესა და მის შვილს ჩამოყვა), კიდევ 15 ათასი სპარსელი. რამდენიმე ქართველმა გაუსწრო ამ ლაშქარს და ქეთევან დედოფალს მოახსენა ეს სამწუხარო ამბავი. მას მოახსენეს იმის შესახებაც, რომ კონსტანტინე დიდძალი არმიით მოდიოდა კახეთის დასაპყრობად. ამ ცნობას ქეთევან დედოფალში უნდა გამოეწვია ცრემლები და ენით გამოუთქმელი ტანჯვის გრძნობა, მაგრამ მან ალშფოთების გარეშე მოიწვია სახელმწიფო საბჭო და კახეთის სამეფოს დიდებულები. ისინი ერთხმად შეთანხმდნენ, ჩასაფრებოდნენ მამისა და ძმის მკვლელს.

ქეთევან დედოფალმა ზუსტად ჩამოაყალიბა გეგმა, თუ როგორ ჩასაფრებოდნენ, მან თავი მოუყარა ათ-თორმეტ ათასამდე ჯარისკაცს და გაუძღვა წინ.

ლაშქარი განალაგეს ერთ-ერთ ვიწრო ხეობაში, რომელიც ჩვეულებრივ ქუჩაზე განიერი არ იყო და მდებარეობდა ორ მაღალ, ტყით

---

163 ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი (და არა დავითი, რომელიც ამ დროს უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო) მოკლა 1605 წლის 12 მარტს კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქ ძეგამში. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 250.

დაფარულ მთებს შორის. ამ ადგილზე უნდა გაევლო კონსტანტინეს და მის არმიას. ხევი მდებარეობდა იმ ქალაქთან ახლოს, სადაც დედოფალი ცხოვრობდა. ქართველები ამ გზის ორივე მხარეს განლაგდნენ ტყეში. გეგმა ასეთი იყო: დაამთავრებდა თუ არა კონსტანტინე საუბარს ქეთევან დედოფალთან და უკან, თავის ლაშქრისკენ წავიდოდა, იქვე ჩასაფრებულ ქართველებს უნდა ესროლათ და მოეკლათ იგი.

როგორც კი კონსტანტინე თავისი ჯარით აღნიშნულ ხეობას ნახევარ ლიეზე[164] მიუახლოვდა, ქეთევან დედოფალმა მასთან ერთი თავადი გაგზავნა და შეუთვალა, რომ იგი აქ სასურველი სტუმარია; რომ რაკი მის მამამთილს და მეუღლეს ბედად სწერიათ სიკვდილი, ახლა ამ საქმეს არაფერი ეშველება. მაგრამ იგი მეტად გაკვირვებულია, რომ კონსტანტინეს მოჰყავს უცხოური არმია, რათა დაეუფლოს გვირგვინს და სამეფოს; რომელშიც მას არავის არ შეუძლია შეედავოს; რომ, თუ იგი ნებას დართავს [ქეთევან დედოფალი] ამ ადგილიდან რამდენადმე წინ წაიწევა, რათა მიიღოს იგი [კონსტანტინე] პატივით, როგორსაც ასეთი არმიის სათავეში მყოფი ამას იგი იმსახურებს. მაგრამ იგი [ქეთევან დედოფალი] ქალია და მან უნდა დაიცვას ზრდილობის წესები და ამიტომ იგი თხოვს კონსტანტინეს გამოვიდეს წინ თვითონ მარტო იმ ადგილზე, სადაც ქეთევან დედოფალი, მხოლოდ მისი მსახურების გარემოცვაში, დაელოდება მას. იგი აუხსნის კონსტანტინეს, თუ როგორ დაეუფლოს მის სამეფოს მშვიდობიანი გზით და არა ამ უცხო ქვეყნის ლაშქრის საშუალებით, რომელიც შეიძლება გახდეს ქვეყნის დაღუპვის მხოლოდ მიზეზი.

კონსტანტინემ ალერსიანად მიიღო ქეთევან დედოფლის მიერ გამოგზავნილი ელჩი. იგი მეტად კმაყოფილი დარჩა მისდამი დედოფლის ასეთი დამოკიდებულებით და რომ იგი უკვე იმ ადგილას იყო, სადაც მასთან შეხვედრა და მოლაპარაკება სურდა დედოფალს. მას ეგონა, რომ დედოფალი მასთან ილაპარაკებდა დაქორწინების თაობაზე, რაც ემთხვეოდა მის სურვილს. იგი გავიდა წინ თავისი ლაშქრის განლაგებიდან დედოფლის შესახვედრად იქ, სადაც დედოფალი ელოდებოდა.

ქეთევან დედოფალმა დამალა მწუხარებისა და სამართლიანი შურისძიების გრძნობა. იხმარა ეშმაკობა, რათა კონსტანტინეს ნდობით მიეღო მისი სიტყვები. კონსტანტინე შეხვდა მას. იგი იქ დიდხანს არ დარჩენილა. განშორდა მას და თავისი ლაშქრისკენ წავიდა თუ არა, ჩასაფრებულმა ქართველებმა ესროლეს და მოკლეს იგი.

კონსტანტინეს არმიაში მაშინვე გავრცელდა ხმა თავიანთი სარდლის, კონსტანტინეს, სიკვდილის შესახებ. უსარდლოდ დარჩენილი

---

164 ლიე — მანძილის ძველი ფრანგული ზომა, ერთი ლიე უდრის 4,5 კმ-ს.

სპარსელები მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ ეშველათ თავისთვის. ამ დროს ტყიდან გამოვიდნენ ჩასაფრებული ქართველები, მათ შეუერთდნენ კონსტანტინესთან ერთად მოსული 4 ათასი ქართველი მებრძოლი, დაერივნენ სპარსელებს და უმრავლესობა გაჟლიტეს.

გაქცეულმა ერთ-ერთმა სპარსელმა შაჰ აბასს შეატყობინა მომხდარი ამბავი. შაჰმა გარეგნულად ისე მოაჩვენა თავი, რომ ამ ცნობამ თითქოს სრულებითაც არ აღელვა იგი, თუმცა შინაგანად აღშფოთებული იყო[165]. შაჰ აბასმა თავისთან დაიბარა ახალგაზრდა უფლისწული თეიმურაზი, რომელიც ამ დროისათვის უკვე წამოზრდილი იყო და უთხრა: „შვილო ჩემო! ახლა შენ ერთადერთი მემკვიდრე ხარ იბერიაში [კახეთში]. თუ მე მოვისურვებ, იქ სხვა ვინმეს დავსვამ, ხოლო შენზე ვბრძანებ მოგკლან, მაგრამ მე შენ მიყვარხარ როგორც ჩემი შვილი და თუ შენ დამპირდები, რომ არ იქნები უმადური მთელი ჩემი წყალობისა, რასაც მე შენ მიმართ ვაკეთებ, მე შენ გაგხდი მეფედ იმის იმედით, რომ შენ იქნები ჩემს მიმართ ერთგული და შენ მბრძანებლად მაღიარებ“. „ხელმწიფევ, — უპასუხა თეიმურაზმა, — თქვენს უდიდებულესობას შეუძლია დარწმუნებული იყოს ამაში“.

ამრიგად, შაჰ აბასმა თეიმურაზი თავის დედასთან — ქეთევან დედოფალთან გაგზავნა ბრძანებით: დაექორწინებინათ იგი რაც შეიძლება მალე. შაჰმა თვალთმაქცურად აგრძნობინა თეიმურაზს, რომ ქეთევან დედოფალი სწორად მოიქცა, რომ შური იძია კონსტანტინეზე მამამთილისა და ქმრის მოკვლის გამო და მოუწოდა თეიმურაზს მთელი თავისი ხალხი ჰყოლოდა ერთგულად, მეგობრულად და მორჩილად განწყობილი მის მიმართ. რომ დედოფალი ვალდებულია ყოველივე ეს შეასრულოს, ამიტომაც უგზავნის მას თავის შვილს თეიმურაზს[166].

შემდგომში მომხდარ ამბებს ასე აღწერს კლ. მალენგრი: შაჰ აბასის ამ შექებითმა სიტყვებმა ქეთევან დედოფალს ცრემლები შეუშრალეს. ახლა დედოფალი სხვა არაფერზე ფიქრობდა, გარდა იმისა, რომ მოენახა საცოლე ახალგაზრდა თეიმურაზ ხანისათვის. მაგრამ ძებნა დიდხანს არ დასჭირდათ იმიტომ, რომ მეზობელ, ლუარსაბ ხანის სამეფოში აღმოჩნდა ჭკვიანი, კეთილშობილი და სხვა კარგი თვისებების მქონე ერთი ახალგაზრდა ბატონიშვილი ქალი. ქეთევან დედოფალმა

---

[165] ცნობილია, რომ სამშობლოს მოღალატე, მამისა და ძმის მკვლელ კონსტანტინეზე კახელებმა შური იძიეს, 1605 წლის 22 ოქტომბერს ბელაქნის წყალზე ბრძოლის დროს იგი მოკლეს. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 252.

[166] შაჰ აბასის კარზე თეიმურაზის ყოფნის შესახებ ცნობები იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 75—78.

მასთან გაგზავნა თავისი ხალხი და შესთავაზა მას თავისი შვილის, თეიმურაზის, ცოლი გამხდარიყო. ახალგაზრდა ბატონიშვილი ქალი სიამოვნებით დათანხმდა, იცოდა რა უფლისწულ თეიმურაზ ხანის ღვთისმოსაობისა და კეთილშობილების შესახებ. მაგრამ ლუარსაბ ხანმა[167], რომელსაც აქამდე არ ჰქონდა ცოლის შერთვის სურვილი, ახლა ყურადღება მიაქცია იმავე ბატონიშვილ ქალს და წინააღმდეგობა გაუწია თეიმურაზ ხანზე მის დაქორწინებას. რამდენადაც იგი მისი ქვეშევრდომია, ბატონიშვილმა ქალმა უპირატესობა მე უნდა მომცესო. ამ წინააღმდეგობამ ახალგაზრდა ბატონიშვილ ქალს ხელი შეუშალა გადაწყვეტილების მიღებაში. იგი მზად იყო თეიმურაზ ხანს გაჰყოლოდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ არ არსებობდა არავითარი შესაძლებლობა თავისი მბრძანებლის გასაჩერებლად იმისათვის, რომ სამეფოს გარეთ არ წავიდეს. რას აკეთებს იგი, რომ ცოლად გაჰყვეს მეორე მეფეს? რა გადაწყვეტილებას ღებულობს? იგი წავიდა ერთ-ერთ ციხე-კოშკში, რომელიც მას ეკუთვნოდა, და მეფეებს შეუთვალა, რომ არ შეუძლია გაანაწყენოს რომელიმე მათგანი. ამიტომ იგი დარჩება, როგორც ჯილდო მას, ვინც ურთიერთშებრძოლებისას გაიმარჯვებს.

ეს ორი ახალგაზრდა მეფე, ერთნაირად შეიარაღებული, მარსისა და იუპიტერის მეთაურობით, გავიდნენ სალაშქროდ, რათა ალყა შემოერტყათ იმ ციხე-კოშკისათვის, სადაც ქალიშვილი იყო ჩაკეტილი.

გაიგო რა ორ ქართველ მეფეს შორის ამ დავის შესახებ შაჰმა, რომლის ოცნება სწორედ ეს იყო, რომ ეს ორი მეფე შეჯახებოდა ერთმანეთს და მოეკლათ ერთმანეთი, სიხარულით ძილი დაჰკარგა. შეეცადა გამოეყენებინა ეს შემთხვევა. სასწრაფოდ შიკრიკების საშუალებით წერილები გაუგზავნა თითოეულ მათგანს. პირველად ლუარსაბ ხანს მისწერა შემდეგი შინაარსის წერილი: „გავიგე რა, რომ თეიმურაზ ხანს განზრახული აქვს შენი სამფლობელოდან ქალიშვილის წაყვანა, რათა ცოლად შეირთოს იგი, ხოლო ეს ქალიშვილი შენ თვითონ გინდა ცოლად შეირთო. მე, შენდამი კარგად განწყობილს, არ შემიძლია გიხილო შენ, თუ როგორ იტანჯები ასეთი შეურაცხყოფის გამო და გირჩევ თავიდან მოიშორო თეიმურაზი, თუ ასეთი შესაძლებლობა მოგეცემა. მაგრამ, თუ არ მოგეცემა ამის საშუალება მაშინ მე დაგეხმარები, როდესაც შენ მას მოჰკლავ. ნუ შეგეშინდება თქვა, რომ შენ იგი მოკალი ჩემი ბრძანებით და რომ ის ქალიშვილი შენ ჩემთვის გინდოდა".

იგივე შინაარსის წერილი შაჰ აბასმა თეიმურაზ ხანსაც მისწერა. შაჰი ასევე არწმუნებდა მას იმაში, რომ ეს ქალიშვილი უნდა იყოს

[167] ლუარსაბ II — ქართლის მეფე 1606—1615 წწ. იგი 14 წლის გამეფდა.

მისი, რადგანაც მან პირველმა მოისურვა ამ ქალიშვილის ცოლად შერთვა, ხოლო ლუარსაბ ხანმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. მაგრამ მან უნდა გამოიჩინოს სიმამაცე და შური იძიოს მასზე, მოჰკლას იგი, ხოლო თვითონ შაჰ აბასი, მოიწონებს ყოველივე იმას, რასაც თეიმურაზი გააკეთებს.

ორივე მეფე თავს იწონებდა იმით, რომ მას მხარს უჭერდა სპარსეთის შაჰი და ასეთ ვითარებაში ორივე თავიანთი ლაშქრით მიადგნენ ციხე-კოშკს მასზე ალყის შემორტყმის მიზნით. თითოეულ მათგანს განზრახული ჰქონდა მეორის მოკვლა. მაგრამ ლუარსაბმა წარმოიდგინა, რომ ყოველივე ეს აუცილებლად სისხლიანი ტრაგედიით და სასტიკი ულეტით დამთავრდებოდა, მათი ურჯულო მტრის სასიამოვნოდ და რომ საჭიროების შემთხვევაში, ორივე მეფე აღმოჩნდებოდა ძალების და საშუალებების გარეშე, რათა თავისი ქვეყანა დაეცვათ.

ლუარსაბმა თეიმურაზთან ერთი თავისი თავადი გაგზავნა და შეუთვალა, რომ ისინი როგორც ქრისტიანი მეფეები ყოველთვის მეგობრულად ცხოვრობდნენ, როგორც ძმები. მათ არ უნდა დახოცონ თავიანთი ხალხი ქალისათვის. იგი თხოვს მას, რომ არ მიიყვანონ საქმე შეჯახებამდე, უარი თქვან ურთიერთდევნაზე და თავიანთ მოთხოვნაზე ქალიშვილის მიმართ და დაუთმოს ეს ბატონიშვილი ქალი, რომელიც მას უნდა არა თავისთვის, არამედ სპარსეთის ხელმწიფის — შაჰ აბასისათვის, რომელმაც უბრძანა მას გააკეთოს ეს და დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ლუარსაბისათვის ეს იოლად არ ჩაივლიდა; რომ გარდა ამისა, მან მიიღო შაჰის ბრძანება, რომ მოჰკლას თეიმურაზი, რაც მას არასოდეს არ უნდოდა, მაგრამ შაჰ აბასი აიძულებს მას ეს გააკეთოს.

თეიმურაზი მეტად გააოცა იმან, რაც ამ დიდებულმა ლუარსაბის დავალებით უთხრა. წერილში, რომელიც მან შაჰისგან მიიღო, ხომ ასეთივე ბრძანება იყო? მას ეგონა, რომ მხოლოდ მას აქვს პატივი შეასრულოს შაჰის ბრძანება. ლუარსაბის მიერ გამოგზავნილ თავადს თეიმურაზმა უთხრა: „უთხარით ჩემს ძმას ლუარსაბს, რომ თუ მას აქვს სპარსეთის შაჰის ასეთი ბრძანება, დიდად დავალებული ვიქნები, თუ იგი მას მე გამომიგზავნის, მაშინ მე უარს ვიტყვი ჩემს მოთხოვნაზე — ცოლად შევირთო ეს ბატონიშვილი ქალი.

ლუარსაბმა მაშინვე დააკმაყოფილა თეიმურაზ მეფის სურვილი და გაუგზავნა მას შაჰ აბასის წერილი. თეიმურაზმა კი თავის მხრიდან თავისი წერილი გაუგზავნა ლუარსაბს. ლუარსაბმა წაიკითხა რა შაჰის მიერ თეიმურაზისათვის მიწერილი წერილი, გაოცებულმა ხელები აღმართა და სპარსეთის ხელმწიფის შაჰ აბასის მისამართით წამოიძახა: „ო, მოღალატევ! ო, ვერაგო! აი თურმე როგორ უნდოდა მას ჩვენი დაღუპვა? ამის შედეგად რას მიაღწევდა იგი?“.

ლუარსაბი მაშინვე შეჯდა ცხენზე და წავიდა თეიმურაზთან. ისინი შეხვდნენ და გადაეხვივნენ ერთმანეთს. ლუარსაბმა თეიმურაზს უთხრა: „ძმაო ჩემო! მე კარგად ვიცი, რომ ბნელეთის გონებას ჩვენი გათიშვა და დაღუპვა უნდა. სპარსეთის ხელმწიფეს, შაჰ აბასს, სურს, რომ ჩვენში ჩაქრეს ჩვენი სისხლი. მე ვამჯობინებ დავთმო ჩემი მოთხოვნა ამ ბატონიშვილ ქალისადმი. წაიყვანე შენ, მით უფრო, რომ კარგად ვიცი, იგი შენდამი უფროა განწყობილი, ვიდრე ჩემდამი. ჩვენ კი ვიცხოვრებთ ერთად გულით და მეგობრობით შეერთებულნი. დე, ნურვინ შეძლოს ჩვენს შორის უკმაყოფილების ჩამოგდება. თავი დავანებოთ სპარსეთის ხელმწიფეს, რომლის სული არ დამშვიდდება არასოდეს იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ჩვენი დაღუპვა. მივემხროთ თურქეთის იმპერატორს, რომელიც ჩვენ დაგვტოვებს მშვიდად და დაკმაყოფილდება ჩვენი სამსახურით, როდესაც ეს მისთვის საჭირო იქნება.

თეიმურაზმა მოიწონა ლუარსაბის რჩევა. მათ მაშინვე გაგზავნეს ელჩი კონსტანტინოპოლში და შესთავაზეს დიდ ბატონს მეგობრობა. სულთანმა დიდი სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. ამის შემდეგ ეს ორი ახალგაზრდა მეფე — ლუარსაბი და თეიმურაზი, მეგობრულად გაშორდნენ ერთმანეთს, შეჰკრეს რა კავშირი სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ. ლუარსაბი დაბრუნდა თავის სამშობლოში, ხოლო თეიმურაზმა წაიყვანა „ტყვე ქალი", დაქორწინდა მასზე, გახადა რა იგი თავისი ქვეყნის დედოფალი; ცხოვრობდა მასთან მეგობრულად[168].

ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის ეს შეთანხმება და კავშირი იმდენად საიდუმლო იყო, რომ შაჰ აბასმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. იგი წინანდებურად დარწმუნებული იყო, რომ ისინი მისი ერთგულები არიან და მის სამსახურში რჩებიან. იქამდე, ვიდრე დიდმა ბატონმა მოისურვა დარწმუნებულიყო ამ ორი ქართველი მეფის ერთგულებაში და მასხრად აეგდო სპარსეთის ხელმწიფე შაჰ აბასი. მან თავისი ელჩი გაგზავნა შაჰ აბასთან და შეუთვალა, რომ მას სჭირდება ქართველთა სამსახური და უნდოდა გაეგო მათგან, თუ ვის მხარეზე არიან ქართველები და პრეტენზია ხომ არა აქვს შაჰ აბასს მათდამი რაიმე ხელისუფლებაზე. შაჰმა სასაცილოდ აიგდო დიდი ბატონის ასეთი კითხვა და თურქეთის ელჩს უთხრა, დარჩეს იგი რამდენიმე დღე შაჰის

---

[168] ისტორიაში ცნობილია, რომ თეიმურაზი 1607 წელს დაქორწინდა: მან ცოლად შეირთო მამია გურიელის ასული ანა. 1610 წელს ანა გარდაიცვალა. 1612 წელს თეიმურაზმა ცოლად შეირთო ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის და ხორეშანი (დარეჯანი). ლუარსაბისა და თეიმურაზისადმი შაჰის მიერ მიწერილ ანალოგიურ წერილებზე იხ. გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, გიორგი სააკაძე, გვ. 69.

სასახლის კარზე და მალე თვითონ გაიგებს, თუ ვის მხარეზე არიან საქართველოს ეს ორი მეფე.

შაჰ აბასმა მაშინვე გაგზავნა ლუარსაბთან და თეიმურაზთან შიკრიკები და აცნობა, რომ მას სჭირდება ისინი განსაზღვრული რაოდენობის ლაშქრით და ამიტომ თხოვს მათ, რაც შეიძლება მალე მოვიდნენ მასთან თავიანთი ჯარებით. შაჰ აბასი დარწმუნებული იყო, რომ ისინი მაშინვე აუცილებლად გამოცხადდებოდნენ მასთან, მაშინ შაჰი დიდი ბატონის ელჩს ეტყოდა: წადით ახლა და უთხარით თქვენს ბატონს ის, რომ თქვენ თვითონ ნახეთ აქ საქართველოს ორივე მეფე და ვის მხარეზე არიან ისინი.

მაგრამ შაჰ აბასი მოტყუვდა. დაბრუნდა რა საქართველოდან მისი შიკრიკი, თურქეთის ელჩის თანდასწრებით შაჰს მოახსენა, რომ საქართველოს მეფეებმა უარი თქვეს მასთან გამოცხადებაზე.

მოისმინა რა ეს სპარსეთის ხელმწიფემ, ეგონა, რომ ჯავრისა და შეურაცხყოფის გამო, მოკვდებოდა. თურქეთის ელჩი კი იცინოდა. იგი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა და ყველაფერი მოახსენა დიდ ბატონს. აღშფოთებულმა შაჰ აბასმა კი დაიფიცა თავის ყურანზე, რომ არ დამშვიდდება მანამ, სანამ შურს არ იძიებს შეურაცხყოფისათვის. გადაწყვიტა თავისი არმიით თვითონ წასულიყო ქართველი მეფეების წინააღმდეგ და გაენადგურებინა ისინი. შაჰი მეტად განრისხებული იყო. შირაზის ხანი, სახელად ალავერდი[169] და მისი ჰარემის მეთვალყურე და მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი ყორჩი ბაში, შეეცადნენ უარი ეთქმევინებინათ შაჰისთვის თავის გადაწყვეტილებაზე, თვითონ პირადად წასულიყო ქართველების წინააღმდეგ. ამის გამო ისინი შაჰის რისხვას ვერ გადაურჩნენ: შაჰმა ბრძანა ალავერდი ხანი მოეწამლათ (იგი მოწამლეს). მან სიკვდილის წინ გამწარებულმა ხელები დაუკბინა თავის ცოლს. ყორჩიბაში კი შაჰის ბრძანებით ჯოხით სცემეს.

შემდეგ, განაგრძობს კლ. მალენგრი, შაჰ აბასმა თავისი არმიით საქართველოსკენ გასწია. გაიარა ის ხეობა, სადაც ქეთევან დედოფლის ხელმძღვანელობით კონსტანტინე მოკლეს. იქიდან შაჰი მიადგა თეიმურაზის ქალაქს. იგივე ქეთევან დედოფალი რამდენიმე თანმხლები პირით წავიდა შაჰის შესახვედრად. ამ დროს თეიმურაზმა თავისი მეუღლით თავი შეაფარა თავის მეგობრისა და მოკავშირის, ლუარსაბის, სამეფოს. შაჰ აბასმა დაინახა რა დედოფალი — თეიმურაზის დედა ქეთევანი, თავი მოაჩვენა უფრო შეყვარებულად[170], ვიდრე განრის-

---

[169] ტექსტში წერია: „ალოავარდი“ — ალავერდი; „კურში ბაში“ — ყორჩიბაში, ისახანი ყორჩიბაში.

[170] საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად მოსწონდა თუ არა შაჰ აბასს ქეთევან დედოფალი, ზოგიერთ ავტორში ეჭვს იწვევს. „მართლა უყვარდა შაჰ აბასს ქეთე-

ხებულად და ჰკითხა: სად არის თეიმურაზი და რატომ არ მოვიდა იგი მასთან ერთად? დედოფალმა უპასუხა, რომ იგი სახლში დატოვა". „რაკი იგი არ მოვიდა, ამას მნიშვნელობა არა აქვს", თქვა შაჰმა. „რაც შეგეხებათ თქვენ, — უთხრა მან დედოფალს, — თუ თქვენ ჩემთან შეთანხმება გსურთ, უბრძანეთ გამოცხადდნენ ჩემთან 50 ყველაზე უფრო ცნობილი ქართველი თავადი, რომლებსაც მე თქვენ დაგისახელებთ. მე მინდა გავიგო მათი სურვილი. ამის შემდეგ მე წინ არ წავალ და ნებას არ დავრთავ საქართველოს ზარალი მიაყენონ".

ქეთევან დედოფალმა გამოიძახა თავისთან შაჰის მიერ დასახელებული 50 თავადი. ეგონა, რომ შაჰს სჭირდებოდა მათი სამსახური და რომ ეს საქართველოს დაღუპვას ააცდენდა. ისინი გამოცხადდნენ შაჰთან. მას შემდეგ, რაც მათ შაჰს მიმართეს ისეთი პატივით, როგორიც ეკუთვნოდა მის უდიდებულესობას და რასაც შაჰი მათგან მოელოდა, შაჰ აბასმა გაუშვა ისინი უკანვე დედოფალთან ერთად. მაგრამ შაჰმა მოისურვა მათ ჯერ ევახშმათ, ხოლო შემდეგ, საღამოს გრილ

ვანი?" — კითხულობს ზ. ავალიშვილი და თვითონვე პასუხობს: „ეს არ ემყარება სათანადო ისტორიულ საბუთებს. ამაზე სდუმს პიეტრო დელა ვალე; სდუმს თეიმურაზიც" (იხ. ზ. ავალიშვილი, თეიმურაზ I და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა..., გვ. 24). პიეტრო დელა ვალესა და თეიმურაზ მეფის დუმილი საბუთად ვერ გამოდგება: პიეტრო დელა ვალემ არაფერი იცოდა ამის შესახებ და არც მსჯელობის საგნად გაუხდია ეს საკითხი მას თავის წერილებში. პიეტრო დელა ვალე თვითონ წერს, რომ მან არ იცოდა თუ რისთვის დასაჯა სიკვდილით შაჰ აბასმა ქეთევან დედოფალი, ზუსტად რას მოითხოვდა შაჰი მისგან. ხოლო თეიმურაზ მეფე როგორ დაწერდა თავის პოემაში, რომ დედამისი შაჰ აბასს მოსწონდაო?

ამის შესახებ წერენ ის კათოლიკე მისიონერები, ან შაჰის კარზე მოღვაწე პირები, რომლებიც იმ პერიოდში იქ იყვნენ; მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქეთევან დედოფალთან; ისინი აგვიწერენ მის პირველ შეხვედრას შაჰთან და მათ შემოგვინახეს დედოფლის მიერ შაჰის წინაშე წარმოთქმული სიტყვა. პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი მამა ამბროზიო დუშ ანჟუში რომის პაპს ურბან VIII-ს ატყობინებდა: შაჰ აბასმა ქეთევან დედოფალი აწამა იმიტომ რომ დედოფალი „იცავდა სარწმუნოებას და უმწიკვლობას".

გარდა ამისა, ზ. ავალიშვილის აზრით, როგორ შეიძლებოდა შაჰ აბასს მოსწონებოდა ქეთევან დედოფალი, როდესაც 1624 წელს იგი უკვე მოხუცი ქალი იყო. ჯერ ერთი, შაჰის მიერ ქეთევან დედოფლის მოწონებაზე ლაპარაკია არა 1624 წელს, არამედ 1613 წელს, როდესაც იგი თეიმურაზ მეფის ელჩის სახით პირველად გამოცხადდა შაჰ აბასის წინაშე (არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ადრე, დიდი ხანია შაჰ აბასს ესმოდა ამ დედოფლის ქება-დიდებისა და სილამაზის შესახებ). ხოლო მეორე, წერდა რა ქეთევან დედოფალზე, მის სილამაზესა და დარბაისლობაზე, უფრო გვიან, 1624 წელს, ზემოხსენებული ამბროზიო დუშ ანჟუში, აღნიშნავდა, რომ შეხედულებით იგი 40 წლის ასაკის ქალბატონის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს შეიძლება გადაჭარბებულად მივიჩნიოთ 1624 წლისათვის, მაგრამ 1613 წელს იგი ნამდვილად საინტერესო შესახედავი ქალბატონი იქნებოდა. ამაში ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს.

ნიავზე წასულიყვნენ. შაჰმა ისინი კარვებში მდიდრულად მიიღო, ხოლო შემდეგ უბრძანა თავის 50 კარგ მებრძოლს, მოეშორებინათ ისინი ჯარისაგან და მოეკლათ. შაჰის ბრძანება შესრულდა.

რაც შეეხება ქეთევან დედოფალს, შაჰმა ბრძანა იგი დიდი დაცვის ქვეშ აეყვანათ, რაც მაშინვე შესრულდა. ამის შემდეგ შაჰ აბასმა გაიარა მთელი კახეთის სამეფო, მაგრამ ვერ იპოვა რა თეიმურაზ ხანი, იგი წავიდა მის მეზობელ და მეგობარ ლუარსაბ ხანთან. ამ უკანასკნელმა გაიგო თუ არა მისი უდიდებულესობის მოსვლის შესახებ, მაშინვე გაემართა მის შესახვედრად[171], თავის სამფლობელოების განმგებელ მოურავთან ერთად[172]. შაჰმა ბრძანა შეეპყროთ ისინი და მათთან ერთად მოურავის ცოლი, ვაჟიშვილი და ქალიშვილი. სამეფოს ხელმწიფედ შაჰმა დატოვა ერთი რჯულგანდგომილი მაჰმადიანი, რომელიც წარმოშობით ქართლის სამეფო კარიდან იყო[173]. რათა სამეფოში არ შექმნილიყო ამბოხების საბაბი, შაჰმა ბრძანა რიგით მოხელეებს ყველას თავის ადგილზე განეგრძო სამსახური.

შაჰ აბასმა სპარსეთში წაიყვანა ლუარსაბ ხანი და მოურავი თავისი ოჯახით; როგორც კი სპარსეთში ჩავიდნენ, შაჰმა ბრძანა ლუარსაბ მეფე მოეკლათ[174]. მან ლამაზი დაპირებებით დაიყოლია მოურავი გამაჰმადიანებულიყო, ხოლო „რათა დაეკმაყოფილებინა თავისი უნამუსო და დიდი ხელმწიფისათვის უღირსი სურვილი, შაჰმა ძალადობა იხმარა მოურავის მეუღლის მიმართ, თვითონ მოურავის თანდასწრებით იგივე გააკეთა მოურავის ვაჟიშვილისა და ქალიშვილის მიმართაც. და ყველაფერი ეს ჩაიდინა ისეთი მეტისმეტი უსირცხვილობით, რომ ამის აღწერა შეუძლებელია, თუ შეურაცხყოფა არ მიაყენე უმწიკვლო ყურებს“[175].

---

[171] ცნობილია, რომ თეიმურაზმა და ლუარსაბმა, როდესაც შაჰ აბასი თავისი ლაშქრით კახეთში შემოიჭრა, თავიანთი ოჯახებით და ამალით თავი იმერეთს შეაფარეს. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 265.

[172] გიორგი სააკაძე 1612 წელს იძულებული გახდა სპარსეთში წასულიყო თავისი ოჯახით (ასე რომ, იგი აქამდე უკვე რამდენიმე წელი იყო შაჰ აბასთან). იხ. გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 66—67.

[173] ლუარსაბის შემდეგ ქართლის მეფე იყო ბაგრატ VII (1615—1619 წწ.).

[174] ლუარსაბ მეფის სიკვდილით დასჯის სხვადასხვა თარიღს ასახელებენ, უფრო მიღებული თარიღია 1622 წელი. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 276.

[175] ეს ამბავი, ჩვენი აზრით, ავტორის ფანტაზიაა. ჯერ ერთი, მოურავი ახლა კი არ წაიყვანა შაჰმა, არამედ იგი თვითონ გაიქცა სპარსეთში, როგორც უკვე ითქვა, 1612 წელს; მეორე, შაჰ აბასი, რომელიც ადრე იცნობდა გიორგი სააკაძეს, იცოდა მისი ფასი, როგორც სამხედრო სარდლისა, არავითარ შემთხვევაში არ გაა-

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მოურავი გამაჰმადიანდა. შაჰი დარწმუნდა რა მოურავის ერთგულებაში, ერთხელ თავისთან დაიბარა და უთხრა: „მოურავ! აი უკვე დიდი ხანია მე გინახავ შენ ლამაზი დაპირებებით, მაგრამ ახლა მინდა ეს დაპირებები განვახორციელო. მინდა გაგხადო ჩემი ჯარების მთავარსარდალი. შენი სარდლობის ქვეშ იქნება ხუთასი ხანი, რომლებსაც შენ ჩაგაბარებ და რომლებსაც ავუკრძალავ გააკეთონ რაიმე შენი ბრძანების გარეშე. მაგრამ შენ უნდა გამოიჩინო მამაცობა და გააკეთო ერთი რამ, რასაც მე შენგან მოველი". მოურავმა უპასუხა: „ხელმწიფევ! მე მზად ვარ მივიღო თქვენი ბრძანებები და შევასრულო ისინი". „მე მინდა, — განაგრძო შაჰმა, — შენ დაბრუნდე შენს ქვეყანაში ჩემი არმიით, თან წაიყვანო ერთ-ერთი ჩემი ქალიშვილი[176] იმ მეფის საცოლედ, რომელსაც მე იქ უმაღლესი ხელისუფლება მივეცი[177] და დააქორწინო მასზე. გააკეთებ რა ამას, შეიპყრობ შენი ქვეყნის [ქართლის] ყველა ქრისტიანს — მამაკაცებს, ქალებს, ბიჭებს და გოგონებს, ჩამოიყვან ყველას აქ, ჩემთან, თოკებით შეკრულს და შიშველს წელს ქვემოთ, ტრიუმფით შემოხვალ ამ ქალაქში (ისფაჰანში), ხოლო აქ კი, მე გავაკეთებ იმასვე ყველა აქ მცხოვრები ქრისტიანის — სომხებისა და იაკობიტების მიმართ. მათ ერთად შევიყვან ჩემს მეჩეთში და გავამაჰმადიანებ, თუ ისინი არ მოისურვებენ უარი თქვან სიცოცხლეზე. ასე მინდა ვიძიო შური შეურაცხყოფისათვის, რაც მე ქართველებისგან მივიღე.

შაჰმა მაშინვე გასცა ბრძანება თავი მოეყარათ ხანებისათვის და გაეგზავნათ მოურავთან და ასევე გასცა განკარგულება მათდამი, ზუსტად შეესრულებინათ ყოველივე ის, რასაც მოურავი მათ უბრძანებდა, აეკრძალა, გაეკეთებინათ რაიმე მისი ბრძანების გარეშე[178].

მაგრამ ყოველივე ეს იყო შაჰის მხოლოდ ვერაგული ჩანაფიქრი. მით უფრო, რომ ხანებმა მიიღეს შაჰის საიდუმლო ბრძანება, მოეკლათ მოურავი მას შემდეგ, როცა იგი გახდებოდა ქართველი ხალხისა და მთელი ქვეყნის (ქართლის) ბატონ-პატრონი.

ნაწყენებდა, მით უფრო მის ოჯახს შეურაცხყოფას არ მიაყენებდა. პირიქით, შაჰი მასთან კარგ ურთიერთობაში იყო და თავის საქმეებისათვის იყენებდა. შაჰი ამით კმაყოფილი იყო.

[176] ალბათ, შვილიშვილი.

[177] ამ დროს ქართლის მეფე იყო სიმონ II (1719—1631).

[178] სხვა ცნობების მიხედვით (ზოგიერთი მათგანი ჩვენც მოგვაქვს აქ), სპარსეთის ამ არმიას მეთაურობდა ყარჩიღა ხანი და მას მისცა შაჰმა მოურავის საწინააღმდეგო იგივე დავალება, რაც თითქოს, ამ ხანებს.. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 277.

მოურავი სპარსეთის ჯარით საქართველოში შემოვიდა. ხალხი და დიდებულები გამოვიდნენ მის შესახვედრად. იგი დიდი პატივით მიიღეს იმ იმედით, რომ იგი როგორც ადრე, ახლაც ბრძნულად განახორციელებდა ქვეყნის მმართვას და დაიცავდა მათ კანონებს, წესებს და სამართალს. მოურავმა მადლობა უთხრა მათ და შეჰპირდა, რომ გააკეთებდა ყველაფერს ისე რომ, ისინი კმაყოფილნი დარჩებოდნენ და რომ მათ არა აქვთ საფუძველი აღელდნენ ასეთი რაოდენობით ხანებისა და მრავალრიცხოვანი არმიის ნახვით, რომელიც მოვიდა არა იმისათვის, რომ გამოიწვიოს არეულობა, არამედ, პირიქით, რომ ეს მათთვის დიდი პატივია. ამასთანავე, ამ არმიასთან ერთად, მან ჩამოიყვანა მათი დედოფალი, სპარსეთის ხელმწიფის შაჰ აბასის ქალიშვილი [შვილიშვილი], რომელიც გათხოვდება შაჰის მიერ დანიშნულ მეფეზე.

ასეთი საპატიო საბაბით კარგად მიიღეს მოურავი და ყველა ხანი, მაგრამ ეს სიხარული მალე შეიცვალა ამბოხებით, ვინაიდან ერთ-ერთმა ხანმა თავი მოკვეთა რამდენიმე ქართველ წარჩინებულ პირს ისე რომ, ამის შესახებ არ აცნობა თავის მოურავს. მოურავთან იჩივლეს ქართველებმა, ხოლო მან დაიბარა ის ხანი და უთხრა, რომ მას, ალბათ, დაავიწყდა სპარსეთის ხელმწიფის შაჰ აბასის ბრძანება და არ მიიღო რა იგი მხედველობაში, მოკლა ეს წარჩინებული ადამიანები. ამაზე ხანმა მოურავს მრისხანედ უპასუხა: „ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც შაჰმა გვიბრძანა“. მოურავმა ხანს უთხრა: „თუ შაჰმა ასე გიბრძანათ, მაშინ თქვენ სწორად მოქცეულხართო“.

მოურავი ჩაფიქრდა და მოაგონდა ის კომედია, რომელიც სპარსეთის შაჰმა თავის დროზე ქართველ მეფეებს — ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის გაითამაშა მათი დაქორწინების საკითხში: როდესაც მათ ორივემ მიიღეს შაჰის ერთნაირი წერილები, მოეკლათ ერთმანეთი. მოურავმა იფიქრა, რომ მსგავსი ბრძანება შეიძლებოდა ყოფილიყო მის მიმართაც. ამან შთააგონა მას, თავი მოეყარა ცნობილ ქართველთათვის და უთხრა: „თქვენ ხედავთ ამ ხალხმა (სპარსელებმა) როგორი ურთიერთობა დაიწყეს თქვენთან. მე თქვენი თანამემამულე ვარ, თქვენი ძმა, თქვენი მეგობარი. გაფრთხილებთ, რომ მათ აქვთ ბრძანება, შეგიპყრონ ყველა ცოლებთან და ბავშვებთან ერთად, შიშველი და ორ-ორად შებოჭილი წაგიყვანონ ისფაჰანში, სადაც სპარსეთის შაჰი მეჩეთში ან გაიძულებთ უარი თქვათ ქრისტიანობაზე, ან მოკვდეთ. ასეთი იყო ბრძანება, რომელიც მე მან მომცა, მაგრამ ღმერთმა მაშოროს სამშობლოსადმი ასეთი ღალატი. პირიქით, თუ თქვენ ისურვებთ და დამიჯერებთ, ჩვენ გვაქვს საშუალება, დავხოცოთ ისინი“.

მოურავს ყველა დაეთანხმა და ჰკითხეს, თუ რა საშუალებებით უნდა გაეკეთებინათ ეს. ამაზე მოურავმა უპასუხა: „მე მოვიწვევ ჩემთან ყველა ხანს სადილზე, მათ ღვინით დავათრობ, ჩემი ხალხის დახ-

მარებით მახვილს ჩავცემ, თავებს მოვჭრი, ხოლო შემდეგ ფანჯრიდან თქვენ ნიშანს მოგცემთ, თქვენ ბევრი ხალხი უნდა გყავდეთ ჩემ სახლთან ახლოს. ნიშნის მიღებისთანავე, თქვენ დახოცავთ შემოსასვლელ კარებთან მყოფ მცველებს და მაშინვე გასწევთ კარვებისაკენ, სადაც სპარსელთა არმიაა განლაგებული. დაესხმით რა მათ თავს მოულოდნელად, ნაკუწ-ნაკუწად აქცევთ". მოურავის ეს ბრძანება ყველამ მოიწონა.

როდესაც უკვე ყველაფერი მზად იყო, მოურავმა თავისთან სადილზე მიიწვია ხანები, მოუწყო მათ მდიდრული მიღება, დაათრო და დახოცა ისინი. შემდეგ ნიშანი მისცა ქართველებს, ხოლო მათ, როგორც ეს დათქმული იყო, ჯერ დახოცეს მცველები და შემდეგ მოულოდნელად თავს დაესხნენ სპარსელების ჯარს სახლებსა და კარვებში. სპარსელებმა გაიგეს რაც მოხდა, მორთეს ყვირილი, რომ მოურავმა დახოცა მათი ხანები. გაიგეს, რომ მთავარსარდალი მოურავი მათი მტერია, ყოველი სპარსელი ცდილობდა გაქცევით გადაერჩინა თავი. მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს. როდესაც ცნობამ არმიის განადგურების შესახებ სპარსეთის ხელმწიფე შაჰ აბასამდე მიაღწია, იგი აღშფოთდა. განსაკუთრებით განრისხდა მაშინ, როდესაც მიიღო მოურავის შეურაცხმყოფელი წერილი, რომელშიც მოურავი მას უწოდებდა მოღალატეს, ვერაგს, ცბიერს. ბრალს სდებდა მას ყველა იმ ბოროტებაში, რომელიც მიაყენა როგორც მას, ისევე სამეფო კარს. განსაკუთრებით საყვედურობდა მას სამარცხვინო და საძაგელი ძალადობის გამო, რომელიც ჩაიდინა მისი თანდასწრებით, მისი მეუღლის, ვაჟიშვილისა და ქალიშვილის მიმართ. „და ახლა, — სწერდა შაჰს მოურავი, — სამართლიანმა უფალმა ღმერთმა, რომელიც შენ გსჯის და დაგსჯის კიდევ, მე ამირჩია მართლმსაჯულების იარაღად, რათა დაისაჯო შენ ბოროტმოქმედების, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლისა და საზიზღარი საქციელისათვის".

მოურავის ამ მეტად მოურიდებელ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს იმდენი ძალა ჰქონდა, რომ შაჰ აბასმა არ იცოდა რა ექნა. ხედავდა რა, რომ მისი ჩანაფიქრი საქართველოს მიმართ ჩაიშალა... გადაწყვიტა დროებით უარი ეთქვა ქართველებისა და სომხების გამაჰმადიანებაზე.

რაც შეეხება მოურავს, სპარსეთის არმიაზე გამარჯვების შემდეგ, მან ბრძანა, აეღოთ მოკლულ ხანთა თავები, მოებათ შუბის წვერზე და, როდესაც მოურავი სადილობდა, მოეტანათ მასთან როგორც მისთვის ყველაზე „სასიამოვნო კერძი". ყოველთვის, როცა ის ღვინოს მიირთმევდა, ხან ერთის ხან მეორის „შესანდობარს" იტყოდა კიცხავდა რა ყოველ ამ მკვდარ ხანს ათასი ლანძღვით იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც კი მათზე იცოდა.

ამის შემდეგ მოურავმა შიკრიკი გაგზავნა თეიმურაზ მეფესთან, რომელიც ქვეყნიდან განდევნილი იყო და შესთავაზა თავის ქვეყანაში დაბრუნება[179]. მოურავმა თეიმურაზს ასევე აცნობა, რომ მან სასტიკად იძია შური მათ საერთო მტერზე. თეიმურაზმა უპასუხოდ დატოვა მოურავი, ხოლო, როდესაც მეორედ მიიღო მოწვევა, იგი გზას გაუდგა. თეიმურაზი და მოურავი შეხვდნენ და გადაეხვივნენ ერთმანეთს. ისინი გახარებულნი იყვნენ საერთო საქმის წარმატებითა და სამშობლოს განთავისუფლებით. შემდეგ ერთად წავიდნენ კონსტანტინოპოლში დიდ ბატონ სულთან ოსმანთან, რათა მისი მფარველობა მიეღოთ[180].

სანამ მოურავი იქ იყო, მან წარუდგინა თურქებს სპარსელების განადგურების გეგმა და თურქებთან ერთად დაიწყო ომი შაჰ აბასის წინააღმდეგ. რაც შეეხება თეიმურაზ ხანს, ქართველ მეფეს, მას შემდეგ რაც ორი თუ სამი წელი იცხოვრა კონსტანტინოპოლში ინკოგნიტოდ, ისე რომ, არავის ეჩვენებოდა, თავის ქვეყანაში, იბერიაში, [კახეთში] დაბრუნდა[181].

ქეთევან დედოფლის მოწამებრივ სიკვდილს კლ. მალენგრი ასე აღწერს: განიცდიდა დიდ ტანჯვას, გადაიტანა თავისი ძვირფასი დედის — ქეთევან დედოფლის მასთან არყოფნა და მისი ტყვეობა, რომელიც, რათა გადაერჩინა თავისი შვილის, თეიმურაზის, სიცოცხლე და თავისუფლება, შაჰის ტყვეობაში ჩავარდა, თეიმურაზმა ბევრჯერ მისწერა წერილი სპარსეთის შაჰს და თხოვა დაებრუნებინა თავისი დედა. ევედრებოდა მის უდიდებულესობას, მიეცა მისთვის მოსვენება თავის დედასთან ერთად. შაჰი ამაზე პასუხს არ აძლევდა.

ერთხელ, როდესაც მდიდრული საბარგულითა და საჩუქრებით აღჭურვილმა სპარსეთის შაჰთან გაგზავნილმა მოსკოვის იმპერატორის ელჩმა საქართველოზე გაიარა, თეიმურაზ ხანმა ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და თხოვა ელჩს, რომ ეშუამდგომლა შაჰის წინაშე დედამისის განთავისუფლების შესახებ. მაგრამ დახმარების ნაცვლად ამან საქმე მიიყვანა დედოფლის სიკვდილამდე, ვინაიდან სპარსეთის ხელმწიფემ, შაჰ აბასმა, სრულებითაც არ ჩათვალა ეს თხოვნა სასიამოვნოდ, მაგრამ ამავე დროს, არ შეეძლო რა უარი ეთქვა, ელჩს უთხრა, რომ თვითონ შაჰიც კმაყოფილი იქნებოდა, თუ იგი წავიდოდა, როცა მოისურვებდა და ელჩს შესთავაზა თვითონ ენახა ქეთევან დედოფალი და ეკითხა მისთვის. იმავე დროს, შაჰმა საიდუმლოდ გაუ-

---

[179] სპარსეთის ჯარის ზემოთ აღნიშნული განადგურება — ეს არის მარტყოფის ამბები (1626 წლის 25 მარტი), რომელიც ცნობილია ქართველი მკითხველისათვის.

[180] მარტყოფის ამბების შემდეგ თეიმურაზი თურქეთში არ წასულა.

[181] ორი-სამი წელი თეიმურაზ- კონსტანტინოპოლში არასოდეს ყოფილა.

გზავნა წერილი შირაზის ხანს იმამ ყულის და უბრძანა: შეეცადოს, რათა დედოფალს უარი ათქმევინოს თავის სარწმუნოებაზე და მიღებინოს მაჰმადიანობა. ხანს ამისთვის უნდა გამოეყენებინა ყველა საშუალება: მოფერება, შექება, დაპირება. თუ ეს შედეგს არ გამოიღებდა, მაშინ: უხეში სიტყვები, მუქარა და წამება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი მაინც უარს იტყოდა დამორჩილებოდა შაჰის. ამ ბრძანებას, სასტიკი წამებით მოეკლა იგი. ყოველივე ეს ზედმიწევნით ზუსტად იქნა შესრულებული, მაგრამ სამწუხაროდ, სქესისა და დედოფლის ღირსების პატივისცემის გათვალისწინების გარეშე — შენიშნავს კლ. მალენგრი. დედოფალს ხანმა უჩვენა შაჰის ბრძანება, რომელიც ჰპირდებოდა მას ოქროს მთებს და ცოლად შერთვას, თუ უარს იტყოდა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და მაჰმადიანობას მიიღებდა, ხოლო აღნიშნულზე უარის თქმის შემთხვევაში, მას მკაცრი წამება მოელოდა.

დედოფალი, ამდენმა დაპირებამ და მუქარამ არც აღელვა და არც შეაშინა. ხანს დიდი მამაცობით უპასუხა: „ხელმწიფევ! მითხარით, ვინ ვგონივარ მე შაჰს, მის უდიდებულესობას და როგორ სურს მას განიხილოს ჩემი პიროვნება? ჰგონია მას, რომ მე შეიძლება უფრო ავმაღლდე და უფრო ბედნიერი გავხდე ვიდრე ახლა ვარ, თუ უარს ვიტყვი ჩემს სარწმუნოებაზე? რა ვითარებაში შეიძლებოდა მას მე ავემაღლებინე, და გავეხადე უფრო დიდებული, ვიდრე ის, რომელშიც ვიმყოფები? როდესაც იგი მომცემდა ყველა ოქროს და მთელს თავის ძვირფასეულობას, ეს მე გამომადგებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ მეცხოვრა და ჩამეცვა. ხოლო, თუ მე სამუდამოდ დავრჩები ქრისტიანად და წინანდებურად ვიქნები მისი მონა, მაშინ ყველაზე ნაკლები, რაც შეიძლება მან მე მომცეს — ეს იქნება ტილოს ნაჭერი, რომ სხეული დავიფარო, პური და წყალი, რომ ვიკვებო. როდესაც იგი მე ცოლად შემირთავს, მე ვიქნები მისი მხოლოდ ხასა, რაც მას ისედაც ჰყავს. მაშინაც კი, თუ მე გავხდები მისი ერთადერთი და კანონიერი მეუღლე, მე შემიძლია ვიყო მხოლოდ დედოფალი, რაც მე ვარ ახლა ქრისტიანობის დაკარგვის გარეშეც. რაც შეეხება ჩემს გართობას შაჰის დაპირებებით და სხვა სიამოვნებებით, ჩემი თავისუფლებისა და აყვავების დროს მქონდა ისინი საკმაოზე მეტი, და ვტკბებოდი მათ შორის იმით, რაც ნებადართულია, ხოლო ჩემი მდგომარეობა როგორც ქრისტიანი ქალისა, უფლებას არ მაძლევს ჩავიფიქრო ნებადაურთველი და უსინდისო სიამოვნება, როგორსაც მე მთავაზობს შაჰი. ისე, თუ არ მივაყენებ ზიანს ჩემს პატიოსნებას და მუდმივ ნეტარებას, რომლებსაც მე ჩემი ღმერთი მპირდება, მხოლოდ ერთი ღირსებისათვის, რომელიც მე გამაჩნია, თუმცა მე ვარ მისი მხოლოდ უღირსი და მეტად მორჩილი მონა".

„ყური მიგდეთ ხელმწიფევ! რა მოხდებოდა (რასაც უფალი ღმერთი არ დაუშვებს), თუ ამ დაპირებებით მოხიბლული, მე — დედოფალი, მივალ იქამდე, რომ უნამუსოდ გავწყვეტ კავშირს ღვთაებრივ დიდებასთან, გავწყვეტავ ერთგულების კავშირს, რომლებმაც ნათლობისას დამაკავშირეს მის შვილთან — იესო ქრისტესთან? რას იტყვიან, რას იზამს ყველა დედოფალი, ყველა ქალი და ქალიშვილი, ჩემი სქესის ყველა პიროვნება, რომლებიც ჩემს ქვეყანაში არიან, თუ მათ შეემთხვევათ მსგავსი რამ და თუ მათ ყოველდღე დაემუქრებიან? და პირიქით, ასეთ შემთხვევაში როგორ სიმამაცეს და სრულ აუღელვებლობას იგრძნობენ ისინი, როდესაც მოიგონებენ, რომ მათმა დედოფალმა, მათმა ქალბატონმა, მისი უდიდებულესობა ხელმწიფე ქალმა, აბუჩად აიგდო თავისუფლება მონობისათვის, ნებაყოფლობით გასცვალა მომხიბლავი ცხოვრება სამარცხვინო სიკვდილზე და ყოველივე ეს იმისათვის, რათა მხარი დაეჭირა თავისი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის".

„არა, არა, ხელმწიფევ! თქვენ დროს კარგავთ, შესცვალეთ საუბრის თემა, გვერდზე გადადეთ შაჰის ბრძანების პირველი ნაწილი წინადადებებითა და საჩუქრებით და გადადით მეორე ნაწილზე — სასჯელსა და წამებაზე, რომლებსაც მთელი გულით ვამჯობინებ ჩემი უფლის სიყვარულისათვის".

იმამ ყული ხანმა, რომელიც ძალიან წუხდა, რომ მას ნაბრძანები ჰქონდა შეესრულებინა ქეთევან დედოფლის საწინააღმდეგოდ მიმართული შაჰის სურვილი და სისრულეში მოეყვანა შაჰის განაჩენი, მეტად დამწუხრებულმა დედოფალს უთხრა: „ქალბატონო, გთხოვთ თქვენ, სრულებით ნუ დამდებთ ბრალს თქვენს სიკვდილში, ვინაიდან ჩემი სურვილი და გრძნობა სრულებით შორსაა ამისაგან. მაგრამ თქვენ ისევე კარგად იცით, როგორც მე ჩვენი ხელმწიფის ხასიათი. არ შეიძლება მასთან არც ხუმრობა და არც მის ბრძანების შესრულებისაგან გადახვევა".

„არა, არა, — უპასუხა დედოფალმა, — ვიცი, რომ თქვენი ბრალი არ არის. ვიცი, რომ თქვენ არ შეგიძლიათ სხვანაირად მოიქცეთ. გააკეთეთ ის, რაც გიბრძანეს. მაგრამ მხოლოდ ერთს გთხოვთ: ნება დამრთეთ მოვიწვიო აქ ერთ-ერთი ჩვენი მღვდელი, რათა სიკვდილის წინ შენდობა და ლოცვა-კურთხევა მივიღო მისგან".

იმამ ყული ხანმა ნება დართო, წავიდა და მართლმსაჯულების მსახურებს უბრძანა შაჰის განაჩენის სისრულეში მოყვანა.

დედოფალმა მაშინვე გაგზავნა კაცი პორტუგალიელი ავგუსტინელი ბერების თავშესაფარში, თხოვნით: გამოეგზავნათ მასთან მღვდელი. დედოფალთან მოვიდა პორტუგალიელ მისიონერთა წინამძღვარი მამა

ამბროზიო დუშ ანჟუში. მას ახლდა მეორე მისიონერი, რომელსაც ერქვა ანტონიო. უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან დედოფალი, რომელიც აქამდე ქრისტიანი განდგომილი იყო (სქიზმატიკოსი და ერეტიკოსი სარწმუნოებით ბერძენ-მართლმადიდებელი), ახლა კი კათოლიკედ მოექცა მამა ამბროზიოსგან აღსარების მიღების შემდეგ და უკანასკნელი კურთხევაც მიიღო.

ქეთევან დედოფალმა სახე დაიფარა პირბადით და ჯალათებს ჩაბარდა. მათ გამოიყვანეს იგი ოთახიდან და დიდ დარბაზში შეიყვანეს, გააშიშვლეს ფეხებამდე და შეუკრეს ხელები უკან[182]. ამოიღეს ცეცხლიდან გავარვარებული რკინის მარწუხები და მიადვეს რა იგი მის ერთ-ერთ ძუძუს, დაიწყეს მხეცურად მისი ჩხვლეტა და წვა, სანამ ძუძუ არ მოგლიჯეს. მთელი ამ წამების დროს, დედოფალს არ წამოცდენია სხვა რამ, გარდა შემდეგი სიტყვებისა: „ო, ღმერთო ჩემო! ო, ჩემო იესო! ო, ჩემო მხსნელო! ყველაფერი ეს შენთვისაა“.

ჯალათებმა ამოიღეს სხვა გავარვარებული მარწუხები და მოგლიჯეს და მოკვეთეს მეორე ძუძუ ისე რომ, უკვე გამოჩნდა მისი ნეკნები და შიგნეულობა. გაგლეჯილი მკერდიდან სისხლი ჩამოდიოდა და ფარავდა მის სხეულს. ამის შემდეგ მათ კვლავ ამოიღეს გავარვარებული მარწუხები და დაიწყეს ხორცის გლეჯვა შიგნიდან და ბარძაყიდან, მკლავებიდან და ფეხებიდან. ყოველი ამ წამების დროს დედოფალი იმეორებდა: „ღმერთო ჩემო! ყოველივე ეს ცოტაა შენთვის. ო, ჩემო მხსნელო, მე არ შემიძლია მიტოვებული ვიყო შენგან. სიცოცხლე — სიცოცხლისათვის, სისხლი სისხლისათვის, შენი სიყვარულისათვის, ვინაიდან ჩემი სიყვარულისათვის შენ მკვდარი ხარ...“ იესო ქრისტეს ამ წმინდა მსახურმა არც ერთხელ არ შესჩივლა წამების გამო. იგი არაფერს არ შეუშინდა.

ამ წმინდა დედოფლის სხეული, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, გამოიტანეს დარბაზიდან და გაიტანეს იმ ადგილზე, სადაც დანთებული იყო დიდი კოცონი, რომელზეც შეაგდეს იგი ნახევრად მკვდარი. იგი მაშინვე შთანთქა ალმა და ძლიერმა აგიზგიზებულმა ნაკვერჩხალმა.

ამრიგად, იესო ქრისტეს ამ ძვირფასი მსხვერპლის სხეული მთლიანად შთანთქა ცეცხლმა, ხოლო რამდენიმე ქრისტიანმა, რომლებიც იმ დროს იქ იმყოფებოდნენ, შეაგროვეს და დააწყვეს დედოფლის

---

[182] სხვა საბუთებიდან ვიცით, რომ დედოფალმა ნება არ დართო ხელები უკან შეეკრათ, როგორც ამას აკეთებენ მაჰმადიანების მიმართ, არამედ შეაკვრევინა წინ, რათა საჭიროებისას აღემართა ხელები უფლისათვის.

ძვლები ერთად. მათ არ დაჰკარგეს სხეულის არც ერთი ნაწილი და მათ მიერ შერჩეულ ადგილას დამალეს[183].

დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის[184] ამბავმა მაშინვე მიაღწია მისი შვილის — თეიმურაზ ხანის ყურამდე, რომელსაც ისე უყვარდა ეს კეთილშობილი დედა, როგორც იგი ამას იმსახურებდა. თეიმურაზმა ძლიერ განიცადა დედის მოწამებრივი სიკვდილი.

თეიმურაზ მეფემ მაშინვე გაუგზავნა შაჰ აბასს დესპანი და თხოვა მის უდიდებულესობას, რაკი ცოცხალი დედა არ დაუბრუნა, დაებრუნებინა იგი მკვდარი მაინც. შაჰ აბასი შეჰპირდა, რომ ამ თხოვნას შეუსრულებდა. თითქოს, შაჰ აბასმა გასცა განკარგულება, მოენახათ ქეთევანის ნეშტი და გაეგზავნათ თეიმურაზისათვის, მაგრამ შაჰის შიშით ვერავინ გაბედა ეთქვა, თუ სად ინახებოდა ქეთევან დედოფლის ცხედარი. შაჰ აბასმა შეუთვალა თეიმურაზ მეფეს, რომ ქეთევან დედოფლის ცხედარი მოიპარეს ქრისტიანებმა და არ იციან სად ინახება.

„ქეთევან დედოფლის მოძღვარმა ამბროზიომ დედოფლის თავის ქალა გაუგზავნა მის შვილს თეიმურაზ მეფეს[185], რომელმაც მიიღო იგი მწუხარებით და ცრემლებით, იმავე დროს უმაგალითო სიხარულით სარწმუნოებაში სიმტკიცის გამო. ამ გზით ავგუსტინელმა მისიონერებმა შეძლეს იბერიაში წასვლა, სადაც თეიმურაზმა ბრძანა აეგოთ

---

[183] არა ერთი საბუთი ადასტურებს, რომ ქეთევან დედოფლის ცხედრისათვის იქ დამსწრეთაგან არავის უხლია ხელი. ამის უფლებას არავის მისცემდნენ. სპარსელებმა მისი ნეშტი საიდუმლოდ ჩამარხეს ღრმა ორმოში ხანის ბრძანებით.

[184] ქეთევან დედოფლის წამებას ჩვენ ყველგან ვუწოდებთ „მოწამებრივ სიკვდილს“ და არა მარტვილობას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად გვესმის „მარტვილობის“ მნიშვნელობა: მარტვილი — მოწამე, წამებული (ს.-ს. ორბელიანი); მარტვილი — მოწამე, ტანჯული (ნიკო ჩუბინაშვილი); მარტვილობა — მოწამეობა, წამება (ილია აბულაძე); მარტვილი — ქრისტიანული რელიგიისათვის ტანჯული (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი); მარტვილობა — წამება, გვემა და სხვ.

ქეთევან დედოფლის წამებას ყველაზე უფრო შეეფერება ვუწოდოთ მოწამებრივი სიკვდილი. ეს გამოთქმა ქეთევან დედოფლის წამების მიმართ ჩვენში ტრადიციულად დადასტურებულია. იხ. ი. ტაბაღუა, ვითარ ავემაღლებინე? ისევ ქეთევან დედოფლის სიწმინდესა და სისპეტაკეზე, გაზ. „კომუნისტი“, 1986. 17 მაისი.

[185] 1628 წლის მაისში მამა ამბროზიო დუშ ანჯუშმა თვითონ ჩაუტანა დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი თეიმურაზ მეფეს. იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 134.

მათთვის ეკლესია, რომელშიც დედამისის თავის ქალა უნდა მოეთავსებინათ[186] ოქროს კიდობანში«[187].

ასეთია კლოდ მალენგრის ზემოხსენებული მოთხრობის სრული შინაარსი.

პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერები, რომლებიც აქ არაერთხელ ვახსენე და რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქეთევან დედოფლის ბედ-იღბლით, დაკავებული იყვნენ არა მარტო ქეთევან დედოფლის ნეშტის მოვლა-პატრონობით, არამედ მათ კიდევ ორი მიზანი ჰქონდათ დასახული: ერთი, რაც მთავარი იყო, მიეღწიათ ვატიკანის მიერ ქეთევან დედოფლის წამებულ წმინდანად აღიარებისათვის[188] და, მეორე, გამოეყენებინათ დედოფლის ნეშტის ერთი ნა-

---

[186] ქეთევან დედოფლის ნეშტის ეს ნაწილი, თეიმურაზ მეფის განკარგულებით დაასვენეს ალავერდის ტაძარში.

[187] ერთხელ უკვე ვილაპარაკე ქეთევან დედოფლის ნეშტის ბედის შესახებ (იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 130—137). ქ. გოაში (ინდოეთი), წმ. ავგუსტინეს ა გრასას მონასტერში, შავი ქვის კუბოში ჩადებული და კაპიტოლის მეორე ნიშში შენახული ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი, ალბათ, დღესაც განისვენებს ამ მონასტრის ნანგრევების ქვეშ: მამა მორჩილი ძმა გილერმ დე სანტო აგოშტინოსა და მამა მორჩილი ძმა იერონიმო და კრუზას ძვლების გვერდით.

დღემდე ცნობილი არაა, თუ რა ბედი ეწია ღვთისმშობლის მინიატურულ ხატს, რომელიც პიეტრო დელა ვალეს მეგობრებმა საჩუქრად გაუგზავნეს ქეთევან დედოფალს. იგი 1628 წლის მაისში ამბროზიო დუშ ანჟუშმა გორში ჩაიტანა და თეიმურაზ მეფეს გადასცა. დაკარგულია ასევე რამდენიმე პანო, სადაც გამოსახული იყო ქეთევან დედოფლის წამების სურათები. ისინი გოაში იყიდეს პედრო დუშ სანტოშმა და მისმა მეგობრებმა და გორში მეორედ ჩასვლის დროს (1629 წ.) პედრო დუშ სანტოშმა თეიმურაზ მეფეს გადასცა. ამბობენ, რომ არსებობდა დახატული სურათი, სადაც გამოსახული იყო 1613 წელს განჯაში შაჰთან ქეთევან დედოფლის შეხვედრა. 1618 წლის მაისში იგი ქ. აშრაფში უნახავს პიეტრო დელა ვალეს. დაკარგულია ქეთევან დედოფლის ორი წიგნი — ლოცვანი: ერთი ლათინურ ენაზე, ხოლო მეორე პორტუგალიურ ენაზე, რომელთა კიდეებზე დედოფალი მინაწერებს და შენიშვნებს აკეთებდა. ეს წიგნები მან ბერი გიორგის საშუალებით პიეტრო დელა ვალეს უძღვნა. ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ოქროს მედალიონი, XII საუკუნით დათარიღებული. მის ზურგზე არის ქართულად მინაწერი, სადაც მოხსენიებულია ქეთევან დედოფალი. მინაწერი ასევე აზუსტებს, რომ ეს რელიქვია შეიცავდა ნამდვილი ჯვრის ნაწილს. ამ მედალიონს ქეთევან დედოფალი სიკვდილამდე ატარებდა.

[188] სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის წამებული ქეთევან დედოფალი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა. პორტუგალიური კალენდრის მიხედვით, ქეთევან დედოფალმა მოწამებრივი სიკვდილი განიცადა 22 სექტემბერს (1624 წ.). ეს კალენდარი 10 დღით უსწრებს პაპი გრეგორიო XIII-ის რეფორმის შედეგად მიღებულ (გრეგორიანულ) კალენდარს, როდესაც დღემ გადაინაცვლა 1582 წლის 5 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე. ეს კალენდარი მაშინვე მიიღეს კათოლიკურმა ქვეყნებმა, ხოლო გერმანიამ — 1700 წელს, ინგლისმა — 1752 წელს, შვეციამ —

წლის ჩატანა მის შვილ თეიმურაზ მეფესთან საქართველოში და იქ პორტუგალიელ ავგუსტინელ მისიონერთა მისიონი დაეარსებინათ. მეორე ამოცანა შედარებით ადვილი აღმოჩნდა, ხოლო პირველი, უფრო ძნელი, მიუღწეველი.

მართალია, წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კოლეგიის კარდინალები ქეთევან დედოფლის წმინდანთა თანაშერაცხვისათვის, კათოლიკედ მისი მოქცევის დამადასტურებელ საბუთს მოითხოვდნენ და ეს სწორიც იყო, მაგრამ მთავარი მაინც ის აღმოჩნდა, რომ კარდინალთა ეს კოლეგია, ცუდ ურთიერთობაში იყო გოასა და ისფაჰანში მოღვაწე წმიდა ავგუსტინეს ორდენის ბერებთან, რომლებიც ქეთევან დედოფლის შესახებ ასეთი წინადადებით მიმართავდა რომის პაპს[189].

როგორც უკვე ითქვა, გოაში და ისფაჰანში მოღვაწე ავგუსტინელი მისიონერების მოქმედება ხშირად სცილდებოდა მათთვის დადგენილ საზღვრებს. გარდა, ამისა, ისინი ვატიკანთან წინდაწინ შეთანხმების გარეშე მოქმედებდნენ. ვატიკანს მომხდარი ფაქტის წინაშე აყენებდნენ იმ იმედით, რომ შემდგომში იგი იძულებული იქნებოდა მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი ვატიკანს დაედასტურებინა. საქართველო ამ მისიონერების მოღვაწეობის ცენტრიდან — გოადან (ინდოეთი) ძალიან შორს იყო და ამდენად, საქართველოში მისიონის დაარსებისათვის მათ წინდაწინ რომიდან ნებართვა უნდა მიეღოთ.

როდესაც ისფაჰანში წმ. ავგუსტინეს მონასტრის წინამძღვარმა მანოელ და მადრე დე დეუსმა შირაზიდან შესანახად მიიღო ქეთევან დედოფლის ნეშტი, მან მაშინვე გადაწყვიტა ესარგებლა ამ მომენტით და საქართველოში ავგუსტინელი ბერების მისიონი დაეარსებინა. მან

1753 წელს, რუსეთმა — 1900 წლის 1 მარტს. რამდენადაც ქართველებმა თავისი კალენდარი შეინარჩუნეს, 22 სექტემბერი შეესაბამება 12 სექტემბერს. მაგრამ ქართული ეკლესია ქეთევან დედოფლის მოწამებრივ სიკვდილის ლიტურგიულ დღესასწაულს აღნიშნავს ახ. სტ. 13 სექტემბერს (ძვ. სტ. 26 სექტემბერს) — „წმ. დიდისა მოწამისა, საქართველოს მნათობისა, კახეთის დედოფლისა ქეთევანისა". იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985, თბ., 1985, გვ. 91.

[189] გოასა და ისფაჰანში მოღვაწე წმიდა ავგუსტინეს ორდენის მისიონერებისადმი, წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალების უარყოფითი დამოკიდებულება იქიდანაც ჩანს, რომ კარდინალთა კოლეგიამ დიდხანს არ უპასუხა გოას პროვინციის ავგუსტინელთა ეიკარიუს ჟოანო და როშას წერილზე, სადაც იგი ითხოვდა საქართველოში მისიონის დაარსებას. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ — 1629 წლის 30 იანვარს განიხილა კოლეგიამ და ნება დართო, მაგრამ ეს მისიონი უკვე 1628 წლის მაისიდან არსებობდა გორში. მხოლოდ 1629 წლის 8 თებერვალს უპასუხა წმიდა კონგრეგაციის მდივანმა ფრ. ინგოლიმ ჟოანო და როშას. 1629 წლის აგვისტოში წმიდა კონგრეგაციამ ნება არ დართო ისფაჰანში მყოფ პორტუგალიელ მისიონერებს დაეწყოთ ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის მიზეზების გამოძიება.

გოაში გაგზავნა ამბროზიო დუშ ანჟუში, რათა მათი არქიეპისკოპოსისაგან მიეღოთ ნებართვა ამ მიზნით საქართველოში ავგუსტინელი ბერების გაგზავნის შესახებ. გოას არქიეპისკოპოსი ადვილად დათანხმდა ამ წინადადებაზე. მათ გადაწყვიტეს ვატიკანი მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინათ, მაგრამ ამან უფრო გააუარესა მათი ურთიერთობა პაპთან და კარდინალთა კოლეგიასთან.

ამ ავგუსტინელმა ბერებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში მათი მისიონის დაარსებას დიდად შეუწყობდა ხელს ქეთევან დედოფლის გამოცხადება კათოლიკური ეკლესიის წამებულად. ამიტომ, ამ საკითხის დადებითად გადაჭრის მიზნით, მათ გადაწყვიტეს ორი გზით ემოქმედათ: ერთი მხრივ, პაპისათვის ეთხოვათ ქეთევან დედოფლის წმინდანად გამოცხადება, ხოლო მეორე მხრივ, განეგრძოთ მოქმედება საქართველოში ავგუსტინელი ბერების მისიონის დაარსებისათვის.

როგორც უკვე ითქვა, ავგუსტინელი მამა ამბროზიო დუშ ანჟუში და მორჩილი ძმა პედრო დუშ სანტოში ისფაჰანიდან გაემგზავრნენ და 1628 წლის 11 მაისს გორში ჩავიდნენ. მათ თეიმურაზ მეფეს ჩააბარეს წამებულ ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი და მეფისაგან მიიღეს ნებართვა გორში დარჩენილიყვნენ და შედგომოდნენ თავიანთ სამისიონერო მოღვაწეობას. ამის შესახებ რომში არაფერი იცოდნენ.

გარდა ამისა, ვატიკანში ცნობა მივიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე ფეხშიშველ კარმელიტ და ავგუსტინელ მისიონერებს შორის მეტოქეობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ვატიკანის კარდინალებმა, ცხადია, მხარი დაუჭირეს „პაპის ელჩებს" — ფეხშიშველ კარმელიტ ბერებს და არა „პორტუგალიის ბეგის" (ასე უწოდებდნენ გოას წმიდა ავგუსტინეს მონასტრის არქიეპისკოპოსის მიერ სპარსეთში გაგზავნილ მისიონერებს) ელჩებს. ამასთანავე, ვატიკანს დიდი ხანია თვალი ეჭირა საქართველოზე და იქ გასაგზავნად უკვე სხვა მისიონერებს (თეატინელ მისიონერებს) ამზადებდა.

წამებული ქეთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად გამოცხადების საქმეში ავგუსტინელმა მისიონერებმა პაპის წინაშე შუამდგომლობა და დახმარება თხოვეს სომხეთში მოღვაწე დომინიკანელ გრეგორიო ორსინის, რომელიც ამ დროს ერევნიდან რომში ბრუნდებოდა. რომისკენ მიმავალი, 1624 წლის 19 სექტემბერს იგი ისფაჰანში ჩავიდა. იქ რამდენიმე დღე დარჩა და ამ დროს გაიგო ქ. შირაზში ქეთევან დედოფლის წამების ამბები. ავგუსტინელმა მისიონერებმა სწორედ მას გაატანეს ვატიკანში წარსადგენად „ნამდვილი ცნობები" ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. გრეგორიო ოსინის შეეძლო ეს „ნამდვილი ცნობები" უცვლელად პირდაპირ ვატიკანისთვის ჩაებარებინა, ან კიდევ, მათ საფუძველზე

შეადგინა ახალი მოხსენებითი ბარათი და იგი გადაეცა კარდინალთა კოლეგიისათვის.

ამასობაში, ვატიკანში, გოაში წმიდა ავგუსტინეს მონასტრის არქიეპისკოპოსისაგან მიიღეს ცნობა საქართველოში ავგუსტინელ ბერთა მისიონის დაარსების შესახებ. ცხადია, ვატიკანში ეს არ მოეწონათ. მით უფრო, რომ ამ დროისათვის კარდინალთა კოლეგიამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში თეატინელთა მისიონერების გაგზავნის შესახებ. მალე ისინი საქართველოში გაემგზავრნენ და 1628 წლის 14 დეკემბერს გორში ჩავიდნენ.

ასეთ ვითარებაში ვატიკანი განგებ აყოვნებდა პასუხს ავგუსტინელ მისიონერთა თხოვნაზე ქეთევან დედოფლის წმიდანთა თანაშერაცხვის შესახებ. სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის წამებული ქეთევან დედოფალი, სამწუხაროდ, ავგუსტინელ მისიონერებსა და ვატიკანის კარდინალებს შორის ინტრიგის საგანი გახდა.

ვატიკანმა ავგუსტინელებისაგან მოითხოვა დასაბუთებული პასუხი კითხვებზე: მიიღო თუ არა კათოლიკობა ქეთევან დედოფალმა? აღიარა თუ არა მან პაპისადმი მორჩილება? ყველაზე უფრო ამის დამტკიცება შეეძლო მამა ამბროზიო დუშ ანჟუშს, რომელიც დედოფალთან ახლო ურთიერთობაში და მისი მოწამებრივი სიკვდილის უშუალო მხილველი იყო. თავის წერილებში იგი ხომ დედოფალს კათოლიკე წმინდანად მიიჩნევდა. ასეთივე აზრისა იყო ავგუსტინელი წინამძღვარი ისფაჰანში მანოელ და მადრე დე დეუსი, პიეტრო დელა ვალე და, ალბათ, გრეგორიო ორსინიც. ქეთევან დედოფლის წმიდანად აღიარებას მხარი დაუჭირა პაპის ნუნციომ პარიზში, რომელმაც ისფაჰანელი ავგუსტინელი მისიონერების თხოვნით, ამის შესახებ იშუამდგომლა პაპის წინაშე.

„ნამდვილ ცნობებში“, რომელიც ავგუსტინელმა მისიონერებმა რომში გააგზავნეს, მამა ამბროზიო დუშ ანჟუში წერდა: „როდესაც დედოფალს ელაპარაკებოდნენ რომის ეკლესიაზე, პაპზე, როგორც რომის ეკლესიის მეთაურზე, ყოველივე ამას იგი დიდი სიხარულით აღიქვამდა და დიდ ნუგეშისცემას ამჟღავნებდა. როცა ისმენდა ამბროზიოს საუბარს, დედოფალი მას ეუბნებოდა, რომ იგი პაპში ხედავს დიდ კათოლიკეს... დედოფალმა სიკვდილის წინ აღსარების სათქმელად მიიხმო კათოლიკე მღვდელი, დადიოდა ჩვენს ეკლესიაში წირვის მოსასმენად და სალოცავად. ასევე იგი სიამოვნებით ღებულობდა რომის პაპის მიერ ნაკურთხ ჯვრებს და მედალიონებს. თავისი სახლის სამკაულებით ეხმარებოდა ჩვენს ეკლესიას დღესასწაულების ჩატარებაში. ყოველივე ეს მიუთითებს მის სულიერ კათოლიკობაზე. ასევე იგი ამჟღავნებდა ჩვენი საერთო სჯულის (კათოლიკობის) აღიარებას, რის-

თვისაც იგი მოკვდა მას შემდეგ, რაც აღსარება თქვა და ზიარება მიიღო".

სხვა ადგილას მამა ამბროზიო დუშ ანჟუში წერდა: „იგი (ქეთევან დედოფალი) დიდი სიყვარულით იყო განწყობილი წმინდა კათოლიკური ეკლესიისადმი და ყველა ლათინელთა მიმართ. ადასტურებდა რა მათ მიმართ მხურვალე სიყვარულს და ეხმარებოდა მათ რითაც კი შეეძლო". ქეთევან დედოფლის კათოლიკედ მოქცევის შესახებ არსებობს სხვა აზრიც. აი ზოგიერთი მათგანი: „პორტუგალიის აზიის" ავტორი მანოელ დე ფარია ე სუზა წერს: „არ იყო ცხადად დადასტურებული, განაცხადა თუ არა ქეთევან დედოფალმა მორჩილება რომის პაპისადმი"[190]. იგივე ავტორი წერს, რომ „ქეთევან დედოფალი კათოლიკურ სამხვერპლოზე იყო მეორე მარი სტიუარტი... იგი დაიტანჯა ისეთი წამებით, რომელთაგან თითოეული ბევრ წამებულს დიდებით შემოსავდა". „სპარსეთის ხელმწიფემ შაჰ აბასმა, — წერს მეორე ავტორი ბარბოზა მაშადო, — ეს დედოფალი მოაკვლევინა იმიტომ, რომ მან არ ისურვა მაჰმადიანობა მიეღო"[191]. ერთ-ერთ წიგნში ჩამოთვლილ წამებულთა, ნეტართა და ღირსეულთა შორის მოხსენიებულია ქეთევან დედოფალი და მის შესახებ ნათქვამია: „ქეთევან დედოფალი იყო წმიდა ავგუსტინეს ორდენის მორჩილ ძმათა მოწაფე და და... ქრისტეს სარწმუნოებისათვის წამებული".

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ა გრასას მონასტრის კედლებზე აღმოჩენილ პანოზე გამოსახულია ქეთევან დედოფლის მოწამებრივ სიკვდილთან დაკავშირებული სცენები და ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია მამა ამბროზიოს დუშ ანჟუშის წინაშე დაჩოქილი ქეთევან დედოფალი აღსარების თქმის მომენტში. სურათის ქვემოთ წარწერაა: „ღირსეული ქალბატონი ქეთევანი, საქართველოს დედოფალი, წმინდა ავგუსტინეს ორდენის სულიერი და და ქალიშვილი".

იქნებ, ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის შირაზში წამებულ ქეთევან დედოფლის წმინდანთა თანაშერაცხისათვის სრულიად საკმარისი იყო ყოველივე ზემოთ აღნიშნული, მაგრამ კარდინალთა კოლეგიას არ სურდა ეს გაკეთებულიყო ავგუსტინელ მისიონერთა ინიციატივით, რომლებთანაც მას უთანხმოება ჰქონდა[192].

---

[190] M a n o e l de F a r i a E S o u s a, Asia Portugesa, Porto, 1947, vol. VI, p. 217; R. G u l b e n k i a n, Op. cit., p. 57.

[191] Barboza Machado.

[192] ქეთევან დედოფლის ისტორიას ამით არ ვამთავრებთ. კიდევ მოგვეპოვება არა ერთი დოკუმენტი ვატიკანის არქივებში მოპოვებული და დღემდე გამოუქვეყნებელი, რომლებიც სამშობლოსათვის ამ თავდადებულ, გმირ ქალბატონს შეეხება, მაგრამ ვამჯობინეთ ეს საბუთები განგვეხილა ქრონოლოგიურად, იმ ამბებთან დაკავშირებით, როდესაც ესა თუ ის საბუთი შედგა. იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, კიდევ ერთი ცნობა ქეთევან დედოფლის შესახებ, გაზ. „კომუნისტი", 1985, 20 ოქტომბერი.

თავი 1

კათოლიკე მისიონერები საქართველოს შესახებ 1628—1630 წწ.

1628 წლის 14 დეკემბერს თეატინელი მისიონერები — დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო გორში ჩავიდნენ[1]. ასე „დაიწყო თეატინელი მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში“[2].

იტალიიდან საქართველოში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს (1626 წლის 2 დეკემბრიდან — 1628 წლის 14 დეკემბრამდე) გადატანილ სიძნელეებსა და პირველ ხანებში ამ მისიონერების ქართლში მოღვაწეობაზე მოთხრობილია დონ პიეტრო ავიტაბილეს ორ ვრცელ წერილში: ერთი, 1629 წლის 12 მარტს მან გორიდან რომში პიეტრო

---

[1] Silos Iosepho Bituntino, Historiarum Clericorum Regolarium a Congregatione condita Pars Altera..., Romae, MDCLV, p. 597 (=Silos,... Historiarum Clericorum,...); Archangelo L'amberti, Colchide Sacra, Napoli, 1657, p. 97 (Arch. Lamberti, Colchide Sacra...); P. Don Bart. Ferro, Chierico Regolare, Ferrarese, Istoria delle Missioni de'Chierici Regolari, Teatini. Divise in tre Parti, t. I: De'Quattro Regni delle Georgia: Iberia, Odisci, Guriel, Imereti, Romae, 1704, pp. 88—89 (=P. D. Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni...); M. Tamarati, L'Eglise Géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 508; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 100; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II (1600—1628 წწ.), თბ. 1985, გვ. 200—219.

[2] Ambr. Eszer O. P., Ogostinos Bajênç O. P. als Oberhirte von Naxijêwan. „Archivum Fratrum Praedicetorum“, 1977, XLVII, S. 189 (=Eszer O. P., Ogostinos Bajênç O.P....); Ambr. Eszer O. P., Der Bericht des Gregorio Orsini O. P., Veber die Ieander des nachen und Mittleren Ostens, „Archivum Fratrum Praedicatorum“, 1975, 45; Ambr. Eszer O. P., Paolo-Angelo Cittadini O. P. (O. Cart.) Neue Forschungen zu seinen Lenden und zur Geschicte des Erzbistums Maxijêwan, „Archivum Fratnum Praedicatorum“, 1969, 39; Josef Metzler, Fondation of the Congregation de Propaganda Fide by Gregorio XV, „Sacrae Congregationis De Propaganda Fide, Memoria rerum 1622—1972“, vol. I/I, Rom, Freiburg, Wien, 1972, pp. 79—111 (=Memoria rerum,...).

დელა ვალეს გაუგზავნა[3], ხოლო მეორე — იმავე წლის 28 მარტს — წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს[4].

როგორც უკვე ითქვა[5], იტალიელ კათოლიკე მისიონერთა პირველი ცდა ჩასულიყვნენ საქართველოში, უშედეგოდ დამთავრდა. 1626 წლის 2 დეკემბერს სამი თეატინელი მისიონერი (დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო, დონ ჯოვანი ფილომია) ქ. მესინადან (კუნძული სიცილია) გემით კონსტანტინოპოლში გაემგზავრნენ. 1627 წლის 13 მარტს ისინი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, მაგრამ თურქებმა მათ ჯაშუშობა დასწამეს და დააპატიმრეს.

„კონსტანტინოპოლიდან უკვე გატყობინებდით“, — სწერდა დონ პიეტრო ავიტაბილე წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს 1629 წლის 28 მარტს, — იმ დაბრკოლებებსა და შეუძლებლობებზე, რომლებიც იქ (თურქეთში. — ი. ტ.) აღმოჩნდა, რომ გზა განგვეგრძო და, იმის შესახებაც, თუ როგორ გადავურჩით სიკვდილს მისი უქრისტიანესი უდიდებულესობის (საფრანგეთის მეფის ლუი XIII-ის. — ი. ტ.) ბატონი ელჩის მფარველობის შემწეობით. მაგრამ იმ პირობით, რომ იმავე გემის კაპიტანი (კოსმო ორლანდი. — ი. ტ.), რომელმაც ჩვენ იქ ჩაგვიყვანა, უკანვე იტალიაში დაგვაბრუნებდა. ამრიგად, ჩვენ იძულებული გავხდით იქიდან დავბრუნებულიყავით სიცილიაში. საიდანაც (1626 წლის 2 დეკემბერს. — ი. ტ.) გემით გავემგზავრეთ“[6].

1627 წლის 28 სექტემბერს, ზემოხსენებული იტალიელი მისიონერები, კვლავ მესინაში იყვნენ. იმავე წლის დეკემბერში დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო (დონ ჯოვანი ფილომია ავადმყოფობის გამო მესინაში დარჩა), რომიდან მიღებული ახალი განკარგულების თანახმად, მესინადან კუნძულ მალტაზე გაემგზავრნენ, „სადაც ალექსანდრიისაკენ მიმავალ გემში ჩავჯექით, ხოლო იქიდან, იძულებული შევიქენით, ხანგრძლივი შემოვლითი გზით (რათა ვინმესთვის ცნობილი არ გამხდარიყო ჩვენი მგზავრობა) ბაგადეტლის[7]

---

[3] Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito di Pietro Della Valle col. P. Avitabile i Missionari teatini della Georgia, „Regnum Dei. Collectanea Theaina“. Anno VI, Julio—Decembri. № 23—24, pp. 96—99 (=Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito...).

[4] Archivio della Sacra Congregatione de Propaganda Fide, Scritture Originali riferite nelle Congregazione Generali, vol. 115, ff. 388—390v° (=Archivio della SCPF, SOCG, vol...); ი. ტაბაღუა, „ჩავედით... ქართველთა ქვეყანაში“, გაზ. „კომუნისტი“, 1985 წ. 2 ივნისი.

[5] იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 218.

[6] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 388.

[7] ტექსტში წერია: „il deserto verso Bagadetli“.

უდაბნოში მივსულიყავით და იქიდან, ისევ შემოვლითი გზით, ისფა-ჰანისკენ გავწიეთ" — ატყობინებდა რომს დონ პიეტრო ავიტაბილე.

ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობით მეტად დაღლილი თეატინე-ლი მისიონერები, ისფაჰანში ფეხშიშველმა კარმელმა და ავგუსტინელ-მა მისიონერებმა კარგად მიიღეს, დააბინავეს და დაასვენეს. დონ პიეტრო ავიტაბილეს წერილიდან ჩანს, რომ თეატინელი მისიონერები ერიდებოდნენ სპარსეთის შაჰთან შეხვედრას, რომელიც იმ დროს ყაზ-ვინში ყოფილა.

თეატინელი მისიონერები ისფაჰანში შეხვდნენ კათოლიკე მისიო-ნერების პრეფექტს წმინდა მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს, ფეხშიშველ კარმელთა ორდენიდან, რომელიც ერთ დროს, შაჰ აბას პირველის დავალებით თეიმურაზ მეფესთან იყო კახეთში[8]. ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეომ თეატინელ მისიონერებს გააცნო საქართვე-ლოს პოლიტიკური მდგომარეობა. ისფაჰანში მყოფმა სხვა მისიონე-რებმაც მიაწოდეს მათ საქართველოზე საინტერესო ცნობები.

თეატინელმა მისიონერებმა „ისარგებლეს რა ამ წმინდა მამების უდიდესი კაცთმოყვარეობით, დაისვენეს ისფაჰანში და ძალა მოიკ-რიბეს. მიიღეს რა ასევე ცნობები საქართველოს შესახებ ზემოხსენე-ბული წმინდა მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოსაგან, მათ უკვე გა-დაწყვიტეს წასვლა. შეკრეს თავიანთი ბარგი. სათანადო მადლობა გა-დაუხადეს წმინდა მამებს და 1628 წლის 11 ოქტომბერს თავრიზის მიმართულებით გზას გაუდგნენ"[9].

ისფაჰანიდან საქართველოსკენ მიმავალ მისიონერებს ახალი სიძნე-ლეები შეხვდათ. „თქვენო აღმატებულებავ, — სწერს დონ პიეტრო ავიტაბილე პიეტრო დელა ვალეს, — თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რამდენად დიდი იყო ფათერაკები, რომლებიც ჩვენ გზაში გადავიტა-ნეთ: დაცინვა, რომელიც ჩვენ სპარსელებისაგან განვიცადეთ, როგორც კი ისფაჰანიდან გავედით. ამიერიდან ჩვენი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. სპარსელებმა წაგვართვეს იმაზე მეტი ფუ-ლი, ვიდრე შეთანხმებული ვიყავით. გვეუბნებოდნენ, რომ თუ ჩვენ თვითონ არ მივცემდით ამ ფულს, ისინი ძალით წაგვართმევდნენ. სიკვდილით გვემუქრებოდნენ".

1628 წლის 22 ნოემბერს თეატინელი მისიონერები თავრიზიდან გავიდნენ და ალინჯასაკენ (სადაც ავგუსტინელთა ორდენის მისიონი

---

[8] P. Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni p. 81. იგულისხმება ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს ჩასვლა კახეთში თეიმურაზ მეფესთან 1611 წელს შაჰ აბასის დავალებით, რათა შაჰის სამძიმარი გადაეცა თეიმურაზ მეფისათვის მეუღლის გარ-დაცვალების გამო. იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 20.

[9] P. Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 84.

არსებობდა) გაემგზავრნენ. იქ დიდხანს არ დაყოვნდნენ და მალე ერევანში ჩავიდნენ. ერევანში ისინი ერთმა კეთილმა სომეხმა თავის ოჯახში დააბინავა. ამ სომეხს ერთი რჯულგანდგომილი, გამაჰმადიანებული ძმა ჰყავდა, რომელიც სპარსელებს ემსახურებოდა.

ერთხელ მისიონერებმა გადაწყვიტეს კეთილი მასპინძლისათვის პატარა საჩუქარი მიეცათ. მათ გახსნეს ბარგი და იქიდან ერთი პატარა თორმა ამოიღეს. დაინახა თუ არა ეს იმ რენეგატმა სომეხმა, იფიქრა, რომ ეს თორმა სავსე იყო ოქროს ფულებით. იგი მაშინვე გაიქცა და ქალაქის ხანს აცნობა, რომ საქართველოსაკენ მიმავალ იტალიელ მისიონერებს ოქრო და სხვა ძვირფასი საჩუქრები მიაქვთ თეიმურაზ მეფესთანო. ხანმა მაშინვე მიიღო ზომები. მით უფრო, რომ ოქროთ ვაჭრობა და ოქროს გატანა სპარსეთიდან კანონით აკრძალული იყო. მისიონერები დააპატიმრეს, ყველაფერი ჩამოართვეს და მათი საქმე სასამართლოს გადასცეს[10].

„ჩვენზე უკანასკნელი შეტევა ეშმაკებმა ერევანში მიიტანეს, — წერდა დონ პიეტრო ავიტაბილე, — როდესაც საქართველოდან სულ რაღაც ათი დღის სავალზე ვიმყოფებოდით. იქ აღმოგვაჩინეს, შეგვიპყრეს და საშინელი ძალადობით სიბნელეში ჩაგვაგდეს, ხოლო შემდეგ სასამართლოს წინაშე წაგვიყვანეს. ჩვენი ბარგი გახსნეს, საგნები აღწერეს, ხოლო ჩვენ სიკვდილის დასჯის განაჩენით გვემუქრებოდნენ“.

ამრიგად, თეატინელი მისიონერები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ცრუ მოწმეები. განსაკუთრებით აქტიურობდა ზემოხსენებული სომეხი რენეგატი. იგი ამბობდა, რომ მან არაერთხელ მოისმინა ამ მისიონერების საუბარი იმის შესახებ, რომ „მათ სძულთ სპარსელების კანონები“ და ამასთანავე, ისინი თითქოს, სპარსელების (შიიტების) წინასწარმეტყველს აგინებდნენ.

თეატინელი მისიონერები ყველა ამ ბრალდებას მტკიცედ უარყოფდნენ და მიუთითებდნენ მოწმეების სიცრუეზე. მაგრამ რენეგატი სომეხი არ ეშვებოდა. ამ რენეგატმა „მათ ბრალი დადო მისი უდიდებულესობისადმი (სპარსეთის შაჰისადმი. — ი. ტ.) შეურაცხყოფის მიყენებაში და მოითხოვა მათთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა თავის მოკვეთით“.

გარეგნულად მათი დანაშაული ასე გამოიყურებოდა, შენიშნავს დონ ბართ. ფერო, მაგრამ სინამდვილეში მთავარი იყო მათი რელიგი-

---

[10] ეს მომენტი აღწერილი აქვს არქ. ლამბერტის თავის წიგნში „წმინდა კოლხეთი“. იხ. Arch. Lamberti, Colchide Sacra, pp. 92—95. ჩვენ კი ვსარგებლობთ დონ პიეტრო ავიტაბილეს წერილებით და დონ ბართ. ფეროს წიგნიდან ამოღებული მასალებით. იხ. Don Bart. Ferro, Istoria delle Missioni, pp. 86—87.

ური მრწამსი — ქრისტიანობა და მათი ქადაგება მიმართული ისლამის წინააღმდეგ. რენეგატი სომეხი ამაზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ სასამართლოს რელიგიაზე უფრო პოლიტიკა აინტერესებდა.

მოსამართლე, — განაგრძობს დონ ბ. ფერო, — „სულ უფრო საქართველოს შესახებ უსვამდა კითხვებს თეატინელ მისიონერებს: ხომ არ მიდიან ისინი მოურავთან? მოურავი იყო ქართველი. მან შეცვალა ქრისტიანობა, რომელსაც დაბადებიდან აღიარებდა; იგი იყო ძლევამოსილი მეომარი და თავი გამოიჩინა როგორც სპარსელების დაუძინებელმა მტერმა. თავისი ეშმაკური ხერხებით ზედიზედ ათასობით სპარსელი დახოცა. ალბათ, შეუძლებელი იყო სპარსეთის შაჰისათვის და საერთოდ სპარსელებისათვის იმაზე საძულველი სხვა ვინმეს სახელის ხსენება, ვიდრე „მოურავი". რისხვით თავბრუდახვეულ შაჰს საკმაოდ ხშირად პირიდან წაცდენია, რომ იგი მზად არის მისცეს თავისი სამეფოს ნახევარი იმას, ვინც მას, მოურავს, ტყვედ მოუყვანს, რათა მას მიაყენოს ისეთი სიკვდილი, რომელსაც იგი იმსახურებს მთელი თავისი მოურიდებელი მოქმედებისათვის".

ჩანდა, რომ მოურავის მიერ ჩადენილ ამბებსა და მის ურთიერთობაზე შაჰ აბასთან, თეატინელ მისიონერებს ისფაჰანში უამბეს მათმა კოლეგებმა. სპარსელების შეკითხვაზე მისიონერები პასუხობდნენ, რომ „ისინი არ იცნობენ მოურავს და არც იციან ვინ არის იგი. ეს მართალი იყო. ისინი ნამდვილად არ იცნობდნენ მოურავს. მაგრამ რაც შეეხებოდა წერილს, ამაზე ისინი არაფერს პასუხობდნენ, ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ მათი წვალების მთავარი მიზეზი სწორედ წერილი იყო".

საქმე ის იყო, — წერს დონ ბ. ფერო, — რომ „ქართველი დესპანი — ნიკიფორე ირბახი..., ხსენებული მოურავის ახლო ნათესავი, დარწმუნებული იყო, რომ კეთილ სამსახურს აღმოუჩენდა როგორც დონ პიეტრო ავიტაბილეს, ისევე ყველა ჩვენ წმიდა მამებს, რომელთაც განზრახული ჰქონდათ საქართველოს სამეფოში წასვლა, როდესაც მოურავს წერილს სწერდა (და გადასცა დონ პიეტრო ავიტაბილეს), რითაც მოურავთან რეკომენდაციას აძლევდა წმიდა მამებს. ამ წერილს თეატინელი მისიონერები ინახავდნენ ყველაზე უფრო ძვირფას ნივთებს შორის და მხოლოდ შემდგომში, როდესაც უკვე მეტად გვიანი იყო, დარწმუნდნენ, რომ ეს წერილი, ურიისადმი ღვთის წერილის მსგავსად[11], თან სიკვდილს ატარებდა". ეტყობა, თეატინელმა მისიო-

[11] დავითი — ებრაელების მე-2 მეფე დაახლოებით 1015—975 წწ-ში ძვ. წ. იგი იყო შურდულით ფილისტიმების მეფის გოლიათის მკვლელი. მან დაარსა იერუსალიმი. იგი იყო პოეტი და წინასწარმეტყველი. მან მოაკვლევინა ური, რომ ცოლად შეერთო ბეთსაბე. „Petit Larousse en couleur", Paris, 1972, 1174; აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 123.

ნერებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია მოურავს, რომ იგი უკვე აღარ იყო საქართველოში.

როგორც დონ ბართ. ფერო წერს, ეს წერილი მისიონერებმა გზაში (დონ ბართ. ფეროს მიხედვით, კუნძულ მალტაზე[12]) მიიღეს და გულისხმიერად შეინახეს. ახლა კი დადგა მომენტი, როდესაც ხანი და მოსამართლე საბაბს ეძებდნენ, რათა ბრალი დაედოთ მისიონერებისათვის და დაესაჯათ ისინი. ამიტომ ისინი გულმოდგინედ სინჯავდნენ მისიონერების ბარგს, ყოველ შეკვრას, რათა ენახათ ყველაფერი, რაც კი მათ მიჰქონდათ. მისიონერებმა კარგად იცოდნენ, რომ წერილის აღმოჩენის შემთხვევაში, სპარსელებს საფუძველი ექნებოდათ დაესაჯათ ისინი. მაგრამ რა ექნათ. მათ რჩებოდათ მხოლოდ ის, რომ ელოცათ და უფლისათვის ეთხოვათ დახმარება.

მისიონერები კარგად ხედავდნენ, რომ ამ ჩხრეკის დროს „ასჯერ შეეხო სპარსელთა ხელები მოურავის წერილს, მაგრამ ისინი ვერ ხვდებოდნენ რა იყო ის და ყოველთვის განზე გადააგდებდნენ ხოლმე“. უფალი გვშველის, ფიქრობდნენ მისიონერები, „უფალმა თვალები დაუბნელა სპარსელებს იქ, სადაც ჩვენ ყველაზე მეტი საშიშროება მოგველოდა“ — ამბობდნენ შემდგომში ისინი.

ამასთან დაკავშირებით სილოსი წერდა: „ამ მომენტმა ცხადი გახადა ყველასათვის ის მფარველობა, რომელსაც უძლიერესი ღმერთი უწევდა ამ მღვდელმსახურებს ასეთ გაჭირვებაში; ხომ სავსებით დაუჯერებლად ეჩვენება ადამიანს, რომ ასეთი თვალჩაციებული ყურადღებით გაჩხრეკის დროს რაიმე გამორჩათ მათ? ყოველივე ეს ხომ მრავალი ხალხის თვალწინ ხდებოდა? მაგრამ [ნიკიფორე ირბახის მიერ] მოურავისადმი მიწერილი წერილის გადარჩენა, წმიდა მამებს შეეძლოთ მიეწერათ მხოლოდ უფლის დახმარებისათვის“.

სპარსელებმა მისიონერებს ვერაფერში დასდეს ბრალი. მაგრამ მათი ბარგის გაჩხრეკის დროს „ყველა ლამაზი საგანი მიითვისეს, პირველ რიგში ექვსი შესანიშნავი სურათი, რომლებიც საქართველოში მიჰქონდათ, ზოგი საჩუქრად, ზოგიც ეკლესიის გასალამაზებლად...“[13] ბოლოს ისინი გაანთავისუფლეს.

როგორც უკვე ითქვა, ერევანში ისინი დომინიკანელმა წმიდა მამებმა კარგად მიიღეს. ერთ-ერთმა ავგუსტინელმა წმინდა მამამ, წარმოშობით სომეხმა, შეეცადა თეატინელი მისიონერები სამოღვაწეოდ ერევანში დაეტოვებინა, მაგრამ დონ პიეტრო ავიტაბილემ ამაზე უარი

---

[12] აქ შეცდომაა. ნიკიფორე ირბახი ამ მისიონერებს შეხვდა მესინაში და არა კუნძულ მალტაზე. ეს შეცდომა არქ. ლამბერტიდან მოდის და დონ ბ. ფერომ მისგან გადაიღო. იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 144.

[13] Archivio della SCPF, SOCG, 1628, vol, 115, f. 388.

უთხრა. „მას ძალიან სურდა, — წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, — რომ ჩვენ მასთან დავრჩენილიყავით, ზამთრის თვეების განმავლობაში მაინც, რათა ამ ხალხში მასთან ერთად გვემრავლებინა ნაყოფი. მაგრამ მხურვალე სურვილით აღსავსეებს გვინდოდა, რაც შეიძლებოდა მალე მივსულიყავით დანიშნულ ადგილას იქ, სადაც მიდიოდა ჩვენი გზა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, წავსულიყავით წინ".

დონ პიეტრო ავიტაბილე „საშინელს" უწოდებს სპარსეთის შაჰის მიერ თავის იმპერიაში შემოღებულ კანონებს. „ამ კანონის თანახმად, ყოველი ქრისტიანი თავისუფლდება ხარკისაგან, თუკი იგი თავის სარწმუნოებას გადაუდგება და მაჰმადიანობას მიიღებს[14]. მეორე მხრივ, ხარკის გადაუხდელობის შემთხვევაში, მთელს თავის ქონებას კარგავს როგორც ის, ისევე მისი ახლო ნათესავი. ასე რომ... დიდ საშიშროებაში იმყოფებიან ქრისტეს ეს საწყალი ბატკნები. ყოველივე ამის შემდეგ, რამდენად მოქმედი უნდა იყოს მწყემსის სიტყვა, რომელიც მოუწოდებს: მტკიცედ იდგეს თავის სარწმუნოებაზე, წინააღმდეგობა გაუწიოს მზაკვრობას, რომელსაც ჯოჯოხეთის მგელთა ჯოგები აწყობენ"[15].

აი რატომ იყო, რომ მატერიალური სიძნელეების გამო, სპარსეთსა და თურქეთში, ბევრი ქრისტიანი იძულებული ხდებოდა გამაჰმადიანებულიყო. აქედან გამომდინარე, დონ პიეტრო ავიტაბილე თავისი უფროსებისაგან მოითხოვდა აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვის საქმეში უფრო აქტიურ ჩარევას და აღმოსავლეთში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებისათვის მეტი ფულადი თანხების გამოყოფას.

ერევნიდან თეატინელი მისიონერები საქართველოსკენ გაემგზავრნენ „და ბოლოს, — წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, — ორი წლისა და ცხრა დღის მოგზაურობის შემდეგ... ჩავედით გორში — საქართველოს მიწაზე, სადაც გავჩერდით 14 დეკემბერს (1628 წ. — ი. ტ.) საღამოს, დიდებული წმიდა ქრისტიანი მსახური ქალის დღესასწაულის წინადღით. წმიდა ქალისა, რომლის მოღვაწეობის შედეგად ეს სამეფო, პაპი წმიდა სილვესტრის დროს, ქრისტიანობაში მოექცა"[16].

---

[14] ასეთი მდგომარეობა იყო თურქეთშიც. იხ. ტ ა ბ ა ღ უ ა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 41.

[15] Archivio della SCPF, SOCG, 1628, vol. 115, f. 388v°.

[16] D o n Fr. A n d r e u C. R., Carteggio inedito, p. 93. პაპი წმ. სილვესტრი I (314—337 წწ.).

ერთ-ერთ წერილში პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერს: მადლობას მოგახსენებთ, რომ შემატყობინეთ „წმიდა ქრისტიანი მსახური ქალის სახელი, რომელსაც ქართველები წმიდა ნინოს უწოდებენ. ამის შესახებ მე მომითხრო ასევე ბატონმა დონ ნიკიფორემ, რომელსაც ვთხოვე ამ წმიდა ქალის ვინაო-

ამრიგად, განაგრძობს დონ პიეტრო ავიტაბილე, „პირველი წირვა, რომელიც მეორე დღეს დილით ჩავატარეთ, მიეძღვნა ამ უდიდებულეს წმინდანს, რომელიც მეტად ცნობილია ამ მხარეებში. ჩვენთვის ეს იყო უდიდესი ნუგეში და მან მოგვცა ჩვენი წმინდა მოგზაურობის წარმატებით დამთავრებისა და უხვი მოსავლის მიღების ახალი იმედი“[17].

თეატინელ მისიონერებს, უცხოელი დამპყრობლების შემოსევების შედეგად დანგრეული და გაძარცული ქვეყანა დახვდათ. სპარსელების მიერ დანგრეული და აოხრებული ქვეყანა, — წერს არქ. ლამბერტი, — „ჯერ კიდევ ცეცხლში და კვამლში იყო გახვეული, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი, გაძარცული და აყრილი“. როგორც ითქვა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სპარსელებმა სამშობლოდან გადაასახლეს სპარსეთის შორეულ, კლიმატური პირობებით არაჯანმრთელ რაიონებში. „თუმცა, — წერს დონ არქანჯ. ლამბერტი, — გადასახლებიდან გამოქცეულნი, საქართველოში ბრუნდებოდნენ და თავიანთ ძველ ადგილებში კვლავ სახლდებოდნენ“[18].

გორში მისული თეატინელი მისიონერები პირველად ავგუსტინელმა მორჩილმა ძმამ ამბროსიო დუშ ანჟუშმა მიიღო, რომელმაც მეორე ავგუსტინელ მისიონერ მორჩილ ძმა პედრო სანკტოსთან ერთად, იმავე 1628 წლის ივნისში თეიმურაზ მეფეს გორში ჩაუტანა დედამისის — ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი[19]. დონ პიეტრო ავიტაბილე რომს ატყობინებდა: გორში „ჩვენ შესახვედრად მოვიდა წმიდა მამა მორჩილი ძმა წმიდა ავგუსტინელთა ორდენიდან და აღუწერელი სიხარულით გადაგვეხვია, წაგვიყვანა თავის სახლში, გაგვიმასპინძლდა ისეთი თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით, როგორიც შეუძლია გააკეთოს მხოლოდ ადამიანისადმი სიყვარულით აღსავსე ბერს. მასთან ვიმყოფებოდით არა რამდენიმე დღე, არამედ მთელი თვენახევარი...“[20]

ამ დროს თეიმურაზ მეფე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებიდან ახალ დაბრუნებული იყო. მან შეაჩერა კახეთში ლეკების შემოსევა და გამარჯვებული დაბრუნდა. მას მაშინვე შეატყობინეს პაპის დესპა-

---

ბაზე. კარგი იქნებოდა, თუ თქვენ, წმიდა მამები, ყურადღებით თავს მოუყრიდით ყველა ცნობას, რომლებიც შეეხებიან ამ წმინდანის ცხოვრებას, მის მიერ მოხდენილ საოცრებებს, მის შესახებ არსებულ გოგონებებს და ყოველივე ამას ჩვენთან გამოგზავნიდეთ“.

[17] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 188v°.

[18] Arch. Lamberti, Colchide Sacra, p. 97.

[19] იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 134. „ამით მადლიერმა და ამის გარეშეც, მისიონერებისადმი კეთილგანწყობილმა თეიმურაზ მეფემ, წმიდა მამა ამბროსიოს და მორჩილ ძმა პედროს საშუალება მისცა გორში, მდ. მტკვრის პირას აეგოთ სახლი და ეკლესია“. იხ. Memoria rerum, S. 661.

[20] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 389.

ნების ჩამოსვლა. თეატინელი მისიონერები სამეფო კარზე მიიწვიეს. ამ დროს თეიმურაზ მეფე გორში არ ყოფილა, არამედ „გორიდან ერთი დღის სავალზე, იმ ადგილას, რომელსაც საფურცლე ჰქვია" — შენიშნავს დონ პიეტრო ავიტაბილე.

მისიონერებმა თეიმურაზ მეფესა და დედოფალს ჯერ საჩუქრები გაუგზავნეს, ხოლო შემდეგ თვითონ ეახლნენ. „ამრიგად, — წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, — ჩვენ წარვსდექით მეფის წინაშე და წარვუდგინეთ მისი უწმინდესობის (რომის პაპის. — ი. ტ.) წერილი, რომელიც მან დიდი პატივით მიიღო და ჩვენც დიდი პატივი დაგვდო. ასევე მოიქცა პატრიარქი ზაქარიაც, რომელიც ამ სამეფოს ყველა პრელატიდან ყველაზე უმაღლესი პიროვნებაა, გამოიჩინა რა დიდი პატივი თქვენი უგანათლებულესი მეუფობის წერილისადმი და გამოხატა რა დიდი სიხარული ჩვენი ჩამოსვლის გამო. ერთმაც და მეორემაც (მეფემაც და პატრიარქმაც. — ი. ტ.) ნებართვა მოგვცა აგვეგო ეკლესია, დაგვეყენებინა წირვა და გვექადაგა ისე, როგორც ჩვენ ამის ნებართვა გვაქვს იტალიაში. მათვე მიგვიწვიეს ჩვენ დავსწრებოდით მათ წირვას, სადაც არ უშვებენ სომხებს, რომლებსაც ისინი სქიზმის მიმდევრებად თვლიან და კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მათი ხალხი (ქართველები. — ი. ტ.) დაესწრებიან ჩვენს წირვას"[21].

პაპი ურბან VIII-ის წერილი, რომელიც თეატინელმა მისიონერებმა თეიმურაზ მეფეს გადასცეს, ლათინურ ენაზე იყო დაწერილი. მაგრამ მისიონერებს თან ჰქონდათ ბერძნული თარგმანი. ერთმა იქ დამსწრე ბერძენმა ბერმა, რომელმაც ქართული იცოდა, წაიკითხა პაპის ეს წერილი და ქართულად უთარგმნა თეიმურაზ მეფეს[22].

ამ დროს, — წერს დონ ბართ. ფერო, — დონ ჯაკომო დი სტეფანომ, რომელიც თავისუფლად ფლობდა თურქულ ენას[23], პაპის სახელით მოახსენა თეიმურაზ მეფეს თეატინელი მისიონერების ჩამოსვლის მიზანი: „დიდსულოვანო ხელმწიფევ! ძლევამოსილო მეფევ!

---

[21] Ibid.; Silos, Historiarum Clericorum, p. 578; Arch. Lamberti, Colchide Sacra, p. 98; P. Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 54; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—92. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ამ წერილის ზუსტი ტექსტი, ამოღებული ვატიკანის საიდუმლო არქივიდან: Archivio Segreto Vaticano. Epistolae ad Principes, vol. 40, ff. 289v° (306v)—290v° (307v°): „Nobili viro Teimuraz Principi Kacheti, Urbanus P. P. VIII-s". იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 230.

[22] როგორც ქვემოთ დავინახავთ, თეიმურაზ მეფემ და ზაქარია კათალიკოსმა რომის პაპისა და წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალების წერილები უფრო გვიან მიიღეს.

[23] თეიმურაზ მეფემ ბრწყინვალედ იცოდა როგორც სპარსული, ისე თურქული ენა.

უმაღლესი მოძღვრისა და რომის მღვდელმთავრის სახით, უმაღლესი მწუხარებით აღვიქვით ჩვენ ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენმა უდიდებულესობამ და მთელმა თქვენმა ქრისტიანულმა სამეფომ განიცადა სპარსეთის შაჰისა და მისი არაადამიანური ურდოების ბარბაროსული შემოსევა. ასევე უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული, როდესაც გავიგეთ, რომ სასტიკი ქარიშხლის შემდეგ, უფალმა თავისი მოწყალებით მოგანიჭათ სიმშვიდე და თქვენ კვლავ, უფრო მეტი დიდებით დაიკავეთ დაკარგული თქვენი სამეფო და აღადგინეთ მისი სასურველი დიდება. ჭეშმარიტად ბევრ რამეს მიაღწიეთ თქვენი პირადი დიდი მამაცობითა და შეუპოვარი უდრეკელობით, რის გამოც არ მოხდა თქვენი სულიერი დაცემა მეტად მძიმე გამოცდის ვითარებაშიც კი, ვინაიდან ყოვლისშემძლე უფლის მარჯვენა გინერგავდათ ძალას და აღგაფრთოვანებდათ გმირობისაკენ თქვენ და ყველა იმათ, ვინც ამ სარბიელზე დიდებას ეძებს.

რომის მღვდელმთავრისა და სამყაროს მამის სახელით ჩვენ აქ გამოგვგზავნეს თქვენს უდიდებულესობასთან ახალი მისიით, ვინაიდან გაღიარებთ რა თქვენ, ჩვენ შვილად, ვიგრძენით რა თქვენი უძლეველი მისწრაფება [გადავწყვიტეთ] ხელი შევუწყოთ ჩვენს მხრიდან იმ ერთადერთ სიკეთეს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თქვენს სამეფოში იყოს მშვიდობა, კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებისათვის არსებობდეს ფართო შესაძლებლობა და აღმოიფხვრას ცრუ დოგმები, რომლებიც თქვენთან მალულად შემოიტანეს და რომლებსაც ადამიანებისათვის დაღუპვა მოაქვთ.

ჩვენი საქმე არაა ძვირფასეულობის ძებნა და ზღაპრული სიმდიდრის მოპოვება. ჩვენი მთავარი მიზანია სულის გადარჩენა, რომელსაც ვიმედოვნებთ მივაღწევთ, თუკი ჩვენ გვექნება თქვენი მხარდაჭერა და მფარველობა“[24].

თეიმურაზ მეფესა და კათალიკოს ზაქარიას გადაუწყვეტიათ მაშინვე ეპასუხათ პაპის წერილზე, მაგრამ წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე დაეწერათ ეს წერილი — ქართულად, ბერძნულად თუ სპარსულად?“ ეს წერილები არ დაიწერა ქართულად, — შენიშვნას დონ პიეტრო ავიტაბილე, — იმიტომ რომ, საეჭვოა რომში ვინმეს ეთარგმნა ისინი ქართულიდან“[25].

---

[24] P. Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 96. დონ ჯაკომო დი სტეფანოს ეს სიტყვა ქართულად პირველად ქვეყნდება.

[25] სხვაგან დონ პიეტრო ავიტაბილე წერს: „წერილები დაიწერა სპარსულად, ვინაიდან მეფე შიშობს, რომ ქართულად დაწერილ წერილებს ჩვენთან (რომში. — ი. ტ.) ვერავინ ვერ წაიკითხავს“.

თავდაპირველად გადაწყდა წერილები დაეწერათ ბერძნულად, მაგრამ თეიმურაზის სამეფო კარზე მყოფი ბერძენი ბერები საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ თეიმურაზ მეფის რაიმე კონტაქტისა რომის პაპთან. „როდესაც მეფემ და პატრიარქმა, — წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, — ისურვეს მიეწერათ რომში საპასუხო წერილები, აქ მყოფმა რამდენიმე ბერძენმა ბერმა ატეხა ხმაური და შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია. მიუხედავად მეფის სურვილისა, დაეწერათ წერილი ბერძნულად, ამ ბერებიდან არც ერთმა არ ისურვა დაეწერა მეფის მიერ ნაბრძანები სიტყვები, მათ ნაცვლად გადაწყვიტეს დაეწერათ თავიანთი, შეუფერებელი სიტყვები. ასე რომ, მეფემ ჩვენ გვითხრა: „მათ ძალიან არ უნდივართ ჩვენ, ხოლო მე არ მსურს, რომ რომელიმე მათგანმა დაწეროს ჩემი წერილი, ვინაიდან მე მათ არ ვენდობი".

დონ ჯაკომო დი სტეფანო, ეხებოდა რა ბერძნების დამოკიდებულებას პაპისადმი თეიმურაზ მეფის პაპთან მიწერ-მოწერის გამო, 1631 წლის თებერვალში რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „თეიმურაზ მეფემ მოისურვა დაეწერა წერილი და მისი დაწერა დაავალა ერთ-ერთ ბერძენს, რომელიც არც ისე დიდი ხანია დამასკოდან ჩამოვიდა, მაგრამ როდესაც ეს ალავერდელმა გაიგო, წინანდელზე უფრო მეტი ხმაური ატეხა. წერილი მაინც დაიწერა, მაგრამ ეს წერილი არაფრად არ ვარგა. ვაგზავნი ამ წერილს იმის გამო, რომ სხვა არაფერი მაქვს ახლა გასაგზავნი. სჯობია ასეთი წერილი პაპს არ მისცეთ. მაგრამ თუ გადასცემთ, აუხსენით, რომ იგი დაწერილია თეიმურაზ მეფის ბრძანების დარღვევით, რომელმაც უბრძანა დაეწერათ საერთოდ მიღებული სიყვარულისა და პატივის რწმენებით".

ასე რომ, საბოლოოდ გადაუწყვეტიათ საპასუხო წერილები დაეწერათ სპარსულად, რამდენადაც „სპარსულ ენაზე დაწერილ წერილებს თავისუფლად წაიკითხავენ რომში" — წერს დონ პიეტრო ავიტაბილე.

სპარსულად წერილების შემდგენელი, განაგრძობს დონ პიეტრო ავიტაბილე, „განუწყვეტლივ სვამდა და ყურს არ უგდებდა ჩვენს თხოვნას, მუდარას და დაპირებებს, რათა ჩვენთვის მოეცა ამ წერილების ასლი ან წაეკითხა ისინი თურქულად ჩვენთვის, რათა დაგვეწერა მათი შინაარსი ლათინურად"[26].

ამიტომ დონ პიეტრო ავიტაბილე თხოვდა პიეტრო დელა ვალეს, როგორც კი ამ წერილებს რომში მიიღებდნენ, მათი ასლები გადაეღოთ, რათა შემდგომში სცოდნოდათ მათი შინაარსი.

ამასთან დაკავშირებით, პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილეს ერთ-ერთ წერილში სწერდა: საქართველოდან „გამოგზავნილი წერილების ასლები რომ მიიღოთ, ამისათვის სრულიად ზედმეტია

---

[26] P. Don Fr. Andreu C. R. Carteggio inedito, p. 97.

დრო დაკარგოთ წერილების შემდგენელ სხვადასხვა მდივნებთან მოლაპარაკებაში, როგორც ზემოხსენებული წერილის მიმართ ეს თქვენ გიცდიათ. ამ გზით ვერაფერს ვერ მიაღწევთ, ვინაიდან, წერილის შემდგენელი, რომელსაც თავისი ბატონისაგან ბრძანება თუ არა აქვს, თქვენ არაფერს არ მოგცემთ. უნდა თხოვოთ თვითონ მეფეს ან იმათ, ვინც უშუალოდ წერილების ავტორები არიან. მეფეს ან წერილის სხვა ავტორს უნდა თხოვოთ, გასცეს განკარგულება გადაიღონ თქვენთვის წერილის ასლი და თქვენი თანდასწრებით, იქვე გაკეთდეს მისი თარგმანი...“

ამრიგად, 1629 წლის 5 იანვარს შეადგინეს თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის ორ-ორი წერილი რომის პაპისა და წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალების სახელზე. დონ პიეტრო ავიტაბილე ამასთან დაკავშირებით წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს სწერდა: „ჩვენს მიერ გადაცემული წერილების საპასუხოდ ხელთ გვაქვს ოთხი წერილი: ორი მეფისაგან და ორი პატრიარქისაგან. ორივენი წერენ მის უწმინდესობას და თქვენს უგანათლებულეს მეუფეობას“.

ეს წერილები იმავე წლის მარტში გორიდან რომში გაუგზავნიათ. „ეს წერილები, — წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, — ჩვენ გადავეცით წმიდა მამა დომინიკანელს, რომელიც გვახლდა ჩვენს მგზავრობაში (ალინჯიდან გორამდე. — ი. ტ.). იგი აქედან (გორიდან. — ი. ტ.) წავა 27 მარტს[27], შეჰპირდა რა მეფეს (თეიმურაზს. — ი. ტ.), რომ იგი თავისი ხელით ჩაიტანს მათ რომში...“[28]

წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს არქივში ვნახე თეიმურაზ მეფის ამ წერილების თარგმანის ორი ვარიანტი, ორივე იტალიურ ენაზე. ამ წერილების თარგმანს, ჩემს მიერ დადგენილი იტალიური ტექსტით და მათი ორიგინალის ფოტოპირით, აქვე ვათავსებ. ამ ორი ვარიანტიდან ერთის სათაურია: „ჩვენს უფალს ურბან მერვეს, ქართველთა მეფე თეიმურაზ ხანი. აღმოსავლეთი“[29], ხოლო მეორე წერილის სათაურიც იგივეა, მაგრამ იქ აკლია სიტყვა „აღმოსავლეთი“ და პირველისგან განსხვავებით, სათაურის შემდეგ სხვა ხელით მიწერილია: „თარგმნილია ფეხშიშველ კარმელიტ ჯოვანი ტადეოს მიერ“[30].

---

[27] როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ წმიდა მამა დომინიკანელს გორიდან გამგზავრება დააგვიანდა რამდენიმე დღით. ეს იქიდან ჩანს, რომ მან თან წაიღო დონ პიეტრო ავიტაბილეს 28 მარტით დათარიღებული წერილიც.

[28] მ. თამარაშვილი წერს: „ეს პირველი წერილები დაკარგულია და ჯერაც მათი კვალისათვის არ მიგვიგნია“, იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111. ამ წერილებს მივაკვლიე წმიდა კონგრეგაციის არქივში და აქვე ვათავსებ.

[29] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, ff 396—396 v°.

[30] Ibid. ff. 10—11.

ჩვენი აზრით, წმიდა მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეომ ეს წერილი სპარსულიდან თარგმნა[31], ვინაიდან მან სპარსული იცოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თარგმანი თეიმურაზის წერილის შემოკლებული თარგმანია. ორივე წერილის შედგენის თარიღია 1629 წლის 5 იანვარი.

წერილის იტალიური თარგმანი ასე იწყება: „თქვენი უწმინდესობის უმაღლესი ლოცვა-კურთხევით და ა. შ. აღმავალი საზეიმო და თავაზიანი სიტყვების შემდეგ [თეიმურაზის წერილში] ლაპარაკია იმ წერილზე, რომელიც თქვენმა უწმინდესობამ (პაპმა. — ი. ტ.) მოგვწერა და მივიღეთ თქვენს მიერ ჩვენთან გამოგზავნილი თეატინელი ღირსეული მამების, სახელდობრ წმიდა მამა დონ პიეტროს [ავიტაბილეს] და წმიდა მამა დონ ჯაკომო [დი სტეფანოს] საშუალებით“[32].

შემდეგ თეიმურაზის წერილში ნათქვამია, რომ ეს მისიონერები ჩამოვიდნენ დანიშნულ ადგილას და თავის დროზე; რომ ისინი კარგად მიიღეს და აქ ყველა მათ კარგად ეპყრობა: „მათ ვუბოძეთ შესანიშნავი ადგილი ეკლესიის ასაშენებლად, სადაც მოხერხებულად განლაგდნენ... და, სადაც დღე და ღამე ლოცვებით არიან დაკავებული“. თეიმურაზ მეფის ბრძანებით, არავის ჰქონდა უფლება შეურაცხყოფა მიეყენებინა მათთვის, ან ხელი შეეშალა მუშაობაში.

პაპის წერილის საპასუხოდ, სადაც აღნიშნული იყო, რომ თეიმურაზ მეფეს თავის ქვეშევრდომებთან ერთად მიეღო ამ მისიონერების რჩევა და ყოფილიყვნენ „მტკიცე, შეურყეველი და მედგარი რწმენისადმი და უმწიკვლო ქრისტეს მოძღვრებისადმი და მისი მაგალითის მიმბაძველი“, თეიმურაზ მეფე პაპს სწერდა: „...ჩვენ მადლობას ვუძღვნით უფალ ღმერთს იმისათვის, რომ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროიდან დღემდე ღმერთისა და მისი ციური სამყოფელის შემწეობით, ეს მოწყალება და ნამდვილი რწმენისადმი და ქრისტეს გზისადმი სიყვარული მტკიცედ, შეუპოვრად, ღრმად და გულითადი გრძნობით ფეხგადგმულია ჩვენს ორგანიზმში და ვინახავთ ჩვენს გულში. თუმცა, სავსებით მართალია, რომ ჩვენი სამეფო რამდენიმე ხნის განმავლობაში — 1614 წლიდან 1620 წლამდე[33] აღმოჩნდა თურქი[34] ტირანის ხელში, რომელმაც თავს დაგვატეხა ძარცვა, ნგრევა და უსამართლობა. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ რწმენა და ქრისტეს კანონი შევინარჩუნეთ მტკიცედ და უცვლელად“.

---

[31] არსებობს ამ წერილის ლათინური თარგმანი, რომელიც ქართულ თარგმანითურთ გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა. იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—109, 618—619.

[32] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 396.

[33] მ. თამარაშვილთან როგორც ქართულ, ისე ლათინურ ტექსტში აღნიშნულია „1614—1628 წწ.“ იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108, 618.

[34] აქ იგულისხმება: მაჰმადიანი, ყიზილბაში.

იქვე თეიმურაზ მეფე დასძენს: „რჯულგანდგომის გზას ჩვენ არ დავადექით და რწმენისაგან არავითარ განდგომას არ დავუშვებთ. ღმერთის დახმარებით, ჩვენი სიმტკიცე და ნამდვილი რწმენა ქრისტესადმი გაგრძელდება საშინელი სამსჯავროს დღემდე“.

შემდეგ თეიმურაზ მეფე ეხება დედამისის — ქეთევან დედოფლის სპარსეთში მოხვედრის მიზეზს და პაპს სწერს: „მიზეზი, რომელმაც აიძულა დედა ჩვენი სპარსეთის ხელმწიფის სასახლის კარზე წასულიყო, იყო სიყვარული და ერთგულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, ე. ი. ეზრუნა თითოეული ქრისტიანისათვის, ჩვენი ქართველებისათვის, რომლებიც სპარსეთის სამეფოში აღმოჩნდნენ; დაებრუნებინა ისინი საკუთარ ადგილებზე სამშობლოში. მაგრამ სპარსეთის შაჰის ბრძანებით, დედა ჩვენი დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ ტანჯვითა და წამებით ცდილობდნენ დაეყოლიებინათ, რათა რწმენისათვის ეღალატა...“

და ბოლოს, თეიმურაზი დასძენს: „აი უკვე ერთი წელია, რაც დედა ჩვენის მშრალი ძვალი, ე. ი. ჩვენი დედის სხეული, ანუ მისი ნაწილი, ღირსეულმა მამამ ამბროსიო ავგუსტინელმა ქალაქ ისფაჰანიდან, სპარსეთის სამეფოს კარიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოიტანა. ამისათვის მადლობის ნიშნად მე იგი ავიყვანე ჩემი მფარველობის ქვეშ და აღმოვუჩინე მოწყალება, მივეცი რა მას კერა და მიწა იმრიგად, რომ მან შეძლოს იცხოვროს და ააშენოს სახლი და ეკლესია...“[35]

აქვე გვაქვს თეიმურაზ მეფის მიერ წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალების სახელზე იმავე 1629 წლის 5 იანვრის თარიღით გაგზავნილი წერილის ორი ვარიანტი. პირველი წერილი ასე იწყება: „იესო, მარიამ. ქართველთა მეფის თეიმურაზ ხანის წერილი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს. აღმოსავლეთი. თარგმნილია ფეხშიშველი კარმელიტი წმიდა მამა ჯოვანი ტადეოს მიერ“[36]. ამ წერილის მეორე ვარიანტი კი ასე იწყება: „მეფის წერილი წმიდა კონგრეგაციას“. იგი უფრო მოკლეა[37].

თეიმურაზ მეფის ამ წერილში ძირითადად იგივე საკითხებზეა საუბარი, რომლებზედაც ზემოხსენებულ პაპისადმი გაგზავნილ წერილში იყო, მაგრამ არის ზოგიერთი სხვა საკითხიც. მაგალითად, ამ წერილიდან ჩანს, რომ თეიმურაზ მეფე თავდაპირველად ფიქრობდა, რომში

---

[35] Archivo della SCPF, SOCG, vol. 115, ff. 396—396v°. სხვა ცნობით, თეიმურაზ მეფეს ამ მისიონერებისათვის მიუცია სახლისა და ეკლესიის ასაშენებლად მიწა გორში მდ. მტკვრის პირას. იხ. Memoria rerum, S. 661; Carlos Alonso O. S. A. Misioneros Agustinos en Georgia (Siglo XVII), Valladolid, 1978, pp. 246—247; Archivio della SCPF, SOCG, Acta, vol. 7, f. 39v°, 1630—1631.

[36] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 195.

[37] Ibid., ff. 399.

თავისი დესპანი გაეგზავნა. ამ შემთხვევაში მისი არჩევანი შეჩერებული თეატინელ მისიონერ წმიდა მამა დონ ჯაკომო დი სტეფანოზე, რომელსაც სიტყვიერად უნდა მოეხსენებინა ვატიკანში, თუ რა ვითარება სუფევდა საქართველოში.

თეიმურაზ მეფე ჰპირდებოდა წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს, რომ თუ მომავალში ჩამოვიდოდნენ ახალი მისიონერები, ისეთი „ბრწყინვალე და დიდებული სახელის მქონე ქვეყნიდან", როგორიც იტალია იყო, მათ აქ „აღმოუჩენენ ყოველგვარ მოწყალებას და მფარველობას; მისცემენ ადგილებს, სადაც შეეძლებათ ხელსაყრელ ვითარებაში საცხოვრებლად დაბინავდნენ".

თეიმურაზი თხოვდა კარდინალებს გამოეგზავნათ საქართველოში ექიმი მკურნალი. იგი წერდა: ის, „რაც ამჟამად აუცილებლად სჭირდება ჩვენს ქვეყანას — ეს არის ექიმი, ისეთი, რომელიც ზედმიწევნით ფლობს თავის პროფესიას, ვინაიდან ჩვენს მხარეში მძვინვარებს საშიში ავადმყოფობები. ამიტომ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ექიმი..."

წერილის ბოლოს ნათქვამია: „გარწმუნებთ, რომ ნებისმიერ სამსახურში და ყველა საქმეში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თქვენ დაგჭირდებათ, გარწმუნებთ, შეგვატყობინებთ და იგი უფლის წყალობით ზუსტად შესრულდება".

ასევე გვაქვს კათალიკოს ზაქარიას მიერ პაპი ურბან VIII-ის სახელზე გაგზავნილი წერილის ორი ვარიანტი. პირველი ასე იწყება: „ქართველთა პატრიარქის წერილი ჩვენს უფალს ურბან VIII-ს. აღმოსავლეთი. თარგმნა ფეხშიშველ კარმელიტ წმიდა მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეომ"[38]. მეორეც ასევე იწყება, მაგრამ მათი ტექსტი ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს[39]. ამიტომ გადავწყვიტე აქვე მოვათავსო ორივე წერილის ჩემს მიერ დადგენილი ტექსტები ორიგინალის ფოტოპირით და ერთი ქართული თარგმანით, რამდენადაც შინაარსში დიდი განსხვავება არაა[40].

კათალიკოსი ზაქარია პაპს ატყობინებდა, რომ საქართველომ დიდი ნგრევა და ტანჯვა გადაიტანა, მაგრამ ახლა „ჩვენი სახელმწიფო უბედურებიდან გადავიდა დამშვიდებულ მდგომარეობაში".

ქართველთა შორის ქრისტიანობის შენარჩუნების შესახებ, კათალიკოსი ზაქარია პაპს სწერდა: „რაც შეეხება ჩვენს წმინდა სარწმუნოებას, რამდენადაც ეს ჩვენს მხრიდან შესაძლებელი იყო, არ ყოფილა უფლის მიერ მოცემული ცნებებისა და წმინდა კანონის არავითარი დარღვევა..."

---

[38] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, ff. 394—394°.

[39] Ibid., vol. 180, ff. 29—30.

[40] იხ. აქვე დოკუმენტი № 5 და № 5 ა.

იგი ასევე ატყობინებდა პაპს, რომ თეატინელი მისიონერები ჩამოვიდნენ და თეიმურაზ მეფის ბრძანებით მათ აქ შეუქმნეს ყველა საშუალება ნორმალური მუშაობისათვის და რომ თეიმურაზ მეფემ თავისი სურვილის მიხედვით მიიღო გარკვეული გადაწყვეტილება და გასცა ბრძანება, რათა „წმიდა მამები დარჩნენ და ცხოვრობდნენ მის მიწაზე — საქართველოში, თავისუფლად, მტკიცედ და უშიშრად, ყველას მიერ მშვიდად და მშვიდობიანად გარემოცულნი... რათა ყურადღებით ემსახურონ თავიანთ სარწმუნოებას, მის წმიდა წეს-ჩვეულებებს და წირვას; ილოცონ უფლის წინაშე ჩვენთვის — მეფისა და სამეფოსათვის და რომ არვინ გაბედოს ხელი შეუშალოს ან დაბრკოლება შეუქმნას მათ“.

კათალიკოსი ზაქარია პირობას აძლევს პაპს, რომ აქ მოუსმენენ მისიონერების რჩევას და რომ საქართველო ყოველთვის იცავდა წმიდა სარწმუნოებას მაშინაც კი, როდესაც სამეფო „თურქის ხელში მოექცა (ხოლო თურქის ქვეშ იგულისხმება სპარსეთის ხელმწიფე შაჰ აბასი)[41] ...როდესაც იძულებით ან ზოგჯერ თავისი სურვილით, ბევრი ჩვენი ქართველი გამაჰმადიანდა, მაინც ეს იყო ცალკეული შემთხვევა, რომელიც მთელ ქართველ ხალხს არ შეჰხებია...“ ამან ჩვენში „ქრისტიანული ეკლესიის მთელ სხეულს ზიანი ვერ მიაყენა, ამდენად ეკლესიის სხეულის არსებობა უცვლელი დარჩა“.

ბოლოს, კათალიკოსი ზაქარია ეხება რა ომების შედეგად ქართული ეკლესიების გაძარცვა-გაპარტახებას, პაპს სთხოვს ამ მხრივ რაიმე დახმარება აღმოუჩინოს.

არსებობს ასევე წმიდა კონგრეგაციის კარდინალებისადმი კათალიკოს ზაქარიას წერილის ორი ვარიანტი. პირველი ასე იწყება: „ქართველთა კათალიკოსის წერილი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს. თარგმნილია ფეხშიშველ კარმელიტ წმიდა მამა ჯოვანი ტადეოს მიერ“[42], ხოლო მეორე — „ქართველთა კათალიკოსის წერილი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს. აღმოსავლეთი“[43].

კათალიკოს ზაქარიას ეს წერილი, პაპთან გაგზავნილ წერილთან შედარებით უფრო მოკლეა. მასში ლაპარაკია იგივე საკითხებზე, რაზეც პაპისადმი მიწერილ წერილში, მხოლოდ ერთი განსხვავებით: აქ

---

[41] ეს სიტყვები პირდაპირ წერილშია ჩასმული და ჩემი აზრით, იგი მთარგმნელს უნდა ეკუთვნოდეს. ამ წერილში, თეიმურაზის წერილისაგან განსხვავებით, აღნიშნულია არა 1614—1620 წწ., არამედ 1614—1628 წწ., რაც, ვფიქრობ, წერილის მთარგმნელის ან წერილის გადამწერის შეცდომა უნდა იყოს, ვინაიდან 1628 წლამდე საქართველო (აღმოსავლეთ საქართველო) არ იყო „თურქების“, ყიზილბაშების ხელში.

[42] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, ff. 22—22v°.

[43] Ibid., ff. 397—397v°.

კათალიკოსი ზაქარია კარდინალებს სთხოვს საქართველოში ექიმის გამოგზავნას: „...ჩვენს ქვეყანაში არ დარჩა არც ერთი კარგი, გამოცდილი მკურნალი, თავისი ხელობის კარგი მცოდნე მაშინ, როდესაც მისი უდიდებულესობის (თეიმურაზ მეფის. — ი. ტ.) სასახლის კარზეც კი არიან ავადმყოფები. ამიტომ იგი (თეიმურაზ მეფე. — ი. ტ.) გთხოვთ თქვენ, ღრმად პატივცემულო ბატონებო, ხელი შეუწყოთ ჩვენთან კარგი ექიმის, კარგი პროფესიისა და საქმის კარგი მცოდნის გამოგზავნას...“

და ბოლოს, ჩვენს ხელთაა კიდევ ერთი წერილი, რომლის სათაურია: „ქართველთა მეფისა და პატრიარქის მიერ ჩვენი უფლისა და წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესადმი მიწერილი წერილების მოკლე შინაარსი და არა სიტყვა-სიტყვით თარგმანი“[44].

ამ წერილში, როგორც სათაურიდან ჩანს, მოცემულია თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის ზემოხსენებული წერილების (უმთავრესად თეიმურაზის წერილების) მოკლე შინაარსი.

ამრიგად, თეატინელი მისიონერების გორში ჩამოსვლიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის საპასუხო წერილები უკვე მზად იყო რომში გასაგზავნად, მაგრამ ისინი გაგზავნეს რამდენადმე გვიან — 1629 წლის მარტში.

მაგრამ თეიმურაზისა და ზაქარიას ეს წერილები დონ პიეტრო ავიტაბილეს კი არ წაუღია, როგორც მ. თამარაშვილი ფიქრობს[45], არამედ, როგორც უკვე ითქვა, წმიდა მამა დომინიკანელმა, ხოლო დონ პიეტრო ავიტაბილემ, რომელიც რომში უფრო გვიან (1630 წლის აგვისტოში) წავიდა, იმავე თეიმურაზისა და ზაქარიას სხვა წერილები წაიღო. ამ წერილებზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

დონ პიეტრო ავიტაბილე ატყობინებდა რომში, რომ ქვეყანა დანგრეული იყო სპარსელი ურდოების ხშირი შემოსევის შედეგად. კერძოდ, დიდი ზარალი განიცადეს ეკლესიებმა. „რაც შეეხება აქაურ ეკლესიებს, — წერდა იგი, — ყველა დანგრეულია, კედლებზე წმიდანთა სახეები დამახინჯებულია, საკურთხევლები ჩამონგრეულია; წმიდა ვაზები, ზარები, საერთოდ ეკლესიის მორთულობა გაძარცულია. ასე რომ, ეკლესიაში არაფერი არ დარჩა. საწყალ ყველა ეპისკოპოსს და მღვდელს, გაქცევიდან ამას წინათ დაბრუნებულთ, არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნიათ აღადგინონ საკურთხევლები. როდესაც ისინი წირვას ატარებენ, შეუძლებელია ცრემლების გარეშე უყურო ამ სანახაობას — დააყენო წირვა შანდლებისა და ჯვრის გარეშე, ცარიელ

---

[44] Ibid., ff. 398—398v°.

[45] იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

საკურთხეველში, ხის ჯამებით, იმდენად ღარიბულ სამოსში, რომელიც საეჭვოა ჩვენში ვინმემ გამოიყენოს საკურთხეველში მტვრის გადასაწმენდ ჩვრად".

საინტერესოა, რომ თეატინელი მისიონერებისადმი ეპისკოპოსი ალავერდელის ცუდი განწყობისა და ზოგჯერ მათდამი აშკარა მტრული მოქმედების მიუხედავად თეატინელი მისიონერები ცდილობდნენ მასთან ურთიერთობა არ გაემწვავებინათ. გამოენახათ მასთან საერთო ენა, ამ ძლიერ პიროვნებასთან, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს საქართველოში. თეატინელი მისიონერები იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ეპისკოპოსი ალავერდელი თავიანთ მხარეზე გადაეყვანათ.

აი რას სწერდა დონ პიეტრო ავიტაბილე წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს: „ცუდი არ იქნებოდა გამოეგზავნოს რაიმე საჩუქარი მიტროპოლიტსაც — სახელად ალავერდელს, რომელიც წარმოადგენს მეორე სამღვდელო პიროვნებას ამ სამეფოში და დაიწეროს წერილი ჩვენი რეკომენდაციით, ვინაიდან იგი მეტად ახლოა ბერძნებთან. მაშინ, როდესაც ჩვენი მეგობრობის დადასტურებით იგი შეიძლებოდა ჩვენს მხარეზე გადასულიყო"[46].

რაც შეეხება ეკლესიებისათვის გამოსაგზავნ ნივთებს, დონ პიეტრო ავიტაბილე აქ ჩამოთვლიდა სხვადასხვა ნივთებს: „სამოსელი, სამღვდელო სამოსელისათვის საჭირო დამატებითი ნივთები, ე. ი. თვითონ სამღვდელო სამოსელი, ოლარი, საბუხარი, ქამარი, თეთრი შესამოსელი, ომოფორო, მიტრა, ხელთათმანები, მოძღვრის კვერთხი, საკურთხევლის მიტრა, ბალიში, თასის ორნამენტები, ვერცხლის თასი, ბადია, ვერცხლის საცეცხლური, საკმეველი, ალისფერი სამოსელი, წყალი მოვერცხლილი შუშის ჭურჭელი საყრდენით, სურათი წმიდა პეტრეს გამოსახულებით ეკლესიისათვის და პირველმღვდელმთავრის პორტრეტი".

პაპის სახელზე წერილის შედგენის დროს, კათალიკოს ზაქარიას გამოუთქვამს სურვილი შეეტანათ წერილში მისი თხოვნა პაპისადმი, რათა მას საჩუქრის სახით გამოეგზავნა მისთვის საეკლესიო სამოსელი და მიტრა. მაგრამ მისიონერებს უთქვამთ, რომ ეს უხერხული იქნებოდა თვითონ კათალიკოსის მხრიდან. დონ პიეტრო ავიტაბილე დაჰპირდა პატრიარქს, თვითონ მისიონერები მისწერდნენ ამის შესახებ წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს, რაც კიდევაც გააკეთეს.

დონ პიეტრო ავიტაბილე თეიმურაზ მეფისათვისაც ითხოვდა საჩუქრებს: „ლამაზი საათი რეკვითა და საყრდენით, რამდენიმე ქრისტეს

---

[46] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 390.

ჯვარცმა — კარგი მასალისაგან და კარგი ხელოსნის მიერ გაკეთებული, რამდენიმე მარჯნის გვირგვინი; ქრისტეს, მადონას, წმიდა პეტრეს და წმიდა პავლეს, წმიდა გიორგის, წმიდა ქრისტიანი მსახური ქალის (რომელსაც აქ ნინოს უწოდებენ), კარგად გაკეთებული პირველმღვდელმთავრის პორტრეტი რამდენიმე ცალი (კარგი მხატვრის მიერ შესრულებული), ვერცხლის მოოქრული ვაზა, ოქროს ქსოვილი მატერიის ნაჭერი მეფის ჩასაცმელად და ასევე აბრეშუმის ნაჭერი მხატვრული ნამუშევრითა და რამდენიმე ვერცხლით მორთული სურათი“.

თეიმურაზ მეფე თვითონ სწერდა პაპ ურბან VIII-ს იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო უცხოელი დამპყრობლების შემოსევების გამო: „რაც შეეხება ახლანდელ მდგომარეობას, — სწერდა თეიმურაზ მეფე პაპს, — რომელშიც ჩვენ და ყველა ჩვენგანი ვიმყოფებით, წმიდა მამებმა ნახეს გატიალებული ველები, ხისა და ქვის შენობების დარჩენილი ნანგრევები და ის, რომ ეკლესიებში არ დარჩა არც ერთი [წმინდანის] გამოსახულება, არც იქ არსებული ვერცხლის საგნები, როგორც ამის შესახებ მოახსენებენ თქვენს უწმინდესობას თვითონ წმიდა მამები...“[47]

თეიმურაზ მეფის ამ სიტყვებს ადასტურებს დონ პიეტრო ავიტაბილეს წერილის ერთი ადგილი: „ეს სამეფო იმდენად განადგურებულია, რომ საცოდაობაა სანახავად. ჩვენ გავიარეთ ამ სამეფოს დიდი ნაწილი და შეგვიძლია ზუსტად დავადასტუროთ, რომ არ გვინახავს არც ერთი სახლი, რომელიც ფეხზე მდგარიყო, ვინაიდან გასულ წლებში სპარსეთის შაჰმა, ამ მეფისადმი (თეიმურაზ მეფისადმი. — ი. ტ.) მეტად გაბრაზებულმა, მის წინააღმდეგ გაგზავნა მთელი თავისი არმია და ამრიგად დაინგრა ეს ქვეყანა ისე, რომ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, როგორც დიდ, ისე პატარა სამფლობელოებში ქვა ქვაზე არ დატოვა, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი სპარსეთში გარეკა და მონად აქცია. მხოლოდ ნაწილმა შეძლო გაქცევით ეშველა თავისათვის და გაფანტულიყო ახლო მდებარე ადგილებში. თვითონ მეფე (თეიმურაზი. — ი. ტ.) დიდი ხნის განმავლობაში ლტოლვილი იყო და არც ისე დიდი ხანია, დადო რა ზავი სპარსეთთან, დაბრუნდა სამშობლოში და ახლა ცდილობს წესრიგში მოიყვანოს დანგრეული, უბედური სამშობლო. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ხალხი თანდათანობით ბრუნდება სამშობლოში თავიანთ ადგილებში. უკვე დაიწყეს თესვა, გაჩნდა ზოგიერთი საკვების რამდენადმე სიუხვის ნიშანი. მაგრამ ძირითადად ხალხი აქ ისევ ისეთ სიღატაკეშია, რომ თითქმის ყველა ტიტველია [მძიმე მდგომარეობაშია] თვი-

---

[47] Ibid., f. 396.

ტონ მეფეც, რომელიც რომელიდაც კარავშია თავშეფარებული. იგი მთელი თავისი სახელმწიფოდან ვერ აგროვებს იმაზე მეტს შემოსავალს, ვიდრე ადრე აგროვებდა [ვინაიდან] აქ აღარ არსებობს შემოსავალი აბრეშუმიდან და ვაჭრობის სხვა დარგიდან"[48].

ამასთან დაკავშირებით, პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერდა: სპარსელების მიერ „ჩადენილი ამ ქვეყნის დანგრევა, რომელსაც თქვენ აღწერთ, ჩემთვის ახალი ამბავი არ არის. ქალბატონ მარიამს[49], მიუხედავად მისი მცირეწლოვანებისა ეს ახსოვს. მაგრამ, თქვენ რომ ამის შესახებ მისწერეთ ჩვენს ბატონებს და ამასთანავე, მიმართეთ მათ თხოვნით, გაგზავნონ საქართველოში ის საგნები, რომელთა შესახებ თქვენ მწერთ, ეს ძალიან კარგია, ეს სწორედ თქვენი მოვალეობაა"[50].

ასეთ ვითარებაში, ცხადია, მისიონერებიც მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ. ისინი სურსათის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. ხშირად გორის გარეუბნებში საჭმელად ბალახსაც კი აგროვებდნენ. გორში მყოფი მისიონერების ასეთი მძიმე მდგომარეობის ამსახველი ერთი მაგალითი მოაქვს თეატინელ მისიონერს და ცნობილ მხატვარს დონ კრისტოფორო დე კასტელის თავის ნაშრომში: „საქართველოს არქიეპისკოპოსი და პრელატი ალავერდელის ისტორია".

ერთ დღეს, საჭმელის საძებრად გორის გარეუბნებში გასული მორჩილი ძმა კლავდიო[51] ერთ პატარა ტბას წააწყდა, სადაც ბევრი კუ აღმოჩნდა. ამ სანახაობით გახარებულმა კლავდიომ იმდენი კუ ამოიყვანა, რომ ერთი ტომარა გაავსო, ზურგზე მოიკიდა და შინ მიიტანა. მისიონერებს არც ხორცი ჰქონდათ და არც თევზი, ამიტომ გადაწყვიტეს კუ მოეხარშათ და ეჭამათ. შექმნილ მძიმე სასურსათო პირობებში, ეს მათ ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიეს და ამის დამალვა არ უფიქრიათ.

ხალხში ხმა გავრცელდა: თეატინელი მისიონერები უწმინდურ ცხოველს — კუს ჭამენო. მისიონერებმა არ იცოდნენ, რომ ეს ცხო-

---

[48] Ibid., f. 396.

[49] მარიამი — პიეტრო დელა ვალეს მეორე ცოლი, ქართველი, კახეთიდან (იგივე წიბა, მარუჩა).

[50] Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, p. 37.

[51] მორჩილი ძმა კლავდიო — წარმოშობით ფრანგი, მალტის ორდენის კავალერის ამპონეს ყოფილი მსახური. დაუახლოვდა დონ პიეტრო ავიტაბილეს, ამ უკანასკნელის კუნძულ მალტაზე ყოფნის დროს, გაჰყვა მას საქართველოში და მასთან ერთად იქ ჩავიდა 1628 წლის 14 აგვისტოს. გახდა ბერი. იგი კარგი დურგალი იყო. მისიონერების მიერ გორიდან გაგზავნილ წერილებში აღნიშნულია, რომ იგი ითხოვდა კარგი სადურგლო ინსტრუმენტების გამოგზავნას რომიდან.

ველი ქართველებს საერთოდ ეზიზღებოდათ და მისი ჭამა შეუწყნარებლად მიაჩნდათ.

გაიგო რა, რომ მისიონერები კუს ჭამდნენ, ეპისკოპოსი ალავერდელი მოულოდნელად მათთან მივიდა და პირდაპირ სამზარეულოში შევიდა, სადაც ქვაბში რამდენიმე კუ იხარშებოდა. თავი ახადა ქვაბს და საკუთარი თვალით რომ დაინახა კუ იხარშებოდა, ამ სანახაობით გაოცებულმა, ბერძნულად წამოიძახა: „უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე“ და თურქულად დასძინა: „ვაჰ, რას ჭამენ ეს ურწმუნოები?“

თეატინელ მისიონერებს შეეშინდათ. ისინი შეეცადნენ ალავერდელისა და ყველა იქ მყოფისათვის აეხსნათ, რომ მათ კარგად იციან ეს რა ცხოველიცაა, მაგრამ შიმშილი აიძულებდათ ეჭამათ იგი. ამრიგად ისინი თავს იმართლებდნენ და მიუთითებდნენ, რომ ასეთ შემთხვევაზე ლაპარაკია სახარებაშიც და წმიდა პეტრეს სიტყვებშიც. მისიონერები ასევე ამბობდნენ, რომ უდაბნოში ყოფნის დროს, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო წმიდა იოანე იძულებული გახდა კალიები ეჭამა; რომ იყო სხვა შემთხვევაც, როდესაც გაჭირვების დროს ბაყაყს, ლოკოკინას და გველსაც კი ჭამდენო.

მაგრამ ალავერდელს არაფრის გაგონება არ სურდა. მან მისიონერები გამოიყვანა გარეთ, გაიყვანა მოედანზე და იქ ხალხს გააგებინა, რომ ისინი კუს ჭამდნენ. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო. „გაიგეს რა ეს ქართველებმა, — წერს დონ ბართ. ფერრო, — რომლებიც კუს ზიზღით უყურებდნენ, როგორც უწმინდურ ცხოველს, აღუწერელი სიძულვილით განეწყვნენ თეატინელი მისიონერების მიმართ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირდაპირ პირში ეუბნებოდნენ მათ, რომ ისინი თათრებზე უარესი არიან, რომლებიც ცხენის ხორცს ჭამენ. ზოგი ზიზღით აფურთხებდა მისიონერებს. ბავშვებიც კი დასცინოდნენ მათ“[52].

ამის შემდეგ თეატინელი მისიონერები ერთხანს იძულებული გახდნენ საზოგადოებაში ნაკლებად გამოჩენილიყვნენ[53].

ამ შემთხვევით ისარგებლეს თეატინელი მისიონერების მტრებმა, განსაკუთრებით ბერძენმა ბერებმა. დონ ბართ. ფერრო წერს: „სიამაყე, რომელიც წმიდა ავგუსტინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენს შურის დედას, დიდი იყო ქართველ მღვდელთმსახურთა შორის, რომლებსაც შურდათ ჩვენი მისიონერების წარმატება ხალხში“[54]. ეს ეხე-

---

[52] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 103.

[53] იხ. ი. ტაბაღუა, ევროპულმა წყაროებმა შემოგვინახეს, გაზ. „კომუნისტი“, 1985 წლის 23 ივნისი.

[54] Don Bart. Ferro, Op. cit., p. 103.

ზოდა ბერძენ ბერებსაც. თეატინელ მისიონერთა ცხოვრებაში მომხდარი ეს ამბავი გამოიყენა ყველამ, ვინც კი კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების წინააღმდეგი იყო საქართველოში და მათ წინააღმდეგ სხვადასხვა ხრიკებს აწყობდა.

ეპისკოპოსმა ალავერდელმა კი ეს ამბავი გამოიყენა თეატინელი მისიონერების სახელის გასატეხად თეიმურაზ მეფის წინაშე. მისიონერების მოწინააღმდეგეებმა ეს ამბავი „იმდენად გაბერეს თეიმურაზ მეფისა და სასახლის კარის წინაშე, რომ ყველა აღშფოთებული იყო. მისიონერებმა დაჰკარგეს ნდობაც და მოპოვებული კეთილი სახელიც, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ“ — შენიშნავს დონ ბართ. ფერრო[55].

ამ შემთხვევაში ეპისკოპოსი ალავერდელი იყენებდა ბერძენ ბერს ფილიპეს, რომელიც სასახლის კარზე მიღებული კაცი იყო და თეიმურაზ მეფესთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. მეფესთან საუბარში, როგორც კი მას საშუალება მიეცემოდა, იგი ყოველთვის ლანძღავდა თეატინელ მისიონერებს. თეიმურაზ მეფესთან საუბარში ბერძენი ბერი ამტკიცებდა, რომ თითქოს, რომის პაპი ურბან VIII ეკლესიიდან განდევნეს იმის გამო, რომ სინოდის მსოფლიო კრების გადაწყვეტილებაში მან შესწორება შეიტანა; რომ იუდეველთა მსგავსად, კათოლიკები წირვის დროს მაცას ხმარობენ; რომ მათ სწამთ „საშინელ სამსჯავროს“ გარდა კიდევ სხვა რაღაცა, რომლის შესახებ არაფერია ნათქვამი წმიდა წერილებშიო და სხვ.[56]

მართალია, ეპისკოპოსი ალავერდელი მხარს უჭერდა თეატინელ მისიონერთა წინააღმდეგ ბერძენი ბერების მოქმედებას, მაგრამ ალავერდელი რომის პირველ მღვდელმთავარს აღიარებდა მსოფლიოში კათოლიკეთა მეთაურად; წინააღმდეგი არ იყო რომის პაპს თავისი დესპანები გამოეგზავნა საქართველოში, მიუთითებს დონ ბართ. ფერრო[57].

თეატინელმა მისიონერებმა შედარებით მოკლე ხანში გადაიტანეს ეს მძიმე მომენტი. მალე კვლავ აღსდგა მათი ავტორიტეტი და განაგრძეს გულმოდგინე მუშაობა სარწმუნოების განმტკიცების საქმეში. ისინი კვლავ თხოვდნენ რომს, რათა დახმარება აღმოეჩინათ ქართული ეკლესიებისათვის. მოითხოვდნენ ექიმის გამოგზავნას, რამდენადაც საქართველოში ავადმყოფობა იყო გავრცელებული.

დონ პიეტრო ავიტაბილე სწერდა წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს: „თქვენთან გამოგზავნილ წერილში, როგორც ამას თვითონ ნახავთ, მეფემ ყველა საშუალებით ისურვა მოემართა თქვენთვის თხოვ-

---

[55] Don Bart. Ferro, C. R., Istoria delle Missioni, p. 103.
[56] Ibid., p. 104.
[57] Ibid., 97.

ჭით, გამოუგზავნოთ მას ექიმი, რამდენადაც ამ ქვეყანაში იგი სრულებით არაა, ასევე არავითარი იმედი არ არსებობს იმისა, რომ სხვა ადგილიდან მათ მიიღონ იგი. მეფის სურვილი იმდენად დიდია, რომ თუ მისდამი ამ მოწყალებას გამოიჩენთ, იგი დარჩებოდა საგანგებოდ დავალებული, ამიტომ ჩვენ გთხოვთ იესო ქრისტესადმი სიყვარულის სახელით, იმოქმედოთ მასთან ექიმის გამოგზავნის საქმეში, ვინაიდან არც ისე ძნელია მოინახოს ვინმე, ვინც ნაკლებადაა დაკავებული სამუშაოებით იმ მხარეში და სურს იხილოს სამყარო და ხალისით გამოემგზავრება აქეთკენ“[58].

დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ თავის წერილებში დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით, პიეტრო დელა ვალემ სპეციალურად მიმართა წმიდა კონგრეგაციის დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს და თხოვა მათ გაეცათ განკარგულება, რათა დაეკმაყოფილებინათ ყველა ის თხოვნა, რომლებსაც თავის წერილში აყენებდა დონ პიეტრო ავიტაბილე.

ამის შემდეგ პიეტრო დელა ვალემ წერილი მისწერა გორში მყოფ დონ პიეტრო ავიტაბილეს. ამ წერილში იგი სწერდა მას: „სხვა საკითხთა შორის, შევძელი მიმექცია ჩვენი ბატონების (კარდინალების. — ი. ტ.) ყურადღება აუცილებელ საკითხებზე, მოემარაგებინათ გორში ეკლესიების მსახურნი საჭირო სამოსელით, ასევე შავი ქსოვილებით, რომელსაც თქვენ ვერც იქ და ვერც ალეპოში ვერ იშოვით და თუ იშოვით, მეტად ძვირი დაგიჯდებათ, ვიდრე აქედან მისი გაგზავნა. გარდა ამისა, საჭიროა თქვენთან გაიგზავნოს შლიაპები, მღვდლის ქუდები და სხვა საგნები, რომლებიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შეუძლებელია კაცმა იმ მხარეში იშოვოს და არც ვინმე მოიპოვება იქ, ვინც მათ გააკეთებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ბატონები არ დააყოვნებენ ასევე გაგზავნონ ზოგი რამ საჩუქრების სახით მეფისათვის, დედოფლისათვის, პატრიარქისა და სხვა საჭირო პირებისათვის“.

საქართველოში ექიმ-მკურნალის გაგზავნის შესახებ პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილეს ერთ-ერთ წერილში სწერდა: „რაც შეეხება მეფის სურვილს, მიიღოს მკურნალი, შესასრულებლად ეს ყველაზე ძნელი თხოვნაა. თქვენ ხომ შესანიშნავად მოგეხსენებათ ის სიძნელეები, რომლებიც ასეთ შორეულ ქვეყანაში ადამიანების გაგზავნასთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად ამისა, ყველა ღონისძიებას მივმართავთ, რათა მოინახოს ასეთი ადამიანები. ჩემს მხრიდან გავაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემზეა დამოკიდებული. მგონია, რომ ბატონი ლუიჯი რომირო, რომელიც ამჟამად ალეპოში იმყოფება, სხვაზე უფრო გამოდგება ამ საქმისა-

---

[58] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 390v°.

თვის. ამ პიროვნებას თქვენ კარგად იცნობთ, მით უფრო, რომ მან ამ ბოლო ხანებში უნდა დატოვოს ალეპო. ამასთანავე, ალეპო შორს არაა თქვენგან, ხოლო მოგზაურობის დროს იგი გაეცნო აზიას და ქვეყანა, რომელშიც გამგზავრებას მას შევთავაზებთ (საქართველო. — ი. ტ.) მისთვის სხვებზე უფრო ცნობილია. მგონია ასევე, რომ იგი წინააღმდეგი არ იქნებოდა ამ მოგზაურობაში ეძია თავისი ბედნიერება. საერთოდ, ჩემი აზრით, იგი სხვებზე უფრო გამოდგება ამ ადგილზე და მისგან თანხმობის მიღებაც უფრო ადვილი იქნება.

დღესვე მივწერ მას ვრცელ წერილს და მთელი ჩემი ძალებით შევეცდები, რათა დავარწმუნო იგი. თქვენც ასევე შეგიძლიათ შეეცადოთ ზეგავლენა მოახდინოთ მასზე. შევეცდები ასევე, თუ აუცილებელი გახდა, ვიმოქმედო მასზე წმიდა კონგრეგაციის საშუალებითაც. ასე რომ, შესაძლებელია, ჩვენი ერთიანი მოქმედებით რაიმეს მივაღწიოთ“[59].

დონ პიეტრო ავიტაბილე წმიდა კონგრეგაციის კარდინალების სახელზე გორიდან გაგზავნილ წერილებში ეხება ქართველი ხალხის, მეფისა და კათალიკოსის დამოკიდებულებას საერთოდ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან და კერძოდ რომის პაპისადმი. მისი აზრით, ქართველებს სარწმუნოებაში იგივე დაბნეულობა ახასიათებთ, რაც ბერძნებს, ვინაიდან მათ არ ჰყავთ სხვა მოძღვარი, არც ხელმძღვანელი გარდა ბერძნებისა. მიუხედავად ამისა, ისინი ანტიპათიურად არ არიან განწყობილი ლათინელების მიმართ. პირიქით, ისინი სიყვარულს და კეთილგანწყობას იჩენენ ჩვენდამი. „ადამიანები აქ ალერსიანი და მეტად კეთილგანწყობილია და მგონია, რომ სრულებით არ არიან ჯიუტი. მათში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სხვადასხვა სახის ცრურწმენა და არაჩვეულებრივი უვიცობა მთელ რიგ საკითხებში, მაგრამ ეს ადამიანები უზნეო კი არ არიან, თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ჩვენ გავიგეთ და ვნახეთ. უფრო მეტიც, ისინი აღსავსე არიან სურვილით გაერკვენ სარწმუნოების ცნებაში, ხოლო ჩვენ, ლათინელებს ისინი გვეპყრობიან დიდი პატივისცემით, როგორც სწავლულ ადამიანებს. ასე რომ, თუ ვიქონიებთ ღმერთის დახმარების იმედს და კარგად შევისწავლით მათ ენას, შედეგებიც კარგი იქნება“[60].

დონ პიეტრო ავიტაბილე მაღალ შეფასებას აძლევდა თეიმურაზ მეფეს და კათალიკოს ზაქარიას. „მეფე ფლობს ისეთ შთამბეჭდავ გონებას, — წერს იგი, — რაც ადამიანში გაოცებას იწვევს. იგი არაჩვეულებრივად ღვთისმოსავია და მეტად ხალისით ჩაერთვება ხოლმე საუ-

---

[59] D o n Fr. A n d r e u C. R., Carteggio inedito, p.
[60] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 389.

ბარში მოციქულთა წმიდა წესებისა და ეკლესიის წმიდა მამების მოძღვრებების შესახებ. დღემდე იგი გამოხატავს დიდ პატივისცემას პირველმღვდელმთავრისადმი და ჩვენი კათოლიკური დოგმებისადმი იჩენს მნიშვნელოვან მიდრეკილებას".

სხვა ადგილას, დონ პიეტრო ავიტაბილე წერს: „ამ ქვეყანაში ხალხი ცხადჰყოფს, რომ იგი მეტად უფრთხილდება ამ სამეფოში ჩვენს ჩამოსვლას. თვითონ მეფე ხშირად აღნიშნავს, რომ უფალმა დაიწყო მისთვის კეთილი საქმეების გაკეთება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან თავის ქვეყანაში ფრანკები (ევროპელი მისიონერები. — ი. ტ.) მიიღო"[61].

საერთოდ მისიონერები ხშირად აქებდნენ თეიმურაზ მეფეს და მიუთითებდნენ მის მაღალ განათლებაზე: „იგი ისე ბრწყინვალედ ფლობს სპარსულ და თურქულ ენებს, რომ როდესაც ამ ენებზე ლაპარაკობს, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის ნამდვილი მკვიდრი გეგონებათ".

აი კიდევ ერთი საბუთი თეიმურაზ მეფის შესახებ: „თეიმურაზი, — წერს დონ ბართ. ფერო, — მშვენიერი შეხედულებისაა, სახის კანის ფერი თეთრი, არწივისებური ცხვირი, დიდი და მრგვალი თვალები, სიმაღლით — საშუალოზე მაღალი, ტანში გამართული, თავაზიანი, მეტად ზრდილობიანი, ბევრი ენის — ქართულის, თურქულის, სპარსულის ცოდნით დამშვენებული, რომლებზედაც ენაწყლიანად მეტყველებს; მოლაპარაკების დროს ნიჭიერი, ბრძოლებში მამაცი, შესანიშნავი პოეტი. მან ლექსად დაწერა დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს პიროვნების ისტორია"[62].

ბრძოლების დროს თეიმურაზ მეფის მამაცობის დასადასტურებლად თეატინელ მისიონერებს მოაქვთ ერთი ასეთი მაგალითი: 1618 წელს თეიმურაზი თურქეთში წავიდა, რათა მიეღო დახმარება სპარსელების წინააღმდეგ. ამ დროს თურქებმა ომი განაახლეს სპარსელების წინააღმდეგ. თურქეთის ლაშქარს დიდი ვეზირი ხალილ ფაშა სარდლობდა. თურქების ეს ლაშქრობა მიზნად ისახავდა სამხრეთ აზერბაიჯანის დაპყრობას. თურქეთის ლაშქარს თეიმურაზი შეუერთდა თავისი მცირე ნაწილებით. კახელები მამაცურად იბრძოდნენ თურქების არმიის მოწინავე ნაწილებში. მძვინვარე და განრისხებული თეიმურაზი, — წერს ბართ. ფერო, — ახალი მარსის მსგავსად, თავისი ქართველებით დაწინაურდა, ხმლით გააპო რა სპარსეთის მუცელი, არდებილს მიაღწია. მისი რისხვა და მძვინვარება იმდენად დიდი იყო, რომ ძლეტვა-ხოცვით, ძარცვით, ქალაქის გადაბუგვით, აიძულა სპარსელები მიეღოთ ღირსეული სასჯელი[ქართველების მიმართ] ჩადენილი სიმკაცრისათვის.

---

[61] Ibid.. f. 390v°.

[62] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 97.

თეიმურაზმა ბრძანა: გადაეწვათ ქალაქი არდებილი, რათა იქ დასაფლავებული სპარსეთის შაჰების მოგონებები ფერფლად ქცეულიყო"[63].

თეატინელი მისიონერები ასევე დადებითად ახასიათებდნენ კათალიკოს ზაქარიასაც. კათალიკოსი ზაქარია, ატყობინებდა დონ პიეტრო ავიტაბილე რომს, „ლაპარაკობს დიდ მღვდელმთავარზე (პაპზე. — ი. ტ.) და ასევე კათოლიკური ეკლესიის საქმეებზე იმრიგად, რომ ყველა ვინც კი მოუსმენს მას უთუოდ ჩათვლის კათოლიკედ და არა სქიზმის მიმდევრად".

თეატინელი მისიონერები გორში ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ ქართული და თურქული ენების შესწავლას. ისინი ოთხ თვეში ისე დაეუფლნენ ქართულ ენას, რომ ესმოდათ რასაც ეუბნებოდნენ და შეეძლოთ კათოლიკური სარწმუნოების შესახებ გამოეთქვათ თავიანთი აზრი და ექადაგათ. მათ ისწავლეს ქართულად „მამაო ჩვენო", „გიხაროდეს მარიამ", ქრისტიანული დოქტრინები და ამასვე ასწავლიდნენ თავიანთ მრევლს.

ისინი დაბეჯითებით განაგრძობდნენ ქართული ენის სწავლას, მაგრამ იმასაც აღიარებდნენ, რომ მათთვის „ქართული ენის შესწავლა მეტად ძნელი იყო"[64]. ისინი ხედავდნენ, რომ ქართული ენა არ ემორჩილებოდა მათი დედა ენის ნორმებს, ამასთანავე, არავითარი სახელმძღვანელო ან ლექსიკონი არ ჰქონდათ ქართულ ენაში. თეატინელი მისიონერები განათლებული ხალხი იყო და მათ დაიწყეს ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნა, მაგრამ ეს წამოწყება ჯერ კიდევ პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა.

მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო და ამას თვითონაც აშკარად ამბობდნენ: ქართული ენის ცოდნის გარეშე უარი უნდა ეთქვათ საერთოდ სამისიონერო მოღვაწეობაზე საქართველოში. ვატიკანი კი მათგან დაჟინებით მოითხოვდა დაუფლებოდნენ ქართულ ენას ისე, რომ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ჩაეტარებინათ.

რაც შეეხებოდა კონტაქტებს, საუბრებს ქართველებთან, ისინი ამ შემთხვევაში სარგებლობდნენ თურქული ენითაც, რამდენადაც თურქული ენა იმ პერიოდში ქართველთა შორის ბევრმა იცოდა. საქართველოში ჩამოსვლამდე თურქული ენა, ხოლო ჩამოსვლის შემდეგ — ქართული ენა, ყველაზე სწრაფად და უკეთესად შეისწავლა თეატინელმა მისიონერმა დონ ჯაკომო დი სტეფანომ, რომელმაც თავიდანვე კარგი და ახლო ურთიერობა დაამყარა თეიმურაზ მეფესთან. ეს უკანასკნელიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მას და ხშირად საუბრობდა მასთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ როდესაც დადგა საკითხი რომში თეი-

---

[63] Ibid., p. 94.

[64] Ibid., p. 99.

მურაზის ელჩის სახით ერთ-ერთი თეატინელი მისიონერის გაგზავნის შესახებ, თეიმურაზ მეფემ დონ ჯაკომო დი სტეფანო (რომლის კანდიდატურაც პირველად იყო დასახელებული) ვერ გაიმეტა. გადაწყდა დონ პიეტრო ავიტაბილეს გაგზავნა რომში თეიმურაზის ელჩის ტიტულით. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ დონ პიეტრო ავიტაბილეს თვითონ აინტერესებდა რომში წასვლა თავისი სამისიონერო საქმეების მოსაგვარებლად.

როგორც უკვე ითქვა, შემოსევებისა და ომების შედეგად მოსახლეობას მოედო სხვადასხვა სახის ავადმყოფობა, ხოლო ქვეყანაში ექიმები არ იყო. ასეთ ვითარებაში, მათი შესაძლებლობისა და ცოდნის მიხედვით, თეატინელი მისიონერები მკურნალობდნენ ავადმყოფებს არა მარტო სამეფო კარზე, არამედ მოსახლეობაშიც. ამრიგად, თეატინელი მისიონერები — ეს განათლებული ბერები, ამ დროს საქართველოში გვევლინებიან არა მარტო როგორც საეკლესიო მოღვაწეები, არამედ როგორც მკურნალ-ექიმებიც.

თეატინელმა მისიონერებმა ისეთი აქტიური საქმიანობა გააჩაღეს, რომ მათი პატარა სახლი და ეკლესია მალე კათოლიკე მისიონერების სულიერი მისწრაფებისა და განათლების ცენტრი გახდა[65]. ისინი ნათლავდნენ ბავშვებს, ასწავლიდნენ მათ ლათინურს, იტალიურს, შემდგომში, როცა თვითონ საკმაოდ შეისწავლეს ქართული ენა, ქართულსაც. მისიონერებს შემოჰქონდათ ევროპული კულტურა საქართველოში. წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგია ავალებდა თეატინელ მისიონერებს ადგილებზე მოემზადებინათ ახალგაზრდები, შემდგომში რომში მათი გაგზავნის მიზნით, ხოლო იქ მათ მოამზადებდნენ მისიონერებად და წმიდა კონგრეგაცია მათ გამოიყენებდა თავისი მიზნებისათვის[66].

ცხადია, ვატიკანს პირველ რიგში თავისი საკუთარი მიზნები ამოქმედებდა საქართველოში: ავრცელებდა რა ქრისტიანულ საქართველოში კათოლიკურ სარწმუნოებას, იგი აქ ქმნიდა თავისთვის ერთგვარ პლაცდარმს, რათა საქართველოზე დაყრდნობით, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც გაევრცელებინა კათოლიკობა და განეხორციელებინა თავისი მიზნები. და თუ ქართველი ახალგაზრდობის მომზადება ამ მიმართულებით საქართველოსა და შემდგომში რომში, განხორციელდებოდა, რომის კოლეჯი დამთავრებული ქართველები გამოყენებული იქნებოდნენ სამისიონერო მუშაობისათვის არა მარტო საქართველო-

---

[65] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 403; Don Bart. Ferro, C. R., Istoria delle Missioni, p. 89; Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, p. 66.

[66] Memoria rerum, S. 663.

'ში, არამედ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.).

1629 წლის აგვისტოში, ორი წლისა და ცხრა თვის მოგზაურობის შემდეგ გორში დაბრუნდა თეიმურაზ მეფის ელჩი ევროპაში ნიკიფორე ირბახი. გორში ჩასვლისთანავე მან ინახულა კათოლიკე მისიონერები, რამდენადაც იგი „დიდად კმაყოფილი იყო ევროპაში, კერძოდ, ესპანეთსა და იტალიაში ყოფნის დროს მისდამი კათოლიკეების დამოკიდებულებითა და მხარდაჭერით"[67].

მან გორში მყოფ მისიონერებს მოუყვა ევროპაში მის მოგზაურობაზე, შეხვედრებსა და საუბრებზე. მოახსენა თეატინელ მისიონერებს მათი ორდენის მოღვაწეობაზე, „წმიდა კონგრეგაციის მზარდ მისწრაფებაზე, ხელი შეეწყო თეატინელთა მისიების წარმატებისათვის"[68].

დიდი ხნით სამშობლოს მოწყვეტილი მისიონერები დიდად კმაყოფილი დარჩნენ ნიკიფორე ირბახის ჩამოსვლით და მისგან ახალი ამბების გაგებით: „შეუძლებელია ადამიანმა აღწეროს ის სიხარული, — შენიშნავს ბართ. ფერო, — რომელიც ამ მომენტში განიცადეს თეატინელმა მისიონერებმა, მიუხედავად ყველა იმ სიძნელეებისა, რომლებსაც ისინი იმ დროს განიცდიდნენ"[69].

ნიკიფორე ირბახმა ნახა, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა კათოლიკე მისიონერებს გორში. „ნიკიფორე ირბახი, — წერს დონ ბართ. ფერო, — ხედავდა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობდნენ მისიონერები. ამიტომ იგი გაჩუმებული იყო, მაგრამ გრძნობდა იმ სიხარულსა და სიამოვნებას, რომელიც მან მათ მიაყენა და მათ ასევე გამოამჟღავნეს ნიკიფორეს მიმართ. ნიკიფორე ირბახი მეტად შეაწუხა კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ ბერძენი ბერების მოქმედებამ, მაგრამ გულის სიღრმეში იგი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ თავისი ჩამოსვლითა და ახალი ამბების ჩამოტანით, მათ სიამოვნება მოუტანა. ნიკიფორე ფიქრობდა თუ როგორ გამოეხატა თეიმურაზ მეფესთან შეხვედრის დროს თავისი სიმპათიები თეატინელი მისიონერებისადმი და როგორ აღენიშნა მათი სამართლიანი დამსახურება"[70].

წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს არქივში შემონახული საბუთები, სადაც ლაპარაკია საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკიფორე ირბახის მოქმედებაზე თეატინელი მისიონერების სასარგებ-

---

[67] Don Bert. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 107.
[68] Ibid.
[69] Ibid.
[70] Arhivio della SCPF, SOCG, Acta, vol. 7, 1630—1631, f. 68.

ლოდ და მათდამი მფარველობაზე, ნიკიფორეს სიმპათიებზე რომის ეკლესიისადმი[71].

რამდენიმე დღის შემდეგ ევროპიდან დაბრუნებული ნიკიფორე ირბახი „წარსდგა თეიმურაზ მეფის წინაშე და მოახსენა მას ევროპაში მისი ელჩობის შედეგებზე და იმ პატივის შესახებ, რომელიც მას დადო ბევრმა თავადმა და მონარქმა მისი უდიდებულესობისადმი (თეიმურაზ მეფისადმი. — ი. ტ.) პატივისცემის გამო. განსაკუთრებით კი იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობდა ხელს ყოველივე ამას საქართველოში გაბატონებული ქრისტიანული რელიგია, რომელმაც საქართველოსაკენ ფართო გზა გაუხსნა ამ მთავრებსა და მონარქებს".

ნიკიფორე ირბახმა ასევე მოახსენა თეიმურაზ მეფეს, რომ უმაღლესი მღვდელმთავარი განწყობილია თეიმურაზ მეფისადმი მეტად კეთილი სურვილებით, რომლის დასადასტურებლად ნიკიფორემ თეიმურაზს გადასცა 1628 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული პაპი ურბან VIII-ის წერილი. თუმცა პაპის ეს წერილი იყო თეიმურაზ მეფის მიერ პაპთან გაგზავნილი წერილის პასუხი, სადაც თეიმურაზი დახმარებას ითხოვდა პაპისაგან, მაგრამ პაპის საპასუხო წერილში ლაპარაკი იყო მხოლოდ რელიგიურ საკითხებზე, იმაზე, რომ ქართული ეკლესია უნდა შეერთებოდა რომის ეკლესიას, თვითონ თეიმურაზ მეფეს მიეღო კათოლიკობა და მის ქვეყანაში გაევრცელებინა ეს სარწმუნოება.

პაპის წერილში ნათქვამია: „კარდინალთა წმიდა კონგრეგაციამ, რომელიც დაკავებულია სარწმუნოების გავრცელების საქმით, მიუთითა ზემოხსენებულ ნიკიფორეს, სახელდობრ თუ რას მოელის და რას მოითხოვს შენი უმაღლესობისაგან რომის ეკლესია. საჭიროა მთელი ძალით იზრუნო, რათა ეკლესიის მეთაურები და მღვდელმსახურები, იბერიის სამეფოს სულის მწყემსები, რომლებიც უფლის სახლში ცხოვრობენ, შენთან ერთად ერთსულოვნად აღიარებდნენ პეტრეს სახელმწიფოს — ეკლესიის ხილულ მეთაურს რომის ტახტის სახით"[72].

იმოქმედებს რა ამ წერილის მიხედვით, წერს დონ ბართ. ფერო, თეიმურაზ მეფეს „შეუძლია პაპისაგან მიიღოს ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს"[73].

ნიკიფორემ განსაკუთრებით ესაუბრა თეიმურაზ მეფეს თეატინელთა ორდენისა და გორში მოღვაწე თეატინელი მისიონერების შესახებ და დადებითად წარმოუდგინა მათი მოღვაწეობა გორში. ამის შემდეგ, შენიშნავს დონ ბართ. ფერო, თეიმურაზ მეფე უკეთ განეწყო

---

[71] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 108.

[72] Archivio della SCPF, SOCG, vol. 181, f. 166.

[73] Don Bart Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 107.

თეატინელი მისიონერების მიმართ, დაინახა რა მათში გულწრფელი მოღვაწეობა. ამიერიდან ხშირად ღებულობდა მათ და საუბრობდა მათთან[74].

როგორც თეიმურაზ პირველისადმი მიწერილი პაპის წერილიდან ჩანს, 1628 წ. 2 დეკემბერს ნიკიფორე საერთოდ იტალიაში ყოფილა, მაგრამ არა რომში. იგი მადრიდიდან რომში ჩავიდა 1628 წლის იანვარის ბოლოს და იქ დარჩა იმავე წლის აგვისტოს ბოლომდე (ზოგიერთი ცნობით, სექტემბრამდე), მაგრამ ამ დროის განმავლობაში იგი ნეაპოლშიც იყო.

როგორც ცნობილია, ნიკიფორე ირბახმა რომში მონაწილეობა მიიღო პირველი ქართული წიგნის დასაბეჭდად მომზადებაში, თუმცა როდესაც ეს პირველი სტამბურად დაბეჭდილი ქართული წიგნი რომში გამოვიდა (1629 წ.), ნიკიფორე უკვე აღარ იყო რომში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, პიეტრო დელა ვალესათვის ცნობილი გამხდარა, რომ ნიკიფორე ირბახის კიდევ ერთხელ უმოგზაურია იერუსალიმში და თითქოს, თეიმურაზ მეფეს უნდოდა იგი კიდევ ერთხელ ევროპაში გაეგზავნა თავის ელჩად. ამ ცნობით გახარებული პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერს: „ღმერთმა ინებოს, რომ მართლა გამოგზავნონ ევროპაში დონ ნიკიფორე, ვინაიდან ჩვენს მხარეში წარმატების მოსაპოვებლად მეფეს (თეიმურაზს. — ი. ტ.) გაუჭირდება მონახოს სხვა ვინმე მასზე უკეთესი".

რომში გაგზავნილ წერილებში დონ პიეტრო ავიტაბილე მიუთითებდა, რომ საქართველოში გაიშალა ფართო სამისიონერო მუშაობა, არსებობდა მისი უფრო გაფართოების საშუალება და ამიტომ საჭირო იყო რომიდან მისიონერთა ახალი ჯგუფის გამოგზავნა.

მიუხედავად იმისა, რომ თეატინელ მისიონერთა წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ იმ პერიოდში საქართველოში მყოფი ბერძენი ბერები (მაშინ ისინი საქართველოს ყველა მხარეში იყვნენ) და ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირიც (მათ შორის, ალავერდელიც), თეატინელ მისიონერთა ამ მოწინააღმდეგეებმა სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს — ვერ დაიყოლიეს თეიმურაზ მეფე და კათალიკოსი ზაქარია, გაედევნათ საქართველოდან კათოლიკე მისიონერები.

რაც შეეხებოდა მოსახლეობას, მიუხედავად ისლამის ძლიერი შემოტევისა, ქართველი ხალხი მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას. ბევრი დიდებული, რომელიც ზოგჯერ პოლიტიკურად სპარსეთის ან თურქეთის მხარეზე გამოდიოდა, თავის სარწმუნოებას — ქრისტიანობას მტკიცედ იცავდა და კათოლიკე მისიონერების ჩამოსვლას საქართველოში და მათ მოღვაწეობას მხარს უჭერდა. ხოლო კათოლიკე მისიო-

---

[74] Don Bart. Ferro, Isturia delle Missioni, p. 108.

ნერები სულიერად აღაფრთოვანებდნენ ქართველებს ქრისტიანობისათვის, სამშობლოს შენარჩუნებისათვის მათ ბრძოლაში[75].

კათოლიკე მისიონერები, კერძოდ თეატინელი მისიონერები მიუთითებდნენ ქართველების დაბნეულობასა და მათ შეცდომებზე სარწმუნოებაში, მაგრამ ამას ბერძნებს აბრალებდნენ, ვინაიდან ქართველებმა ბერძნებისაგან მიიღეს ქრისტიანობა, ხოლო ბერძნებს ლათინელებისაგან განსხვავებული დოგმები — დაბნეულობანი თავიდანვე ჰქონდათ და ამ საკითხში წინააღმდეგობა ბერძნებსა და ლათინელებს შორის დღემდე გრძელდებოდა. თეატინელი მისიონერების აზრით, ქართველების განთავისუფლება ამ დაბნეულობებისაგან შეიძლებოდა, რამდენადაც ქართველები მტკიცე ქრისტიანები იყვნენ და რომის ეკლესიისადმი კარგ დამოკიდებულებას იჩენდნენ.

დონ ბართ. ფერო წერდა: „სიჯიუტე დაბნეულობაში (რელიგიურ დაბნეულობაში. — ი. ტ.) იმდენად დამახასიათებელია კოლხებისა და იბერიელებისათვის და იმდენად შევიდა ეს მათ თქმულებებში და მოქმედებაში, რომ... ისინი მზად არიან ნებისმიერი სასჯელი მიიღონ, ვიდრე თავიანთი სარწმუნოება (იგულისხმება დაბნეულობა. — ი. ტ.) უარყონ“[76].

ამ რელიგიური დაბნეულობის აღმოფხვრის საქმეში თეატინელი მისიონერები დიდ იმედებს ამყარებდნენ ნიკიფორე ირბახზე, ვინაიდან, როგორც ისინი წერდნენ, ნიკიფორემ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ „გამოიჩინა თავი, როგორც კათოლიკე მისიონერების ნამდვილმა მეგობარმა“[77]. მან გადალახა ბერძენი ბერებისა და ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირის წინააღმდეგობა და „თეიმურაზ მეფე სიმპათიურად განაწყო რომის ეკლესიისადმი“[78].

თეატინელი მისიონერები რომში გაგზავნილ წერილებში არა ერთხელ მიუთითებდნენ, რომ ქართველები კეთილად არიან განწყობილი კათოლიკური სარწმუნოებისა და რომის ეკლესიისადმი. ისინი წერდნენ, რომ თვითონ მეფე თეიმურაზ პირველმაც „აღიარა კათოლიკობა, მაგრამ ამის გახმაურებას ერიდებიანო“[79].

თეატინელ მისიონერებს შემოუვლიათ მთელი აღმოსავლეთ საქართველო და ამის შესახებ დონ პიეტრო ავიტაბილე თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს პიეტრო დელა ვალეს: „ჩვენ უკვე შემოვიარეთ კახეთისა და ქართლის დიდი ნაწილი. ორივე ეს ქვეყანა ამჟამად თეი-

---

[75] Ibid. p. 89.
[76] Ibid. p. 97.
[77] Memoria rerum, S. 664.
[78] Archivio della SCPF, SOCG, Acta, 1630—1631, vol. 7, f. 68.
[79] Memoria rerum, S. 664.

მურაზს ეკუთვნის: პირველი მან მემკვიდრეობით მიიღო, ხოლო მეორე — მისი მეუღლის მზითვის სახით... გავიარეთ ჩვენ იმ მხარეშიც, საიდანაც წარმოშობითაა ქალბატონი მარიამი[80]. მისგან მოკითხვა გადავეცით მის ნათესავებს. მომავალში კიდევ არა ერთხელ გვექნება საშუალება ეს გავაკეთოთ"[81].

ამ დროს თეატინელი მისიონერები ასახელებენ კახეთის შემდეგ ქალაქებს: გრემი, ზაგემი, სკუანტე (ალბათ, შუამთა), ხოლო ქართლში: თბილისი (საქართველოს დედაქალაქი), გორი, სურამი.

მისიონერების წერილებში კარგადაა დახასიათებული აღმოსავლეთ საქართველო: „ამ ქვეყანაში შესანიშნავი ჰაერია, მაგრამ იმდენად მშრალი, რომ მიწა თუ არ დასველდა, არაფრის მომცემი არაა: არც მარცვლეულის, არც ყურძნის და არც ხილეულის... მორწყვის შემთხვევაში ეს მიწა იმდენად ნაყოფიერი ხდება, რომ ვერც ერთი სხვა მიწა მას ვერ სჯობნის... აქ არის მრავალი ვაზი და საუკეთესო ხილეული. აქ თუთის ხეების ტყეებია. სოფლები სავსეა თუთის ხეებით. აქედან, აბრეშუმის წარმოება იმდენად დიდია, რომ იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით სხვა ქვეყანაში გააქვთ".

ქართველების შესახებ ვკითხულობთ: „ქართველები ძალიან ლამაზი ხალხია, კანით თეთრი, ჩვენს იტალიელებს ჰგვანან. ქართლელებისა და კახელების ზნე-ჩვეულებები ძალიან არ განსხვავდებიან კოლხების ზნე-ჩვეულებებისაგან: როგორც ჩაცმულობაში, ისევე საჭმელში, აგრეთვე ცერემონიალში, დასაფლავების წესებსა და სტუმართმოყვარეობაში. არც უფრო ცივილიზებულნი არიან კოლხებთან შედარებით..."

და ბოლოს, გორის შესახებ ნათქვამია: „გორი დიდი ქალაქია, სასიამოვნოდ განლაგებული და მომხიბლველი დაბლობებით".

თეატინელ მისიონერებს დავალებული ჰქონდათ ქართული ენისა და ქართული დამწერლობის შესახებ ცნობები გაეგზავნათ წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის. ამასთან დაკავშირებით, დონ პიეტრო ავიტაბილე წერს: „რაც შეეხება ქართულ ალფაბეტს, თქვენ რომ დამავალეთ, ჯერჯერობით არაფერს გიგზავნით, რამდენადაც შეცდომების მეშინია, ვინაიდან ჯერ კიდევ ვერ ვისწავლე ამ ენაზე კარგად კითხვა და ლაპარაკი"[82].

დონ პიეტრო ავიტაბილე პიეტრო დელა ვალეს სწერს: „უშედეგო არ იქნება, თუ პირველი მღვდელმთავარი წერილს მისწერს პატრიარქ ზაქარიას. ხოლო რაც შეეხება ასეთი წერილის შინაარსს, ამას ჩვენ შევატყობინებთ წმიდა კონგრეგაციას".

---

[80] მარიამი,—იგივე თინათინ, წიბა—პიეტრო დელა ვალეს მეორე ცოლი.

[81] Don Bart. Ferro C. R., istoria delle Missioni, p. 98.

[82] Don Rr. Andreu C. R., Carteggio inedito, p. 98.

თავიანთი პირადი ცხოვრების შესახებ დონ პიეტრო ავიტაბილე წერს: „მართალია, ჩვენ უფლის მადლობელი ვართ, რომ სიცივისაგან არ მოვკვდით, ვინაიდან ჩვენ არაფერი გაგვაჩნია შეშის შესაძენად და მხოლოდ იშვიათად გვაქვს საშუალება ღვინო დავლიოთ. გარდა ამისა თითქმის შიშველი ვართ. მე იძულებული ვიყავი ჩემი სამოსელისთვის ნაჭრები დამეკერებინა. ერთხელ კიდევ გთხოვთ ამაზე იზრუნოთ პირველ მღვდელმთავართან და წმიდა კონგრეგაციაში, ჩვენი კეთილმოწყობისათვის სათანადო თანხების გამოყოფის შესახებ“[83].

დონ პიეტრო ავიტაბილეს სპეციალურად დაუყენებია საკითხი თეიმურაზ მეფისადმი პაპისა და კარდინალების მხრიდან მიმართვის შესახებ. იგი პიეტრო დელა ვალეს სწერს, რომ პაპის მიერ თეიმურაზ მეფისადმი მიწერილ პირველ წერილებში არ იყო არავითარი ტიტული, გარდა ლათინური ორი სიტყვისა: „ნობილი ვირო“ („კეთილშობილო ადამიანო“).

ამ შემთხვევით ისარგებლეს ბერძენმა ბერებმა, რათა ჩამოეგდოთ უკმაყოფილება თეიმურაზ მეფესა და პაპ ურბან VIII-ს შორის. ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს, ამით პაპი არ იჩენდა პატივისცემას საქართველოს მეფისადმი და თავის მიმართვაში ამცირებდა მას.

თვითონ თეიმურაზ მეფემ, როგორც ამას თეატინელი მისიონერები ადასტურებენ, დიდი სიფხიზლე და თავშეკავებულობა გამოიჩინა ამ შემთხვევაში და ყურადღება არ გაამახვილა ამ ფაქტზე, არც ბერძენი ბერების ლაპარაკს მიაქცია ყურადღება. მიუხედავად ამისა, დონ პიეტრო ავიტაბილე თხოვდა პიეტრო დელა ვალეს მომავალ წერილებში ამისათვის ყურადღება მიექციათ და მიემართათ თეიმურაზ მეფისათვის იმ ტიტულით, რომელსაც იგი როგორც მეფე ნამდვილად იმსახურებდა.

„ღვთის გულისათვის, — სწერდა დონ პიეტრო ავიტაბილე პიეტრო დელა ვალეს, — გთხოვთ გააკეთოთ ისე, რომ შემდეგ წერილში, რომელსაც თეიმურაზ მეფეს გამოუგზავნიან, თუ ამ წერილის მიღებას უფალი ინებებს, მიმართონ მას იმ ტიტულით მაინც, რომელსაც აძლევენ ყველა მბრძანებელს ან ვიცე-მეფეს აღმოსავლეთში“, ე. ი. ხანის ტიტულით. როგორც ქვემოთ დავინახავთ, დონ პიეტრო ავიტაბილეს ამ წერილმა თავისი როლი შეასრულა.

საპასუხო წერილში პიეტრო დელა ვალე წერდა, რომ მეფისა და დედოფლის „ტიტულების მიმართ მომავალში შეცდომები არ იქნება დაშვებული. ვიმედოვნებ, რომ მათ მიმართავენ ისე, რომ მათ ეს მოეწონებათ. თქვენს მიერ მოხსენიებულმა ტიტულმა — „ხანი“, მიიღო გავრცელება და წარმოადგენს საერთოდ აღიარებულ მიმართვას ყველა

[83] Ibid., p. 99.

ვიცე-მეფისადმი სპარსეთის ქვეყანაში. ჩემი აზრით, სწორი არ იქნებოდა ამ ტიტულით მივმართოთ საქართველოს მეფეს. პიეტრო დელა ვალეს აზრით, ასეთი მიმართვა შეიძლება გამოიყენონ რომელიმე მინისტრის მიმართ, რომელიც მსახურობს ურჯულო — მაჰმადიანი მეფის კარზე. მისივე აზრით, ასეთი მიმართვა თეიმურაზ მეფეს არ ესიამოვნებოდა.

ამიტომ პიეტრო დელა ვალე სთავაზობს მიმართონ თეიმურაზ მეფეს შემდეგი ტიტულებით: „უბრწყინვალესო", „უდიდებულესობავ" ან კიდევ, უწოდონ მას „იბერიის მეფე", რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს და როგორც იგი თავისთავს უწოდებს ევროპაში გაგზავნილ თავის წერილებში და ასევე მიმართავს თეიმურაზს თავის წერილში ესპანეთის მეფე.

პიეტრო დელა ვალე იმედს გამოსთქვამს, რომ საბოლოოდ მიაღწევენ ამას და დაამკვიდრებენ ასეთი ტიტულით მიმართონ თეიმურაზ მეფეს. „მე ყოველთვის, — წერს იგი დონ პიეტრო ავიტაბილეს, — ამ აზრისა ვიყავი და თქვენ შეგიძლიათ გადახედოთ ჩემს პირველ წერილებს, სადაც მე ვხმარობ ტიტულს — „უბრწყინვალესო" და რომელიც მეჩვენება სათანადოდ. მართალია, ტიტული „უდიდებულესობა" მე არ მიხმარია, რათა არ გადამეჭარბებინა, ვინაიდან იმ დროს ჯერ კიდევ საქმე არ იყო ასული ასე მაღალ დონემდე".

სხვა ადგილას, პიეტრო დელა ვალე წერს: „მე უადგილოდ ჩავთვალე მეხმარა ტიტული „უმაღლესობა", ვინაიდან ჩემი აზრით, ეს საკმარისი არაა. ამიტომ ვხმარობ ტიტულს „ბრწყინვალება", რომელიც ჩვენთან ითვლება უფრო მაღალ ტიტულად, ვიდრე „უმაღლესობა". მიუხედავად ამისა, შემდგომში განზრახული მაქვს ვიხმარო ტიტული „უდიდებულესობა", რაც მიმაჩნია სავსებით ღირსეულად და ვიმედოვნებ, რომ მარტო არ ვიქნები ასეთ შემთხვევაში".

სხვაგან, 1631 წლის 22 თებერვლით დათარიღებულ წერილში, პიეტრო დელა ვალე კიდევ ერთხელ ეხება ამ საკითხს და დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერს, რომ თეიმურაზისადმი მიმართვის დროს უნდა გამოვიდეთ ფაქტიურად არსებული მდგომარეობიდან: „თეიმურაზი არის ქართველთა ქვეყნის ერთი ნაწილის მეფე. თეიმურაზი ხომ პაპისადმი მიწერილ წერილში თავის თავს თვითონ უწოდებს „იბერიის მეფის". ასევე დონ ნიკიფორე ირბახიც, რომელიც ესპანეთის მეფის წარმომადგენელმა რომში მის უწმინდესობას წარუდგინა, იწოდებოდა „იბერიის მეფის დესპანად". როდესაც მას (თეიმურაზს. — ი. ტ.) რომიდან უკანასკნელად წერილი მისწერეს, მაშინაც მას მიმართავდნენ როგორც „იბერიის მეფეს".

პიეტრო დელა ვალე ურჩევს დონ პიეტრო ავიტაბილეს, უწოდონ თეიმურაზს „იბერიის მეფე". ვინაიდან, წერს პიეტრო დელა ვალე,

„იბერია, ე. ი. ქართლი და კახეთი, საქართველოს მხოლოდ ნაწილია, ხოლო თეიმურაზი, რისი უარყოფაც არ შეიძლება, არის ამ ნაწილის აბსოლუტური მფლობელი, მაშასადამე, იგი არის იბერიის მეფე... ვუწოდოთ მას იმ ნაწილის მეფე, როგორც ეს გამოხატულია გამოთქმაში: „ქართველთა სამეფოს იმ ნაწილში, რომელიც თეიმურაზ მეფეს ემორჩილება“[84].

აქედან გამომდინარე, პიეტრო დელა ვალე დაასკვნის: მთელ ქართველთა ქვეყანას შეიძლება ვუწოდოთ საქართველო, „ხოლო თეიმურაზს — მეფე იბერიისა, ქვეყნის იმ ნაწილისა, რომელიც მას ემორჩილება. მოვიქცევით რა ამრიგად, ჩვენ ვიტყვით წმინდა სიმართლეს და იმავე დროს პატივს ვცემთ მეფესაც, რამდენადაც მას მოსწონს ეს ტიტული...“[85].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა შევნიშნო, რომ თეიმურაზისათვის ნამდვილად უნდა მიემართათ ისე, როგორც საერთოდ მიმართავენ მეფეებს — „მისი უდიდებულესობა“. ამ შემთხვევაში იმას არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ როგორ მოიხსენიებდნენ სპარსეთში თეიმურაზს ან როგორ მიმართავდა მას შაჰი. საქმე ის იყო, რომ თეიმურაზი (ისევე, როგორც თავის დროზე ვახტანგ VI, ერეკლე II და სხვ.) იყო საქართველოს მეფე (ხან კახეთის, ხან ქართლ-კახეთის მეფე), ეს ტიტული მას ჰქონდა, ხოლო მეფის მიმართ არსებობს მიმართვა ყველა ქვეყანაში — „მისი უდიდებულესობა“.

ამიტომ, როდესაც ვხვდები საბუთებში, საარქივო მასალებში, თეიმურაზის, თუ საქართველოს სხვა მეფეების მიმართ სიტყვებს: „პრინცი“, „ბრწყინვალება“ და სხვა, ყოველთვის მას ვთარგმნი „მეფედ“, გამოვდივარ რა ამ შემთხვევაში იქიდან, რომ მათ ეს ტიტული აქ ნამდვილად ჰქონდათ, ისინი საქართველოში ასე იწოდებოდნენ.

რაც შეეხება „უმაღლესობას“, „ბრწყინვალებას“, „დიდებულებას“ — შეიძლება იხმარო რომელიმე მინისტრის მიმართ; „უწმინდესობა“, „უგანათლებულესობა“ — სასულიერო პირების მიმართ და ა. შ.

ამრიგად, პიეტრო დელა ვალესა და დონ პიეტრო ავიტაბილეს მეცადინეობით, თეიმურაზ მეფისადმი მიმართვის საკითხი მოგვარდა და წერილებში მას უკვე მიმართავდნენ როგორც მეფეს „მისი უდიდებულესობით“. ბერძენმა ბერებმა ამ შემთხვევაშიც მიზანს ვერ მიაღწიეს.

---

[84] ლათინურად: „In ea Georgiani regni parte, quae Principi Teimuraz paret“.
[85] Don Fr., Andreu C. R., Carteggio inedito, p. 37.

მიუხედავად ამისა, პიეტრო დელა ვალე მაინც ურჩევდა დონ პიეტრო ავიტაბილეს, გართულებისა და ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, ბერძენ ბერებთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდა. იგი ასევე ურჩევდა დონ პიეტრო ავიტაბილეს, გართულების თავიდან ასაცილებლად, იტალიიდან საქართველოში სამგზავროდ უფრო რუსეთისა და პოლონეთის გზებით ესარგებლათ — შავი ზღვით, მდ. დნეპრით, თუმცა ეს გზა ჯერჯერობით დადგენილ გზად ვერ ჩაითვლებოდა.

თავი II

დონ პიეტრო ავიტაბილე — თეიმურაზ მეფის ელჩი რომის პაპთან

როგორც უკვე ითქვა, თეატინელი მისიონერების გორში ჩამოსვლისა და რომიდან წერილების ჩამოტანის შემდეგ, თეიმურაზ მეფემ და ზაქარია კათალიკოსმა საპასუხო წერილები გაუგზავნეს რომის პაპს და წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს. ეს მოხდა 1629 წლის მარტში. მაგრამ თეიმურაზ მეფემ გადაწყვიტა რომში ახალი ელჩობა გაეგზავნა. ეს იქნებოდა მეორე ელჩობა თეიმურაზის მხრიდან რომში ნიკიფორე ირბახის ყოფნის შემდეგ.

აგზავნიდა რა რომში ელჩობას, თეიმურაზ მეფეს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა რუსეთი, საიდანაც (ტერიტორიული სიახლოვისა და სარწმუნოებრივი ერთიანობის გამო) დახმარება უფრო რეალური შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომაც თეიმურაზ მეფემ არა ერთხელ (1615, 1618, 1624 წლებში) მიმართა რუსეთს და სთხოვა დახმარება, მაგრამ თეიმურაზის ამ ნაბიჯებს ჯერჯერობით შედეგი ვერ მოჰყვა, დრო კი ვერ ითმენდა, თეიმურაზს სჭირდებოდა დახმარება უცხოელ დამპყრობელთა ასალაგმავად და ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად[1].

თეიმურაზ I-მა გადაწყვიტა, ამჯერად რომში გასაგზავნად შეერჩია ერთ-ერთი მისიონერი და საქართველოს მეფის ელჩის ტიტულით იგი რომის პაპთან გაეგზავნა. თეიმურაზ მეფის არჩევანი თეატინელ მისიონერებზე შეჩერდა, მაგრამ რომელი მისიონერისათვის დაევალებინა ეს მისია — დონ პიეტრო ავიტაბილესათვის, თუ დონ ჯაკომო დი სტეფანოსათვის, ეს მაშინვე არ გადაწყვეტილა. პირველ ხანებში დონ ჯაკომო დი სტეფანოზე შეჩერდნენ, მაგრამ იგი ძალიან ახლო იყო მეფესთან, მეფეც დიდ პატივს სცემდა მას, ხშირად საუბრობდა მასთან. ასე რომ, თვითონ თეიმურაზი ვერ იმეტებდა მას ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობაში გასაგზავნად. როგორც საბუთებიდან ჩანს, თეიმურაზ

---

[1] თეიმურაზ მეფემ შემდგომშიც არა ერთხელ მიმართა რუსეთს თხოვნით (1635, 1649, 1658 წწ.).

მეფე ამ სწავლულ ბერს ხშირად ესაუბრებოდა არა მარტო რელიგიურ საკითხებზე (თუმცა რელიგიურ საკითხებზე მათ ყოველთვის ჰქონდათ ხანგრძლივი და საფუძვლიანი საუბარი, ზოგჯერ დავაც, რაც ყოველთვის კათოლიკური სარწმუნოებისადმი თეიმურაზ მეფის მიდრეკილებით თავდებოდა), არამედ პოლიტიკურ საკითხებზეც, ევროპაში პოლიტიკურ ვითარებაზე და სხვ.

ამრიგად, თეიმურაზ მეფემ შესცვალა თავისი პირვანდელი აზრი და გადაწყვიტა პაპთან გაეგზავნა დონ პიეტრო ავიტაბილე[2]. ამას ხელი შეუწყო თვითონ დონ პიეტრო ავიტაბილეს სურვილმაც. საქმე ის იყო, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე დონ პიეტრო ავიტაბილე როგორც კი დარწმუნდა გორში თეატინელი მისიონერების მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობაში: თეიმურაზ მეფისაგან მფარველობის მიღებაში, რომის ეკლესიისადმი სიმპათიურ განწყობაში და საერთოდ, კათოლიკურ სარწმუნოებისადმი ქართველი ხალხის პატივისცემაში, პაპისა და წმიდა კონგრეგაციის წინაშე არა ერთხელ დააყენა საკითხი საქართველოში მისიონერების რაოდენობის გაზრდის თაობაზე. ამიტომ, პიეტრო ავიტაბილემ გადაწყვიტა თვითონ წასულიყო რომში და ეს საკითხი ადგილზე პირადად მას მოეგვარებინა. ახლა კი, როდესაც თეიმურაზ მეფემ გადაწყვიტა რომში ერთ-ერთი თეატინელი მისიონერის გაგზავნა, ამ მომენტით ისარგებლა დონ პიეტრო ავიტაბილემ.

დონ პიეტრო ავიტაბილეს აინტერესებდა მეორე საკითხიც: თვითონ მოეხსენებინა ვატიკანში საქართველოში თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობაზე და იმ პირობებზე, რომელიც მან აქ დაინახა სამისიონერო მოღვაწეობისათვის. მას უნდოდა თვითონ წარედგინა პაპი ურბან VIII-ისა და წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიის წინაშე თავისი გეგმა საქართველოში თეატინელ მისიონერთა მომავალი მუშაობის შესახებ.

ამრიგად, დონ პიეტრო ავიტაბილე სიამოვნებით შეხვდა თეიმურაზ მეფის გადაწყვეტილებას და დათანხმდა გამგზავრებულიყო თეიმურაზ მეფის ელჩად რომში დარწმუნებული იმაში, რომ რომში იგი თავის საქმეებსაც გააკეთებდა და იქიდან „ხელცარიელი“ არ დაბრუნდებოდა.

როდის გაემგზავრა დონ პიეტრო ავიტაბილე გორიდან რომში?

არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ დონ პიეტრო ავიტაბილე რომში გაემგზავრა 1630 წლის 3 აგვისტოს. როგორც ჩანს, მ. თამარაშვილი იზიარებს ამ აზრს. მაგრამ მას ეჭვი ეპარება იმაში, რომ თეიმურაზის

[2] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, pp. 110, 120.

წერილი 1629 წლის 5 იანვარს არ უნდა იყოს დაწერილიო. მ. თამარაშვილი წერს: „ეს თარიღი (1629 წლის 5 იანვარი. — ი. ტ.) შეცდომით უნდა იყოს დასმული, ამის ნაცვლად უნდა იყოს 1630 წელი, რადგან მისიონერები გორს მოვიდნენ 14 დეკემბერს 1628 წ. შეუძლებელია, პატრი პეტრე 20 დღის შემდეგ გაბრუნებულიყო იტალიას. ყოველი გარემოება გვიჩვენებს, რომ პ. პეტრე გაბრუნდა იტალიას არა მაშინვე, არამედ რამდენისავე ხნის შემდგომ. ლამბერტი ამის გორიდან გაბრუნებას სდებს 3 აგვისტოს 1630 წ. ...“[3]

აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. 1629 წლის 5 იანვარს თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილების დაწერის დღეს დონ პიეტრო ავიტაბილეს რომში წასვლაზე (20 დღის შემდეგ მისი უკანვე რომში დაბრუნებაზე) არავითარი საბუთი არ არსებობს.

ის კი ფაქტია, რომ თეატინელი მისიონერების ჩამოსვლიდან 22 დღის შემდეგ თეიმურაზმა და ზაქარიამ საპასუხო წერილები შეადგინეს. ამრიგად, 1629 წლის 5 იანვრის თარიღით შედგენილი წერილები უკვე მზად იყო, მხოლოდ რომში მათი გაგზავნის საშუალებას ეძებდნენ (ჯერ თეიმურაზ მეფეს არ ჰქონდა გადაწყვეტილი რომში თავისი ელჩობის გაგზავნა).

და აი, როგორც უკვე ითქვა, 1629 წლის მარტში თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილები, ასევე დონ პიეტრო ავიტაბილეს წერილები ჩააბარეს დომინიკანელ წმიდა მამას (იგი რომში მიემგზავრებოდა), რომელიც თეიმურაზ მეფეს დაჰპირდა, რომ ამ წერილებს თვითონ ჩააბარებდა ვატიკანში. ასე რომ, ამ წერილების გაგზავნა მოხდა რომში დონ პიეტრო ავიტაბილეს გამგზავრებამდე, რაც, როგორც ჩანს, მ. თამარაშვილისათვის არ იყო ცნობილი.

სხვათაშორის, დონ ბ. ფეროც შეცდომით მიუთითებს გორიდან რომში დონ პიეტრო ავიტაბილეს გამგზავრების თარიღს. იგი წერს: „ამრიგად, ავიტაბილე გაემგზავრა 1629 წლის 3 აგვისტოს...“[4]

დონ პიეტრო ავიტაბილე გორიდან რომში გაემგზავრა ნამდვილად 1630 წლის 3 აგვისტოს. ეს დასტურდება შემდეგი ფაქტებით:

1630 წლის 3 აგვისტოს გორიდან გასული დონ პიეტრო ავიტაბილე იმავე წლის დეკემბრის ბოლოს უკვე კუნძულ მალტაზეა (ეს გზა მან ოთხ თვეში გაიარა მაშინ, როდესაც სხვა დროს ერთი წელი სჭირდებოდათ); 1630 წლის 18 ოქტომბერს ნეაპოლიდან წამოსული არქ. ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, საქართველოსკენ მიმავალნი, 1631 წლის იანვარში დონ პიეტრო ავიტაბილეს სწორედ კუნძულ მალტაზე შეხვდნენ; 1630 წლის 10 აპრილს დონ ჯაკომო დი სტეფანო

---

[3] იხ. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

[4] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 110.

გორიდან პიეტრო დელა ვალეს ატყობინებდა: „წმინდა მამა პიეტრო ავიტაბილე მიემგზავრება რომში, როგორც თეიმურაზ მეფის წარგზავნილი"[5]... ნიკიფორე ირბახი ევროპიდან გორში დაბრუნდა 1629 წლის 14 აგვისტოს. ნიკიფორემ ჩამოსვლისთანავე ინახულა თეატინელი მისიონერები (დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო). ასე რომ, 1629 წლის 3 აგვისტოს დონ პიეტრო ავიტაბილე რომში რომ წასულიყო, ნიკიფორე მას ვერ ნახავდა. ამასთანავე, ნიკიფორემ თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანა პაპის 1628 წლის 2 დეკემბრის წერილი. სწორედ პაპის ამ წერილზე თეიმურაზ მეფის საპასუხო წერილი წაიღო გორიდან დონ პიეტრო ავიტაბილემ და არა 1628 წლის 14 დეკემბერს ჩამოტანილი პაპის წერილის პასუხი. წერილში, რომელიც თეიმურაზ მეფემ დონ პიეტრო ავიტაბილეს პაპისთვის გაატანა, ლაპარაკია ევროპიდან ნიკიფორე ირბახის დაბრუნებაზე და დონ პიეტრო ავიტაბილეს რომში გაგზავნაზე.

თეიმურაზის ამ წერილში ნათქვამია, რომ თეატინელი მისიონერები ჩამოვიდნენ და „ერთ მათგანს შენთან უნდოდა წამოსვლა, — სწერს პაპს თეიმურაზი, — მაგრამ კვლავაც დარჩნენ და თქვეს: მოვითმინოთ მცირე ხანს, რათა მოვიხილოთ აქაურობაო. ახლა კი მე ვაგზავნი მამა დონ პიეტროს შენს უნეტარესობასთან, რათა მოგესალმოს ჩემი სახელით. იგი თვითონ მოგითხრობს შენ, როგორ მივიღეთ ისინი და როგორი პატივი ვეცით..."

შემდეგ თეიმურაზის ამ წერილში ნათქვამია: „ჩვენთან დაბრუნდა ნიკოლოზი, ჩვენი ნიკიფორე და მოგვითხრო, თუ როგორ კარგად ეპყრობოდა მას შენი ნეტარება და როგორი პატივი აღმოუჩინეს მას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო და რამაც დიდად გაგვახარა"[6].

ამრიგად, დასტურდება, რომ თეიმურაზ მეფის ელჩის ტიტულით პაპთან გაგზავნილი დონ პიეტრო ავიტაბილე გორიდან გავიდა 1630 წლის 3 აგვისტოს. მას მიჰქონდა თეიმურაზ მეფისა და კათალიკოს ზაქარიას წერილები რომის პაპსა და წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან.

ცდება დონ ბ. ფეროც, როცა წერს, რომ დონ პიეტრო ავიტაბილემ პაპს გადასცა თეიმურაზ მეფის 1629 წლის 5 იანვრის წერილი[7]. შესაძლებელია, დონ პიეტრო ავიტაბილემ რომში ჩაიტანა თეიმურაზისა და ზაქარიას 1630 წლის თებერვლის (რომლებსაც ჩვენ აქ ვათავსებთ), ან უფრო გვიან დაწერილი წერილები, მაგრამ არა 1629 წლის 5 იანვრის წერილები.

---

5 Ibid., p. 119.
6 Archivio della SCPF, SOCG, Vol. 180, f. 19.
7 Don Bart. Ferro C. R. Istoria delle Missioni, p. 111—112.

კუნძულ მალტიდან ნეაპოლზე გავლით დონ პიეტრო ავიტაბილე რომში ჩავიდა. მან პაპსა და წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს გადასცა თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილები და ასევე თავისი მოხსენებითი ბარათი.

დონ პიეტრო ავიტაბილემ სიტყვიერადაც მოახსენა ჯერ პაპ ურბან VIII-ს, ხოლო შემდეგ წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიას, გორში თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობასა და საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე, განსაკუთრებით კი იმ მძიმე შედეგებზე, რომელსაც განიცდიდა საქართველო უცხოელ დამპყრობელთა შემოსევების შედეგად. ცხადია, ეს სიძნელეები უარყოფითად მოქმედებდა თეატინელ მისიონერების მუშაობაზე[8].

დონ პიეტრო ავიტაბილემ ვატიკანში მოახსენა იმ შეცდომებზე ქრისტიანულ სარწმუნოებაში, რომლებსაც ბერძნული ეკლესიის გავლენით ქართველები უშვებდნენ. პაპმა მოითხოვა უფრო ზუსტად, თუ რა შეცდომებსა და დაბნეულობაზე იყო ლაპარაკი, ასევე რას არ იზიარებდნენ ქართველები კათოლიკურ სარწმუნოებიდან. დონ პიეტრო ავიტაბილეს წინდაწინ ჰქონდა ეს საკითხები 32 პუნქტად ჩამოყალიბებული და იგი მაშინვე გადასცა პაპს[9]. იქვე დონ პიეტრო ავიტაბილე მიუთითებდა იმაზე, თუ რა გზით შეიძლებოდა ამ შეცდომებისა და დაბნეულობის აღმოფხვრა და ქართული ეკლესიის შეერთება რომაულ ეკლესიასთან. დონ პიეტრო ავიტაბილე იქვე ასევე მიუთითებდა, რომ თეიმურაზ მეფე, დედოფალი, კათალიკოსი ზაქარია, ქართველი დიდებულებისა და ხალხის ერთი ნაწილი კარგად იყო განწყობილი კათოლიკური სარწმუნოებისადმი. ამრიგად, დონ პიეტრო ავიტაბილე იმედს გამოთქვამდა, რომ ქართული ეკლესია საბოლოოდ შეუერთდებოდა რომის ეკლესიას[10].

ვიდრე დონ პიეტრო ავიტაბილე რომში გაემგზავრებოდა, დონ ჯაკომო დი სტეფანომ წერილი მისწერა პიეტრო დელა ვალეს. იგი წერდა ამ უკანასკნელს, რომ თეიმურაზ მეფის დესპანის სახით რომში მიემგზავრება დონ პიეტრო ავიტაბილე, „რათა დაადასტუროს მეფის პატივისცემა პირველ მღვდელმთავრისადმი და აგრეთვე მოაგვაროს ჩვენი მისიონის საქმეები, მისიონისა, რომელიც შეიქმნა თქვენი ინიციატივით და რომელსაც ხელმძღვანელობს თქვენი აღმატებულება. ამ მისიონს, როგორც ვიმედოვნებ, ექნება წარმატებები ღვთის დიდებისათვის და ადგილობრივი მოსახლეობის სულის ჯანმრთელობისათ-

---

[8] Ibid., p. 115.

[9] Ibid., pp. 112—114.

[10] I. Silos, Historiarum Clericorum, t. II, pp. 601 — 602; Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, pp. 109—111, 114.

ვის. მაგრამ საჭიროა აუჩქარებელი მუშაობა, ვინაიდან გზა არც ისე იოლია და ფართო, როგორც ამის შესახებ რომში ლაპარაკობენ.

„დონ პიეტრო ავიტაბილესაგან თქვენ შეიტყობთ, — განაგრძობდა დონ ჯაკომო დი სტეფანო, — იმ უბედურებათა შესახებ, რომლებიც ჩვენ წილად გვხვდა იტალიიდან საქართველოში მოგზაურობის დროს და ასევე იმ სიძნელეებზე, რომლებიც ჩვენ გადავიტანეთ, ვიდრე არ ჩავედით გორში და ავგუსტინელ მისიონერებს არ შევხვდით. ისინი ჩვენ დაგვეხმარნენ“.

ამის შემდეგ დონ ჯაკომო დი სტეფანო მადლობას მოახსენებს პიეტრო დელა ვალეს იმ რჩევისათვის, რომელიც მისთვის მიუცია პიეტრო დელა ვალეს საქართველოში გამომგზავრების წინ, ჯერ კიდევ მესინაში ჩასვლამდე, როდესაც „თქვენ გიხილეთ ფრანჩესკო ფარაონეს სახლში, ხოლო შემდეგ მესინაში წმიდა ნუნციების ეკლესიაში, სადაც ჩვენ დავთქვით ამ მისიონის (საქართველოს მისიონის. — ი. ტ.) დაარსება“[11].

ბოლოს, დონ ჯაკომო დი სტეფანო თხოვს პიეტრო დელა ვალეს ხელი შეუწყოს დონ პიეტრო ავიტაბილეს მალე დაბრუნებას საქართველოში, „ვინაიდან უმისოდ მე აქ ძალიან გამიჭირდებაო“.

პიეტრო დელა ვალეს გარდა, გორიდან დონ პიეტრო ავიტაბილესა და დონ ჯაკომო დი სტეფანოს წერილები მოსდიოდა წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს მდივანს ფრანჩესკო ინგოლისაც. სწორედ გორიდან მის სახელზე მისული წერილიდან რომში გაუგიათ, რომ თეიმურაზ მეფემ კარგად მიიღო თეატინელი მისიონერები. „ამ ფაქტს, — წერს პიეტრო დელა ვალე, — მომავალში ჩვენთვის ექნება დიდი მნიშვნელობა და ეს ჩვენთვის ძვირფასი ცნობაა“.

საქართველოში მყოფ თეატინელ მისიონერებს პიეტრო დელა ვალე ყოველთვის აძლევდა მითითებებს და რეკომენდაციებს. მან კარგად იცოდა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხალხების ამბები და ამიტომ მისი რჩევები სასარგებლო იყო მისიონერებისათვის. იგი არ ურჩევდა თეატინელ მისიონერებს საჯარო დავა გაემართათ მოწინააღმდეგეებთან, რომ ხალხის თვალში არ გამოეწვია ამას ცუდი შეხედულება კათოლიკე მისიონერებისადმი. იგი ურჩევდა მათ ყველა სადავო საკითხი მოეგვარებინათ მოლაპარაკებით, მშვიდობიანი გზით.

ბერძენ ბერებთან ურთიერთობაში, პიეტრო დელა ვალე ურჩევდა დონ პიეტრო ავიტაბილეს: „საჭიროა გამოიჩინოთ დიდი სიფრთხილე და მამაცობა. ამასთანავე, საჭიროა თავიდან აიცდინოთ ისეთი რამ, რაც შეიძლება ხალხის თვალში გამოჩნდეს, როგორც შეურაცხყოფა.

---

[11] Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, p. 34.

არ არის საჭირო მათი (ბერძენი ბერების. — ი. ტ.) გაღიზიანება, რათა უთანხმოება აღმავალი გზით არ წავიდეს. მაგრამ, თუ შეძლებთ იმ ბერძენი ბერების (ნაწილის მაინც) მიმხრობას, ვინც საქართველოშია, ეს იქნებოდა დიდი წარმატება, თუმცა ეს მიმაჩნია ძნელ საკითხად, რომ არ ვთქვა უფრო მეტი — შეუძლებლად".

1630 წლის ივნისში, საქართველოში წასასვლელად მომზადებულ ერთ-ერთ თეატინელ მისიონერს — დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს პიეტრო დელა ვალემ წერილი მისწერა და შემდეგი რჩევა-დარიგება მისცა: საქართველოსკენ მიმავალნი, „ალეპოში თქვენ ყოველთვის იპოვით დამხმარეს. გარდა საფრანგეთის ბატონი კონსულისა[12], თქვენ შეიძლება დახმარება აღმოგიჩინოთ ბატონმა ლუიჯი რომიროშ, რომელსაც შეიძლება წერილი მისწეროს ბატონმა ინგოლიმ"[13].

განსაკუთრებით ძნელი და საშიში იყო გზა საქართველოსკენ ალეპოს შემდეგ. პიეტრო დელა ვალე ურჩევდა დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს, ალეპოდან გაჰყოლოდნენ იმ ქარავანს, რომელიც მიდიოდა არზრუმისაკენ, ვინაიდან ეს იყო ყველაზე მოკლე და პირდაპირი გზა საქართველოსაკენ. ამასთანავე, იგი ურჩევდა მათ, რომ ალეპოდან მიმავალთ არავისთვის ეთქვათ, რომ ისინი არზრუმს იქით მიდიან. ეს უნდა შეენახათ საიდუმლოდ, განსაკუთრებით საეჭვო პირებთან, რომლებსაც ყოველთვის შეეძლოთ მათთვის ზიანი მიეყენებინათ.

„არზრუმის შემდეგ, — წერდა პიეტრო დელა ვალე, — ვიმედოვნებ, ძნელი არ უნდა იყოს საქართველოში გადასვლა: ჯერ ერთი, საზღვარი ახლოა, მეორე, იქ მისვლა-მოსვლა ინტენსიურია და ურთიერთობაც ფართოა იმ ხალხებს (თურქებსა და ქართველებს) შორის".

არზრუმიდან გორამდეც, ურჩევდა პიეტრო დელა ვალე, უნდა შეერთებოდნენ რომელიმე ქარავანს. მოგზაურობა და მოგზაურობის მიზანი ამ მონაკვეთზეც მათ საიდუმლოდ უნდა შეენახათ.

ყველაზე უკეთესი იქნებოდა ეთქვათ — მიდიან სავაჭროდ. მაგრამ, თუ ძალიან გაუჭირდებოდათ, მათ შეეძლოთ განეცხადებინათ, რომ ისინი კათოლიკე მისიონერები არიან. მაგრამ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაცდენოდათ, რომ ისინი რომის პაპის დავალებით რომელიმე მეფესთან ან მთავართან მიდიან. უნდა ეთქვათ, რომ მიდიან ეკლესიებში სალოცავად, რომლებიც საქართველოში ბევრია, რათა იქ ადგილობრივ ქრისტიანებთან ერთად ღვთისმსახურება შეასრულონ.

„რომიდან წაღებული წერილები, — აფრთხილებდა მისიონერებს პიეტრო დელა ვალე, — შეინახეთ მეტად საიდუმლოდ, მაგრამ თუ

---

[12] ალეპოში ამ დროს საფრანგეთის კონსული იყო პიერ ოლივიე. იგი მფარველობას უწევდა ალეპოში მყოფ, თუ ალეპოზე გამვლელ მისიონერებს.

[13] ფრანჩესკო ინგოლი — წმიდა კონგრეგაციის მდივანი.

შემთხვევით მათ აღმოგიჩენენ, სულიერად ნუ დაეცემით და მეტისმეტად ნუ შეგეშინდებათ, ვინაიდან ეს არ წარმოადგენს დიდ დანაშაულს". ასევე: „იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის სამფლობელოების ტერიტორიაზე შეგემთხვევათ უბედურება, მაგალითად, როგორც ყოფილა შემთხვევა, როცა წმიდა მამებს აპატიმრებდნენ, აგდებდნენ საბნელეში, ემუქრებოდნენ სიკვდილით და ა. შ. თქვენ სულიერად არ უნდა დაეცეთ. ნუ დაკარგავთ რწმენას და კეთილ გულს, ვინაიდან თურქების რისხვა, თავდაპირველად მოგეჩვენებათ მეტად საშინელი, მაგრამ საკმაოდ სწრაფად ჩაქრება იგი...[14] უარეს შემთხვევაში მხედველობაში გქონდეთ, რომ არ არსებობს თურქეთში არც ერთი საკითხი, რომლის მოგვარება არ შეიძლებოდეს ფულის ან საჩუქრების საშუალებით"[15].

მიუხედავად ამისა, პიეტრო დელა ვალემ კარგად იცოდა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე გავლა კათოლიკე მისიონერებისათვის ყოველთვის საშიში იყო და ამიტომ ცდილობდა მოენახა სხვა, უფრო საიმედო გზა იტალიასა და საქართველოს შორის მოგზაურობისათვის როგორც მისიონერებისათვის, ისევე სხვა პირებისათვის (მოგზაურები, დიპლომატები და სხვ.).

იგი დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ურჩევდა: „ჩახვალ თუ არა საქართველოში,... პირველ რიგში უნდა შეუდგეთ საკითხის გადაწყვეტას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაადგინოთ მუდმივი ურთიერთობა საქართველოდან იტალიამდე ყველაზე უფრო ადვილი, მოკლე და უშიშარი გზით, რომლის საშუალებით შეიძლება გაიგზავნოს არა მარტო წერილები, არამედ წავიდნენ ადამიანები, როცა ეს საჭირო იქნება. ამ საკითხზე თქვენ უნდა მოელაპარაკოთ მეფეს (თეიმურაზს. — ი. ტ.), ვინაიდან მხოლოდ მან შეიძლება იცოდეს ყველაზე უკეთ ასეთი გზის შესახებ.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გზა შავ ზღვაზე გავლით წარმოადგენს უმოკლესს. ამ გზას მივყავართ ქართველებთან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ე. ი. იმათთან, რომლებიც ცხოვრობენ ოდიშის ქვეყანაში და ქართველები დადიანის ქვეყანას უწოდებენ, ხოლო თურქები — სამეგრელოს. ეს ძველი კოლხეთია;

---

[14] დონ ჯუზეპე ჯუდიჩესადმი პიეტრო დელა ვალეს ამ წერილის მიწერიდან გაივლის 12—13 წელი და სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის ელჩად რომში გაგზავნილი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, რომიდან უკან მობრუნებული და სამეგრელოსკენ მიმავალი, კონსტანტინოპოლში თურქებს ჩაუვარდება ხელში და თურქი ჯალათის ხელით საპყრობილეში მოკვდება. იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, „საბჭოთა ხელოვნება", 1979 № 5.

[15] D o n F r. A n d r e u C. R., Carteggio inedito, p. 28.

ან კიდევ გურიელის ქვეყნის ქართველებთან, რომლებსაც ასევე აქვთ გასასვლელი შავი ზღვის სანაპიროზე.

ამრიგად, განაგრძობდა პიეტრო დელა ვალე, მდ. ფაზისის შესართავთან, რომელიც ცნობილია ანტიკური ფასისის სახელწოდებით, უნდა იყოს სხვა ნავსადგურიც, მაგალითად, ჩანის მსგავსი სახელწოდებით, რომელიც გამიგია, ან კიდევ სხვა ნავსადგურებში, რომელთა შესახებ მეფემ (თეიმურაზმა. — ი. ტ.) ჩვენზე უკეთ იცის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ადგილებიდან კონსტანტინოპოლში და სხვა ქალაქებში ბევრი ხომალდი მიდის.

აქედან, უპირატესობა მიეცეს იმ ნავსადგურს, საიდანაც მეტი გემები მიდიან ევროპაში. ამ ნავსადგურებში აუცილებელია გყავდეთ კორესპონდენტი ან სხვა ნდობით აღჭურვილი პირი, მას შეიძლება გაუგზავნოთ წერილები. ეს წერილები ორივე მიმართულებით უნდა იგზავნებოდეს... ამ მიზნით გირჩევთ, რომელიმე თქვენგანი წმიდა მამებიდან დასავლეთ საქართველოში დაბინავდეს. მას უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდეს მთავარ დადიანს და მთავარ გურიელს, რომლებიც ასევე ქართველები არიან...

რაც შეეხება მეფეს (თეიმურაზს. — ი. ტ.), რომელიც ყველა ამ მთავრის მეგობარია, და, შესაძლებელია, მათი ნათესავიც, მაგალითად, მთავარი გურიელი, რომლის ქალიშვილი კახეთის მეფის პირველი ცოლი იყო[16]. ამ მეფისათვის არ არის ძნელი წარუდგინოს მათ (დადიანს და გურიელს. — ი. ტ.) წმინდა მამები. ამას იგი სიამოვნებით გააკეთებს“[17].

რაც შეეხებოდა შავი ზღვის ნავსადგურებიდან ქ. გორთან ან საქართველოს სხვა ადგილებთან დაკავშირებას, სადაც შეიძლება თეატინელი მისიონერები იყვნენ მეფესთან ან მთავართან, „არ წარმოადგენს სიძნელეს, — წერს პიეტრო დელა ვალე, — ვინაიდან იქ ყველა გზა გადის მხოლოდ ქართველთა მეფის ან მთავრის სამფლობელოზე, რომლებიც მისი (თეიმურაზ მეფის. — ი. ტ.) მეგობრები არიან. მათ ამ მეფესთან მუდმივი კონტაქტები აქვთ“.

პიეტრო დელა ვალეს აზრით, შავი ზღვის ზემოხსენებული ნავსადგურებიდან შეიძლება კავშირი ევროპასთან კონსტანტინოპოლის გავლით, რადგან აქ სისტემატურად ჩადის ბევრი ქართველი, როგორც სავაჭროდ, ისევე სხვა საქმეებისათვის და მათთან კავშირის დამყარება ადვილია. ჩვენი ხალხიდან კი ყოველთვის არიან იქ წმინდა მამები, სამოქალაქო პირები და, რაც მთავარია, იქ იმყოფება საფრანგეთის

---

[16] თეიმურაზ I-ის პირველი ცოლი გურიის მთავრის ასული იყო.

[17] Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, pp. 28—29.

ელჩი, რომელსაც შეიძლება გადაეცეს საქართველოდან ჩამოტანილი რომში გასაგზავნი წერილი. მას ასევე შეუძლია განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე გადააგზავნოს რომიდან მიღებული წერილები საქართველოში საზღვაო გზით. მთავარია მან იცოდეს, სად გაიგზავნოს ესა თუ ის წერილი, ე. ი. საქართველოს რომელ ნავსადგურში და ვის გადაეცეს, რომელ ნდობით აღჭურვილ პიროვნებას.

კონსტანტინოპოლი ყველაზე ხელსაყრელი, მოკლე და პირდაპირი გზა იყო საქართველოსა და იტალიას შორის წერილების გადასაგზავნად. მაგრამ ადამიანების სამოგზაუროდ კი მეტად სახიფათო. კათოლიკე მისიონერები აქ ყოველთვის ხვდებოდნენ წინააღმდეგობებს. „აი რატომაა, — ურჩევდა პიეტრო დელა ვალე მისიონერებს, — თქვენ. წმინდა მამებო, ვალდებული ხართ გამოიყენოთ ყოველგვარი საშუალება, რათა დაიყოლიოთ მეფე (თეიმურაზი. — ი. ტ.), გახსნას გზა და დაამყაროს სავაჭრო ურთიერთობა შავი ზღვის საქართველოს ნავსადგურებიდან პოლონეთთან, რომელსაც ასევე ნავსადგურები აქვს შავი ზღვის სანაპიროზე, მათ შორის, მდ. ბორისფენის (დნეპრის. — ი. ტ.) შესართავთან, რომლის ნაპირებზე ცხოვრობენ კაზაკები — პოლონეთის მეფის მორჩილი ვასალები. შავ ზღვაზე მათ აქვთ მრავალრიცხოვანი შესანიშნავი ხარისხის შეიარაღებული ხომალდები...“ პოლონეთის გავლენის ქვეშ მყოფი შავი ზღვის ნავსადგურებზე გავლით შეიძლებოდა წერილების გაგზავნა საქართველოდან იტალიაში.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მაშინდელი მესვეურები ამ საკითხს დადებითად გადაჭრიდნენ, მაშინ პიეტრო დელა ვალე თავისთავზე იღებდა იტალიის მხრიდან ზეგავლენა მოეხდინა პოლონეთის მეფეზე, „რომლის სასახლის კარზე მუდამ იმყოფებიან პაპის ნუნციუსები“. ხოლო გზა პოლონეთის სამეფოს ცენტრიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე ძნელი არ იყო, „ვინაიდან იგი გადის პოლონეთის სამფლობელოზე და ხელსაყრელია როგორც ხმელეთით, ისევე მდინარეებითაც“.

პიეტრო დელა ვალეს მხოლოდ ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ შეიძლებოდა ამ გზის გამოყენებაზე უარი ეთქვათ ქართველებს ორი მოტივით: „პირველი, კაზაკები მტრულად არიან განწყობილი თურქებისადმი და ამიტომ ქართველებს, თურქების პატივისცემის გამო (რომლებიც მათ სჭირდებათ შავ ზღვაში მოგზაურობის დროს), არ უნდათ თავი კაზაკების მეგობრად გამოაცხადონ; მეორე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაზაკები, რომლებიც მეკობრეობას ეწევიან, ოდესღაც, ალბათ, ზიანს აყენებდნენ ქართველებს, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე“.

მიუხედავად ამისა, პიეტრო დელა ვალეს ამ ორი მოტივის მოგვარება შესაძლებლად მიაჩნდა. უფრო ადვილ მოსაგვარებლად მიაჩნდა

მეორე: „რაც შეეხება მეორეს, ის ადვილად შეიძლება მოგვარდეს პოლონეთისა და საქართველოს მონარქებს შორის, კეთილმეგობრული ურთიერთობისა და კავშირის დამყარების შედეგად. ეს ურთიერთობა შეიძლებოდა თავისი ავტორიტეტით განემტკიცებინა რომის პაპს, რომლის შემდეგ კაზაკები არათუ რაიმე ზიანს მიაყენებდა მათ, არამედ მათი სახით ქართველებს სასარგებლო მეგობარი ეყოლებოდათ". რაც შეეხებოდა პირველ მოტივს, იგი უფრო ძნელი მოსაგვარებელი იყო, მაგრამ პიეტრო დელა ვალეს აზრით, ამასაც მოევლებოდა, ვიდრე ქართველებსა და პოლონელებს შორის იქნებოდა სავაჭრო ურთიერთობა საქონლით და არა იარაღით.

ამასთანავე, უკეთესი იქნებოდა, თუ პოლონეთსა და საქართველოს შორის დამყარდებოდა ფართო სავაჭრო ურთიერთობა და ამ ორ ქვეყანას შორის ამ გზით დამყარდებოდა მტკიცე კავშირი, მაშინ სულ არ იქნებოდა საჭირო კაზაკები და საქართველოსა და იტალიისათვის საინტერესო საკითხები თავისთავად მოგვარდებოდა. ხოლო, თუ თურქები რაიმეს შენიშნავდნენ და იტყოდნენ, ქართველებს შეეძლოთ ეთქვათ, რომ ისინი მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობას ამყარებენ პოლონეთის სამეფოსთან, ხოლო კაზაკებთან მეგობრულ ურთიერთობაზე არც კი ფიქრობენ.

იმისათვის, რომ თურქები უფრო დამშვიდებული ყოფილიყვნენ, თეიმურაზ მეფეს შეეძლო დაედო შეთანხმება პოლონეთის მეფესთან იმის შესახებ, რომ საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები ღიაა პოლონეთის მხოლოდ სავაჭრო გემებისათვის, ხოლო კაზაკების შეიარაღებული ხომალდებისათვის ისინი დაკეტილია. ეს დაამშვიდებდა თურქებს დაინახავდნენ რა, რომ ქართველები არ უშვებენ თურქებისადმი მტრულად განწყობილი კაზაკების შეიარაღებულ ხომალდებს თავიანთ ნავსადგურებში.

მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს და პოლონეთის მეფეებს შეეძლოთ დაედოთ საიდუმლო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ მათი მეგობრობა ვრცელდება ღია ზღვაზე და კაზაკებზეც, საზღვაო ნაოსნობის უშიშროებისა და რომელიმე მხარის ხომალდისათვის რაიმე ზარალის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს მეფესთან ამ საქმის მოგვარება ევალებოდა თეატინელ მისიონერებს, ხოლო იტალიის მხრიდან იმოქმედებდა პიეტრო დელა ვალე, რომელსაც განზრახული ჰქონდა ამ საქმეში ჩაერია რომის პაპი. თუ გზა გაიხსნებოდა და საქართველო-პოლონეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა დამყარდებოდა, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა უფრო გრძელი და მოუხერხებელი იყო ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლისათვის, ვიდრე გზა კონსტანტინოპოლზე გავლით,

სამაგიეროდ, ადამიანთა მოგზაურობისათვის იყო უშიშარი, ვინაიდან იგი გადიოდა საქართველოსა და რომს შორის მხოლოდ ქრისტიანული ქვეყნების ტერიტორიებზე, თურქეთის სამფლობელოების გვერდის ავლით. რაც შეეხებოდა შავ ზღვაზე გადასვლას, კარგი ამინდის პირობებში იგი 7—8 დღეში განხორციელდებოდა.

ამ გზის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ, თუ წამოიჭრებოდა აუცილებლობა გაეგზავნათ ან ერთი, ან მეორე მხრიდან რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი, მაგალითად, ელჩი, ან პაპის ნუნციო, ან კიდევ სხვა მათი მსგავსი, რომელსაც თავისი ამალა ეყოლებოდა, პოლონეთის გავლით მათ შეეძლოთ უშიშრად ემოგზაურათ მაშინ, როდესაც თურქეთზე გავლით, ასეთი მოგზაურობა სრულიად განუხორციელებელი იქნებოდა.

საინტერესო იყო პიეტრო დელა ვალეს ერთ-ერთი ინსტრუქცია, რომელსაც იგი აძლევდა საქართველოში მყოფ თეატინელ მისიონერებს: „საქართველოში ჩასვლისთანავე, — ავალებდა მათ იგი, — შეადგინეთ დეტალური და ზუსტი ინფორმაცია იქაური ხალხის ცხოვრების ყველა საკითხზე. აუცილებელია დაადგინოთ: მეფური სისხლის ყველა მთავრის, ასევე ქვეყანაში ყველა გამოჩენილი პიროვნების — კაცისა და ქალის როგორც საეკლესიო, ისე საერო პიროვნების სახელი. ასევე სახელწოდება ქალაქებისა და მნიშვნელოვანი ადგილების, გზების, რომლებსაც უფრო მეტად ამჯობინებენ ვაჭრები და მოგზაურები. საჭიროა შეადგინოთ სია ჩვენი მეგობარი ქართველებისა და დაადგინოთ მათი კავშირები იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს ურთიერთობა აქვს; დააზუსტოთ, თუ რა საშუალებებით და რა გზით ამყარებენ ისინი ურთიერთობას ამა თუ იმ ქვეყანასთან; ვისთან აქვთ ქართველებს დამოკიდებულება მტრული, საომარი ან მეგობრული; ვის ესაზღვრებიან ისინი და სხვა ათასი დეტალი, რომლებიც არ უნდა გამოგრჩეთ მხედველობიდან. ნუ დაიზარებთ, რომ ყოველივე ეს სისტემატურად შეგვატყობინოთ“[18].

ამასთანავე, პიეტრო დელა ვალე აფრთხილებდა თეატინელ მისიონერებს: პიროვნებებისა და ადგილების სახელები ჩაეწერათ ზუსტად, ჯერ ქართული ასოებით, ხოლო მერე ლათინურით, რათა რომში კარგად გარკვეულიყვნენ მათში და გამოეთქვათ ისე, როგორც საქართველოში გამოთქვამდნენ მათ. სამწუხაროდ, პიეტრო დელა ვალეს ამ თხოვნას ნაკლებად ასრულებდნენ თეატინელი მისიონერები. მათი წერილებიდან ჩანს, რომ უჭირდათ ქართული გვარებისა და ადგილების ზუსტად გამოთქმა. მათ წერილებში ეს სახელები ზოგჯერ ისეა დამახინჯებული, რომ ძნელია მიხვდე, თუ ვიზე ან რაზეა ლაპარაკი.

---

[18] Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, p. 31.

პიეტრო დელა ვალე, მას შემდეგ რაც იგი სპარსეთში ყოფნის დროს ქართველებს გაეცნო და დაამყარა მათთან მჭიდრო ურთიერთობა (როგორც უკვე ითქვა, პიეტრო დელა ვალე საქართველოში არასოდეს არ ყოფილა), იგი სიმპათიურად განეწყო ქართველებისა და საქართველოს მიმართ. აღმოსავლეთის ქვეყნებში ხანგრძლივი მოგზაურობიდან რომში დაბრუნების შემდეგ, პიეტრო დელა ვალემ არ გაწყვიტა კავშირი საქართველოს საქმეებთან, უფრო მეტიც, რომში დაბრუნების შემდეგ ვატიკანში წარადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი საქართველოზე[19]. გარდა ამისა, იგი განუწყვეტლივ დაკავებული იყო საქართველოს ამბებით და წერილობითი კონტაქტი დაამყარა თეიმურაზ მეფესთან. იგი ერთ-ერთ წერილში თეიმურაზ მეფეს თხოვდა ჩაეთვალა იგი (პიეტრო დელა ვალე) თეიმურაზ მეფის ქვეშევრდომად[20].

პიეტრო დელა ვალეს წერილებიდან ირკვევა, რომ ნიკიფორე ირბახი ევროპიდან საქართველოში დაბრუნებულა კონსტანტინოპოლის გავლით. როდესაც ნიკიფორე იტალიიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, პიეტრო დელა ვალემ და მისმა მეუღლემ — მარიამმა, მას წერილები გამოატანეს თეიმურაზ მეფისა და დედოფლისათვის. მაგრამ რამდენადაც პიეტრო დელა ვალესათვის ცნობილი გამხდარა, რომ ნიკიფორე ირბახი გზაში, კონსტანტინოპოლში, გაუძარცვავთ ბერძნებს, პიეტრო დელა ვალეს უფიქრია, რომ მან, ალბათ, ჩემი წერილები იქ დაჰკარგაო. ამიტომ იგი თავისი და მეუღლის წერილების ასლებს ხელახლა აგზავნის საქართველოში.

აი, რას სწერდა ამის შესახებ პიეტრო დელა ვალე 1630 წლის 18 მაისს დონ პიეტრო ავიტაბილეს[21]: „მე მივწერე წერილი მეფეს, ხოლო ქალბატონმა მარიამმა კი დედოფალს. აქვე ვურთავ ამ წერილების ასლს. რამდენადაც ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ ბატონი ნიკიფორე, რომელსაც ჩვენი წერილები მიჰქონდა, კონსტანტინოპოლში ბერძნებ-

---

[19] Archivio della SCPF, SOCG. Georgia, 1626—1707, vol. I, ff. 60—112v°; Informatione della Georgia data alla Santità di Nostro Signore Urbano VIII da Pietro della Valle il Pellegrino, l'anno 1627, in M. Thévenot, Relations de divers voyages curieux, Paris, 1691.

[20] პიეტრო დელა ვალეს პირველი ცოლი ბაბილონში მცხოვრები ასირიელი ოჯახიდან იყო. იგი აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს თან ახლდა პიეტრო დელა ვალეს, გარდაიცვალა სპარსეთში. მისი ბალზამირებული ცხედარი მან რომში ჩაიტანა და სანტა მარია და არაკოელის ეკლესიაში დაასაფლავა. პიეტრო დელა ვალეს მეორე ცოლი გახდა ქართველი თინათინი (წიბა), რომელიც კახეთში შაჰ აბასის შემოსევის დროს დედასთან ერთად სპარსეთში წაიყვანეს. იქ 1717 წელს დედა გარდაეცვალა და ავსაზრდელად პიეტრო დელა ვალემ აიყვანა.

[21] ეს წერილი პიეტრო დელა ვალემ დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს მისცა დონ პიეტრო ავიტაბილესათვის გადასაცემად.

მა გაძარცვეს. ნიკიფორეს წაართვეს თითქმის ყველაფერი, რაც კი მას გააჩნდა და მათ შორის, აბრეშუმზე ოქროს ძაფით ამოქსოვილი მადონას მინიატურული გამოსახულებაც, რომელიც მე მას ვაჩუქე და მეორე ასეთი მინიატურა, რომელიც მას კარდინალმა ბარბერინომ აჩუქა. ვფიქრობ, რომ დაიკარგნენ ასევე ის წერილები, რომლებიც მოთავსებული იყვნენ იმავე სკივრში. ამრიგად, გამოდის, რომ თქვენც ვერ მიიღებდით ჩემს წერილს, რომელიც თქვენთვის ბატონ დონ ნიკიფორეს გამოვატანე.

თქვენდამი ჩემი წერილი, ეს არაფერია, ვინაიდან რამდენადაც მახსოვს იქ ისეთი არაფერი დამიწერია. სხვა ამბავია ჩემი წერილი მეფისადმი და მარიამის წერილი დედოფლისადმი. ამ წერილებში ჩამოყალიბებულია საფუძველი და პრინციპები, როგორც მე ეს მსურდა — ჩვენი ერთგული ქვეშევრდომული გრძნობები, რომლებიც ვცდილობთ დავუდასტუროთ მის უდიდებულესობას და დედოფალს. ამდენად, ჩვენთვის სამწუხაროა, ამ წერილების დაკარგვა"[22].

ამიტომ პიეტრო დელა ვალეს გადაუწყვეტია ამ წერილების ასლები გაეგზავნა დონ პიეტრო ავიტაბილესათვის არა იმიტომ, რომ ეს ასლები მას მაშინვე გადაეცა მეფისა და დედოფლისათვის, ვინაიდან იქნებ ის წერილები, რომლებიც ნიკიფორემ წაიღო, არ დაიკარგა და ადრესატებმა მიიღეს. მაგრამ, თუ ის წერილები დაკარგულია, დონ პიეტრო ავიტაბილე მიიღებდა რა ამ ასლებს, გაეცნობოდა მათ შინაარსს და მეფე თეიმურაზთან და დედოფალთან საუბრის დროს ზეპირად გადასცემდა მათ შინაარსს და განსაკუთრებით იმას, რომ ქალბატონმა მარიამმა და პიეტრო დელა ვალემ შესთავაზეს საქართველოს მეფესა და დედოფალს, ჩაეთვალათ ისინი თავიანთ ქვეშევრდომად და რომ ისინი სწორედ ამის შესახებ წერდნენ ზემოხსენებულ წერილებში, რომლებიც მათ ნიკიფორეს გაატანეს.

ამასვე თხოვდა პიეტრო დელა ვალე ნიკიფორე ირბახსაც, რომელსაც მან ცალკე გაუგზავნა წერილი, ხოლო ამასთან დაკავშირებით დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერდა: „მე ასევე მივმართავ ადამიანს (ნიკიფორეს. — ი. ტ.), რომელმაც არა ერთხელ დაგვდო პატივი ჩემი და ქალბატონი მარიამის სახლში მოსვლით და ასევე ქალბატონი მარიამი და ჩემი ნათესავები არაერთხელ იყვნენ მასთან სან სილვესტროში. ახლა მივმართავ მას და ვთხოვ, შეასრულოს ჩემი თხოვნა, დაუდასტუროს ყოველივე ეს მის უდიდებულესობას (თეიმურაზ მეფეს. — ი. ტ.).

რაც შეეხება უსიამოვნებებს, რომლებიც ბატონ ნიკიფორეს ბერძნებისგან შეხვდა კონსტანტინოპოლში და შეურაცხყოფა, რომელიც,

---

[22] **Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, p. 37.**

უნდა ვიფიქროთ, მას მიაყენეს — მე ამას ვთვლი განსაკუთრებულ ბედისწერად უფლისა, რომელმაც შესაძლებელია ამ გზით ისურვა კიდევ უფრო განაშოროს იგი ბერძნებისაგან, არა მარტო თვითონ ბატონ დონ ნიკიფორეს სული, არამედ ასევე სული თვითონ მეფისა, რომელსაც საეჭვოა მოეწონოს ბერძნების მოქმედება ადამიანისადმი, რომელიც სარგებლობს მისი პატივისცემით და მის მიერ იყო გაგზავნილი იმ მხარეში".

პიეტრო დელა ვალე დარწმუნებულია, რომ არა მარტო ნიკიფორე ირბახი კეთილადაა განწყობილი კათოლიკური სარწმუნოებისადმი, რომის ეკლესიისადმი, არამედ შეიძლება იგი გახდეს ის მოქმედი საშუალება, რომელიც ამაში მეფესაც დაარწმუნებს. მაგრამ პიეტრო დელა ვალეს კარგად ესმის, რომ ეს არაა იოლი საქმე. კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება საქართველოში — ეს სახელმწიფო საქმე იყო და მარტო ერთ პიროვნებაზე არ იყო დამოკიდებული. ამიტომ პიეტრო დელა ვალეს აზრით, აქ აჩქარება არ შეიძლებოდა. საჭირო იყო სიფრთხილე იმნაირად, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლიან კათოლიკე წმინდა მამები.

ამასთანავე, პიეტრო დელა ვალეს ეშინოდა, რომ ნიკიფორე ირბახისათვის ხელი არ შეეშალა იმას, რომ მან რომში კათოლიკობა მიიღო. ამიტომ იგი დონ პიეტრო ავიტაბილეს ურჩევდა, ეს ამბავი ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახათ, მით უფრო, „შესაძლებელია თვითონ ნიკიფორესაც არ სურდეს, რომ ეს ცნობილი გახდეს მისი თანამემამულეებისათვის".

თეატინელ მისიონერებისადმი მიწერილ წერილებში პიეტრო დელა ვალე გამოხატავდა დიდ სიყვარულს საქართველოსადმი არა მარტო პირადად, არამედ თავისი ოჯახის სახელითაც. იგი წერდა: „ქალბატონი მარიამი ამჟამად ჩემი მეუღლეა. აი უკვე ერთი წელია, რაც ჩვენ დავქორწინდით. ჯვარი დავიწერეთ გასული წლის დასაწყისში (1629 წლის დასაწყისში. — ი. ტ.). ეს გადაწყვეტილება მივიღე ორი მოტივით: პირველი, აუცილებლობით მყოლოდა საკუთარი მემკვიდრე, რამდენადაც ჩემს მეტი არავინ დარჩა ჩემს საგვარეულოში; ხოლო მეორე, რატომ მაინცდამაინც მარიამი და არა სხვა? — სიყვარულის გრძნობა, რომელსაც განვიცდიდი მის მიმართ, მისი ნორჩი ასაკიდან დაწყებული, როდესაც ჩემი პირველი მეუღლე ცოცხალი იყო (ქალბატონი სიტი მაანი, ასირიული წარმოშობის, კეთილშობილი ოჯახიდან), იგი იზრდებოდა ჩვენთან სახლში, გარემოცული სიყვარულითა და მშობლიური ზრუნვით. მარიამიც ასევე სიყვარულის გრძნობით იყო ჩემს მიმართ და არ სურდა დაეტოვებინა ჩვენი სახლი, სადაც პატარაობიდან იზრდებოდა და გაიხარა რა, როდესაც იგი ავირჩიე

მეუღლედ (ვიდრე სხვა ვინმე), მიუხედავად წლოვანებაში დიდი განსხვავებისა და ათასი სხვა ჩემი ნაკლისა. სიხარულით ვიგონებ ამ ქორწინებას, რომლის შედეგად ჩვენ უკვე შეგვეძინა ქალიშვილი და, ვიმედოვნებ, რომ კიდევ გვეყოლება ბავშვები. თქვენ თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად გაჩნდა ჩემში მოვალეობის გრძნობა ქართველი ხალხისადმი და თქვენი მისიისადმი.

ვასრულებდი რა ჩემს სურვილს და მინდა, რომ ჩვენს სახლში მუდამ არსებობდეს სიყვარული საქართველოსადმი, ჩვენს გოგონას სახელად დავარქვით რომიბერა (რომი და იბერია. — ი. ტ.), როგორც პირველდაბადებულს რომაელისა და იბერიელის სისხლიდან, რომელიც გაერთიანდა ერთ პიროვნებაში. ვსულდგმულობ ოცნებით, რომ გარდა სისხლის ერთიანობისა, ასევე ჩვენი ხალხი მუდამ იყვნენ მტკიცე, ერთიანი თავისუფალ კავშირში და განუყრელი რწმენაში“.

პიეტრო დელა ვალეს ამ წერილიდან ჩანს, რომ მას და მის მეუღლეს ადრეც მიუწერიათ წერილები თეიმურაზ მეფესა და დედოფლისათვის: „ქალბატონ მარიამისა და ჩემი ახალი წერილებით მეფესა და დედოფალს ვაცნობებთ ჩვენი ქორწინების შესახებ, ვინაიდან, ადრე როდესაც ჩვენ მათ ვწერდით პირველ წერილებს, ჩვენ ჯერ კიდევ დაქორწინებულნი არ ვიყავით და ამიტომ იმ წერილებში გამოვხატავდით მთელი გრძნობით ჩვენს მათი უდიდებულესობის მიმართ პატივისცემას და ასევე ჩვენს სურვილებს...“

ამავე წერილში პიეტრო დელა ვალე თხოვდა გორში მყოფ თეატინელ მისიონერებს: „გთხოვთ, ყოველდღიურად არწმუნოთ მეფე და დედოფალი, ყველა ქართველი თავადი და მათი შვილები, ნათესავები იმაში, რომ ჩვენს სახით მათ აქ ჰყავთ გულწრფელი და თავდადებული მსახურები“.

პიეტრო დელა ვალე თავის წერილებში ეხებოდა საქართველოდან რომში მიღებულ წერილებს, კერძოდ, თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილებს და მათი თარგმანის საკითხს, „მის უწმინდესობას, — წერს იგი, — გადასცეს თეიმურაზ მეფისა და პატრიარქის წერილების თარგმანები, რომლებიც მიმართული იყო როგორც პაპისადმი, ისევე წმიდა კონგრეგაციია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებისადმი. თარგმანი გააკეთა ფეხშიშველ კარმელიტმა წმიდა მამა ჯოვანი ტადეომ, თეიმურაზ მეფისათვის კარგად ცნობილმა ადამიანმა, რომელიც ერთხელ სპარსეთის შაჰის დავალებით მასთან იყო და მისი სახელით გადასცა მას შაჰის სამძიმარი პირველი მეუღლის გარდაცვალების გამო“[23]. ამ წერილების თარგმანში მეც მივიღე მონაწილეობა.

---

[23] იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 25.

და სხვებმაც. უნდა ვაღიაროთ, რომ ვერც წმიდა მამა ჯოვანი ტადეომ, ვერც მე, ვერ შევძელით გაგვეკეთებინა ზუსტი თარგმანი, ვინაიდან სრულყოფილად არ ვიცით სპარსული ენა, რომელზედაც ეს წერილებია დაწერილი, აგრეთვე იმიტომაც, რომ ბევრი სიტყვა ჩვენთვის ძნელი იყო უბრალოდ, რომ ამოგვეკითხა და ჩვენ ვიზნეოდით გამოცანებში, თუ რას გამოხატავს ესა თუ ის ნიშანი. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ გვეთარგმნა შინაარსის მიხედვით“[24].

ამიტომ პიეტრო დელა ვალე ურჩევს დონ პიეტრო ავიტაბილეს, რომ მომავალში თეიმურაზ მეფის თუ კათალიკოსის წერილები რომში გამოგზავნოს თარგმანთან ერთად, ვინაიდან ადგილზე გაკეთებული თარგმანი უკეთესია და ახლოა დამწერის აზრთა განწყობასთან.

„ასევე კარგი იქნებოდა, — განაგრძობს პიეტრო დელა ვალე, — თუ მეფე წერილს თავის, ქართულ ენაზე დაწერდა, ე. ი. იმ ენაზე, რომელ ენაზეც იგი უკეთ გამოხატავს თავის აზრს. მიმოწერის ეს საშუალება უფრო მოსახერხებელია მისი უდიდებულესობისათვის (თეიმურაზ მეფისათვის. — ი. ტ.) — წერილის დამწერისა და მისი უწმინდესობისათვის — წერილის მიმღებისათვის“[25].

დონ ჯაკომო დი სტეფანოს მიერ საქართველოდან გაგზავნილ ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ თეიმურაზ მეფე და კათალიკოსი ზაქარია წერილებს წერდნენ ქართულად, ათარგმნინებდნენ სპარსულად და ორივე ტექსტს გადასცემდნენ მისიონერებს, რომ მათ ეთარგმნათ იტალიურად და გაეგზავნათ რომში.

1631 წლის 20-აგვისტოს დონ ჯაკომო დი სტეფანო პიეტრო დელა ვალეს სწერდა: „მივიღე პასუხები თეიმურაზ მეფისა [პაპის წერილზე] თარგმანითურთ, რომელიც გაკეთებულია თითქმის სიტყვა-სიტყვით, რამდენადაც ქართულ ენაში ფრაზა აგებულია სავსებით ისე, როგორც თურქულ ენაში და არა ისე, როგორც იტალიურში“.

პაპისადმი გაგზავნილი თეიმურაზ მეფის ერთ-ერთი წერილი დონ ჯაკომო დი სტეფანოს უთარგმნია იტალიურად. იგი წერს: „ვთარგმნე პირველმღვდელმთავრისადმი თვითონ მეფის მიერ მიწერილი წერილი“. ამ წერილთან ერთად, დონ ჯაკომო დი სტეფანოს საშუალებით, თეიმურაზ მეფეს წერილი მიუწერია პიეტრო დელა ვალესათვისაც, მაგრამ პიეტრო დელა ვალეს იგი ძალიან დაგვიანებით —, 1633 წლის 17 დეკემბერს მიუღია.

პაპისადმი გაგზავნილ თეიმურაზის ზემოხსენებულ წერილთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი: როგორც დონ ჯაკომო დი სტეფა-

---

[24] ამ წერილების თარგმანის ასლები პიეტრო დელა ვალეს დონ პიეტრო ავიტაბილესათვის გორში გაუგზავნია.

[25] Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, p. 24.

ნო წერს, ეს წერილი თეიმურაზ მეფეს პაპისათვის მიუწერია როგორც კათოლიკე მეფეს. ამასთან დაკავშირებით დონ ჯაკომო დი სტეფანო პიეტრო დელა ვალეს სწერს: „ღმერთმა ინებოს, რომ ეს გარეგანი ფორმა“, თეიმურაზ მეფის მიმართ ეს სიტყვა „კათოლიკე“, „შეეფარდებოდეს მის ნამდვილ არსს“, ე. ი. თეიმურაზ მეფე ნამდვილად იყოს კათოლიკე მეფე.

პიეტრო დელა ვალე აფრთხილებდა საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერებს იმის შესახებ, რომ „ყველა სასულიერო გამარჯვება, რომელსაც შეიძლება მიაღწიოთ ამ ქვეყანაში (საქართველოში. — ი. ტ.), მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შთაბეჭდილებებზე, რომლებსაც თქვენი მოქმედებით ქართველებს ჩვენზე შეუქმნით, კერძოდ ჩვენს რელიგიაზე. ამასთანავე, მხედველობაში უნდა გქონდეთ, ქართველების დამოკიდებულება სომხების რელიგიასთან. ჩემი აზრით, რელიგიურ საკითხში თქვენ წმიდა მამებმა, არ უნდა ითანამშრომლოთ საქართველოში სომხებთან იმაზე უფრო მეტად, რაც აუცილებელია, ვინაიდან ქართველთა არაკეთილი დამოკიდებულება და განწყობილება სომხების რელიგიასთან, შეიძლება ჩვენზე გადავიდეს მაშინ, როდესაც თქვენი მთავარი ამოცანაა მიიმხროთ ქართველები.

ცხადია, მას შემდეგ, რაც დამყარდება ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობა, თქვენ შეგიძლიათ მიხედოთ საქართველოში მცხოვრებ არაქართველებსაც. მაგრამ ამ საქმეს უნდა მოექცეთ ფრთხილად, ვიდრე ქართველები ამისათვის სულიერად მომზადებულნი არ იქნებიან... როცა ისინი გაიგებენ, რომ ჩვენ ვლებულობთ მეგობრულად იმ სომხებს, რომლებიც აღიარებენ თავიანთ დაბნეულობას რელიგიაში და არა ერეტიკოს სომხებს... ამ მეტად ფაქიზ საკითხში, ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა, ასევე წმიდა მამამ, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა, ჩემი აზრით, ერთხელ უხეში შეცდომა დაუშვა: საჯაროდ ამტკიცებდა... რომ რელიგიურ საკითხებში ჩვენ (იტალიელები. — ი. ტ.) გაცილებით უფრო ახლო ვართ სომხებთან, ვიდრე ქართველებთანო. ცხადია, ამან არავითარი კარგი შედეგი არ გამოიღო...“[26]

1628 წლის ივნისში წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ორივე ქართული შრიფტის — საეროსა და სასულიეროს — დამზადების შესახებ. იმავე წლის სექტემბერში ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ დამტკიცდა[27]. ამის შემდეგ პირველი ქართული წიგნიც მალე გამოვიდა[28] (1629 წელს).

---

[26] Don Fr. Andreu C. R., Carteggio inedito, pp. 25—26.

[27] Archivio della SCPF, SOCG, Acta, vol. 6, ff. 77, 151—152; Memoria rerum, S. 663.

[28] Archivio della SCPF, SOCG, Lettere, vol. 8, f. 33v°, 1629.

ამ დროს ნიკიფორე ირბახი უკვე აღარ იყო იტალიაში. როგორც საბუთებიდან ჩანს, 1630 წლის მაისისათვის უკვე სცოდნიათ ვატიკანში, რომ თეიმურაზ მეფის ელჩი ევროპაში, ნიკიფორე ირბახი, მშვიდობით დაბრუნდა საქართველოში. ამასთან დაკავშირებით პიეტრო დელა ვალე მოაგონებდა დონ პიეტრო ავიტაბილეს თეიმურაზ მეფის ამ ელჩთან თეატინელი მისიონერების (მათ შორის დონ პიეტრო ავიტაბილეს) შეხვედრას მესინაში და იმასაც, რომ შემდგომში ეს ელჩი ერთხანს იყო ესპანეთში, ხოლო შემდეგ ჩამოვიდა რომში, სადაც რომში ესპანეთის ელჩის დავალებით წარადგინეს პაპი ურბან VIII-ის წინაშე... და რომ ნიკიფორეს მალე გაუთქვამს სახელი რომში. ნიკიფორემ, წერს პიეტრო დელა ვალე, „თავისი ღვთისმოსაობით და კეთილსინდისიერებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქალაქში".

პიეტრო დელა ვალეს წერილებში ლაპარაკია იმაზეც, თუ რა მონაწილეობა მიიღო მან ნიკიფორე ირბახის რომში ყოფნის დროს ქართული წიგნის შედგენასა და გამოცემაში. „ბატონ ნიკიფორეს აქ ყოფნის დროს, მისი მეშვეობით და დახმარებით გამზადებულ იქნა ქართული შრიფტი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წიგნის დაბეჭდვა. ეს ჩემი აზრით, საკმაოდ კარგად გაკეთდა. გარდა ამისა, გაკეთდა პატარა ლექსიკონი ამ ენის ანბანით სხვა ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც ქრისტიანულ დოქტრინას შეეხებოდა. იგი შეიცავდა ძირითად ლოცვებს, წმინდა ზიარებას და მათ მსგავს საკითხებს. ისინი ყველა დაიბეჭდა ქართულ ენაზე. როდესაც ბერები თქვენთან ჩამოვლენ, არ დაავიწყდეთ თან წამოუღონ თქვენს მეურვეობას ბევრი წიგნი. სიტყვანი საკმაოდ პატარაა და ამიტომ მით უფრო არ შეიძლება არ იყოს უზუსტო და არ შეიცავდეს შეცდომებს. მაგრამ ეს ხომ პირველი გამოცემაა ქართულ ენაზე. მით უფრო, რომ იმათ, ვინც იგი გამოსაცემად მოამზადა, ე. ი. ბატონმა დონ ნიკიფორემ, მბეჭდავმა და ბერძენმა მთარგმნელმა [სამივემ] კარგად არ იცოდნენ ქართული ენა. მაგრამ დასაწყისისათვის, ესეც საკმაოდ კარგია. თუ ამ წიგნებს სამშობლოში გაგზავნიან, იქ შეუძლიათ ისინი უკეთ შეამოწმონ, გაასწორონ, შეავსონ და მოამზადონ უფრო სრულყოფილად ხელახლა გამოსაცემად".

გარდა ამისა, წელიწადზე მეტ ხანს ქვეყანაში ყოფნით, უეჭველია, თქვენ უკეთ დააგროვეთ განსაზღვრული ცოდნა ენაში, რომლის შესწავლა აუცილებელი საქმეა და მე თქვენ მოგიწოდებთ ამ მიმართულებით იმეცადინოთ გულმოდგინედ".

1630 წლის 20 მაისს თეატინელი მისიონერების პრეფექტი და გენერალი დონ სტეფანო მედიჩი წერდა, რომ წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიის გადაწყვეტილებით საქართველოში კიდევ ოთხი თეატინელი მისიონერი უნდა გაეგზავნათ. ამჟამად, წერდა იგი, „გადაწყვეტილია საქართველოში გაიგზავნოს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე

და დონ ჯოვანი ფილომია — ჩვენი კონგრეგაციის გამოცდილი მღვდელმსახურები და თეოლოგები“[29].

დონ ჯოვანი ფილომია, როგორც ჩანს, მეორედაც ვერ გადაუწყვეტიათ საქართველოში გაეგზავნათ, მაგრამ როგორც პირველად (1627 წლის დეკემბერში იგი დონ პიეტრო ავიტაბილესა და დონ ჯაკომო დი სტეფანოსთან უნდა გამგზავრებულიყო საქართველოში, მაგრამ მაშინ ავად გახდა და ქ. მესინაში დარჩა), ისე ახლაც (თუმცა არ ვიცით ახლა რა მიზეზით) იტალიაში დარჩა. იგი საქართველოში, ჩანს, არ ჩამოსულა.

1630 წლის 31 აგვისტოს წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ საქართველოში ორი თეატინელი მისიონერი გამოგზავნა: დონ არქანჯელო ლამბერტი ნეაპოლიდან და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანიდან. ისინი აღჭურვილნი იყვნენ პაპი ურბან VIII-ის წერილებით თეიმურაზ მეფესთან, კათალიკოს ზაქარიასა და მიტროპოლიტ ნიკიფორე ირბახთან. ეს უკანასკნელი, ევროპაში თეიმურაზ მეფის ელჩობიდან დაბრუნებული, 1629 წლის აგვისტოდან უკვე საქართველოში იყო.

ამ დროს, გორში თეატინელთა მისიონის პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე თეიმურაზ მეფის დესპანის სახით (გორიდან 1630 წლის 3 აგვისტოს გასული), უკვე რომისაკენ მიემგზავრებოდა, პაპისა და წმიდა კონგრეგაციის კარდინალებისათვის თეიმურაზ მეფისა და კათალიკოს ზაქარიას წერილებით აღჭურვილი.

რომისკენ მიმავალი დონ პიეტრო ავიტაბილე იმავე წლის დეკემბერში კუნძულ მალტაზე ჩავიდა და 1631 წლის იანვარში შეხვდა იქ ჩამოსულ ზემოხსენებულ მისიონერებს — დონ არქ. ლამბერტის და დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებოდნენ. ამ შეხვედრის შესახებ დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ 1 დეკემბერს წერილი გაგზავნა რომში.

1631 წლის 29 მარტს პიეტრო დელა ვალე გორში მყოფ დონ ჯაკომო დი სტეფანოს რომიდან სწერდა, რომ დონ პიეტრო ავიტაბილე უკვე რომში ჩავიდა და საქართველოში თეატინელი მისიონერების მოღვაწეობაზე ანგარიში წარუდგინა პაპსა და წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიას.

დონ პიეტრო ავიტაბილეს რომში წასვლის შემდეგ გორში მარტო ერთი თეატინელი მისიონერი — დონ ჯაკომო დი სტეფანო დარჩა. ახლა მარტო იგი აგზავნიდა წერილებს გორიდან რომში და აცნობებდა საქართველოს ამბებს.

---

[29] Archivio della SCPF, SOCG, vol. I, f. 367 (384°).

ერთ-ერთ წერილში, რომელიც მან დონ პიეტრო ავიტაბილეს რომში გაუგზავნა, მიუთითებდა ქართლში შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავებაზე: „თეიმურაზ მეფის სიძემ ზურაბ ბეგმა, — წერდა იგი,— რომელიც თბილისის მმართველ სიმონ ხანთან კავშირშია, ამბოხება მოაწყო თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ იმ მომენტში, როდესაც თეიმურაზ მეფე კახეთში იყო". ამ დროს ზურაბ ბეგის ხალხს გორი გაუძარცვავთ, მაგრამ დონ ჯაკომო დი სტეფანოსადმი პატივისცემის გამო, თეატინელთა მისიონი ძარცვას გადარჩენია. ამ დროს თეატინელ მისიონერთა სახლის და ეკლესიის აგება მთავრდებოდა.

დონ ჯაკომო დი სტეფანოს აზრით, ზურაბმა მოაკვლევინა სიმონ ხანი, რაც მას ძვირად დაუჯდა, შენიშნავს იგი. „ორ თვემაც არ განვლო, რომ გამოჩნდა ამის შედეგი. ერთ დღეს, როდესაც ზურაბ ბეგმა მოისურვა თეიმურაზის კარავში შესვლა, თეიმურაზის ამალის ერთ-ერთმა პირველმა მსახურმა იშიშვლა თავისი მოღუნული თურქული ხმალი, დაჰკრა თავში მას იმგვარად, რომ იგი იქვე უსულოდ დაეცა. ხმლის მოქნევის დროს მან ზურაბს შესძახა: „მანამ, ვიდრე შენ ნამდვილად არ უღალატე, იგი გინდობდა შენ. ახლა კი შენ უღალატე მას და ამიტომ შენი ღალატისათვის გადაგიხადა"[30]. ამის შემდეგ თეიმურაზმა არა მარტო განიმტკიცა თავისი სამფლობელოები, არამედ ორი ის პროვინციაც, რომელიც მეამბოხეს ეკუთვნოდა, შემოიერთა.

თავის წერილებში დონ ჯაკომო დი სტეფანო თხოვდა დონ პიეტრო ავიტაბილეს საქართველოში აუცილებლად წამოეყვანა ექიმი, ფეიქარი[31], მხატვარი და დურგალი, ხოლო თავისთვის თხოვდა ჩამოეტანა ლათინელ კლასიკოსთა ავტორების ნაშრომები[32].

რომში მყოფი დონ პიეტრო ავიტაბილე ცდილობდა განემტკიცებინა თეატინელთა მისიონი გორში. აქტიურად მონაწილეობდა წმიდა კონგრეგაციის ყველა საქმეში. მონაწილეობდა წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ახალი შენობის აგებაში, რომელსაც აგებდნენ ჯანბატისტი ვიჯესის ინიციატივით, ხოლო ეს უკანასკნელი თეატინელი მისიონერების მეგობარი იყო.

დონ პიეტრო ავიტაბილეს უნდოდა, რომ რომში თეატინელთა საქართველოს მისიონს საკუთარი ბინა ჰქონოდა. ასეთი სახლი შემ-

---

[30] D o n B a r t. F e r r o C. R., Istoria della Missioni, p. 120.

[31] უფრო გვიან, 1644 წელს, სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი თხოვდა რომის პაპს მისთვის გამოეგზავნა ფეიქარი, სამეგრელოში ქსოვის საქმის მოსაგვარებლად. ლევან დადიანის მიზანი იყო, რათა ამ საქმეში თავისი ხალხი დამოკიდებული არ ყოფილიყო თურქებზე. ეს, ცხადია, ხელს შეუწყობდა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას სამეგრელოში. ლევან დადიანის ასეთი შინაარსის წერილი რომში წაიღო 1643 წელს დადიანის დესპანმა პაპთან დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ.

[32] D o n F r. A n d r e u C. R., Carteggio inedito, p. 69.

დგომში გახდებოდა ერთ-ერთი კერა იმ ახალგაზრდა ქართველებისთვის, რომლებიც სასწავლებლად რომის კოლეჯში ჩავიდოდნენ. ამ მიზნით მან თხოვნით მიმართა პიეტრო დელა ვალეს, რომლის კეთილგანწყობა საქართველოს მისიისადმი საერთოდ ცნობილი იყო. ამ თხოვნის მიღებისთანავე, პიეტრო დელა ვალემ, თეატინელთა საქართველოს მისიონისათვის რომში გამოყო ერთ-ერთი მისი სახლი და იგი საჩუქრად გადასცა საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერებს.

შემდგომში, პიეტრო დელა ვალეს თანხმობით, ეს სახლი ოფიციალურად გაფორმდა დონ პიეტრო ავიტაბილეს, როგორც საქართველოში თეატინელთა მისიონის პრეფექტის, სახელზე და მის საკუთრებაში გადავიდა. უფრო გვიან, როდესაც 1641 წლის 29 მაისს პაპი ურბან VIII-ის ბრძანებით წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიამ კანონიკური უფლება მიიღო, ამ სახლში გაიხსნა კოლეჯი, სადაც უნდა მიეღოთ ქართველი ახალგაზრდები[33].

ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია: „წმიდა ტახტი (ვატიკანი. — ი. ტ.) კმაყოფილი იქნებოდა, თუ რომში შეიქმნებოდა შესაძლებლობა, ჩამოეყალიბებინათ კოლეჯი ქართველებისათვის". ამ კოლეჯის გახსნა რამდენადმე გაჭიანურდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის ყოფილა, რომ „ცნობილი არაა, თუ რომელი გზით ჩამოვლენ ახალგაზრდები საქართველოდან რომში"[34].

როგორც უკვე ითქვა, დონ პიეტრო ავიტაბილე რომში ჩავიდა 1631 წლის თებერვლის დასაწყისში. მასთან ერთად რომში ჩასულა ავგუსტინელი მისიონერი ანტონიო სან ვინჩენცო. დონ პიეტრო ავიტაბილეს თეიმურაზ მეფის წერილი გადაუცია პიეტრო დელა ვალესათვის. ეს უკანასკნელი აღაფრთოვანა მეფის წერილმა და ვიდრე საპასუხო წერილს თვითონ მეფის სახელზე გაგზავნიდა, იმავე დღეს დონ ჯაკომო დი სტეფანოს სახელზე გორში გაგზავნილ წერილში მას თხოვდა: „გადაეცით ჩემგან მადლობა მის უდიდებულესობას და დაარწმუნეთ იგი იმაში, რომ წინანდებურად ვარ აქ მისი თავდადებული და მოსიყვარულე მსახური მთელი ჩემი ოჯახით". პიეტრო დელა ვალე, ასევე თხოვდა დონ ჯაკომო დი სტეფანოს გადაეცა მეფისთვის, რომ მან და მისმა მეუღლემ მეფისა და დედოფლისთვის წერილები გაატანეს დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს. ანტონიომ კი პიეტრო დელა ვალეს გადასცა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი: ზედა ყბა მთლიანად, მაგრამ კბილების გარეშე.

---

[33] Archivio Generale Teatini, „Georgia". Decreto del 30 Aprile 1631.

[34] Archivio Generale Teatini, „Georgia". Lettere dei Missionari, № 9 C.

დონ პიეტრო ავიტაბილე პაპმა მიიღო იმავე წლის მარტის ბოლოს. ეს მოხდა იმიტომ, რომ ამ მიღების მეორე დღეს წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგია იყო მოწვეული, მას პაპი უნდა დასწრებოდა და ამიტომ პაპს სურდა წინდაწინ საქმის კურსში ყოფილიყო საქართველოს ამბებთან დაკავშირებით.

მეორე დღეს შედგა კარდინალთა კოლეგიის სხდომა, მას პაპი დაესწრო. სხდომაზე დიდი დრო დაუთმეს საქართველოს საკითხებს. აქ განიხილეს საეკლესიო სამოსელის, განსაკუთრებით, მიტრის გაგზავნის საკითხი: გაეგზავნათ, თუ არა იგი საქართველოს კათალიკოსისათვის — ამ ბერძნული წესის სასულიერო პირისათვის, თუ არა? ეს ხომ სქიზმას (ბერძნული წესის) მიმდევართა აღიარება იქნებოდა? ბოლოს გადაწყდა, რომ ასეთი საჩუქრები გაეგზავნათ არა ოფიციალურად, არამედ გადაეცათ ისინი თეატინელ მისიონერებისათვის, რომელთაც შეხედულებისამებრ დაერიგებინათ სამღვდელო პირებისათვის, მათ შორის პატრიარქისთვისაც.

წმიდა კონგრეგაციის კარდინალთა კოლეგიამ ცალკე გამოყო საქართველოს საკითხი და იგი დაავალა ერთ-ერთ ძლიერ და გონივრულ პიროვნებას — კარდინალ უბალდინოს. პიეტრო დელა ვალეს აზრით, კარდინალი უბალდინო ამ საქმეს ბრწყინვალედ გაუძღვებოდა. იმავე პიეტრო დელა ვალეს სიტყვებით: საქართველოს საქმე გულთან ახლო მიჰქონდათ: წმიდა კონგრეგაციის მდივანს ფრანჩესკო ინგოლის და წმიდა კონგრეგაციის რწმუნებულს აქილე ვენერიოს.

1631 წლის 30 აპრილს კარდინალთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში წირვა-ლოცვის ქართულად ჩატარებისა და იულიანის კალენდრის შემოღების შესახებ[35]. ასევე უკვე არსებობდა ტრიენტის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება წირვა-ლოცვის ეროვნულ ენებზე ჩატარების შესახებ[36].

ვიდრე დონ პიეტრო ავიტაბილე რომიდან დაბრუნდებოდა და თეიმურაზ მეფეს მისი წერილების პასუხებს რომიდან ჩამოუტანდა, თეიმურაზ მეფეს გადაუწყვეტია, კიდევ ერთხელ მიეწერა წერილი რომის პაპისათვის. ამასთან დაკავშირებით, 1630 წლის 18 ნოემბერს დონ ჯაკომო და სტეფანო დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერდა: „მეფე თეიმურაზს აქვს სურვილი კიდევ ერთი წერილი მისწეროს პაპს, რომელიც გაიგზავნება ბერძნულ ენაზე თარგმანით, მისი ნდობით აღჭურვილი პირები ამ წერილს ალეპოში წაიღებენ. მათ უკვე მიიღეს მეფის

---

[35] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 116.

[36] Archivio della SCPF, SOCG, Acta, vol. 7, ff. 307—309 (1630—1631), vol. 8, f. 30 (1632—1633), Lettere, vol. II (1631), f. 100, vol. 12 (1932), f. 25.

ბრძანება, რომ ეს წერილი გადასცენ ალეპოში საფრანგეთის კონსულს პირადად და მიიღონ პასუხი წერილის ადგილზე ჩაბარების შესახებ“.

დონ ჯაკომო დი სტეფანო თხოვს დონ პიეტრო ავიტაბილეს ხელცარიელი არ დაბრუნდეს რომიდან. აუცილებლად შესაფერისი საჩუქრები ჩამოუტანოს თეიმურაზ მეფეს, ვინაიდან მეფის მოწყალების მიღება, ეს ნიშნავს იმას, რომ სხვებიც მისიონერების მხარეზე იქნებიან. „გთხოვთ თქვენ, წმიდა მამაო, — წერდა იგი, — ღვთის გულისათვის, გაითვალისწინოთ, რომ თეიმურაზი მეფეა. როდესაც დაბრუნების შემდეგ თქვენ მასთან გამოცხადდებით, რათა დაუდასტუროთ თქვენი პატივისცემა, თქვენ თან უნდა გქონდეთ არა უბრალო საჩუქარი, არამედ მეფის პიროვნებისადმი შესაფერისი რამ... იცოდეთ, რომ მივიღებთ რა ჩვენი მეფის განწყობილებას, ჩვენ მივიღებთ ყველა დანარჩენის განწყობილებასაც. აი რატომაა არ ვიღლები და განმეორებით გევედრებით, არ ჩამოხვიდეთ რაიმე მნიშვნელოვანი საჩუქრის გარეშე. კარგი იქნება, თუ მას საჩუქარს თვითონ პაპი გამოუგზავნის ან წმიდა კონგრეგაცია. აუცილებლად გახსოვდეთ საჩუქარი დედოფლისათვისაც[37], რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ასეთ ნიშანს“.

ამასთანავე, იგი თხოვდა დონ პიეტრო ავიტაბილეს, არ დავიწყებოდა თეიმურაზ მეფის თხოვნა „ექიმის, მხატვრებისა და მქსოვლის“ წამოყვანის შესახებ. აგრეთვე თავისთვის ითხოვდა წიგნების წამოღებას, მეტადრე პატარა ფორმატის წიგნებისა კერძოდ, „ვირგილიუსის, ჰორაციოს, ოვიდიუსის, კატულის, ტუბილას, პროპერციუსის, სანაძაროს თხზულებების სრული გამოცემების, რომლებიც აუცილებელია ჩემთვის და არ დაგამძიმებენ თქვენ წამოღების დროს. ასევე თხზულებები ციცერონისა და ჯუსტ ლიპსის“.

თეატინელი მისიონერი ასევე ითხოვდა წამოეყვანათ რომიდან კარგი დურგალი და მასთან ერთად სადურგლო ინსტრუმენტებიც წამოეღოთ, მაგრამ სასურველი იყო ყველა ისინი გაკეთებული ყოფილიყო ფოლადისაგან.

თეიმურაზ მეფესა და ზურაბ ბეგს შორის მომხდარი ამბების დამთავრების შემდეგ, ქართლში ერთგვარი სიმშვიდე დამყარდა. თეატინელ მისიონერებს საშუალება მიეცათ კვლავ გაეშალათ მუშაობა.

პაპისა და წმიდა კონგრეგაციის კარდინალების წერილებით აღჭურვილი დონ პიეტრო ავიტაბილე 1631 წლის მაისის ბოლოს რომიდან საქართველოსკენ გზას გაუდგა[38]. იგი რომიდან მესინაში ჩავიდა. მას საქართველოში ახალი მისიონერები მოჰყავდა. ჯერჯერობით მასთან

---

[37] ტექსტში წერია: „დედოფლისათვის“—„per Dedobal“.

[38] Archivio della SCPF, SOCG, vol. 2 (1631), f. 56; M. Tamarati, L'Eglise Géorgienne..., pp. 521—522; Memoria rerum, S. 665.

იყვნენ წმიდა მამები ანტონიო ჯარდინა და ვინჩენცო კარაფა. 1631 წლის 30 აგვისტოს წმიდა მამა ფრანჩესკო ბოლვიტო ნეაპოლიდან პიეტრო დელა ვალეს სწერდა, რომ იგი მთელი გულით მხარს უჭერს საქართველოს მისიონს, მით უფრო, რომ ამ მისიონის სულისჩამდგმელია თვითონ პიეტრო დელა ვალე: რომ იგი ყველაფერში მხარს უჭერს დონ პიეტრო ავიტაბილეს, სიამოვნებით თვითონაც გაემგზავრებოდა საქართველოში, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის. იგი იწონებს პიეტრო დელა ვალეს მიერ საქართველოს მისიონის პრეფექტად დონ პიეტრო ავიტაბილეს დანიშვნას — იგი საუკეთესო რელიგიური მოღვაწეა, ახალგაზრდული, მგზნებარე სულისკვეთებით, როდესაც ვაკვირდებოდი მესინაში, ვხედავდი, რომ მას შეუძლია არაჩვეულებრივი ჩაწვდომა ადამიანის სულში, როგორც ეს მან ადრე დაადასტურა — წერდა წმიდა მამა ფრანჩესკო ბოლვიტო.

წმიდა კონგრეგაციის ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, როდესაც დონ პიეტრო ავიტაბილე პირადად გაემგზავრებოდა საქართველოში, მას უნდა თან წაეყვანა სამი ახალგაზრდა მღვდელი, რომლებიც იმ დროს ამთავრებდნენ თეოლოგიის კურსს, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა იმ ხმაურის გამო, რომელიც ატეხეს მათმა მშობლებმა, ხოლო წმიდა მამამ გენერალმა არ ისურვა ამ მშობლებთან საქმე ჰქონოდა. ამიტომ დონ პიეტრო ავიტაბილე საქართველოში გაემგზავრა დონ ჯაკომო დი სტეფანოსთან (კუნძულ მალტაზე მათ აიყვანეს კლავდიო) ერთად.

ახლა კი დონ პიეტრო ავიტაბილეს მისიონერების მთელი არმია მიჰყავდა საქართველოში: ვინჩენცო კარაფა, „რომელსაც შვიდი წლის განმავლობაში წინამძღვრის თანამდებობა ეკავა. იგი მოუსვენარი პიროვნება იყო. ერთხელ, ადრე, იგი, დედის, მამის, დების, ნათესავებისა და სხვათა ნებართვის გარეშე, გაიპარა აღმოსავლეთისაკენ... მაგრამ მშობლებმა და ნათესავებმა მიმართეს წმიდა მამა გენერალს და იგი გზიდან უკან დააბრუნეს". მაშინ საქმეში ჩარეულა ნეაპოლის ვიცე-მეფეც: ბრძანება გაუგზავნია მესინაში, რათა იგი არ ჩაესვათ გემში. ნეაპოლში პაპის ნუნციასაც მიუღია ამ საქმეში მონაწილეობა. თუმცა, როგორც კი დაუნახავს ვინჩენცო კარაფას, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში მისი გამგზავრების გამო ასეთი ხმაური ატყდა, იგი პალერმოში წასულა, სადაც რამდენიმე წელი ემსახურებოდა ეკლესიას. ახლა კი უკვე აშკარად მიემგზავრებოდა საქართველოში.

ამ დროს ერთ-ერთ წმიდა მამას მესინადან — ბართოლომეო კუჩეს გამოუთქვამს საქართველოში გამგზავრების სურვილი. მეორე წმიდა მამა გენუიდან — დონ კრისტოფორო დე კასტელი, რომელიც ერთ დროს პალერმოში მოღვაწეობდა, ჩასულა ნეაპოლში და საქართველოში წასვლაზე თანხმობა განუცხადებია. დონ კრისტოფორო დე კასტე-

ლი იყო ერთ-ერთი მდიდარი გრაფის (კასტელების ოჯახიდან, რომელიც 900 ათას სკუდოს ფლობდა) ძმისწული. დონ კრისტოფორო დე კასტელი სამი წელი სწავლობდა თეოლოგიას და ერთი წელი მედიცინას, რომელსაც სპეციალურად დაეუფლა, ვინაიდან იცოდა, რომ საქართველოს ექიმებიც სჭირდებოდა მისიონერებთან ერთად. საქართველოში გამომგზავრების დროს დონ კრისტოფორო დე კასტელი 30 წლის იყო.

დონ პიეტრო ავიტაბილეს მოჰყვებოდა ორი მღვდელი — ერთი მილანიდან, ჩინებული ქვის მთლელი, ხოლო მეორე — აბრუციოდან, მკერავი, მასვე ეხერხებოდა პურისა და ტკბილეულის გამოცხობა და სხვა მსგავსი საქმეები.

ექიმი, რომელმაც სურვილი განაცხადა საქართველოში წასვლაზე, რამდენადმე მერყევი ხასიათისა იყო. ამიტომ იმედი არ ჰქონდათ, რომ იგი ნამდვილად წავიდოდა. მაგრამ რომ წასულიყო, დაინახავდა რა, რომ იქ დიდი შემოსავალი არ ექნებოდა, უკანვე დაბრუნდებოდა, თუმცა ჯერჯერობით მიჰყვებოდა დონ პიეტრო ავიტაბილეს ჯგუფს და საქართველოში წასასვლელად განწყობილი იყო.

1631 წლის 1 სექტემბრისათვის დონ პიეტრო ავიტაბილეს უკვე მიღებული ჰქონდა წერილები, სათანადო საჩუქრები და ფული. იგი ამ დროს უკვე მესინაში იყო. აქვე მან მიიღო პიეტრო დელა ვალესაგან წერილები: თეიმურაზ მეფისათვის, დედოფლისა და დონ ჯუზეპე ჯუდიჩესათვის. პიეტრო დელა ვალე მეფესა და დედოფალს უგზავნიდა ასევე ლექსს თავის ქალიშვილზე — რომიბერაზე და საჩუქრებს: მაკრატლებს და კოლოფს.

20 სექტემბერს დონ პიეტრო ავიტაბილესთან მესინაში იყვნენ თითქმის ყველა, ელოდებოდნენ მხოლოდ პალერმოდან ვინჩენცო კარაფას ჩამოსვლას. ამ მოლოდინში მათ შორის უკმაყოფილება მოხდა ამდენი ხნის ლოდინის გამო. ამ დროს ჩამოვიდა ვინჩენცო კარაფაც.

22 სექტემბერს პიეტრო დელა ვალეს სახელზე მესინადან გაგზავნილ წერილში დონ პიეტრო ავიტაბილე წერდა: „თანამგზავრებს შორის ვერ შევძელი შეთანხმების მიღწევა“. იმავე წერილში ნათქვამია: „წმიდა მამა ვინჩენცო კარაფა რჩება ყველაზე ერთგული. ექიმმა მაგრძნობინა, რომ მას არ უნდა საქართველოში წასვლა. მიზეზი ისაა, რომ მან ჩემგან მოითხოვა ორმაგი ხელფასი და განაცხადა, რომ მას არა აქვს ჩვეულებად, რომ მისი ქისა ცარიელი იყოს... ეს ტიპი აქ ცხოვრობს, როგორც თავადი. ასე რომ, თქვენი ბრწყინვალება აქ რომ ჩამოვიდეს, მე მას ისე ვერ მოვუწყობდი ოთახს, როგორცაა მოწყობილი მისი ოთახი. სადილზე ეს ბატონი თავის პატრონს ვერცხლის ფულებს აყრის ისეთი ხელგაშლილობით, მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, გავწითლდებოდი. გარდა სხვა პირებისა, მას პირადად ემსა-

ხურება ორი პაჟი, რომლებიც დარბიან მის გარშემო... ჩვენთან წამოსვლა უნდა ერთ ქირურგს. იგი სავსებით ერთგული და კარგი ადამიანია“.

6 ოქტომბერს დონ პიეტრო ავიტაბილე წერს, რომ ექიმს მისთვის უთხოვია უკანვე დაბრუნების ნებართვა. დონ პიეტრო ავიტაბილეს ნება მიუცია, მაგრამ ექიმს კვლავ შეუცვლია აზრი და ისევ მოსულა მასთან, თუმცა დონ პიეტრო ავიტაბილე ჯერჯერობით ნებას არ აძლევდა გაჰყოლოდა ამ ჯგუფს. იგი თავისებური ხასიათის გამო არც დონ პიეტრო ავიტაბილეს და არც მისიის წევრებს მოსწონდათ.

ბოლოს ამ ექიმს უარი უთხრეს და გადაწყდა ექიმ-ქირურგის წაყვანა. ეს იყო გრეგორიო რეგალე დი კამპანია. დონ პიეტრო ავიტაბილეს აზრით, ეს უფრო გამოსადეგი იქნებოდა საქართველოსათვის, ვიდრე ის ექიმი, რომელიც საქართველოში გამდიდრებისათვის მიდიოდა. დონ პიეტრო ავიტაბილეს, პიეტრო დელა ვალეს რჩევით, ერთი ასტროლოგის წამოყვანაც კი უნდოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

1631 წლის 9 ოქტომბერს დონ პიეტრო ავიტაბილე და მისი თანამგზავრები ჩასხდნენ გემში და მესინას ნავსადგურიდან კუნძულ მალტასკენ გაემგზავრნენ. 24 ოქტომბერს ისინი უკვე კუნძულ მალტაზე არიან. ამ დროს დონ პიეტრო ავიტაბილესთან იყვნენ: ვინჩენცო კარაფა ნეაპოლიდან, ჯუსტო პრატო ლეჩედან, ანტონიო ჯარდინა პანორმიდან, კრისტოფორო დე კასტელი გენუიდან, გაეტანო კორლიტო აბრუციიდან, მატეო ფლორინო მილანიდან, ორი მორჩილი ძმა და ერთი ექიმი — ქირურგი[39]. მათ მალე მიჰყვებოდნენ დონ კლავდიო გალანო და დონ ფრანჩესკო მაჯო[40].

კუნძულ მალტაზე დონ პიეტრო ავიტაბილემ თავის ერთ-ერთ მეგობრისაგან მიიღო წერილი, რომელიც დაწერილი იყო 1631 წლის 10 ივნისს. მას ხელს აწერდა ფეხშიშველ კარმელიტი წმიდა მამა პროსპერო. ახალი ცნობები საქართველოდან, რომელსაც პროსპერო ატყობინებდა დონ პიეტრო ავიტაბილეს, მას მიუღია გორიდან დონ ჯაკომო დი სტეფანოსაგან. ამ წერილიდან მე შევიტყვე, წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, რომ „თეიმურაზ მეფე კვლავ დაბრუნებულა გორში და მშვიდობიანად დაუკავებია თავისი ადგილი მას შემდეგ, რაც მან თავი მოსჭრა თავის მტერს“. მაგრამ ის კი ვერ გავიგე, წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, სახელდობრ, ვის მოსჭრა თავი თეიმურაზ მეფემ[41].

---

[39] Archivio della SCPF, SOCG, Lettere, vol. II (1631), f. 56.

[40] Memoria rerum, S. 665. ამ ჯგუფიდან ვინჩენცო კარაფა ცნობილი პიროვნება იყო. საერთოდ ამ დროს ცნობილი პირები იყვნენ: მისი ძმა დონ ტომაზო კარაფა, კარდინალი დეჩიო კარაფა და მისი შვილიშვილი—ჯიროლამო კარაფა.

[41] ცხადია, აქ იგულისხმება ზურაბ ბეგის თავის მოჭრა.

ამ ჯგუფში გამოირჩეოდა ორი ადამიანი: დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობილი მხატვარი. იგი გზაში განუწყვეტლივ მუშაობდა — ხატავდა; მეორე — მატეო ფლორინო, ქვის მთლელი. „იგი ოქრო ადამიანია, — წერს დონ პიეტრო ავიტაბილე, — მაგრამ არ სურს ვინმეს დაემორჩილოს. მას უნდა ემსახუროს ღმერთს, მაგრამ თავისებურად. იგი წამოვა ჩვენთან ერთად საქართველოში, მაგრამ არა იმისათვის, რომ მღვდელმსახური გახდეს. მას უცნაურად ეჩვენება ვინმეს სურვილის შესრულება... ყოველ შემთხვევისათვის, ჯერჯერობით იგი ჩემთანაა".

ამ დროს ექიმმა, რომელიც ამ ჯგუფს მესინადან კუნძულ მალტამდე მიჰყვა და რომელიც „ძალიან განათლებული იყო სამკურნალო მედიცინაში", მეგობრის წერილი მიიღო იტალიიდან და დონ პიეტრო ავიტაბილეს განუცხადა, რომ სურს დაბრუნდეს იტალიაში. დონ პიეტრო ავიტაბილემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და გაუშვა. ამრიგად, ერთადერთი ექიმი, რომელიც შეიძლებოდა საქართველოში ჩამოეყვანათ, ისიც მალტიდან უკან დაბრუნდა.

დონ პიეტრო ავიტაბილე საერთოდ გულკეთილი ადამიანი იყო. აი, ამის დამადასტურებელი ერთი მაგალითი მრავალთა შორის: 1631 წლის ოქტომბერში საქართველოსკენ მომავალი დონ პიეტრო ავიტაბილე კუნძულ მალტაზე თავის ჯგუფთან ერთად ალეპოსკენ მიმავალ გემს ელოდებოდა. აქ გამოიარა ისფაჰანიდან რომში მიმავალმა ერთმა მისიონერმა — კლემენტე დი ბენედეტემ, წარმოშობით გერმანელმა. იგი მიემგზავრებოდა რომში, რათა იქ შეხვედროდა წმიდა მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს, რომელთანაც ერთად იგი მოღვაწეობდა ისფაჰანში. კლემენტე დი ბენედეტე მეტად ცუდად იყო ჩაცმული. დონ პიეტრო ავიტაბილეს შეეცოდა იგი და მისცა ტანისამოსი, „მათ შორის, საცვლებიც" და, როცა ჰკითხეს მას ამის თაობაზე მისმა იქ მყოფმა მეგობრებმა, მან თქვა: „მე ეს გავაკეთე ღმერთის სახელით, იმისათვის, რომ მანაც ასე მოიქცეს შემდგომში გაჭირვებულების მიმართ".

ერთ-ერთ წერილში დონ პიეტრო ავიტაბილე ჰპირდება პიეტრო დელა ვალეს რომ გამოუგზავნის თეიმურაზ მეფისა და დედოფლის პორტრეტს. ისინი უნდა დაეხატა მისიონერ არქანჯელო ლამბერტის, „რომელსაც აქვს უნარი მინიატურები გააკეთოს", ხოლო დონ კრისტოფორო დე კასტელი არის ნამდვილი მხატვარი, „რომელიც ხატავს ისე კარგად, რომ უყურებ მის ნამუშევრებს და არ გჯერა, რომ მისი ნამუშევარია" — შენიშნავს დონ პიეტრო ავიტაბილე.

დონ პიეტრო ავიტაბილესა და მისი ჯგუფის გამგზავრება კუნძულ მალტიდან დაყოვნდა. საარქივო მასალების თანახმად, 1631 წლის 13 ნოემბერს ისინი კვლავ იქ არიან.

1632 წლის 25 აპრილს დონ კრისტოფორო დე კასტელი თავის ბიძას — გრეგორიო კასტელის, გალიანის გრაფს სწერდა: „ოთხ დღეში, უფლის წყალობით, ჩვენ ალეპოდან გავალთ და გავემგზავრებით ჩვენს ძვირფას საქართველოში...“ იგი თხოვდა თავის ბიძას, გამოეგზავნა მისთვის საქართველოში, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით სხვადასხვა ფერის საღებავები, ასევე ფუნჯები, რათა ბევრი სურათი დაეხატა. იგი ასევე ითხოვდა შეერჩიათ რბილი მასალისაგან გაკეთებული, კარგი ფუნჯები, კარგი ლილა — ყვითელი, ლურჯი და მათი მსგავსი, რომელიმე მხატვრის რჩევით შერჩეული.

მეტად საჭირო იქნება ანაბეჭდები ისეთი ცნობილი მხატვრებისა, როგორიცაა პოლიდორი და კორეჯო, პარმაჯიანო, ანტონიო და კორეჯო, ტიციანი, ბასანო, პიტერ პაულ რუბენსი, გერჩიო და ჩენტო, დ'ანდრეა დე კარტო, გავიო კლანდინელი და სხვ. ღვთიურ თემებზე, „რამდენადაც ამ ქვეყანაში (საქართველოში. — ი. ტ.) წმინდანთა სურათების უდიდესი ნაკლებობაა იმ დევნის გამო, რომელიც განიცადეს ამ ქვეყნის ხალხებმა. ამით ჩვენ აღმოვუჩენთ დიდ სამსახურს მის ღვთაებრივ უდიდებულესობას, როდესაც განვაახლებთ ყოველივე ამას, როგორც მე ამაში დარწმუნებული ვარ, თუ თქვენ მე დამეხმარებით“.

დონ კრისტოფორო დე კასტელი, საქართველოში ჩამოსვლამდე იტალიაშიც კარგად ცნობილი მხატვარი ყოფილა. იგი თავის ბიძას წერდა, რომ მას თითქმის, უკვე გაუთავდა საღებავები და ეს იმიტომ, რომ რომიდან საქართველოში წამოსვლის წინ, იტალიის მთელმა რიგმა ეკლესიამ მას შეუკვეთა ღვთაებრივი შინაარსის სურათები და ყველა თხოვნა შეასრულა.

დონ პიეტრო ავიტაბილემ და მისმა მეგობრებმა, არზრუმისკენ მიმავალი ქარავნის მოლოდინში, სამი თვე დაჰყვეს ალეპოში[42].

1632 წლის 3 მაისს ისინი გავიდნენ ალეპოდან და 3 ივნისს არზრუმში ჩავიდნენ. ალეპოდან არზრუმისკენ მიმავალნი მთელ რიგ სიძნელეებს წააწყდნენ, ხოლო არზრუმში მეტად ცუდ პირობებში მოუხდათ ცხოვრება — ათი კაცი ერთ პატარა ქოხში ძლივს მოთავსდა. საჭმელიც, როგორც მანამდე, მოგზაურობის დროს, აქაც მეტად ცუდი იყო. იტალიელებს ღვინო ხომ სანატრელი გაუხდათ. არზრუმში ყოფნის დროს, ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებს მათთვის ძლვნად მიუტანია ღვინო, მაგრამ, წერს დონ კრისტოფორო დე კასტელი, „მე არა მგონია, რომ ის ღვინო იყო, შესაძლებელია სხვა რაიმე იყო, მაგრამ სიამოვნებით შევსვით იმ შთაბეჭდილებით, რომ იგი ღვინო იყო, რადგან დიდი ხანი იყო, რაც ღვინო არ გვენახა.

---

[42] Don Fr. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 166—167.

გზაში, კერძოდ თურქეთის სამფლობელოებში, მისიონერებს ყველაფერში ფულს ახდევინებდნენ. ამით და ცხოვრების იმ პირობებით, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, იტალიელი მისიონერი-მხატვარი მეტად უკმაყოფილოა. იგი აქებს იტალიას და წერს: „მე ქება-დიდებას ვუძღვნი უფალს, იმისათვის, რომ მან შესანიშნავი სღვთო და საერო ადამიანებით გაამდიდრა იტალია". თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ არზრუმში მყოფ იტალიელ მისიონერ-მხატვარს ეჩვენებოდა, რომ იგი „მიწიერ სამოთხიდან წავიდა და მტაცებელი მხეცების ტყეში შევიდა" და განაგრძობს იგი: „ალბათ, ამ ადგილებში ადრე ცხოვრობდა უფლის მიერ შერჩეული ხალხი, მაგრამ ახლა ჩანს, რომ უფალმა მიატოვა ისინი და ეს მხარე ხელში ჩაუგდო მუჰამედს..."

დონ პიეტრო ავიტაბილე და მისი მეგობრები არზრუმში ერთი თვე დარჩნენ. ერთი თვის შემდეგ, თბილისისკენ მიმავალმა სომეხ ვაჭართა ერთმა ჯგუფმა მათ შესთავაზა განეგრძოთ გზა მათთან ერთად. მისიონერები დათანხმდნენ, მით უფრო, რომ დონ პიეტრო ავიტაბილეს თან ახლდა ერთი სომეხი, რომელიც მან გორიდან წაიყვანა რომში და მთელს თავის მოგზაურობაში მასთან იყო.

ეს სომეხი ვაჭრები „მიდიოდნენ ქალაქ თბილისში, — წერს დონ კრისტოფორო დე კასტელი, — რომელიც გორიდან რამდენიმე დღის სავალზეა და ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მათთან ერთად წავსულიყავით. ამასთანავე, გავითვალისწინეთ, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, თუმცა სქიზმას მიმდევრები. ყოველ შემთხვევისათვის, ისინი ჩვენთვის იქნებოდნენ უკეთესი თანამგზავრები, ვიდრე თურქები... მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა".

20 ივნისს (სხვა ცნობით, 22 ივნისს) შესხდნენ ცხენებზე და არზრუმიდან გავიდნენ[43]. მაგრამ სომეხმა ვაჭრებმა, რომლებიც ემალებოდნენ თურქეთის ხელისუფლებას და უნდოდათ ბაჟის გადახდის გარეშე გაევლოთ ეს გზა, გადაწყვიტეს ევლოთ არა ქარავნებისათვის ოფიციალურად დადგენილი გზით, არამედ მთიანი და მეტად გაუვალი გზებით. მისიონერები დაიტანჯნენ ამ მგზავრობის დროს. ცხენები დაიღალნენ, რამდენადაც ისინი წიგნებით იყვნენ დატვირთული (მისიონერებს თან ბევრი წიგნი მოჰქონდათ). სომხები კი ჩქარობდნენ და მისიონერებსაც აჩქარებდნენ, რათა სწრაფად გაევლოთ თურქეთის ტერიტორია და თავი დაეღწიათ ბაჟისა და ხარკის გადახდისაგან, რომელსაც ჩვეულებრივად იხდიდა ყველა ამ გზაზე გამვლელი.

საქმე ის იყო, რომ არზრუმიდან თბილისისკენ მიმავალ გზაზე თურქები ახდევინებდნენ ერთ საპალნეზე ოთხ სკუდოს. მგზავრებს რომ თავიდან არ აეცდინათ ამის გადახდა და ფარულად სხვა გზით არ

[43] Don Fr. Ferro C. R., Istoria della Missioni, p. 168.

გაევლოთ, თურქეთის ხელისუფლებამ მეტად მკაცრი სასჯელი დააწესა: არზრუმის ფაშას დაბადებით ქართველს, ბრძანება ჰქონდა გაცემული, რომ ქარავანი, რომელიც გაივლიდა ამ გზაზე უნდა გადაეხადა სავალდებულო გადასახადი. მაგრამ თუ ვინმე შეეცდებოდა გაქცეოდა ამ გადასახადს — არ გაივლიდა ამ გზაზე მდებარე არდაგანში ან ყარსში, მთებზე გადაივლიდა, მას ამ დანაშაულისათვის ყველაფერი ჩამოერთმეოდა.

სომეხმა ვაჭრებმა, რომლებსაც დონ პიეტრო ავიტაბილე და მისი მეგობრები მიჰყვებოდნენ, მოისურვეს მოეტყუებინათ თურქები, მაგრამ ვერ შეძლეს. არზრუმიდან გასვლის შემდეგ, მეექვსე დღეს, როდესაც არდაგანამდე სულ ერთი დღის სავალი რჩებოდა, ისინი შეიპყრეს თურქებმა და არდაგანის მმართველს საფარ ფაშას შეატყობინეს. ისიც წარმოშობით ქართველი იყო. მან გაგზავნა ორასი კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი ბრძანებით: ან გაეწყვიტათ ადგილზე, თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, ანდა დაეპატიმრებინათ და არდაგანში ჩამოეყვანათ. ბრძანება შესრულებულ იქნა და დაპატიმრებული ქარავანი არდაგანის მმართველს — საფარ ფაშას წარუდგინეს.

თავიდან ფაშამ განაცხადა, რომ ქარავნის მთელი ქონება მისია. მაგრამ მოლაპარაკების შემდეგ აზრი შეიცვალა და თქვა: თუ ათი ათას სკუდოს მისცემდნენ, გაუშვებდა, თუ არადა, იქნებოდნენ პატიმრობაში.

მისიონერებს უშველა ერთმა გარემოებამ: საფარ ფაშას თავისთან ჰყავდა ერთი ფრანგი ექიმი პორსელიო ფრანჩეზე[44] წარმოშობით მარსელიდან[45]. იგი ამ გზაზე ხშირად ხვდებოდა კათოლიკე მისიონერებს და პატივისცემით ეპყრობოდა. იგი ერთხელ გორშიც კი ყოფილა მიწვეული თეიმურაზ მეფის სამკურნალოდ. მან გაიგო თუ არა, რომ დაპატიმრებულ ქარავანს მიჰყვებოდნენ კათოლიკე მისიონერები, მაშინვე მივიდა მათთან, აღსარება მიიღო მათგან და დაამშვიდა ისინი. ეს ექიმი დღეში სამჯერ მიდიოდა დონ პიეტრო ავიტაბილესთან, რათა სულიერი სიამოვნება ეგრძნო. სომეხი ვაჭრები აკვირდებოდნენ ამ ამბებს და გადაწყვიტეს ესარგებლათ მისიონერებთან ამ ფრანგი ექიმის კარგი დამოკიდებულებით და თხოვეს ეშუამდგომლა ფაშას წინაშე, რათა მას დაეკლო თანხა. ფრანგმა ექიმმა სიამოვნებით შეასრულა მათი თხოვნა და ათი ათასი სკუდო შეამცირებინა ფაშას ათას ხუთას სკუდომდე. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისიონერებმა ფაშას აჩუქეს ერთი ნაჭერი ნეაპოლიტანური მოოქრული ტილო. ფაშა დაკმა-

---

[44] არქ. ლამბერტის მიხედვით ამ ექიმს ჰქვია ჯოვანი.

[45] Don Fr. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 169.

ყოფილდა. აღნიშნული თანხა მისცეს და ქარავანი განთავისუფლდა ფაშას პატიმრობიდან. ფაშამ მათ სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა მისიონერებს. ფაშამ მისიონერებს მფარველობითი წერილიც მისცა, რომ გზაში ვინმეს მათთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა.

მათ დატოვეს არდაგანი და გზას გაუდგნენ თბილისისაკენ. დონ პიეტრო ავიტაბილემ თხოვა ქარავნის უფროსს გორზე გაევლოთ და იქიდან წასულიყვნენ თბილისში, მაგრამ ეს თხოვნა მან არ შეისმინა. უფრო მეტიც, ქარავანმა გზას გადაუხვია, ტყეში შევიდა. ვაჭრებმა მისიონერები გაძარცვეს. მათმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ამ დროს დონ პიეტრო ავიტაბილე სომხებმა დაჭრეს. ამის შემდეგ სომეხმა ვაჭრებმა მისიონერები აქ დატოვეს და თვითონ გზა განაგრძეს. ადგილობრივი მოსახლეობიდან ერთ-ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა, რომელსაც შეეცოდა ტყეში უპატრონოდ მიტოვებული უცხოელი სასულიერო პირები, აჭამა, ღვინოც დაალევინა და მოკლე გზით, ორ დღეში გორში ჩაიყვანა.

ამრიგად, 1632 წლის 10 ივლისს დონ პიეტრო ავიტაბილე და მისი თანამგზავრები გორში ჩავიდნენ. აქ მათ დახვდნენ დონ ჯაკომო დი სტეფანო და მორჩილი ძმა კლაუდიო. ისინი თავისთან დააბინავეს. „თითოეულ ჩვენთაგანს, — წერდა დონ კრისტოფორო დე კასტელი,— შეხვდა იმდენი ფართობი, სადაც მხოლოდ დაწოლა შეიძლებოდა. მე კი შემხვდა კუთხე სამზარეულოში“.

თეიმურაზ მეფემ ღირსეულად მიიღო ისინი. მაგრამ სამწუხაროდ, მალე შეიცვალა მისი ურთიერთობა მისიონერებთან. საქმე ის იყო, რომ დონ პიეტრო ავიტაბილეს გორში დაბრუნებისთანავე ხმა გავრცელდა, რომ მან, თითქოს, რომიდან დიდძალი თანხა ჩამოიტანა. ამ დროს თეიმურაზს ფული სჭირდებოდა და მან მიმართა დონ პიეტრო ავიტაბილეს და მოთხოვა ანგარიში იმის შესახებ, თუ რა ძვირფასეულობა და თანხები ჩამოიტანა რომიდან. სინამდვილეში, დონ პიეტრო ავიტაბილემ საქართველოს მისიონისათვის რომში ნამდვილად მიიღო განსაზღვრული თანხა, მაგრამ არც ისე დიდი. როგორც უკვე ითქვა ის, რაც კი მას გააჩნდა, გზაში სომეხმა ვაჭრებმა წაართვეს. გარდა ამისა, გორში მისიონერები მეტად ღარიბად ცხოვრობდნენ. ასე რომ, თეატინელ მისიონერებს გორში ძალიან უჭირდათ. ყოველივე ეს დონ ჯაკომო დი სტეფანომ წერილობით მოახსენა თეიმურაზ მეფეს. თეიმურაზ მეფე მიხვდა თავის შეცდომას და ბოდიში მოუხადა მათ[46].

---

[46] ამ ამბებს რამდენადმე გაზვიადებულად აღწერს არქ. ლამბერტი თავის წიგნში „წმინდა კოლხეთი“.

თეიმურაზ მეფისადმი მიწერილ წერილში დონ ჯაკომო დი სტეფანო მიუთითებდა, რომ ის სომეხი ვაჭრები, რომლებმაც გაძარცვეს გზაში მისიონერები, ახლა თბილისში ცხოვრობდნენ და იგი თხოვდა თეიმურაზ მეფეს, ემოქმედა და აეძულებინა ისინი, დაებრუნებინათ დონ პიეტრო ავიტაბილესა და მისი მეგობრებისათვის ის, რაც გზაში წაართვეს, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

თავი III

დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე

1625 წლიდან წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს გადაწყვეტილებით მრავალი კათოლიკე მისიონერი გაიგზავნა აღმოსავლეთში, კერძოდ, კონსტანტინოპოლის გავლით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. 1625 წლის 8 იანვარს ქ. მესინადან (სიცილია) რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ კათოლიკე მისიონერთა ერთი ჯგუფი არქანჯელო და კაპრიეტას მეთაურობით კონსტანტინოპოლის გავლით მიემგზავრება ყირიმსა და ჩერქეზეთში[1]. იმავე დღეს მორჩილი ძმა ინოჩენციო ფელიჩე და მალტა რომში გაგზავნილ წერილში წერდა, რომ იგი იმყოფება მესინაში აღმოსავლეთში გასამგზავრებლად, მაგრამ მისი მეგობრების წერილს ელოდება საქართველოდან იქ არსებული ვითარების შესახებ[2].

იმავე მესინადან 23 და 30 იანვარს რომში გაგზავნილ წერილებში მოხსენიებულია მისიონერები ბარბარა და კაპრიეტა, კასანო ჯუსტინიანო, ჯოვანი და ლუკა, რომლებიც კონსტანტინოპოლზე გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებში მიემგზავრებიან[3]; ამ წერილებში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმავალმა მისიონერებმა (ვიდრე არ შეისწავლიან იმ ხალხების ენებს, სადაც მათ მუშაობა მოუხდებათ), უნდა იცოდნენ თურქული[4], ამისათვის კი აუცილებელია იტალიურ-თურქული და თურქულ-იტალიური ლექსიკონების შექმნა[5]. კონსტანტინოპოლში მისიონერებს მფარველობას უწევდა საფრანგეთის საელჩო კონსტანტინოპოლში[6].

---

[1] Archivio di Sacra Congregatione di Propaganda Fide. Scritture Originali Congregazioni Generali. Lettere di Polonia, Persia..., Georgia, 1648, vol. 209, f. 497. (=SCPF. SOCG, vol...).

[2] Ibid., f. 496.

[3] Ibid., ff. 498, 499.

[4] Ibid., f. 499v°,

[5] Ibid., f. 500.

[6] Ibid., f. 501v°.

დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საკმაოდ დიდხანს იყო შავი ზღვის სანაპიროების მხარეებში და ამიტომ მან კარგად იცოდა თურქული[7]. ზოგი მისიონერი რუსულ ენასაც სწავლობდა (მაგალითად, კასანო ჯუსტინიანო)[8], ბარბარა და კაპრიეტამ ჩერქეზული ენა შეისწავლა. ადგილობრივი ხალხების ენის უცოდინარობა და თარჯიმნების არარსებობა, დიდად აფერხებდა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას[9].

1625 წლის მაისისათვის მესინასა და კუნძულ მალტაზე იყვნენ ინოჩენციო და მალტა, ვინჩენცო და მესინა, ტომაზო ლანდი და სხვ. ისინი აღმოსავლეთის ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ[10]. კერძოდ, როგორც არქანჯელო და კაპრიეტას ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, ჩერქეზეთსა და სამეგრელოსაკენ[11]. ჩერქეზეთისკენ მიმავალი ან უკან დაბრუნებული მისიონერები, აუცილებლად გაივლიდნენ აფხაზეთსა და სამეგრელოში[12]. როგორც მისიონერები წერენ, ამ მხარეში, თითქმის ყველგან (მეტადრე, აფხაზეთსა და სამეგრელოში) ისინი ხვდებოდნენ ბერძენ ბერებს (მათი გამოთქმით, სქიზმატიკებს) და ამდენად ამ მხარის ქრისტიანები ბერძნულ ტიპიკონს უფრო მისდევდნენ, ხოლო კათოლიკები საერთოდ ცოტანი ყოფილან ამ მხარეებში[13].

ასეთ ვითარებაში იმოგზაურა ამ მხარეში (ჯერ ყირიმში, ჩერქეზეთში და ბოლოს აფხაზეთსა და სამეგრელოში) იტალიელმა დომინიკანელმა მისიონერმა ჯოვანი ჯულიანო და ლუკამ (წარმოშობით იტალიის ქალაქ ლუკადან). მან საინტერესო ცნობები დაგვიტოვა სამეგრელოსა და აფხაზეთზე[14].

ჯერ კიდევ 1877 წელს ოდესაში პ. იურჩენკომ გამოაქვეყნა ჯოვანი და ლუკას „პერეკოპისა და ნოგაის თათრების, ჩერქეზების, მეგრელებისა და ქართველების აღწერილობის" თარგმანი ფრანგულიდან რუსულ ენაზე[15].

---

[7] Ibid., f. 507.

[8] Ibid., f. 502v°.

[9] Ibid., f. 508v°.

[10] Ibid., ff. 516v°—518v°.

[11] Ibid.. f. 520.

[12] Ibid., f. 520.

[13] Ibid., f. 521v°.

[14] Ambr. Eszer O. P., Giovanni Giuliano da Lucca O. P., Forschungen zu seinem Leben und zu seinen Schriften, „Archivum Fratrum Praedicatorum", 1967, 37, SS. 353—358, 412—418. (=AFP).

[15] П. Юрченко д. ч. о., Описание перекопских и ногайских татар, черкесов, мингрелов и грузин, Жана де-Люка, монаха доминиканского ордена (1625), Одесса, 1877., Записки императорского Одесского общества истории и древностей, т. XI, Одесса, 1879, с. 473—493.

მთარგმნელს, როგორც იგი შესავალში ამბობს, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია ამ „აღწერილობის“ ავტორზე. პ. იურჩენკოს არც ის ცოდნია ზუსტად, თუ როდის ჩავიდა ეს ავტორი აღნიშნულ მხარეებში და როდის აღწერა ეს ადგილები. იგი მხოლოდ ვარაუდით ასახელებს 1625 წელს. „ვერც ერთ ბიოგრაფიულ, ლიტერატურულ და ისტორიულ სიტყვანში ვერ ვიპოვეთ ცნობები დე ლუკას შესახებ“ — წერს პ. იურჩენკო. ეს მთარგმნელი უმაღლეს შეფასებას აძლევს ჯოვანი და ლუკას ცნობებს ყირიმელი თათრების შესახებ.

პ. იურჩენკოს არ უნახავს ჯოვანი და ლუკას „აღწერილობის“ დედანი და არ იცოდა, თუ რომელ ენაზე დაწერა იგი მისმა ავტორმა. იგი ვარაუდობდა, რომ ეს „აღწერილობა“ პირველად, ალბათ, იტალიურ ან ლათინურ ენაზე დაიწერაო. იგი უფრო იმ აზრისა იყო, რომ „აღწერილობა“ დაიწერა იტალიურ ენაზე, გამოდიოდა რა „აღწერილობის“ ტექსტში მოცემული ტერმინებიდან და საკუთარი სახელებიდან.

დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯოვანი ჯულიანო და ლუკას აღნიშნული „აღწერილობა“, მისმა ავტორმა იტალიურ ენაზე შეადგინა. იგი პირველად ფრანგულად თარგმნა ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა მელქისედეკ თევენომ და გამოაქვეყნა დაახლოებით 1663—1672 წწ-ში. მეორეჯერ იგი გამოქვეყნდა (ისევ ფრანგულად) 1696 წელს[16], საიდანაც, ალბათ, იგი თარგმნა პ. იურჩენკომ.

პერეკოპისა და ნოგაის თათრების შესახებ „აღწერილობას“ აქ უკავია 14—20 გვერდი, ჩერქეზების შესახებ — 21—22 გვერდი, ხოლო აფხაზებისა და ლაზების შესახებ — დაახლოებით ერთი გვერდი[17].

გადავწყვიტე აქ მოვიტანო ჯერ ჯოვანი და ლუკას „ცნობები“ აფხაზებსა და მეგრელებზე, რომელიც ავიღე რომის არქივიდან, ხოლო შემდეგ იმავე ავტორის ის მოკლე „ცნობები“ აფხაზებსა და ლაზებზე, რომელიც მოცემულია ზემოხსენებულ მ. თევენოს კრებულში და რომელიც პ. იურჩენკოს უთარგმნია რუსულად.

როგორც წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს საარქივო მასალებიდან ჩანს, ჯოვანი და ლუკა მისიონერ ემილიო პორტელისთან ერთად 1625 წლის სექტემბერში კაფაში ჩასულა. იგი იქ დარჩენილა

---

[16] Relation des Tartares, Peropites et Nogaies, des Circassiens. Mengreliens, et Georgiens. Per Iean de Lucca Religieux de l'Ordre de Saint Dominique. „Relations de Divers Voyages curieux, qui nont point estè publièes... M. Melchisedec Thevenot..., Paris, 1696, t. I, pp. 14—23.

[17] „მეგრელებსა და ქართველებზე“, როგორც სათაურშია ნათქვამი, აქ არაფერია მოცემული. მთარგმნელ პ. იურჩენკოს ყურადღება არ მიუქცევია იმაზე, რომ სათაურში მოხსენიებულია „მეგრელები და ქართველები“, „ცნობებში“ ლაპარაკია აფხაზებზე და ლაზებზე.

1629 წლის ნოემბრამდე. იქიდან ჩერქეზეთში გადასულა, ხოლო შემდეგ, აფხაზეთსა და სამეგრელოში უმოგზაურია.

მიუხედავად წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს მოთხოვნისა, მისიონერმა ემილიო პორტელიმ არ გაგზავნა კათოლიკე მისიონერები „ჩერქეზ და აფხაზ ტომებს შორის სამუშაოდ, თუმცა სამისიონერო მუშაობა ამ ტომებში შეიძლებოდა უფრო გაშლილიყო, ვიდრე ყირიმში“[18].

1627 წელს მამა ემილიო პორტელიმ მამა ფელიჩესთან ერთად, თვითონ გადაწყვიტა წასულიყო ჩერქეზეთში, მაგრამ გაიარა რა ტამანის ნახევარკუნძული, მივიდა ტემრიუკში და უკან დაბრუნდა[19]. ამასთან დაკავშირებით, უფრო გვიან (1631 წ.) ემილიო პორტელი რომს ატყობინებდა: „დრო არ გვქონდა... მაშინვე გადავსლიყავით სამეგრელოში, ხოლო [ჩერქეზეთი] დავტოვეთ იმის იმედით, რომ იქ კვლავ დავბრუნდებოდით... შემდეგ, წავედით აფხაზეთში. 200 მილი ზღვით ვიარეთ... ჩავედით სამეგრელოში მთავარ დადიანთან“[20].

წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიას გათვალისწინებული ჰქონდა ადგილებზე სასულიერო პირების მომზადების მიზნით, ჩერქეზეთში კათოლიკე ბერების მისიონის შექმნა. 1629 წლის ოქტომბერში ჯოვანი და ლუკა მამა კონსტანცასთან ერთად ყუბანში გადავიდა, ხოლო 18 ნოემბერს იგი უკვე ჩერქეზეთშია, კერძოდ, ქ. ტემრიუკში, სადაც იმავე წლის დეკემბრამდე დარჩა. რამდენადაც ჩერქეზებს საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ, ხოლო მათი ენის შესწავლა მისიონერებისათვის მეტად ძნელი იყო, მამა ფელიჩემ შესთავაზა წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს, ეყიდათ 15-მდე ჩერქეზი ყმაწვილი, მათი მშობლების თანხმობით, მისცემდნენ რა თითოეულისათვის 450 სკუდოს, წაიყვანდნენ მათ რომში სასწავლებლად, ხოლო რომში სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, დაბრუნდებოდნენ სამშობლოში და თვითონ გასწევდნენ სამისიონერო მუშაობას ჩერქეზეთში.

მამა ემილიო პორტელიმ მოიწონა ეს წინადადება და დასძინა, რომ ჩერქეზებში ეს გამოიწვევს სიმპათიას იტალიელებისადმი და ამ პირ-

---

[18] Sacra Congregationis de Propaganda Fide, Memoria rerum, 350 anni a servizio delle missioni, 1622—1972, vol. II, 1622—1700, Roma—Freiburg—Wien, 1971, S. 655 (=Memoria rerum...).

[19] Archivio Della SCPF. SOCG, vol. 113, f. 343; vol. 7, f. 4; Memoria rerum, S. 655.

[20] Archivio della SCPF, SOCG, vol. 73, f. 219.

ველ ჯგუფს მიჰყვება ახალგაზრდობის სხვა ჯგუფი, ხოლო ამ გზით ჩერქეზეთში კათოლიკობა გავრცელდებაო. წმიდა კონგრეგაციამ საერთოდ მოიწონა ეს იდეა, მაგრამ მან ვერ შეძლო აღნიშნული თანხა გადაეხადა ყოველი ყმაწვილის შესასყიდად. ასეთივე პრობლემას წააწყდნენ, უფრო გვიან, თეატინელი მისიონერები საქართველოშიც[21]. რაკი ეს ვერ მოხერხდა, მიიღეს სხვა გადაწყვეტილება: კათოლიკე მისიონერების დახმარებით ადგილებზე სათანადო განათლება მიეცათ ახალგაზრდებისათვის, ხოლო შემდგომში ზოგიერთი მათგანი გაეგზავნათ სასწავლებლად კოლეჯში რომში.

1630 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ჯოვანი ჯულიანო და ლუკა შავი ზღვის სანაპიროების ქვეყნებში მოგზაურობს. იგი იყო აფხაზეთში, სამეგრელოში. „სამეგრელოში მის მუშაობას ხელს უწყობდა ლევან II დადიანი“[22], ხოლო ბოლოს, ტრაპიზუნდისკენ მიმავალმა ჯოვანი და ლუკამ გურიაზე გაიარა[23].

1631 წელს ჯოვანი ჯულიანო და ლუკა ისევ ჩერქეზეთშია, 1633 წლის დეკემბერში მან ერთხელ კიდევ გაიარა აფხაზეთსა და სამეგრელოში[24]. ამ ქვეყნებზე გავლით, იგი დიპლომატიური მისიით სპარსეთში წავიდა. იყო შირვანსა და დაღისტანში. იგი ყველგან წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესათვის მასალებს აგროვებდა[25]. 1634 წლის თებერვალში წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ მას დაავალა ორ-ორი მისიონერის ჩაყვანა ჩერქეზეთში, აფხაზეთსა და სამეგრელოში. მაგრამ ეს გადაწყვეტილება განუხორციელებელი დარჩა[26]. ბოლოს, გარდაცვალების წინ (1646 წ.) ჯოვანი ჯულიანო და ლუკა კვლავ გამოჩნდა შავი ზღვის სანაპიროებზე. საარქივო მასალებში ნათქვამია, რომ „წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდე სპეციალურად სარგებლობდა ამ ადამიანის სიყვარულით მოგზაურობისადმი. მან მორჩილი ძმა მამა ჯოვანი და ლუკა მზვერავად აქცია“[27].

ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ იტალიელი მისიონერის და მოგზაურის მამა ჯოვანი ჯულიანო და ლუკას „ცნობებს“ თათრებზე, ჩერქე-

---

[21] Archivio della SCPF, SCPF, Acta, vol. 7 (1630—1631), f. 118; Lettere, vol. 10 (1630), f. 22: Miscellanea Varie, t. XVIII, ff. 122—123; Memoria rerum, SS. 656—657.

[22] Memoria rerum, S. 655.

[23] Ibid.

[24] Archivio della SCPF, SOCG, Georgia, vol. 209, f. 525v°.

[25] Memoria rerum, S. 655.

[26] Memoria rerum, S. 656; J. Metzler O. M. I., Die verschellene S. Congregatio „de Tuende Fide“ und ein misgluückter Bischofsrat im 17. Jahrhundert, in: NZM XXII, 40—45, 1967.

[27] Memoria rerum, S. 655.

ზებზე, აფხაზებსა და მეგრელებზე. ამ „ცნობებიდან“ აქ შევეხებით მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს — აფხაზეთს, სამეგრელოსა და გურიას შეეხება. ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ეს ნაშრომი საერთოდ არ უნახავს ზემოხსენებულ პ. იურჩენკოს.

ჯოვანი ჯულიანო და ლუკას ამ „ცნობების“ ის ნაწილი, რომელიც შეეხება აფხაზეთსა და სამეგრელოს, ქართულად თარგმნა და თავის წიგნში მოათავსა მ. თამარაშვილმა[28].

დაახლოებით 1623 წელს წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდემ წმიდა დომინიკეს ორდენის[29] ოთხი მორჩილი ძმა — არქანჯელო კაპრიეტა, ემილიო პორტელი, ინოჩენციო ფელიჩე და მალტა, ჯოვანი ჯულიანო და ლუკა აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნეს. ორი მათგანი კონსტანტინოპოლში ვერ ჩავიდა დანიშნულ დროს, ხოლო მესამე — ინოჩენციო ფელიჩე და მალტა, ერთი წლის შემდეგ — 1624 წლის 12 ოქტომბერს უკვე კონსტანტინოპოლში იყო. იქვე ჩავიდა ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, მაგრამ ემილიო პორტელისთან ერთად იგი შედარებით მალე წასულა კონსტანტინოპოლიდან.

ჯოვანი ჯულიანო და ლუკა წერს: „ღვთის წყალობით 5 აპრილს (1625 წელი. — ი. ტ.) ჩავედით კონსტანტინოპოლში. მაგრამ იმ ომის გამო, რომელიც კაფაში გრძელდებოდა, ოთხი თვე კონსტანტინოპოლში დავრჩით (ე. ი. 1625 წლის 25 სექტემბრამდე). მასწავლებელ მამა ემილიო პორტელი და მე კაფაში ჩავედით, სადაც სომეხმა ეპისკოპოსმა და მღვდელმთავრებმა სიყვარულით მიგვიღეს“. ასე იწყება ჯოვანი ჯულიანო და ლუკას „ცნობები“, რომლის სათაურია: „ცნობები თათრებზე, ჩერქეზებზე, აფხაზებსა და მეგრელებზე, რომლებიც შევადგინე მე — დომინიკანელმა მისიონერმა მორჩილმა ძმამ ჯოვანი და ლუკამ“[30].

ამ „ცნობებიდან“ ჩანს, რომ ჯოვანი და ლუკა კონსტანტინოპოლიდან პირდაპირ დასავლეთ საქართველოში კი არ წასულა, არამედ, ემ-

---

[28] შეად. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 142—150. მ. თამარაშვილთან ნათქვამია: „ივანემ (ჯოვანი. — ი. ტ.) მოიარა აფხაზეთი და ჩერქეზეთი და ბოლოს სამეგრელოშიც მივიდა“. სინამდვილეში კი ჯოვანი ჯულიანო და ლუკას მარშრუტი იყო ასეთი: ყირიმი, ჩერქეზეთი, აფხაზეთი, სამეგრელო, გურია. გურიიდან იგი ტრაპეზუნდში ჩავიდა და იქიდან კაფაში გაემგზავრა ზღვით. კაფა არის დღევანდელი ფეოდოსია და არა სევასტოპოლი, როგორც მ. თამარაშვილი წერს.

[29] დომინიკანელ მორჩილ ძმათა რელიგიური ორდენი შეიქმნა 1215 წელს ტულუზაში (საფრანგეთი), წმიდა დომინიკეს მეთაურობით.

[30] „Relatione fetta de me Fra Giovanni di Lucca Dominicano Messionario ai Tartari, Circassi, Abbazza, e Mengrelii“. Archivio della SCPF, SOCG, Persia, Georgia, Mingrelia e Tartaria, vol. 209, ff. 483—495v° (=Giovanni da Lucca, Relatione...).

ლიო პორტელისთან ერთად კაფაში ჩასულა, იქიდან ჩერქეზეთში და ბოლოს აფხაზეთსა და სამეგრელოში უმოგზაურია. ჯოვანი ჯულიანო და ლუკას „ცნობები" მთლიანად ვთარგმნეთ (ჩერქეზეთში მისი მოგზაურობის ჩათვლით), მაგრამ, როგორც ითქვა, აქ მოვიტანთ მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც აღწერილია ჩერქეზეთიდან გამგზავრება და აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში მოგზაურობა. ჯოვანი და ლუკა წერს: „ჩერქეზებმა ზღვისპირამდე მიმაცილეს, ხელზე მემთხვივნენ და ტირილით მითხრეს: რატომ ჩვენთან არ რჩებით, ჩვენი ქვეყნის პატრონი იქნებით. მათ ვამშვიდებდი, რომ შევეცდები კვლავ დავბრუნდე-მეთქი. უკვე გემზე ვიყავით. გემმა იალქნები გაშალა და 9 მაისს (1630 წ.), ამაღლების დღეს, ჩვენ იაბონტაში მივედით".

აქ ხმელეთზე როგორც კი გაიგეს, რომ ეს მისიონერი კუდოშიოში (ჩერქეზეთი) ბავშვებს ნათლავდა, მაშინვე მიესალმნენ, გაუმასპინძლდნენ... სუინომ მას შემწვარი გოჭი მიართვა, ხოლო შემდეგ, ხმელეთზე გადასვლა, სოფელში წასვლა და ბავშვების მონათვლა თხოვა. ჯოვანი და ლუკა დათანხმდა. იგი წერს: „მე წავედი მათ სოფელში. მაგრამ რაისმა [გემის კაპიტანმა] გამაფრთხილა, რათა აქ არ დავრჩენილიყავი ორ დღეზე მეტ ხანს, ვინაიდან მას უნდა აქედან, რაც შეიძლება მალე წასვლა. მე კი ვერ მოვასწარი ყველას მონათვლის წესის შესრულება და სახლების კურთხევა. სუინოს სახლში ორ დღეში 95 ბავშვი მოვნათლე. მას ვაჩუქე ბევრი წმინდანის გამოსახულება და ჯვარი, რომლებიც უნდა დაერიგებინა სხვა სახლებში. დავბრუნდით ნაპირზე. მან სხვათაშორის, მაჩუქა ღვინო, ბევრი კაკალი და ღორის ხორცი. აქ აკეთებენ ღვინოს, რამდენადაც აქ ცხელი ადგილებია, ხალხი ზღვისპირას ცხოვრობს. მაგრამ ზემოთ, მთებში ჩერქეზეთში ღვინოს არ აყენებენ. გემზე ავედი. ვამშვიდებდი ჩემს თავს, რომ მალე დავბრუნდებოდი".

19 მაისს (1630 წ.) სამების დღეს ჯოვანი ჯულიანო და ლუკა მაკალაში[31], ანუ კარაბეიში[32] მისულა. „მე გემის პატრონს ვუთხარი: ეს დღე ჩემთვის მეტად საზეიმო დღეა; რომ ჩემს ქვეყანაში ამ დღეს დიდ ზეიმს აწყობენ; რომ ეს დღესასწაული ჩვენთვის იმის მსგავსია, როგორც თქვენთვის ყურბანბაირამი, ანუ აღდგომა. მან მითხრა, რომ აქ ნაპირიდან დაახლოებით ერთ მილზე არის მშვენიერი ეკლესია. მაგრამ იქ ჩერქეზები კი არ არიან, არამედ აფხაზები. ისინი სხვა ენაზე ლაპარაკობენ და რომ მან არ იცის, თუ როგორ მიმიღებენ. მაგრამ

---

[31] მაკალა — შესაძლებელია ეკლესიის სახელწოდება იყოს. დონ კრისტოფორო დე კასტელი წერს: „მეკლიას ეკლესია". იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 194.

[32] კარაბეი, ყარაბეი — შესაძლებელია აფხაზეთის ერთ-ერთი მთავარი იყო.

გემზე არის კაიტასა, რომელმაც იცის მათი ენა". გარდა ამისა, გემის კაპიტანმა ჯოვანი და ლუკას უთხრა, რომ ამ ადგილის ბეი, როცა ხმელეთს მიადგებიან, გემზე ამოვა და იგი მოელაპარაკება მას, რათა ნება დართოს ხმელეთზე გადავიდეს და ეკლესიაში წირვა დააყენოს, რაც კიდეც გააკეთა ჯოვანი და ლუკამ.

ჯოვანი და ლუკა წერს: „როდესაც ბეი გემზე ამოვიდა, მე მივესალმე რა მას, ვუთხარი, რომ მე ვარ მისიონერი და დღეს მსურდა წირვა დამეყენებინა. მას ვაჩუქე პატარა კოლოფი, რომელიც ძალიან მოეწონა. ეკლესიაში მყოფი მღვდლის დასაძახებლად კაცი გაგზავნა, რათა მასთან ერთად გადავსულიყავი ხმელეთზე. როგორც კი იგი მოვიდა, წირვისთვის საჭირო ნივთები ავიღე, ჩემს მსახურთან ერთად ხმელეთზე გადავედი. მივესალმე ამ მღვდელს. იგი ქართველი აღმოჩნდა. ეკლესიაში რომ შევედით, ისეთი რამ ვნახილე, რომ საკუთარ თვალებს არ დავუჯერე. ეკლესია აგებული იყო წმიდა პეტრეს ტაძრის მსგავსად. კარების ზემოთ, შიგნითა მხრიდან, ჩვენი ეკლესიების მსგავსად, კარგი ხელოვანის მიერ დახატულია სულიწმინდის მოფენა თავზე ცეცხლის ალების ენებით და საკურთხევლის უკან ხორი, კიბე, შუაში — ეპისკოპოსის კათედრა, რომელიც მგონია აგებულია ბერძენი იმპერატორის მიერ. აქ იყო ზარიც კი ლათინური აღნიშვნით — 1396 წელი".

ჯოვანი და ლუკა მაშინვე შეუდგა თავის საქმეს. იგი წერს: „მოვემზადე წირვის დასაყენებლად. მაგრამ ვნახე, რომ სეფისკვერი გაფუჭებულიყო, ვთხოვე ქართველ მღვდელს ცოტა ფქვილი მოეცა, რომლისაგანაც მაშინვე მრგვალი სეფისკვერი დავამზადე, ორ გაპრიალებულ პიასტრს[33] შორის, იგი გამოვაცხვე და წმიდა წირვა დავაყენე. მისი დასაწყისი აღინიშნა ზარის რეკვით. ზარის რეკვის გაგონებისთანავე, მთელმა სოფელმა თავი მოაყარა. აქ ეკლესია სოფლის ცენტრშია. წირვის დასასრულს, დიდის ღვთისმოსაობით შემოვუარე და დამსწრეებს წმინდა ჯვარზე ვამთხვევინე. დამსწრეთა შორის იყო ბევრი გულწრფელი მორწმუნე. საკურთხეველზე იდგა ცეხინებითა[34] და ტალერებით[35] სავსე ერთი დიდი ფიალა. ვიცოდი რა, რომ ამ ქვეყანაში ფულის მიმოქცევისადმი სურვილს არ იჩენენ, მღვდელს ვკითხე: ეს ფულები ვინ შემოწირა-მეთქი. მან მიპასუხა: ეს კაზაკებმა გააკეთესო, ე. ი. იმათ, ვინც მდ. დუნაითა და მდ. დნეპრით ნავებით შავ ზღვაში შემოდიან. ისინი თურქებსა და თათრებს ზიანს აყენებენ.

---

[33] პიასტრი (პიასტრა) — ფულის ერთეული სხვადასხვა ქვეყანაში.

[34] ცეხინი — ფულის ერთეული.

[35] ტალერი — გერმანული ვერცხლის მონეტა, რომელიც 1907 წლამდე 3 მარკას უდრიდა.

ბრუნდებიან რა უკან, ამ ეკლესიაში სალოცავად მოდიან და ფულებს სწირავენ“.

შემდეგ, ჯოვანი და ლუკა წერს: „ეს პირველი ეკლესიაა, რომელიც ამ მხარეში ვნახე. ამიტომ მინდოდა რაიმე საჩუქარი დამეტოვებინა. აქ დავტოვე თეთრი ფიჭის ოთხი სანთელი, რომელიც მომცა ვენეციის უბრწყინვალესი რესპუბლიკის ყოვლად განათლებულმა სინიორიის ბაიომ ბატონმა სებასტიანო ვენერიომ, ასევე ერთი ქისა, მეტად ლამაზი ნამუშევარი ეკლესიაში ნაკურთხი ტილოთი, რომელიც პოლონელმა მონსენიორმა ეპისკოპოსმა კონეცპოლესკიმ მაჩუქა და რამდენიმე ხატი, რომლებიც საკუთარი ხელით განვალაგე ეკლესიაში“.

ქართველ მღვდელს იტალიელი მისიონერი თავის სახლში წაუყვანია სადილად. მისიონერი წერს: „ქართველმა მღვდელმა თავის ბინაზე წამიყვანა. იქ ვჭამეთ: მოხარშული ფეტვი, ღორის ხორცი, ყველი. ღვინო მომართვა. სადილის შემდეგ წამიყვანა და მაჩვენა, თუ როგორ ასაფლავებდნენ ისინი თავიანთ მიცვალებულებს: ეს მიცვალებულები ოთხ ბოძზე დაყენებულ, მაღალ ხის ფუღუროში იყვნენ მოთავსებული. ფუღუროს შესასვლელი იხურება, მაგრამ არა მაგრად, რათა ჰაერი შევიდეს და შეხედვა შეიძლებოდეს. ამის გამოა, რომ თურქი ვაჭრები ამ ქვეყნის თაფლს უხალისოდ ყიდულობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ფუტკრები მკვდრების სხეულით იკვებებიან“.

ამასობაში გემის წასვლის დროც დადგა და გემის კაპიტანმა ჯოვანი და ლუკასთან კაცი გაგზავნა და იგი სასწრაფოდ დაიბარა: „ჩემთან სასწრაფოდ, სულმოუთქმელად მოვიდა თავადი და მითხრა, რომ სწრაფად გემისკენ წავსულიყავი, რადგან გემზე მყოფი მისი ხალხი თურქებს წაჩხუბებიან, გემი ნაპირს მოშორებია და ზღვის სიღრმეში შესულა, უკვე იალქნები აუშვია. მაგრამ გემის კაპიტანს, რომელიც ჩემდამი პატივისცემით იყო განწყობილი, ორი აფხაზი მძევლად აუყვანია, რათა მე მასთან დავებრუნებინეთ, რაც კიდეც მოხდა. როგორც კი ნაპირთან მივედი, მან ჩემსკენ ნავი გამოგზავნა იმ ორი მძევლით. როდესაც ისინი ხმელეთზე გადმოვიდნენ, მე გამიშვეს და იმავე ნავით გემთან მივედი. გემი წასასვლელად მზად იყო“.

გემი ნაპირებს მიჰყვებოდა. 21 მაისს იგი სოხუმში მივიდა. „ჩვენ უკვე ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში[36] ვიყავით, — წერს მისიონერი, — სადაც მდ. აბსი[37] აფხაზეთს სამეგრელოსაგან ჰყოფს. გემი შევიდა ნავსადგურში და ნიშნის მიცემისთანავე გაჩერდა. მთავარი პუტო[38]

---

[36] სკისორნუმ, ესკისუმუნ — თურქულად: „ესკი სუხუმ“ — „ძველი სოხუმი“.

[37] აბსი — მდ. აბსილი. ეს მდ. კოდორს უნდა აღნიშნავდეს.

[38] პუტო — უნდა იყოს ერთ-ერთი აფხაზი ფეოდალი შარვაშიძეთა გვარიდან. იხ. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190, 223. ეს ვარაუდია, ხოლო წყარო-

მრავალ პირთა თანხლებით, ნაპირთან მოვიდა. გემის პატრონმა ხალხი რომ შენიშნა, გემი ნაპირთან ახლოს დააყენა და პუტოს აცნობა, რომ გემი ეკუთვნის ისმაილ რაისს [კაპიტანს]. მთავარი პუტო გემზე ამოვიდა, რათა გემის პატრონს მისალმებოდა და ეკითხა: თუ იყო, ისეთი ვინმე, ვინც მედიცინაში ერკვეოდა და შეეძლო მისი ავადმყოფი მეუღლე განეკურნა. ამაზე გემის პატრონმა უპასუხა, რომ მე ვიყავი ასეთი პროფესიის საკმაოდ მცოდნე და, რომ მე თან მქონდა ზოგიერთი სამკურნალო შინაური წამალი".

მთავარმა პუტომ თარჯიმნის საშუალებით მიმართა ჯოვან და ლუკას თხოვნით, გამყოლოდა მას. მოისმინა რა პუტოს სურვილი იგი დათანხმდა, მაგრამ ითხოვა დაცვის მიზნით, გაჰყოლოდა გემის პატრონის ვაჟიშვილი. როდესაც ასეთი თანხმობა მიიღო, მისიონერი გაჰყვა პუტოს თავის სახლში, სადაც მას ვახშამი გაუმართეს. პირველ საღამოს, — წერს იგი, — ვახშამი გაშალეს მეტად მაღალი და ხშირფოთლებიანი ხეების ქვეშ. აქ ვჭამეთ ხბოსა და თხის ხორცი. ერთიც და მეორეც მეტად ცუდად მოხარშული (შემწვარი) და შიგნით სისხლიანი. ჩანს, რომ ეს მათი ჩვეულება უნდა იყოს[39]. შევნიშნე, რომ ჩემდამი ისეთივე ყურადღებას იჩენდნენ, როგორც ჩერქეზები. ისინი განსაკუთრებით ემსახურებიან სტუმარს სუფრაზე, მოგართმევენ ღვინოს, რომელსაც აქ აყენებენ.

ვახშამი დამთავრდა, თავადმა მკითხა: სად მივემგზავრები და რას ვაკეთებ. ამ კითხვაზე გემის პატრონის შვილმა ჩემს მაგიერ უპასუხა, რომ მე დავდივარ ქრისტიანული მოწყალების საქმეებზე. მაშინ მთავარმა თქვა: თუ ასეა, მაშინ შეგიძლიათ ჩემთან დარჩეთ, რადგან მე ქრისტიანი ვარ ისევე როგორც მთელი ჩემი სამთავრო და ამის დასამტკიცებლად მიჩვენა ჯვარი, რომელიც ყელზე ეკიდა. მე ასეთივე მღვდლები მჭირდება, თქვა მან. თუმცა ქართველები ჩემი მეზობლები არიან, განაგრძო მან, მაგრამ მე მათთან თანხმობა არა მაქვს. მე ვუპასუხე, რომ შევეცდები ყველაფერი ვიღონო მისი უწმინდესობის რომის პაპის წინაშე, რათა მან აქ სხვა მღვდელმსახურები გამოგზავნოს, ვინაიდან მე მარტო ამდენი სამუშაოს გაკეთებას ვერ შევძლებ".

მათი საუბარი გვიან ღამემდე გაგრძელებულა, ხოლო შემდეგ, მისიონერი თავად პუტოს სახლში მოასვენეს. იგი წერს: „მე დამაძინეს მის ძმასთან ერთად, იმავე ლოგინში". მეორე დღეს, გათენდა თუ არა

———————

ებში აფხაზ თავადთა შორის ასეთი სახელი არ გვხვდება. იქნებ ამ იტალიელმა შეარქვა მას ეს სახელი? იტალიურად „პუტო" ნიშნავს: პატარას, სატრფიალოს, თუ იგი ასეთი შეხედულების იყო.

[39] ეხება რა აქ მცხოვრებთა საჭმელებს, სხვა ადგილას, ჯოვანი და ლუკა წერს: „ისინი თითქმის, უმ ხორცს ჭამენო".

მისიონერი ადგა და პუტოს უთხრა: „მინდა დავაყენო წირვა თქვენი მეუღლის ჯანმრთელობის აღდგენის მიზნით“. მისიონერმა დააყენა წირვა. პუტომ იგი „მთელი ღვთისმოსაობით მოისმინა. ბოლოს წმიდა ჯვარზეც ვამთხვიე. მას ვკითხე, თუ ოდესმე უნახავს წირვა. მან მიპასუხა, რომ არც მას, არც მის წინაპრებს, რამდენადაც მე ვიცი, წირვა არ უნახავთ“. წირვის დამთავრების შემდეგ, პუტომ მისიონერი ავადმყოფთან წაიყვანა. „შევედით ავადმყოფის ოთახში. მას მივესალმე და სათანადო ლოცვები წავუკითხე. ვნახე, რომ ცოტა სიცხე ჰქონდა. მივეცი მითრიდატე[40], ხოლო მეორე დილას, სხვადასხვა წამლებით შემზადებული რეობარბარო[41]. ჩვენი უფლის წყალობით, ექვსი დღის შემდეგ იგი განიკურნა“.

ჯოვანი და ლუკა ხალხს ხვდებოდა, მაგრამ ძირითადად მაინც პუტოსთან იყო და მასთან ჰქონდა საუბარი. პუტოს იგი პატივითა და სიყვარულით მიუღია: „მთელი ის დღეები, რაც მე თავადთან გავატარე, გარემოცული ვიყავი მისი მოფერებით. პატარა საათი, რომელიც მე მკერდზე მქონდა ჩამოკიდებული, მინდოდა სამეგრელოს მთავრისათვის მეჩუქებინა. მაგრამ ყოველთვის, როცა მას ნახულობდა თავადი პუტო, მის სახეს კმაყოფილება ეფინებოდა. ბოლოს მთხოვა იგი მისთვის მიმეყიდა. ეს მე ძალიან არ მესიამოვნა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდი იგი მისთვის მიმეცა. სამაგიეროდ, კომპენსაციის სახით მაჩუქა 8—9 წლის პატარა მონა გოგონა. როდესაც იგი ვნახე, მეტად განვიცადე, მთავარს ვთხოვე, იგი ერთი წელი ისევ მასთან დარჩენილიყო. ბოლოს, ამ ქვეყნის ჩვეულებისამებრ, ღვიძლ ძმებად გახდომის მიზნით, ერთმანეთს მარცხენა მხარეს ვემთხვიეთ“.

ჯოვანი და ლუკა სამისიონერო მუშაობასაც ეწეოდა, ბავშვებს ნათლავდა: „რვა დღე მე მასთან (პუტოსთან. — ი. ტ.) გავატარე, იმ ადგილას, სადაც იგი ცხოვრობდა, 14 ბავშვი მოვნათლე. კიდევ მრავალს მოვნათლავდი, მთავარს რომ განუწყვეტლივ თავისთან არ ვყოლოდი. აქ შეიძლება დიდი წარმატების მოპოვება, რადგან მთავარი ჩვენი მე-

[40] მითრიდატე, მითრიდატუმ — წამლის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შეიცავს შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებას.

[41] რეობარბარო — მცენარე: ლათინურად, „რეუმ რბარბარუმ“, ქართულად, რევანდი („რბაკოხმუმ“). დიდ დოზებში გამოყენებულია როგორც სალებინებელი საშუალება; მცირე დოზებში კი კუჭის ამშლელია. რევანდი შედის გასახდომი ჩაის შემადგენლობაში. ძველად, ქართველ მეფეებს ეს მცენარე სავარდოებში ჰქონდათ მოშენებული. ასევე სამკურნალოდ იხმარებოდა ალექსანდრეს ხე — ალექსანდრეს ფოთოლი, სკამონია — სკიმია (შავშხამა) და სხვ. ყველა ეს მცენარე იზრდებოდა სამეგრელოში. ამ სამკურნალო მცენარეებზე კონსულტაცია გამიწია ზურაბ შენგელიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

გობარია. მან მთხოვა ისევ დავბრუნდე და ჩამოვიყვანო სხვები დამხმარედ".

როგორც ჩანს, ადგილობრივი მცხოვრებლები ინტერესით შეხვდნენ ამ იტალიელ მისიონერს და მის სამისიონერო მუშაობას. იგი საზეიმო ვითარებაში გააცილეს. გამცილებელთა შორის „ოცი კაცი სურსათ-სანოვაგით იყო დატვირთული, რომელიც გემზე აიტანეს. გამომშვიდობებისას მათ ვაჩუქე ბევრი სამშვენისი, ქალბატონს გადავეცი ერთი სარკე".

1630 წლის 1 ივნისს გემი გავიდა სოხუმის ნავსადგურიდან. ჯოვანი და ლუკას ჩანაწერებში ვკითხულობთ: „პირველ ივლისს იალქნები ავუშვით და დღენახევარში მივედით სამეგრელოს ერთ-ერთ ადგილზე, რომელსაც სკორჩა[42] ჰქვია. არქიეპისკოპოს დრანდელს გაუგია თავად პუტოს ერთ-ერთი მსახურისაგან, დახმარება რომ აღმოვუჩინე პუტოს ოჯახს, მოვიდა გემთან, იკითხა ჩემი ვინაობა და მთხოვა გავყოლოდი მეგობართან, რომელიც ავად ჰყავდა, და დახმარება აღმომეჩინა. გემის პატრონმა, როდესაც იგი ჩემთან წარადგინა, მითხრა, რომ იგი დიდი მღვდელია[43] და საჭიროა, რასაც მოითხოვს შევუსრულოთ".

ეპისკოპოს დრანდელს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იტალიელ მისიონერზე და მისი თხოვნა მაშინვე შეუსრულებია: „დავინახე რა ჩემს წინაშე მდგომი მღვდელმსახურის სამოსელში ეს დიდებული პიროვნება, თუმცა ზღვით მოგზაურობით დაღლილი ვიყავი, ჩემი ბარგით ხმელეთზე გადავედი და მასთან ერთად მის საეპისკოპოსოსაკენ წავედით. ერთ-ერთ მაღალ ადგილზე განლაგებულ მის ეკლესიას ეწოდება წმიდა ანდრიას ეკლესია — საკმაოდ ლამაზი, მშვენიერი ძველი ფორმის თითბერის შანდლებით მორთული. სამრეკლოში არის ოქროთ მოვარაყებული კაპელები, სხვადასხვა მხატვრობით და ძველი გობელენებით მორთული; არის აგრეთვე დიდი ზარი იტალიური წარწერითა და თარიღით. ამ არქიეპისკოპოსთან ათი დღე დავყავი. ამასობაში მოვიდა დადიანად წოდებული სამეგრელოს დიდი მთავრის ელჩი, რომელსაც გაეგო ჩემი ჩამოსვლა მის ქვეყანაში და არქიეპისკოპოსს გადასცა მთავრის ბრძანება, რომ მე მასთან მიმეყვანე".

როგორც ჩანს, ჯოვანი და ლუკამ უკვე საბოლოოდ მიატოვა თურქი ისმაილის გემი და გადაწყვიტა რამდენიმე ხანი დარჩენილიყო სამეგრელოში. იგი წერს: „აღნიშნული თვის 12-ში (1630 წლის 12 ივლისი. — ი. ტ.), ჩვენ არქიეპისკოპოსთან ერთად აქედან წავედით. ათი

---

[42] სკორჩა (სკურჩა) — შესაძლებელია იყოს ისგაური, რომელსაც ჟან შარდენიც იხსენიებს სამეგრელოს ერთ-ერთ პუნქტად.

[43] ტექსტში წერია: „გრან პაპასო" — „დიდი პაპა". სამეგრელოში მღვდელს „პაპას" უწოდებენ.

დღე ყოჩაღად ვიარეთ[44] და მივედით იმ ადგილას, სადაც უწმინდესი ქალწულის ძალიან ლამაზ ეკლესიასთან სამეგრელოს მთავარი იმყოფებოდა. ჯერ ვილოცე ამ ეკლესიაში, ხოლო შემდეგ წავედი, რათა მთავარს მივსალმებოდი. მივედით. მთავარი[45] ცხენიდან ჩამოხტა და ჩვენ ერთმანეთს მივესალმეთ. მან ხელი გამიყარა და ეკლესიაში შემიყვანა, ეგონა რა, რომ იგი ჯერ არ მენახა. შევედით. ერთად ვილოცეთ. შემდეგ თარჯიმანს დაუძახა და მითხრა: საიდან ვარ და რა საქმიანობას ვეწევი ამ მხარეში. მე ვუპასუხე, რომ ჩვენი პაპის მიერ გაგზავნილი ვიყავი ჩერქეზეთში და რადგან თქვენი ქვეყანა ახლო იყო, ამიტომ წამოვედი ეკლესიების, წირვა-ლოცვისა და ცხოვრების წესების სანახავად.

მან სტუმართმოყვარული სიტყვებით მიპასუხა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რადგან ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერ და განათლებულ ერად მთელს მსოფლიოში. ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი ენახათ და თავიანთ გვერდით ჰყოლოდათ ამ ერის წარმომადგენლები".

საღამოს სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს ჯოვანი და ლუკა ვახშამზე მიუწვევია. „პირველ საღამოს, — წერს მისიონერი, — მთავართან ერთად ვივახშმეთ. ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე მამა ნიკოლოზ ქართველი, რომელიც ნამყოფი იყო რომის კოლეჯში[46]. ვახშმობის დროს, მთავარმა კვლავ იკითხა, მაგრამ ამჯერად ჰკითხა მამა ნიკოლოზს და არა მე, თავის ენაზე, რომელიც მე არ მესმოდა, რა იცის მან ჩემი მთავარი განზრახვის შესახებ ამ მოგზაურობაში? მან უპასუხა, რომ მთელი ჩემი მიზანი არის ის, რომ აქაური ხალხი ჩვენს ახალ ღვთისმსახურების წესზე მოვაქციო და მათ სარწმუნოებას ჩამოვაცილო.

რამდენადაც მხოლოდ ზოგი რამ გავიგე ამ პასუხიდან. უკმაყოფილომ მივმართე მამა ნიკოლოზს და შევთავაზე ამ საკითხზე გველაპარაკა თურქულად. გარდა ამისა, განვუმარტე, რომ ჩემი მიზანია ამ ხალხს დავეხმარო, დავარწმუნო ისინი ამ რწმენის სწორ გაგებაში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმ რწმენაში, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. მე ასევე ვუთხარი: თუ მთავარი მოექცევა ამ რწმენაში, მაშინ ის გააკე-

---

[44] გაუგებარია, სად უნდა ყოფილიყო სამეგრელოს მთავარი დადიანი, თუ იგი თავის სამთავროში იყო, ათი დღის სავალზე? ან სად იყო ეს „უწმინდესი ქალწულის ძალიან ლამაზი ეკლესია"? ამ დროს სამეგრელოში არსებობდა წმიდა ქალწულისადმი მიძღვნილი ოთხი ეკლესია: ბედიაში, ცაიშში, წიფურიასა და ხობში.

[45] სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611—1657).

[46] ეს არ არის ნიკიფორე ირბახი, მაგრამ საინტერესოა ვინ იყო იგი?

თებს იმას, რასაც სხვა ბევრი დიდი ქრისტიანი მთავარი აკეთებს. და დავძინე: მთავრისაგან ველოდები არა გულისწყრომას, არამედ კეთილ განწყობას.

როდესაც მთავარმა მოისმინა ჩვენი გაცხარებული ლაპარაკი, თუმცა შინაარსი არ ესმოდა, მაგრამ ისურვა, რომ მამა ნიკოლოზს ყველაფერი ეთარგმნა. როდესაც მთავარი საკითხის არსს მთლიანად ჩაწვდა, კმაყოფილების ნიშნად გულიანად გაიცინა. ასე დამთავრდა ვახშამი და დასაძინებლად არქიეპისკოპოს დრანდელთან ერთად წავედით. მისი სახლი თითქმის ერთ მილზე იყო დაშორებული მთავრის საცხოვრებელი ადგილიდან".

მეორე დღესაც ლევან დადიანს თავისთან მიუწვევია იტალიელი მისიონერი. „მეორე დღეს, მთავარმა წამიყვანა ეპისკოპოს ბედიელის ერთ მშვენიერ ადგილზე, სადაც კარგად ნაგები, უძველესი, მხატვრობით მორთული ერთი შესანიშნავი ეკლესია იყო. სალოცავად შევედით. მთავარი ყურადღებით უყურებდა ჩემს ყოველ მანერას: დაჩოქებას, ლოცვას. მას, ალბათ, ჩემი თავმდაბლობა მოეწონა ლოცვის დროს. მთავარმა მთხოვა რაიმე მეგალობა. მე ვუპასუხე: შემეძლო დამეყენებინა წირვა, მაგრამ შესამოსელი თან არ წამომიღია, იგი წმიდა ანდრეას საეპისკოპოსო ეკლესიაში, ჩემ მასპინძელ ეპისკოპოსთან დავტოვე-მეთქი. მთავარმა მიპასუხა: შემდეგ მე აქ მოვალ თქვენი წირვის მოსასმენად, ოღონდ ახლა კი, თქვენი სურვილის მიხედვით, რაიმე იგალობეო. რადგანაც მოახლოებული იყო მოციქული წმიდა ბარნაბას დღესასწაული, ვიგალობე: „დიდება ციურ ძლიერებას" და „შენ გადიდებთ უფალო"[47], წმინდანის ლოცვასთან ერთად. მთავარს ეს ძალიან მოეწონა და თქვა: დღემდე ასეთი მელოდია არასოდეს მომისმენიაო და დასძინა: მე მსახურად მყავდა ერთი ფრანგი ოქრომჭედელი და მესაათე, მაგრამ კათოლიკე მღვდლები არასოდეს მყოლიაო".

იტალიელი მისიონერის საპატივცემულოდ ეპისკოპოს დრანდელს სპეციალური სადილი მოუწყვია, სადაც სამეგრელოს მთავარი მისიონერ ჯოვანი ჯულიანო და ლუკასთან ერთად მისულა. მისიონერი წერს: „სადილობის დროც დადგა და ჩვენ მაგიდას მივუსხედით. მთავარმა მარჯვნივ მომისვა. ეს იყო ეპისკოპოსის მიერ მოწყობილი საზეიმო ბანკეტი. მან მგონი მთავრის განკარგულებით გააკეთა ეს. მაგიდები წინდაწინ დაგეგმილი წესის მიხედვით იყო განლაგებული. აქ იყვნენ: ექვსი ეპისკოპოსი, თეიმურაზ მეფის[48] ელჩები და რამდენიმე სპარსელი ვაჭარი.

---

[47] „Facultet Celum laudibus", „Te deum landamus".

[48] ტექსტში წერია: „ტომერუს ხან" (Tomerus Can).

ამ ქართველებს ჩვეულებად აქვთ გაშლილ ხალიჩებზე ჯდომა. მათი სუფრა კარგად დამუშავებული ძროხის ტყავისაგანაა გაკეთებული და რამდენადაც ეს შესაძლებელია — გრძელი. როგორც ვთქვი, მათი ჩვეულებაა მწკრივად დარგული ლამაზი ხეების ქვეშ სუფრის გაშლა.

მათ პერეკოპაობა[49] ჰქონდათ, რაც წმიდა პეტრე-პავლეს მარხვას ნიშნავს. ამიტომ მოიტანეს თევზი. მთავარმა თავისი სიმდიდრე მაჩვენა, რაც გამოიხატებოდა ძვირფასი ქვებით შემკული დიდი რაოდენობით ვერცხლის თასებში. თითოეული მათგანი — ზოგი ათ, ზოგი რვა და ზოგი კიდეც ექვს-ექვს მონა-ტყვეში გაუცვლია. გარდა ამისა, მას ჰქონდა ფაიფურის უმშვენიერესი ჭურჭელი და ვენეციური რამდენიმე ბროლის ლარნაკი, რომლებიდანაც ღვინოს სვამდა. ისინი, სიმართლე რომ ითქვას, ისეთივე კარგია, როგორც იტალიაში".

შემდეგ ჯოვანი ჯულიანო და ლუკა ეხება მეგრელების ქცევას ჭამა-სმის დროს და წერს: „დღემდე აქ ჩვეულებად აქვთ სადღეგრძელოების წარმოთქმა და ჭამა-სმის დროს მღერიან. მათი სიმღერა სევდიანია და სიმღერის სიტყვები — გაჭიმული. სიმღერის დროს იყენებენ მუსიკალურ საკრავებს. მაგრამ ამ ინსტრუმენტების ხმარებისათვის არ არის საჭირო დიდი ხელოვნება. მათ გააჩნიათ სორდელინი[50], ცამპონია[51] და მწყემსების საკრავის მსგავსი, ერთი კარგი საკრავი[52]. ისინი ჭამაში ძალიან ზომიერები არიან, ხოლო ღვინოს სმაში თავს იკავებენ არსებული წესისა და ვითარების მიხედვით. საერთოდ კი სმის დიდი მოყვარულნი არიან და დასალევად განწყობილნი არიან უფრო მაშინ, როდესაც ზეიმი აქვთ[53]. მთავარმა წარმოთქვა რა ჩემი სადღეგრძელო, მანიშნა მემღერა და მეც ხმადაბლა დავიწყე: „გახსენ კრულო ციდვათა"[54].

იტალიელი მისიონერი განაგრძობს: „ამის შემდეგ გადმომცეს ღვინოთი სავსე მოზრდილი თასი. მათ ასევე გაავსეს თავიანთი თასები და დალიეს მაშინ, როდესაც მე ვმღეროდი. მე დავამთავრე სიმღერა და ღვინოც დავლიე. მაშინ მთავარმა მკითხა: თუ მოგწონთ ჩვენი ჩვეულებაო. ვუპასუხე: დიახ-მეთქი. მაშინ მან მითხრა: თუ გსურთ, დარჩით ჩვენს ქვეყანაში, მოგცემთ ამ ადგილს ეკლესიითა და ყმებით რამდენიც გნებავთ. ამაზე ვუპასუხე, რომ არ შემიძლია მარტო დარჩენა.

---

[49] ტექსტში წერია: Percopa, Perecopa.

[50] სორდელინი — საზანდარი.

[51] ცამპონია — სალამური.

[52] ალბათ, ესეც სალამურის მსგავსი რაიმე იყო.

[53] ტექსტში წერია იტალიური სიტყვა: „ოციოზე", რაც ნიშნავს სადღესასწაულოდ განწყობილს და არა „უსაქმურს". შეად. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148. იტალიურად უსაქმური: „ფანულონე", „ჩონდოლონე".

[54] ლათინურად: „სოლვე ვინკულა აიეს".

მაგრამ რომის ჩვენი წმიდა პაპი თქვენთან მღვდელმთავრებს გამოგზავნის, თუკი მთავარი ამას მოისურვებს. მან თქვა, რომ ამის სურვილი აქვს, რადგან იცის, რომ ისინი განსწავლულნი არიან და სამკურნალო წამლების საკითხების მცოდნენი, რაც მე ძალიან მჭირდებაო. მე კი ვუპასუხე, რომ ამის შესახებ საბჭოს[55] მივწერ, ხოლო როგორც კი რომში ჩავალ, შევეცდები მოვნახო ბერები და ჩემთან ერთად აქ ჩამოვიყვანო-მეთქი"[56].

სამეგრელოს მთავარმა და ეპისკოპოსმა დრანდელმა ერთად შესთავაზეს ჯოვანი ჯულიანო და ლუკას სამეგრელოში დარჩენა. ეს იყო როგორც მთავრის, ისევე ეპისკოპოსის გულწრფელი სურვილი, მაგრამ იტალიელმა მისიონერმა ამაზე უარი თქვა. როგორც უკვე ითქვა, იგი არსად არ ჩერდებოდა დიდხანს. ეტყობა უფრო მოგზაურობის მოყვარული იყო და არა სამისიონერო მოღვაწეობის გაშლისა, როგორც ამას სხვა კათოლიკე მისიონერები აკეთებდნენ.

ჯოვანი ჯულიანო და ლუკა წერს: „მთავარმა შემომთავაზა დავრჩენილიყავი ეპისკოპოს დრანდელთან (ეს უკანასკნელიც ამის მომხრე იყო) და დავმტკბარიყავი ამ ქვეყნის სილამაზით. ამასთანავე, მთავარმა მთხოვა მისთვის მიმეცა რაიმე სამკურნალო წამალი ღვიძლის ტკივილის საწინააღმდეგოდ, რაც მას აი უკვე რვა დღეა, ძალიან აწუხებდა. როდესაც მე წირვას ვაყენებდი, ეპისკოპოსი ყოველთვის დიდის ღვთისმოსაობით უსმენდა და თვალყურს ადევნებდა მას: ხომ ცნობილია, რომ უფრო ძნელია პატივი სცე, ვიდრე თვითონ მიიღო ეს პატივისცემა".

მთავარ დადიანთან ერთ-ერთი საუბრის დროს მეტად საინტერესო საკითხი წამოიჭრა. საუბარი ეხებოდა სამეგრელოს მთავრის დამოკიდებულებას კაზაკებთან და თურქებთან. იტალიელი მისიონერი წერს: „მერვე დღეს, ეპისკოპოსთან ერთად ისევ მთავრის სანახავად წავედით. მიგვიღო. ვისაუბრეთ. ამ საუბრის დროს, მთავარმა მკითხა: რა უყოს ამ 400 კაზაკს, რომლებიც თურქების კატარღას გამოექცნენ, მიატოვეს რა მათი ნავები და მის სახელმწიფოში მოვიდნენ. აქციოს ისინი ტყვეებად და გაყიდოს მისი ქვეყნის ჩვეულების მიხედვით, თუ დასაჯოს ისინი, რადგან წარსულში მათ არაერთხელ გაუძარცვიათ მისი საუნჯე. მე ვუთხარი: რამდენადაც ისინი იგივე სარწმუნოებისა არიან, როგორც თვითონ, მას უფლება აქვს ისინი დასაჯოს (და არა

---

[55] იგულისხმება წმიდა კონგრეგაციია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა საბჭო (კარდინალთა კოლეგია).

[56] საქმე ის იყო, რომ ჯოვანი ჯულიანო და ლუკა ასეთ დაპირებებს ყველგან, ყველას აძლევდა მაგრამ არ ასრულებდა, ვინაიდან იგი უფრო დაკავებული იყო მოგზაურობით.

გაყიდოს). მაგრამ, თქვა მთავარმა, გალერების კაპიტნებმა მოითხოვეს ისინი მათ დავუბრუნოთ.

ამ მთავარს ნამდვილად ბევრი რამისათვის სჭირდება თურქები. ძირითადად იგი თურქეთიდან ღებულობს მარილს, რკინას და მისთვის საჭირო საქონელს. მაგრამ თურქების მას არ ეშინია, ვინაიდან მისი ქვეყანა მიუვალია. მის ქვეყანაში შეიძლება შეჭრა მხოლოდ ზღვის მხრიდან, მაგრამ ხალხის საცხოვრებელ ადგილებამდე ისე ვერ მიხვალ, რომ არ გაიარო ხუთი მილი დაბურული ტყე, რომელიც გამაგრებულ კედელივით ემსახურება მის ქვეყანას.

მთავარმა თურქებს მისცა 48 კაზაკი და მათ უთხრა: სიმართლე რომ ითქვას, მას არ შეუძლია გაჰყიდოს თავისი ვასალი მონებივ ტყვეებივით, რადგან მათი შთამომავლობა მის ყმებად ითვლებოდნენ. თუმცა თავიდანვე ისინი ტყვედ ჩავარდნენ ომში. თუნდაც, თუ მათმა წინაპრებმა ისინი გაჰყიდა, შენიშნა მთავარმა, მათ ცუდი საქმე გაუკეთებიათ და უმძიმესი ცოდვა ჩაუდენიათ ღვთის კანონების საწინააღმდეგოდ, რომელიც თითოეულმა უნდა დაიცვას“.

როგორც ჩანს, ლევან დადიანი დიდ სიამოვნებას პოულობდა იტალიელ მისიონერთან საუბრის დროს. ისინი კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს და ამიტომ მთავარი არ იშორებდა მას: ესაუბრებოდა და უჩვენებდა თავისი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებს. ჯოვანი და ლუკა წერს: „ათი დღე, რომელიც მან თავისთან დამტოვა, გამოიყენა იმისათვის, რომ ჩემთვის ეჩვენებინა სხვადასხვა ადგილები, ბაღები და ეკლესიები. მთელს მის ქვეყანაში 12 ეკლესიაა. ყოველ მათგანს თავისი ეპისკოპოსი ჰყავს“.

ეკლესიების იმავე რაოდენობას ასახელებს დონ არქანჯელო ლამბერტიც, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ჯოვანი ჯულიანო და ლუკა ყველა მათგანს არ ჩამოთვლის, არამედ მიუთითებს მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

აი ის 12 ეკლესია, რომელიც მაშინ სამეგრელოში მოქმედებდა: დრანდის ღვთისმშობლის სახელობის საეპისკოპოსო ეკლესია — ეპისკოპოსი დრანდელი: ქიაჩის მიქელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია — ეპისკოპოსი ქიაჩელი; მოქვის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ეკლესია — ეპისკოპოსი მოქველი; ბედიის წმიდა ქალწულისადმი მიძღვნილი ეკლესია — ეპისკოპოსი ბედიელი; ცაიშის წმიდა ქალწულისადმი მიძღვნილი ეკლესია — ეპისკოპოსი ცაიშელი; წიფურიას წმიდა გიორგისადმი და წმიდა ქალწულისადმი მიძღვნილი ორი ეკლესია — ეპისკოპოსი წიფურიელი: ხობის წმიდა ქალწულისადმი მიძღვნილი ეკლესია — ეპისკოპოსი ხობელი; ობუჯის წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი ეკლესია — ეპისკოპოსი ობუჯელი; ჰყონდიდის წმიდა წამე-

ბულისადმი მიძღვნილი ეკლესია — ეპისკოპოსი ჭყონდიდელი; წალენჯიხის უფლის ფერიცვალობის სახელობის ეკლესია — ეპისკოპოსი წალენჯიხელი; სებასტოპოლის (სოხუმის) ეკლესია (რომელიც ამ დროს უკვე მთლიანად წყალში ყოფილა ჩაძირული) — ეპისკოპოსი სებასტოპოლელი; ანაკლიის ეკლესია (ამ დროს უკვე არც ეს ეკლესია არსებობდა) — ეპისკოპოსი ანაკლიელი. ეს იყო მთავარი ეკლესიები, ხოლო პატარა ეკლესიები, თითქმის, ყოველ სოფელში იყო.

ლევან II დადიანის ბრძანებით, პეტრე-პავლეს დღესასწაული განსაკუთრებული ზეიმით ჩაუტარებიათ დრანდის ღვთისმშობლის ეკლესიაში და ამ დღესასწაულს დასწრებია თვითონ ჯოვანი ჯულიანო და ლუკა. იგი წერს: „როცა პეტრე-პავლეს დღესასწაულმა განვლო, რომელიც ღვთისმშობლის (დრანდის) ეკლესიაში მთავრის განკარგულებით დიდი ზეიმით აღინიშნა, ყველა ჩვენ ეპისკოპოს დრანდელთან მივედით, რათა მას წმიდა ანდრიას ეკლესიაში ჩემი წირვა მოესმინა. სხვა ეპისკოპოსებმა არ მოისურვეს, რომ მათ ეკლესიებშიც მეწირა, თუმცა ზოგიერთ სხვა პატარა ეკლესიებში წირვა დავაყენე. ასეთი პატარა ეკლესიები აქ ბევრია. ამ ეკლესიებში შემიშვეს და ლოცვის დაყენების უფლება მომცეს. ეს პატარა ეკლესიები აფხაზების უფრო იყო, ვიდრე ქართველების, მაგრამ აფხაზები ეკლესიებში ნაკლებად დადიან“.

დრანდის ეკლესიაში ამ იტალიელი მისიონერის მიერ წირვის დაყენებას თვითონ ლევან დადიანი დასწრებია: „მთავარმა დიდის ღვთისმოსაობით და მუხლმოდრეკით მოისმინა წირვა, უყურებდა რა, თუ როგორ ვლოცულობდი მე. იგი ამას ყურადღებას აქცევდა. მან ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ზოგჯერ მოვიხსნიდი მკერდზე ჩამოკიდებულ ჯვარს და ვდებდი რომელიმე ამაღლებულ ადგილზე. ვასრულებ მის წინაშე ლოცვას. ისიც ასე იქცევა. მან წელიდან ხმალი მოიხსნა. მიწაში ჩაარჭო, ყელზე ჩამოკიდებული იერუსალიმიდან ჩამოტანილი რელიქვია მოიხსნა და მას მიამაგრა და ილოცა მის წინაშე. შემდეგ აღმოსავლეთისკენ მიბრუნებულმა ლოცვა განაგრძო. მთავრის მოქმედება რამდენადმე განსხვავდებოდა ქართული ღვთისმსახურების წესისაგან, იგი უფრო ჩვენებურს ჰგავდა. ასე რომ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ და შესაძლებელია, მე მივაღწიე დიდ შედეგებს, დავყავი რა ამ მთავართან სამნახევარი თვე“.

შემოიარა რა სამეგრელოს თითქმის ყველა კუთხე, ინახულა სხვადასხვა დიდი და პატარა ეკლესია, დაესწრო ლოცვებს, თვითონაც არა ერთხელ დააყენა წირვა, თითქმის, განუწყვეტლივ ესაუბრებოდა მთავარ ლევან დადიანს, იტალიელი მისიონერი მეტად კმაყოფილი დარჩა სამეგრელოში ყოფნით. ბოლოს, იგი მისულა იმ დასკვნამდე, რომ, თუ კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში ჩავიდოდნენ, ისინი

იქ დიდ წარმატებას მიაღწევდნენ. მით უფრო, ლევან დადიანი ხომ დაჰპირდა მას, თუ კათოლიკე მისიონერები ჩამოვიდოდნენ, იგი მათ პატივით მიიღებდა. აკი თვითონ ჯოვანი და ლუკას თხოვეს მთავარმა და ეპისკოპოსმა დარჩენილიყო სამეგრელოში.

ჯოვანი ჯულიანო და ლუკა განაგრძობს: „სამეგრელოში სამი თვე-ნახევარი დავრჩი. გამომშვიდობებისას მთავარს ერთი მშვენიერი ღვინის ჭურჭელი რვა ჭიქით ვუბოძე, რომელიც პოლონეთიდან მქონდა ჩამოტანილი; ვაჩუქე ასევე რამდენიმე ბროლის თასი, ვენეციელი ბაილის[57] მიერ მოცემული, 12 დანა, ერთი მეტად ლამაზი ალებასტრის პაწია ქანდაკება. ყოველივე ეს მთავარს ძალიან მოეწონა და მითხრა, რომ ახლა საჩუქარს არაფერს მაძლევს, რადგან შენი დაბრუნების იმედი მაქვსო. მაშინ, ასე ფიქრობს იგი, ყველაფრისათვის მადლობას გადამიხდიდა. მთავარმა თხოვა არქიეპისკოპოსს მივეცილებინე ქობულეთამდე, საქართველოში“.

ამრიგად, დასრულდა ჯოვანი და ლუკას ყოფნა სამეგრელოში. იგი გურიის გავლით ტრაპეზუნდისკენ გაემგზავრა. მაგრამ რამდენადაც გემი უკვე წავიდა, „ათი დღე ისევ ეპისკოპოსთან დავრჩი. მას ბევრი საგალანტერიო ნივთი ვაჩუქე. ძალიან უნდოდა მიმეცა ჩემი ვერცხლის ჯვარიც, რომელსაც თან ვატარებდი, ღვთისმსახურებისას საკურთხეველზე ვდებდი ხოლმე; ამასთანავე, უნდოდა ჩემი პატარა ყუთი, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში უწმინდესი ზიარება დამქონდა. ამის საფასურად მან მოისურვა ჩემთვის ერთი პატარა მონა ბიჭი მოეცა. რამდენადაც მე თურქეთის მიწაზე გავლა მომიხდებოდა და იმის შიშით, რომ თურქები წამართმევდნენ, მე უარი ვუთხარი. მაგრამ თანახმა ვიყავი 8 ან 9 წლის გოგონა მოეცა, რომელსაც მასთან დავუტოვებდი და შემდეგ წავიყვანდი, როდესაც მასთან ისევ დავბრუნდებოდი, ჩემს მიერ მასთან დატოვებული ბარგის წასაღებად. ამ ბარგს ახლა მასთან ვტოვებ, წირვისთვის საჭირო ნივთებთან ერთად, რათა ისინი თან ხელით არ მეტარებინა, ვინაიდან მეტად გრძელი გზა მქონდა გასასვლელი“.

ისინი გურიაში ჩასულან, სადაც კარგად მიუღია კათალიკოს მალაქიას, რომელიც იმ დროს მთელი დასავლეთ საქართველოს (იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის) არქიეპისკოპოსი იყო. ჯოვანი და ლუკა მას შეცდომით სამეგრელოს 12 საეპისკოპოსოს მეთაურს უწოდებს.

ჯოვანი და ლუკა წერს: „გავემგზავრე ეპისკოპოსის თანხლებით. ოთხი დღის შემდეგ 12 საეპისკოპოსოს მეთაურთან მივედით. მას ძა-

---

[57] ბაილი, ბაილო — ვენეციის კოლონიების მეთაური; ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელი სხვა ქვეყანაში, დესპანი.

ლიან უნდოდა ჩემი ნახვა და დიდი სტუმართმოყვარეობა აღმომიჩინა-ათი დღე თავისთან დამტოვა. მან მაჩვენა წმიდა გიორგის სახელობის თავისი ეკლესია: დიდი, მაღალი, თანამედროვე შენობა, შიგნით მეტად ლამაზი სურათებით მოხატული. კათალიკოსმა მთხოვა, რომ სულ მასთან დავრჩენილიყავი, რადგან გორში უკვე წმიდა კონგრეგაციის მიერ გამოგზავნილი სხვა ლათინელი მღვდლები, თეატინელი წმიდა მამები არიანო[58]. იგი მეტად კმაყოფილი დარჩებოდა, თუ თავის ქვეყანაში მსგავსი მღვდლები ეყოლებოდა; თვითონ ქვეყნის მთავრისათვის ეს დიდი პატივი იქნებოდა.

სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად კათალიკოსმა მაჩვენა თავისი მიტრა, რომელიც ჩვენი მღვდელმთავრების მიტრას ჰგავდა. იგი უძვირფასესი თვალმარგალიტით იყო მორთული. მას ვაჩუქე შხამის საწინააღმდეგო ვაზა და სხვა მშვენიერი საგნები, რითაც იგი დიდად მადლობელი დარჩა. მან ერთი მონა მაჩუქა, მაგრამ იმის გამო, რომ შორი გზა უნდა გამევლო, არ შემეძლო მისი წაყვანა, ვთხოვე დაეტოვებინა მასთან ჩემს დაბრუნებამდე. ასევე მას მივაბარე წითელი ცვილი 25 გირვანქა. მან თანამგზავრად გამაყოლა 4 კაცი, მათ ორ დღეში ქობულეთამდე მიმაცილეს, საიდანაც 8 დღის შემდეგ ტრაპეზუნდისკენ მიმავალ გემზე დავჯექი 15 დღის შემდეგ ტრაპეზუნდში მივედით".

ჯოვანი და ლუკა ტრაპეზუნდში კარგად მიუღიათ სომხების ეკლესიაში და ბერძენთა ეპისკოპოსსაც. ამ უკანასკნელთან მას ხანგრძლივი საუბარი და კამათი ჰქონია. ტრაპეზუნდიდან იგი სინოპში წასულა, ხოლო იქიდან, კვლავ ყირიმისკენ გამგზავრებულა. იგი წერს: „აქედან წმიდა ფოჩოლაში წავედი, სადაც აღდგომა ვიდღესასწაულე. შემდეგ კაფაში ჩავედი. იქ მამა ემილიო პორტელისთან 9 აგვისტომდე დავრჩი და იმის გამო, რომ იქ არავითარი სარგებლობა არ მომქონდა, საშუალება მომეცა ჩავმჯდარიყავი კარგ ბერძნულ გემში და ჩემ თარჯიმანთან ერთად გამევლო თავად პუტოსთან აფხაზეთში".

გზაში მას სურვილი გამოუთქვამს ჩერქეზეთში შეევლო, მაგრამ გემის პატრონს ამაზე უარი უთქვამს, ხოლო „მთავარ პუტოსთან ჩემთვის შემონახული პატარა ტყვე გოგონა მომცეს. ეპისკოპოს დრანდელისაგან ბოხჩა და ჩემი წირვის სამოსელი მომიტანეს. იმავე გემით კაფაში დავბრუნდი..."

ამის შემდეგ, აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში ჯოვანი და ლუკას მოგზაურობის საბუთებს ვერ შევხვდით, მაგრამ ცალკეული

---

58 იგულისხმება ის თეატინელი მისიონერები, რომლებიც გორში ჩავიდნენ 1628 წლის 14 დეკემბერს და დაარსეს იქ თეატინელთა მისიონი დონ პიეტრო ავიტაბილეს მეთაურობით.

ცნობებიდან ჩანს, რომ იგი კიდევ ერთხელ ყოფილა ამ მხარეში. მაგალითად, როდესაც იგი თავისი უფროსების წინაშე თავს იმართლებს, რომ იმ ნაჩუქარი გოგონების გაყიდვით, „მონების ვაჭრობას“ არ ეწეოდა, იგი წერს: „აფხაზეთში გავემგზავრე“[59], რათა პუტოს მიერ ნაჩუქარი გოგონა წამომეყვანა; ჩანს, რომ მას წამოუყვანია ის გოგონაც, რომელიც „საქართველოს (მალაქია კათალიკოსმა. — ი. ტ.) კათალიკოსმა“ აჩუქა[60]; ლაპარაკია იმ გოგონაზეც, რომელიც მას „დრანდელმა ეპისკოპოსმა აჩუქა“ და ჯოვანი და ლუკამ ეს 9 წლის გოგონა გემის კაპიტანს 80 ტალერად რომ მიჰყიდა[61]; შემდეგ კვლავ ლაპარაკია იმ გოგონაზე, „რომელიც მე ჩემმა დაძმობილებულმა პუტომ მაჩუქა“, და რომელიც მან პოლონელ კათოლიკეს 55 ტალერად მიჰყიდა[62].

შემდეგ ჯოვანი ჯულიანო და ლუკა წერს იმის შესახებ, თუ რა ნაყოფიერი მუშაობის გაშლა შეიძლებოდა ამ მხარეში, თუ საკმაო რაოდენობით იქ მისიონერებს გაგზავნიდნენ. პირველ რიგში კი მისი აზრით, საჭირო იყო გაეგზავნათ კათოლიკე მისიონერები კაფასა და ფოჩოლაში — 2, ჩერქეზეთში — 2, აფხაზეთში — 2, სამეგრელოში — 2. მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებაზე ჩვენ საბუთებს ვერ შევხვდით.

ახლა მკითხველს ვთავაზობ ჯოვანი ჯულიანო და ლუკას მოკლე „ცნობებს“ აფხაზებსა და ლაზებზე[63], რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, პ. იურჩენკომ თარგმნა და გამოაქვეყნა ოდესაში 1879 წელს.

ცნობები აფხაზების შესახებ

აფხაზები („აბკასა“, „აბაცა“) ცხოვრობენ მთებში, რომლებიც გადაჭიმულია ჩერქეზეთამდე. მათ მარჯვნივ შავი ზღვის სანაპიროა, აღმოსავლეთით — სამეგრელო. ეს ქვეყანა ემორჩილება ორ მთავარს, რომელთაგან ერთს ჰქვია პუზო (პუსო), ხოლო მეორეს — კარაბეი. ეს ქვეყანა გადაჭიმულია 150 მილის სიგრძეზე. ამ ქვეყანაში არ არის ქალაქები, მაგრამ ბევრი სოფელია მთებში. ეს მთები არიან უფრო მაღალი, ვიდრე ოდესმე მინახავს. აფხაზები გაფანტული არიან ზღვის

---

59 Archivio della SCPF, SOCG, vol. 209, f. 522 v.

60 Ibid.

61 Ibid.

62 Ibid., f. 523.

63 Relations de Divers Voyages curieux, qui nont point estè publièes..., M. Melcisedec Thevenot, A Paris, 1696,. pp. 22—23; П. Юрченко, Указ. соч., с. 492—493.

სანაპიროზე. მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორიც ჩერქეზების, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ესენი ჭამენ თითქმის უმ ხორცს. ამ ქვეყანაში აკეთებენ ბევრ ღვინოს.

აფხაზების ენა ძალიან განსხვავდება მათი მეზობელი ხალხების ენებისაგან. მათ არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების შესრულების გარეშე. ბევრი ჯვარი ვნახე ამ ქვეყანაში.

ამ ქვეყანაში არის ორი მდინარე: სუთესუ და სუბასუ. ეს ძალიან, სასიამოვნო ქვეყანაა. ჰაერი აქ მეტად ჯანმრთელია. ტყეები მათ ემსახურებათ როგორც მყუდრო ადგილი, როდესაც ისინი აირჩევენ ერთ ადგილს საცხოვრებლად, მერე მას არ ტოვებენ.

მათ სიმდიდრეს და ვაჭრობის საგანს შეადგენს: სხვადასხვა სახის ტყავი, ცვილი, თაფლი და მონები. მათი ჩვეულებაა თავიანთი ქვეშევრდომები მიჰყიდონ თურქებს, გაცვალონ სხვა საქონელზე, ვინაიდან მათ არავითარი ფული არ აქვთ.

მათ აქვთ ერთი ძალიან კარგი ნავსადგური. აქ ყოველწლიურად მოდიან ხომალდები ლაზეთიდან, ტრაპეზუნდიდან და კაფადან. ზოგჯერ ისინი აქ ზამთარსაც ატარებენ. ამ ნავსადგურს ეწოდება ესკისუმუნი[64].

ვაჭრები, რომლებიც აქ ჩამოდიან, ქვეყნის შიგნით, მოსახლეობაში არ მიდიან. ვაჭრობენ ნავსადგურში ან გემზე. ისინი (ალბათ, მყიდველი და გამყიდველი. — ი. ტ.) ერთმანეთს შორის ფიცსაც კი დებენ, იმის შესახებ, რომ ერთმანეთს რაიმე ცუდს არ გაუკეთებენ, ამ მიზნით ერთმანეთს მძევლებსაც კი აძლევენ.

აფხაზებს ომი აქვთ ჩერქეზებთან და მეგრელებთან. აფხაზები, როგორც კარგი ფეხოსნები და მხედრები, სასროლი იარაღის გამოყენების ხელოვნებასაც ფლობენ. თან ატარებენ ხმალს, შვილდს და ისრებს. იცვამენ ჩერქეზების მსგავსად, მაგრამ თმებს იკრეჭენ სხვანაირად, ვიდრე ჩერქეზები. ეს ხალხი (აფხაზები. — ი. ტ.) ულვაშებს ატარებს და წვერს იპარსავს. მათი პაპები (მღვდლები) — ასე უწოდებენ იმათ, ვინც ასაფლავებს მკვდრებს და ლოცულობს ღმერთზე მათი სულებისათვის, პირიქით, სრულებით არ იპარსავენ წვერს.

მიცვალებულებს დებენ ხის ფუღუროში, რომელსაც კუბოდ იყენებენ, შემდეგ მიაკრავენ მას ოთხ (დაყენებულ) ბოძზე, იგი თითქმის ჰაერშია ჩამოკიდებული.

რადგანაც მათ არ აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი, გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი და აქვთ ცოტა მასალა თავიანთი ტანისამოსის დასამზადებლად.

---

[64] ესკისუმუნი — „ესკი სუხუმი“, თურქულიდან: „ძველი სუხუმი“.

ისინი კმაყოფილდებიან თაფლისაგან გაკეთებული ღვინოთი[65], ნადირით და ტყეში გაზრდილი ნაყოფით. ხორბალი მათთან არ მოდის. მარილს აქ არ ხმარობენ.

აფხაზეთში არის უამრავი ქორცქვიტა და შევარდენი, რომლებსაც ისინი წრთვნიან რვა დღის განმავლობაში. ამ ფრინველებით ისინი ამარაგებენ კონსტანტინოპოლს, სპარსეთსა და საქართველოს. ეს ფრინველები ისე კარგად არიან გაწვრთნილი, რომ ზარის ხმაზე თავიანთი ნადავლით პატრონს უბრუნდებიან.

აქ არ შევუდგებით სამეგრელოს აღწერას, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რომ არსებობს მისი სავსებით ზუსტი აღწერა. მას დავუმატებ მხოლოდ იმას, რომ სამეგრელოში ვნახე ალექსანდრეს ხე[66], სკამონია და შავი შხამა, რომლებიც აქ იზრდებიან. ასევე ბევრია სამკურნალო და სასარგებლო ბალახი და ბოლოს დავძენ იმასაც, რომ აქ ეპისკოპოსები და სხვა სასულიერო პირები მუზარადებში და ხმლით შეიარაღებულნი თან ახლავენ მთავრებს ომის დროს.

ლაზები, ანუ კურტები

ლაზები, სხვანაირად კურტები, მაჰმადიანები არიან. მათი ქვეყანა ესაზღვრება საქართველოს და ტრაპეზუნდის მხარეს. ისინი დასახლებულნი არიან მეტად მაღალ მთებში, შავი ზღვის სანაპიროზე. საკვებს პოულობენ ძნელად მისასვლელ ტყეებში. ცხოვრობენ ჯგუფ-ჯგუფად. როცა უნდათ რაიმე მოიპარონ, შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ. ამ ქვეყანაში ბევრია მგელი, ტურა — ცხოველი, რომელიც თავისი გარეგნობით ძალიან ჰგავს ძაღლს და მგელს. ამ ქვეყანაში ამ ცხოველების სიმრავლის გამო, თურქები ლაზებს უწოდებენ კურტებს, რაც თურქულად „მგელს“ ნიშნავს.

ეს ქვეყანა მთლიანად მთაგორიანია და მეტად სასიამოვნოც. აქ ბევრი ხეა, რომელზეც შემოხვეულია ვაზი. ამ ქვეყნის შესახებ მეტს არაფერს ვიტყვი, ვინაიდან იგი საკმაოდ ცნობილია სხვადასხვა აღწერილობებიდან.

---

[65] „თაფლის ღვინო“ — თაფლის არაყი ხომ არ იყო?

[66] მისი ფოთლები იხმარება წამლების სასაქმებელი ფხვნილის მოსამზადებლად. იზრდება აფრიკასა და აზიაში.

თავი IV

როსტომის გამეფება ქართლში

როგორც უკვე ითქვა, 1630 წლის 3 აგვისტოს[1] თეატინელ მისიონერთა გორის მისიონის პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე, თეიმურაზ მეფის დავალებით რომის პაპთან წავიდა. გორში დარჩნენ დონ ჯაკომო დი სტეფანო და მორჩილი ძმა კლავდიო.

საქართველოს ამბებისა და მისიონის მუშაობის შესახებ ახლა წერილებს რომში აგზავნიდა დონ ჯაკომო დი სტეფანო. საინტერესოა მისი ერთ-ერთი წერილი, რომელიც მან გორიდან დონ პიეტრო ავიტაბილეს მისწერა რომში. წერილი დათარიღებულია 1630 წლის 18 ნოემბრით, მაგრამ წერილის ავტორს იგი გაუგზავნია მხოლოდ 1631 წლის 10 თებერვალს. დონ ჯაკომო დი სტეფანოს ამ წერილში მოთხრობილია თეიმურაზ მეფესა და ზურაბ ერისთავს შორის მომხდარი ამბები. ამ ამბების ისტორია ცნობილია ქართული ისტორიოგრაფიისათვის[2], მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტე აქ მოვიტანო ეს ცნობები, რამდენადაც დონ ჯაკომო დი სტეფანოს ეს ცნობები რამდენადმე განსხვავდება სხვა ავტორების ცნობებისაგან.

დონ ჯაკომო დი სტეფანო წერს, რომ როდესაც თეატინელი მისიონერები გორში ჩავიდნენ, ქართლში შედარებით სიმშვიდე იყო, მაგრამ ახლა მოხდა ახალი ამბები, რამაც გამოიწვია ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ვითარების გამწვავება. დონ ჯაკომო დი სტეფანოს მიხედვით: „თბილისის მმართველი სიმონ ხანი შეიჭრა ამილახვარის სამფლობელოში და დაიკავა იგი. ზურაბ ბეგი სამი აზნაურის (მათ შორის, გიორგი ჩერქეზი) თანხლებით მივიდა სიმონთან, მოჰკლა, მოჰრა თავი და გადასცა გიორგი ჩერქეზს თეიმურაზ მეფესთან გასაგზავნად“. ზურაბის ასეთი მოქმედებით თეიმურაზ მეფე ნაწყენი დარჩენილა.

---

[1] და არა 1630 წლის დასაწყისში. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 293—294. აქ მ. თამარაშვილიც არასწორადაა მითითებული. მ. თამარაშვილს აქ აღნიშნულ გვერდებზე (გვ. 92—98) სრულებითაც არა აქვს საუბარი ამ ელჩობაზე.

[2] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 292.

ზურაბ ბეგმა, განაგრძობს დონ ჯაკომო დი სტეფანო, სიმონ ხანს მოჰკრა თუ არა თავი და თეიმურაზ მეფეს გაუგზავნა, თვითონ მოახტა ცხენს და გაიქცა თბილისთან ახლო მდებარე ერთ-ერთ სოფლისაკენ, სადაც სიმონ ხანის მეუღლე ისვენებდა. შეიპყრო იგი, მიითვისა მისი მთელი ძვირფასეულობა, ხოლო ქალი თეიმურაზ მეფესთან გაგზავნა. თეიმურაზმა სიმონ ხანი დიდის პატივით დაასაფლავა, მისი მეუღლე კი გაათავისუფლა და სათანადო ამალით სპარსეთის შაჰთან გაგზავნა. თეიმურაზმა შაჰს ბოდიში მოუხადა მომხდარი ამბების გამო და შეუთვალა, რომ სიმონის სიკვდილში მისი ხელი არ ურევია.

ამ დროს ზურაბ ბეგთან იმერეთიდან ერთ-ერთი ეპისკოპოსი ზებედე ჩამოსულა[3]. მან უსაყვედურა ზურაბ ბეგს იმის გამო, რომ იგი თავისი მოქმედებით არეულობას იწვევს სამეფოში. ეპისკოპოსმა ზებედემ თეიმურაზ მეფესთან ყველა თავადი შეარიგა და სამეფოში კვლავ სიმშვიდე დამყარდა. ზებედემ ყველა თავადი წაიყვანა ეკლესიაში, სადაც თეიმურაზ მეფე იყო და ყოველმა მათგანმა თეიმურაზ მეფეს ფეხზე აკოცა და ფიცი დადო, როგორც ვასალმა.

დონ ჯაკომო დი სტეფანო წერს, რომ ორმა დიდმა პროვინციამ — სომხითმა და საბარათაომ, რომლებიც მანამდე სიმონ ხანს ემორჩილებოდნენ, ვასალის ფიცი დადეს თეიმურაზ მეფესთან. მაგრამ თეიმურაზ მეფემ თბილისი ჯერ კიდევ ვერ მიიღო. მიუხედავად ამისა, თეიმურაზ მეფის სამფლობელო ახლა ორჯერ გაიზარდა. იგი „ახლა ფლობდა კახეთს, ქართლს, სომხითს და საბარათაოს. თუმცა თეიმურაზ მეფის ურთიერთობა ზურაბ ბეგთან ამით არ დამთავრებულა".

ერთხელ, განაგრძობს დონ ჯაკომო დი სტეფანო, ზურაბ ბეგმა თეიმურაზ მეფე თავის სამფლობელოში მიიპატიჟა. თეიმურაზი თავისი ამალით ეწვია მას. ზურაბ ბეგმა ჭეშმარიტად მეფურად მიიღო. მან სამი დღე დაჰყო ზურაბ ბეგთან, შემდეგ კი დაბრუნდა თავის რეზიდენციაში — სოფრასელში (საფურცლე. — ი. ტ.). ახალი ეჭვების, თუ ადრინდელი ამბოხების გამო დასასჯელად, თეიმურაზმა სამეფო საბჭოზე მეტად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის საბაბით, ზურაბ ბეგი თავისთან მიიწვია. ზურაბ ბეგი მაშინვე ეახლა მეფეს, მაგრამ ვერც კი მოასწრო დარბაზის ზღუდის გადაბიჯება, რომ ყორჩიბაშ ხანმა ხმლით მას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, მიაძახა რა: „აქამდე არავის არ სჯეროდა, რომ მეფეს შენი სიკვდილი უნდოდა, ახლა კი — დაიჯერებენ". ზურაბ ბეგმა, თითქოს, ხელი გაჰკრა თავის ხმალს[4], მაგრამ სასახლის უხუცესმა დაასწრო, დაარტყა და ხმალი ხელიდან გააგდებინა, ხოლო სუფრაჯმა კი საბოლოოდ ჩაჰქოლა იგი".

---

[3] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, p. 122.
[4] Ibid., p. 124.

ზურაბ ბეგის სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზ მეფე შეჯდა ცხენზე და ზურაბ ბეგის სახლში — თავის ქალიშვილთან, უკვე დაქვრივებულთან წავიდა და იგი თავის სახლში წამოიყვანა.

ზურაბ ბეგის ძმები ციხესიმაგრეში დაიმალნენ. ერთ-ერთმა — ზალ ბეგმა გაქცევა ვინც მოასწრო და თავისი ქონებით და მეუღლით სპარსეთში გაიქცა.

1630 წლის აგვისტოში წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიამ საქართველოში კიდევ ორი თეატინელი მისიონერი გამოგზავნა: დონ არქანჯელო ლამბერტი[5] და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე[6]. იმავე წლის 18 ოქტომბერს დონ არქანჯელო ლამბერტი ქ. მესინაში შეხვდა დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს. დეკემბერში ისინი უკვე კუნძულ მალტაზე იყვნენ, სადაც შეხვდნენ საქართველოდან რომში მიმავალ დონ პიეტრო ავიტაბილეს[7].

1631 წლის იანვარში ისინი გავიდნენ კუნძულ მალტიდან და ალეპოში ჩავიდნენ. 19 მარტს ალეპოდან არზრუმის მიმართულებით გაჰყვნენ ქარავანს. 29 დღის მგზავრობის შემდეგ არზრუმში მივიდნენ, რომელიც, წერენ მისიონერები, ძველად საქართველოს ეკუთვნოდა;

---

[5] იხ. Archangelo Lamberti, Relazione della Colchide oggi della Mingrelia nella quale si tratta del Origine, Costumi e cose naturali di quei Paesi, Napoli, 1654: Ibid., Colchide Sacra, Napoli, 1657. პირველი თარგმნილია ქართულად. იხ. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა 1903. მთარგმნელი ალ. ჭყონია.

[6] შემდგომში, 1643 წელს, ლევან II დადიანმა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე ელჩად გაგზავნა რომის პაპთან. რომიდან უკან დაბრუნებული და სამეგრელოსკენ მიმავალი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე კონსტანტინოპოლში დააპატიმრეს თურქებმა და საპყრობილეში ჯალათს მოაკვლევინეს. იხ. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964; ი. ტაბაღუა, იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე (ილუსტრაციებით), ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1979, № 5.

[7] 1630 წლის 2 დეკემბერს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე კუნძულ მალტიდან პიეტრო დელა ვალეს სწერდა: „მივიღე თქვენს მიერ მათი უდიდებულესობებისადმი (თეიმურაზ მეფისა და დედოფლისადმი. — ი. ტ.) საჩუქრად გადასაცემი საგნები, სახელდობრ: სურათი წმიდა გიორგის გამოსახულებით, თქვენი სახელით თეიმურაზ მეფისათვის გადასაცემად და ასევე ქისა მარჯნით მოქარგული გვირგვინის გამოსახულებით, ქალბატონ მარიამის სახელით დედოფლისათვის გადასაცემად. სიტყვას გაძლევთ შევასრულო თქვენი დავალება და ასევე შეგატყობინოთ პასუხი“.

კუნძულ მალტაზე დონ პიეტრო ავიტაბილესთან შეხვედრის შესახებ იგი წერდა: „მე აქ შევხვდი წმიდა მამა დონ პიეტრო ავიტაბილეს, რომელმაც მომცა მთელი რიგი რჩევა-დარიგება“.

აქ ქართველები ახლაც ცხოვრობენ, არის ეკლესია, რომლის ეპისკოპოსს არზრუმელი ჰქვია[8].

დონ არქანჯელო ლამბერტის და დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს მოჰქონდათ პაპის (შესაძლებელია, წმიდა კონგრეგაციის კარდინალებისაც) წერილები თეიმურაზ მეფესთან, კათალიკოს ზაქარიასა და ნიკიფორე ირბახთან (რომელიც, ევროპიდან დაბრუნებული უკვე გორში იყო)[9]. დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ასევე მოჰქონდა პიეტრო დელა ვალეს წერილები თეიმურაზ მეფესა და ნიკიფორე ირბახთან, ხოლო მისი მეუღლის — მარიამის წერილი — დედოფალთან.

გარდა ამისა, დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს მოჰქონდა პიეტრო დელა ვალესა და მისი მეუღლის საჩუქრები თეიმურაზ მეფესა და დედოფალთან.

როგორც კი ეს მისიონერები საქართველოს ტერიტორიაზე შევიდნენ, „მათ ახალ სამყაროში იგრძნეს თავი“. ისინი აქებენ სოფლებს, დასახლებას, კარგად დამუშავებულ მიწებს[10]. არზრუმიდან ისინი საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩავიდნენ. „იგი ძალიან ლამაზი ქალაქია. მის შუა გულში გადის მდ. კირო (მტკვარი. — ი. ტ.)[11]. თვითონ ქალაქი განლაგებულია მაღლობზე და არა დაბლობზე, რომელიც მას დაჰყურებს. ამ მაღლობზე კი მდებარეობს ციხესიმაგრე, სადაც სპარსეთის შაჰი ინახავს თავის პატარა ფაშას, ე. ი. პოლკოვნიკს, რომელიც სათავეში უდგას ათას მებრძოლს და მართავს ქალაქს. იგი უშუალოდ შაჰს ემორჩილება“[12].

თბილისი ერთ-ერთი სავაჭრო ქალაქი იყო: „თბილისს სავსებით შეიძლება ეწოდოს ლამაზი და სავაჭრო ქალაქი, სადაც უხვადაა ყოველგვარი საქონელი, რომელიც აქ ყოველი მხრიდან შემოაქვთ, ვინაიდან თბილისი საქართველოს დედაქალაქია“[13].

თბილისის ბაზარზე შეხვდებით სომეხს, სპარსელს, ინდოელს და სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს. „აქ ბევრია აბრეშუმი და აბრეშუმის ნაწარმი, ოქრო და ოქროულობის ნაკეთობები. ეს საქონელი აქედან

---

[8] ტექსტში წერია: „არზერუმელი“ — „Arzerumeli“. I. Silos Bituntino, Historiarum Clericorum Regolarium, t. 2, p. 558; Don Bart. Ferro C. R., Istoria della Missioni, pp. 141—142; Arch. Lamberti, Colchide Sacra, p. 171.

[9] Archivio della SCPF, SOCG, Lettere, vol. 10 (1630), ff. 95—97; მ. თამარაშვილი წერს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 112—113). რომ ეს წერილები ვერ ვიპოვეთო. ეს წერილები დათარიღებულია 1631 წლის 21 იენვრით. ისინი ვიპოვე ვატიკანის არქივში და აქვე ვათავსებ.

[10] Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, pp. 142—143.

[11] Ibid., p. 143.

[12] Ibid., p. 177.

[13] Ibid., p. 177.

მთელს საქართველოში ვრცელდება. ვაჭრებს თბილისში მოაქვთ სხვადასხვა ფერის ბევრი ქსოვილი. მას მოსახლეობის ყველა ფენა ყიდულობს. ერევნიდან ქართველებს მოაქვთ ქვამარილი, რომლითაც სარგებლობს მთელი საქართველო, რადგან სხვა სახის მარილი აქ არ არის. კასპიის ზღვიდან შემოაქვთ დამარილებული თევზი და ხიზილალა ძალიან დიდი რაოდენობით და იყიდება მეტად იაფად"[14].

1631 წლის 12 მაისს, თითქმის ერთ წლის მოგზაურობის შემდეგ, დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე გორში ჩავიდნენ.

ორი დღის დასვენების შემდეგ ისინი თეიმურაზ მეფის სანახავად წავიდნენ, რომელიც იმ დროს გორიდან დაშორებით ერთი დღის სავალზე[15] იმყოფებოდა იმ ადგილას, რომელსაც საფურცლე[16] ერქვა. იგი ამ დროს, დღე-დღეზე ელოდებოდა იმერეთის მეფე ალექსანდრეს, რომელსაც ცოლად შეჰპირდა თავისი ქალიშვილი — ზურაბ ერისთავის (ზურაბ ბეგის) ქვრივი. ამ დროს მეფესთან ყოფილან ზაქარია კათალიკოსი, სხვა ეპისკოპოსები და მღვდლები, მრავალი დიდებული. ამ თავყრილობის გამო, სტუმრად მოწვეულთათვის დაუდგამთ მრავალი კარავი, რომელიც საფურცლეს ირგვლივ მდებარე დაბლობზე დაბანაკებული ჯარის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მისიონერებმა მეფეს წინდაწინ გაუგზავნეს საჩუქრები: ერთი მეტად ლამაზი საათი სამი ზარით, ზარექებს რომ რეკდა, რამდენიმე მწვანე ბროლის თასი მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული, ოთხი კარგად შესრულებული სურათი. დედოფალს: ერთი ვენეციური დიდი სარკე, გარშემო მშვენივრად მორთული, ორი წყვილი ოქროქემსული ხელთათმანი რამდენიმე მეტად ლამაზი, გვირგვინიანი ბაბთებით.

შემდეგ მეფეს გადასცეს პიეტრო დელა ვალეს მიერ გამოგზავნილი ძალიან ლამაზ ჩარჩოში ჩასმული და აბრეშუმითა და ოქროთი მორთული წმიდა გიორგის პორტრეტი, ხოლო დედოფლისათვის, მარჯნის გვირგვინი ბაფთებით.

ყველა ეს საჩუქარი, მეფემ აჩვენა თავის დიდებულებს, მისიონერებთან კაცი გაგზავნა, მადლობა შეუთვალა საჩუქრებისათვის და შეჰპირდა, რომ ყველა მათ თხოვნას შეასრულებდა.

მისიონერებმა ცალკე მისცეს საჩუქრები კათალიკოს ზაქარიას: ძვირფასი ქვებით შემკული მიტრა, ერთი წითლად მოვერცხლილი საეკლესიო სამოსელი მღვდელმთავრის ნიშნით, ნაქსოვი, თუმცა ეს სამოსელი ბერძნულ ეკლესიაში მიღებული არ იყო. ეს გამოუყენებელი იყო კათალიკოს ზაქარიასათვის და ამიტომ მიტრა და რიზა მეფეს

---

[14] Ibid.. p. 177.

[15] სხვაგან წერია: „ორი-სამი მილით დაშორებული".

[16] ტექსტში წერია: „საპორცელი".

გადასცეს. მეფემ მიტრასაგან ისრებისათვის პარჭი გააკეთა, ხოლო რიზა ხალიჩაზე დადო და წლის სადღესასწაულო დღეებში ზედ ჯდებოდა. რის გამოც თეატინელი მისიონერები უკმაყოფილო დარჩნენ.

საჩუქრების მიღების შემდეგ თეიმურაზ მეფემ თავისთან მიიწვია თეატინელი მისიონერები. კარავი, რომელშიც მეფე იმყოფებოდა, შიგნით სპარსულ ყაიდაზე იყო მორთული. სუფრის თავზე, რამდენიმე ოქროქემსულ ბალიშზე, იჯდა თეიმურაზ მეფე. მის ზურგს უკან ოქროქემსული ფარდა იყო ჩამოშვებული.

მეფემ მიიღო მისიონერები. ესაუბრა მათ. საუბრის საგანი იყო რომის პაპი და პოლიტიკური მდგომარეობა იტალიასა და ევროპაში. მეფეს ყველაფერი აინტერესებდა, კათოლიკე მისიონერებიც სიამოვნებით პასუხობდნენ.

თეიმურაზ მეფე კარგ ხასიათზე ყოფილა და ამიტომ მხიარულ და საზეიმო ვითარებაში მიუღია მისიონერები. „მეფემ ნება დართო წმიდა მამა დონ ჯაკომო დი სტეფანოს (რომელიც ახალ ჩამოსულ მისიონერებს ახლდა გორიდან) სიტყვა წარმოეთქვა“[17].

დონ ჯაკომო დი სტეფანომ შემდეგი სიტყვებით მიმართა თეიმურაზ მეფეს: „თქვენო უდიდებულესობავ! ამჟამად თქვენს ფერხთ წინაშე წარსდგნენ სახარების ახალი მსახურები, რომლებიც თქვენს სამეფოში გამოგზავნა მისმა უწმინდესობამ — რომის უმაღლესმა ქურუმმა, რათა დაედასტურებინა თავისი უმაღლესი პატივისცემა, რომლითაც იგი განწყობილია თქვენი მეფური პიროვნებისა და სამეფოსადმი, რომელსაც იგი უსურვებდა, ეხილა შეერთებული იმ ერთადერთ ეკლესიასთან და მოხსენიებულიყო კათოლიკურ სამეფოდ.

მალე აქ ჩამოვა და შემოგვიერთდება ასევე წმიდა მამა დონ პიეტრო ავიტაბილე, თან ჩამოიყვანს რა ახალ მოციქულებრივ მსახურებს, ვინაიდან უწმიდეს ტახტს ახსოვს რა თქვენი უდიდებულესობის დიდი რელიგიური მისწრაფება და იცის რა, რომ წირვა-ლოცვებისათვის აუცილებელია დიდი რაოდენობით მღვდელმსახურები, არ სურდა ვალში დარჩენილიყო თქვენს წინაშე.

გარდა ამისა, წმიდა ტახტი მთელს თავის იმედებს ამყარებს თქვენს მეფურ მფარველობაზე, დარწმუნებული იმაში, რომ როგორც წარსულში ვსარგებლობდით ჩვენ ამ მფარველობის უხვი ნაყოფით, ასევე მომავალშიც გავყვებით რა ამ გზას, გავხდებით იმ დიდი ამბების მოწმენნი, როდესაც დიდი დედის ყველა ბავშვი ბოლოს და ბოლოს გახდება მისი ნამდვილი შვილი, შეუერთდება რა მას, როგორც მათ საერთო დედას.

---

[17] Don Bart. Ferro C. R., Istoria della Missioni, p. 145.

წმიდა მამა დონ პიეტრო ავიტაბილესაგან თქვენ გაიგებთ, თუ რა დიდ იმედებს ამყარებს თქვენზე რომი. მე კი რომის უმაღლესი ქურუმისა და ჩვენი რელიგიური ორდენის სახელით, წარმოგიდგენთ ამ ორ წმიდა მამას, თქვენდამი თავდადებულ მსახურებს და ვიშრომებთ, რათა შევასრულოთ თქვენი სურვილები, რამდენადაც შევძლებთ...“

მოისმინა რა დიდი კმაყოფილებით დონ ჯაკომო დი სტეფანოს ეს სიტყვა, თეიმურაზ მეფემ მადლობა გადაუხადა მას და შეპირდა შეუსრულებდა ყველა თხოვნას და მფარველობას გაუწევდა მათ.

როგორც ვხედავთ, ამ შეხვედრის დროს არაფერი თქმულა თეიმურაზ მეფის მხრიდან პაპი ურბან VIII-ისა და წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალების წერილების მიღების შესახებ. ამ მიღების შემდეგ თეატინელი მისიონერები გორში დაბრუნდნენ. ისინი ორი თვის შემდეგ კვლავ შეხვდნენ უკვე გორში დაბრუნებულ თეიმურაზ მეფეს, მაგრამ არც ახლა ყოფილა ლაპარაკი ახალ წერილებზე.

ამ დროს თეიმურაზ მეფეს გადაუწყვეტია აღედგინა და ხელახლა დაესახლებინა კახეთის დანგრეული ადგილები, კერძოდ ქ. გრემი, რომელიც სპარსელების შემოსევის დროს მთლიანად დაინგრა და განადგურდა.

კახეთში ადრე მეფის ორი სასახლე იყო — სამეფო რეზიდენცია და მეფის ოჯახის საცხოვრებელი. თეიმურაზ მეფეს უნდოდა სასახლეების აღსადგენად კათოლიკე მისიონერების დურგლები გამოეყენებინა.

თეიმურაზ მეფემ თავისთან დაიბარა დონ ჯაკომო დი სტეფანო და უთხრა, რომ გადაწყვეტილი აქვს ქალაქი გრემის (რომელიც ადრე კახეთის დედაქალაქი იყო[18]) აღდგენა და ხელახლა აშენება. ასევე გათვალისწინებული იყო გრემში თეატინელ მისიონერთა მისიონის დაარსება. მეფის ამ წინადადებას სიხარულით შეხვდა დონ ჯაკომო დი სტეფანო. თეატინელი მისიონერებისათვის მოღვაწეობის ახალი ასპარეზი იხსნებოდა. იგი მაშინვე გაემგზავრა კახეთში, დაათვალიერა იგი და გორში დაბრუნდა. თეიმურაზ მეფე დახმარებასა და მფარველობას ჰპირდებოდა მას.

დონ ჯაკომო დი სტეფანოს მოეწონა კახეთის მიდამოები, ქ. გრემის განლაგება, თუმცა იგი დანგრეული იყო. „და აი უკვე გრემი, ამ მხარის, ანუ კახთა სამეფოს ყოფილი აყვავებული დედაქალაქი, მთლიანად დანგრეული სპარსეთის შაჰის მიერ. მთების მწვერვალებზე მოჩანდა დანგრეული ციხესიმაგრის კოშკები: ქალაქში ზოგ ადგილას ებრაელების მიერ აგებული ფარდულებია, სადაც გამოჰყავთ აბრე-

---

[18] Don Bart. Ferro C. R., Istoria della Missioni, p. 149.

შუმის ჭიები. აბრეშუმის პარკის შეგროვების შემდეგ ისინი მთელი თავიანთი ოჯახით ტოვებენ ამ ადგილებს. ასე რომ, ამ ქალაქში ახლა მუდმივად არავინ არ ცხოვრობს“[19].

საქართველო დანგრეულია როგორც სპარსელების, ისე თურქების შემოსევების შედეგად, წერდნენ კათოლიკე მისიონერები. აი რატომაა ქართველები მათდამი მტრულად განწყობილნი „...ქართველები არ დაუმეგობრდნენ არც თურქებს და არც სპარსელებს, არამედ მტრულად არიან განწყობილნი როგორც პირველის, ისე მეორის მიმართ“[20].

როგორც კი მშვიდობიანი მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში, თეიმურაზ მეფემ მაშინვე ხელი მოჰკიდა ქვეყნის აღდგენას. 1631 წლის ნოემბერში დონ ჯაკომო დი სტეფანო რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „სამეფოში (კახეთის სამეფოში. — ი. ტ.) ყოველდღიურად იზრდება მოსახლეობის რიცხვი, ხოლო მეფე თეიმურაზი ტკბება ქვეყანაში დამყარებული სიმშვიდით“.

იმავე წლის 18 ივლისს დონ ჯაკომო დი სტეფანო, არქ. ლამბერტი და მორჩილი ძმა კლაუდიო გორიდან გრემში წავიდნენ. მეფემ ისინი ცხენებითა და მოგზაურობისათვის სხვა საჭირო საგნებით მოამარაგა. ორი დღის შემდეგ ისინი უკვე გრემში იყვნენ. მათ იქ თეიმურაზ მეფის განკარგულებით საცხოვრებელი სახლიც მიიღეს. დონ პიეტრო ავიტაბილეს რომიდან დაბრუნების შემდეგ გათვალისწინებული იყო კახეთში — გრემში თეატინელთა მისიონის დაარსება.

გრემში ჩასულ თეატინელ მისიონერებთან მაშინვე მისულან კახეთის სასულიერო პირები — ეპისკოპოსი ნეკრესელი და სხვ. ამ დროს კახეთში მრავალი ეკლესია იყო, მათ შორის მარტო საეპისკოპოსო ეკლესია იყო 20.

აი ეს საეპისკოპოსო ეკლესიებიც: წმ. გიორგის ეკლესია — ეპისკოპოსი ალავერდელი, წმიდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია — ეპისკოპოსი ზედაზენელი, წმიდა ჯვრის ეკლესია — ეპისკოპოსი ჯვარელი, უწმინდესი სამების ეკლესია — ეპისკოპოსი სამებელი, წმიდა სუდარიონის ეკლესია — ეპისკოპოსი რუსთველი, წმიდა გიორგი წამებულის ეკლესია — ეპისკოპოსი მარტყოფელი, წმიდა გიორგის ეკლესია — ეპისკოპოსი კაწარელი, წმიდა თადეოსის მოციქულის ეკლესია — ეპისკოპოსი პუცნარელი, უწმინდესი ქალწულის ეკლესია — ეპისკოპოსი ნეკრესელი, წმიდა მარიამის ეკლესია — ეპისკოპოსი ჩარბმელი, წმიდა ნინოს ეკლესია — ეპისკოპოსი ბოდბელი, წმიდა სტეფანეს ეკლესია — ეპისკოპოსი ხირსელი, უფლის ამაღლების ეკლე-

---

[19] Ibid., p. 153.
[20] Ibid., p. 89.

სია — ეპისკოპოსი ვანანელი, წმიდა იოსების ეკლესია—ეპისკოპოსი არმიათელი, წმიდა იაკიმე მოციქულის ეკლესია — ეპისკოპოსი კისელი, წმიდა გიორგის ეკლესია — ეპისკოპოსი კაბალელი, ღვთისმშობლის ეკლესია — ეპისკოპოსი კ-ემათელი, უწმინდესი სამების ეკლესია — ეპისკოპოსი ნინოწმინდელი, წმიდა დემეტრე წამებულის ეკლესია — ეპისკოპოსი შექელი, წმიდა მაცხოვრის ეკლესია — ეპისკოპოსი ვეჯინელი.

ამ დროს ქართლში იყო 21 საეპისკოპოსო და ეპისკოპოსი: წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს ეკლესია — ეს იყო ქართლის საპატრიარქო ეკლესია, სადაც იჯდა იბერიის კათალიკოსი, წმიდა არტემის ეკლესია — ეპისკოპოსი წილკნელი, წმიდა გიორგი წამებულის ეკლესია — ეპისკოპოსი იასირელი, უფლის დიდების ეკლესია — ეპისკოპოსი დმანელი, წმიდა ოქროსპირის ამბროს კუკოზის ეკლესია — ეპისკოპოსი კუკოზელი, წმიდა ანტონიოს ეკლესია — ეპისკოპოსი პამბუკელი, წმიდა მახარობელის ეკლესია — ეპისკოპოსი ახტალელი, წმიდა სტეფანე პირველ წამებულის ეკლესია — ეპისკოპოსი ნახლიდურელი, ღვთისმშობლის ამაღლების ეკლესია — ეპისკოპოსი სინისკაველი, უწმინდეს ქალწულის ეკლესია — ეპისკოპოსი თბილელი, უწმინდეს ღვთისმშობლის ეკლესია — ეპისკოპოსი მანგლელი, წმიდა მხსნელის ეკლესია — მიტროპოლიტად წოდებული არქიეპისკოპოსი, წმიდა ჯვრის ეკლესია — ეპისკოპოსი ჯერგითელი, წმიდა ქალწულის ეკლესია — ეპისკოპოსი ციხანელი, წმიდა მხსნელი ეკლესია — ეპისკოპოსი სამთავნელი, წმიდა ექვთიმე წამებულის ეკლესია — ეპისკოპოსი ნიქოზელი, წმიდა სტეფანეს ეკლესია — ეპისკოპოსი ურბნელი, უწმინდეს ქალწულის ეკლესია — ეპისკოპოსი ნოწუელი, უწმინდეს ქალწულის ეკლესია — ეპისკოპოსი მროველი, წმიდა ევტიხ წამებულის ეკლესია — ეპისკოპოსი ერთაწმინდელი.

საქართველოს ეკლესიებსა და მათ მდგომარეობაზე ლაპარაკია არქანჯელო ლამბერტის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“[21], ხოლო მის მეორე წიგნში — „წმინდა კოლხეთი“, მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეპისკოპოსოებისა და ეპისკოპოსების სია, რომელთა საერთო რიცხვი შეადგენდა 86-ს. მათ შორის, ქართლში — 21, კახეთში — 20, სამცხეში — 19, კოლხეთში — 12, იმერეთში — 6, აფხაზეთში — 5, გურიაში — 3[22].

---

[21] იხ. არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, მე-2 გამოცემა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 118—131.

[22] Arch. Lamberti, Colchide Sacra, Napoli, 1657, pp. 27—36.

არქ. ლამბერტის მიერ დასახელებული ყველა ეკლესია საეპისკოპოსო არ იყო; ზოგიერთი ეკლესიის მეთაურს ეწოდებოდა არა ეპისკოპოსი, არამედ წინამძღვარი: მაგალითად, ჯვრის, ზედაზნისა და ზოგიერთ სხვა მონასტერს წინამძღვარი ჰყავდა[23].

არქ. ლამბერტი შენიშნავს, რომ ეკლესიები ყოველთვის ქალაქებსა და სოფლებში როდი იყო აგებული, არამედ, ხშირად, მათ აგებდნენ მინდვრებსა და მთებში. ამიტომ მას ზოგჯერ ქალაქის ან სოფლის სახელწოდება არ ჰქონდა, არამედ ატარებდა იმის სახელს, ვისზედაც იგი იყო მიძღვნილი.

დავუბრუნდეთ ისევ კახეთის ამბებს. გაგზავნა რა თეატინელი მისიონერები კახეთში, თეიმურაზ მეფემ ბრძანება გასცა, რათა მათთვის გადაეცათ გრემში ყველაზე უკეთესი ეკლესია. როგორც უკვე ითქვა, ისინი კარგად მიიღო ადგილობრივმა სამღვდელოებამ და თეატინელი მისიონერების ჩასვლისთანავე შეუდგნენ მუშაობას: დააყენეს წირვა. წირვაზე საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა. ასე რომ, ამ დანგრეულ ქალაქში ცხოვრება გამოცოცხლდა. ასე გაგრძელდა მხოლოდ რამდენიმე თვე.

გაიგეს თუ არა სპარსელებმა თეიმურაზ მეფის გადაწყვეტილება გრემის აღდგენის შესახებ და შეიძლება მთელი კახეთისაც კი, შემოესივნენ ქალაქს, კვლავ დაანგრიეს და გაძარცვეს ყველაფერი, თუ კიდევ რაიმე დარჩა და ქართველი ტყვეებიც წაიყვანეს. თეატინელი მისიონერები გორში დაბრუნდნენ.

1631 წლის ოქტომბერში ქ. მესინადან წამოსული თეატინელ მისიონერთა მესამე ჯგუფი დონ პიეტრო ავიტაბილეს მეთაურობით, 1632 წლის 10 ივლისს გორში ჩამოვიდა[24].

როდესაც გორში ამდენმა მისიონერმა თავი მოიყარა[25], წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიის განკარგულებით გადაწყდა: გორში შეექმნათ კათოლიკე მისიონერთა კონვენტი, რომლის მეთაური მორიგეობით იქნებოდნენ ხან თეატინელ მისიონერთა პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე, ხან პორტუგალიელ ავგუსტინელ მისიონერთა მეთაური ამბროზიო დუშ ანჟუში[26].

---

[23] ამ საკითხებში კონსულტაციისათვის მადლობას მოვახსენებთ ისტორიკოს ბაზ. ლომინაძეს.

[24] Archivio della SCPF, SOCG, vol. II (1631), f. 56; Memoria rerum, S. 665; M. Tamarati, L'Eglise Georgienne, pp. 521—522.

[25] ამ დროს გორში იყო დაახლოებით 15 თეატინელი მისიონერი და 2 პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი.

[26] Archivio della SCPF, SOCG, Acta, t. 8, f. 213; Memoria rerum, S. 665.

იმ წერილებს შორის, რომლებიც დონ პიეტრო ავიტაბილემ რომიდან ჩამოიტანა, ერთ-ერთი იყო კათალიკოს ზაქარიას სახელზე, რომელიც, ცხადია, მან კათალიკოსს გადასცა. წერილი დათარიღებულია 1631 წლის 14 ივლისით. წერილის სათაური ასეთია: „დიდად პატივცემულ ძმას ზაქარიას, მთელი იბერიის მიტროპოლიტად აღიარებულს. პიეტრო ავიტაბილეს, რომელიც იქ (იბერიაში. — ი. ტ.) ბრუნდება, ამ წერილს ვანდობ. პაპი ურბან VIII“[27].

პაპის ეს წერილი ცხადჰყოფს, თუ როგორი გულისხმიერებით მოუსმენიათ ვატიკანში დონ პიეტრო ავიტაბილეს მოხსენება საქართველოში თეატინელი მისიონერების მოღვაწეობის შესახებ. წერილში ნათქვამია: „ჩვენ მოვუსმინეთ შორეულ ქვეყნიდან ჩამოსულ გამოჩენილ შვილს, თეატინელ მღვდელს პიეტრო ავიტაბილეს, მოციქულებრივი მადლის სიხარულით. მან დაგვიმოწმა, ყოვლისშემძლის თუ როგორი გულმოწყალება მჟღავნდება იმ კეთილშობილებაში, რომელთაც მეფისა და მიტროპოლიტის სახელით თქვენთან გამოგზავნილ რომის ეკლესიის მღვდლებს აღმოუჩენ“.

პაპი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ეკლესია მალე შეუერთდება რომის ეკლესიას: „ჩვენ ღმერთს ვევედრებით, რომელმაც თავი მოუყარა მიმოფანტულ ისრაელებს, რათა დაიწყოს უკვე მოქმედება თქვენს შორისაც, ინებოს იბერიის მთავრებისა და ხალხის მოყვანა ვატიკანის ამ წმინდა მთავართან, რათა რწმენის ამ წმინდა ადგილზე გაუღონ ზეციური სამეფოს კარები მორწმუნე ერებს ქურუმებმა.

...შენ ხალხს იტალია ტაშისცემით ელოდება. მეწამული გვირგვინით შემკობილმა და ყოველი კათოლიკური ეკლესიის რჩეულმა სამოციქულო სენატმა დიდად გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ იბერიაში შენი ზრუნვის შედეგად, ღიაა ეკლესია ჩვენი მღვდლებისათვის.

უეჭველია, რომ იქ დამკვიდრდება ყოველი სათნოება ციდან მოვლინებული და ამა მიწისა მხსნელი მსახურნი; იქ დაიდებს სავანეს სამეფოთა მცველი ლოცვა-ვედრება; იგი მარადიული ციხესიმაგრიდან მოუხმობს ანგელოზთა კრებულს, რათა ერთდროულად გაიმარჯვოთ ბიწიერებასა და მტრებზე“.

წერილში პაპი მაღალ შეფასებას აძლევს პიეტრო ავიტაბილეს, რომელიც „ჭეშმარიტად ყოველგვარი პატივისცემის ღირსია იბერიის ხალხის მხრიდან, როგორც ადამიანი, რომელმაც დაივიწყა სამშობლო და ახლობლები ამ ხალხის ხსნისათვის“.

---

[27] Archivio Segreto Vaticano. Cf. Miscellinae, 10. Urbanus VIII. Pont. Max. Epist. ad Princip. Ann. VIII, 2 Gen. 1630 — 15 Sept. 1631; Epist ad Princip., vol. 45, ff. 148 (162)—149 (163).

წერილიდან ჩანს, რომ პაპმა იცის თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის თხოვნის შესახებ ექიმებისა და მხატვრების საქართველოში გაგზავნის აუცილებლობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით იგი კათალიკოს ზაქარიას წერს: „დონ პიეტრო ავიტაბილესაგან თქვენ შეიტყობთ, თუ რატომ ვერ წამოიყვანა ეგზომ საშიშ გზაზე თქვენს მიერ ნათხოვნი მხატვრები და ექიმები".

იმავე თარიღია დასმული პაპის მიერ თეიმურაზ მეფისადმი გამოგზავნილ წერილზე, სადაც რომის პაპი ყურადღებას ისევ და ისევ სარწმუნოებრივ საკითხებზე ამახვილებს და რეკომენდაციას უწევს თეატინელ მისიონერებს ქართველთა მეფის წინაშე.

„სარწმუნოება, რომელსაც ისინი (თეატინელი მისიონერები. — ი. ტ.) ქადაგებენ, მფარველობაა მეფეებისა და ხსნა ხალხისა. თუ ეს სარწმუნოება მთელი ძალა-უფლებით გაბატონდება შენს პროვინციებში, მაშინ შენ ნახავ, თუ როგორ იქნება განიარაღებული რისხვა, რომელიც შეთქმულებაზე ფიქრობს, და თუ როგორ დადგება მშვიდობა, რომელიც ზეიმობს ბიწიერებაზე".

პაპი ამ წერილში ადასტურებს თეიმურაზ მეფისაგან დონ პიეტრო ავიტაბილეს ხელით წერილის მიღებას: „ციურ საგანძურიდან შენთან გამოგზავნილ იმდენ მხსნელ განზრახვებზე გვაცნობა ჩვენ ახლა უსაყვარლესმა შვილმა, თეატინელმა მღვდელმა პიეტრო ავიტაბილემ, რომელმაც შენი უდიდებულესობის წერილი ჩამოიტანა".

საინტერესოა პაპის მიერ თეიმურაზ მეფისადმი გამოგზავნილი ამ წერილის სათაურის ქვეშ მინაწერი: „უძლიერეს მეფეს თეიმურაზ ხანს, იბერიის ბრწყინვალე მეფეს. პაპი ურბან VIII". ამის ქვემოთ მიწერილია: „თეატინელი მღვდლის პიეტრო ავიტაბილეს საშუალებით მიიღებ ამ წერილს; რწმუნებით, რათა პირველმა მიიღოს ნათლობის ნაყოფი"[28].

როგორც უკვე ითქვა, დონ პიეტრო ავიტაბილემ ახალი თეატინელი მისიონერები ჩამოიყვანა რომიდან. ახლა ისინი გორში გაცილებით უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე სამუშაო იყო ამ ქალაქში. ასეთ ვითარებაში დონ პიეტრო ავიტაბილემ ყურადღება მიაქცია საქართველოს მეზობლად მდებარე განჯის პროვინციას, რომლის მმართველი, — დაუდ ხანი, — წარმოშობით ქართველი იყო.

დონ პიეტრო ავიტაბილეს გაგონილი ჰქონდა, რომ დაუდ ხანი კარგ ურთიერთობაში იყო თეიმურაზ მეფესთან და ქრისტიანებს კარგად ეპყრობოდა. ამრიგად განწყობილი დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ

---

[28] Archivio Segreto Vaticano. Cf. Miscellinae, 10. Urbanus VIII..., vol. 45, ff. 146v° (160v°)—147v° (161v°).

ჯაკომო და სტეფანოსა და მორჩილი ძმა მატეო ფლორინოსთან ერთად, თეატინელთა ახალი მისიონის დაარსების მიზნით განჯაში გაემგზავრა.

დაუდ ხანმა ისინი კარგად მიიღო: საცხოვრებელი ბინა მისცა, ეკლესიის აგებას შეჰპირდა, სურსათით მოამარაგა. დაუდ ხანი ხშირად საუბრობდა თეატინელ მისიონერებთან. დონ ჯაკომო დი სტეფანო განჯაში მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა, შემდეგ კი კვლავ გორში დაბრუნდა. გათვალისწინებული იყო გორიდან სხვა თეატინელი მისიონერების გაგზავნა. ახლა ამის შესაძლებლობა არსებობდა. თვითონ დონ ჯაკომო დი სტეფანო, იმის მომხრე იყო, რომ გორში დარჩენილიყო, რათა თეიმურაზ მეფესთან ახლო ყოფილიყო. მათ შორის მეგობრული ურთიერთობა არსებობდა. იგი ხშირად ხვდებოდა მეფეს და საუბრობდა მასთან. მეფეც ამით დიდად კმაყოფილი იყო. ამ დროს გორში არასასიამოვნო ცნობა მოვიდა განჯიდან. იქ მოულოდნელად მდგომარეობა ისე გართულებულიყო, რომ თეატინელი მისიონერები ძლივს გადარჩნენ ცოცხალი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ სპარსეთში მოღვაწეობდნენ ალავერდი ხან უნდილაძის ორი ვაჟიშვილი — შირაზის ბეგლარბეგი იმამ ყული ხანი და განჯის მმართველი დაუდ ხანი. ორივე შაჰ აბას პირველის დროს მეტად გაძლიერდნენ და ქვეყანაში შაჰის მფარველობით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

„ლარისტანის პროვინცია და კუნძული ბაჰრეინი ეკუთვნოდა შირაზის ბეგლარბეგს იმამ ყული ხანს. ეს ადგილები შაჰ აბასმა მას სამუდამოდ დაუმკვიდრა. სპარსეთის შაჰები ჩვეულების თანახმად, ხშირად აძლევდნენ თავიანთ პროვინციებზე აბსოლუტურ ბატონობას ისეთ ადამიანებს, რომლებიც ფლობდნენ მაღალ თვისებებს, თავს გამოიჩენდნენ სამხედრო სამსახურში, ხოლო თუ მათი მხრიდან ადგილი ექნებოდა ღალატს, ჩამოართმევდნენ მათ ასეთი გზით ნაჩუქარ სამფლობელოებს“ — წერს დონ გარსია დე სილვა ი ფიგეროა[29].

შაჰ აბას პირველი ისევე დიდად აფასებდა იმამ ყული ხანს, როგორც მამამისს — ალავერდი ხანს. შვილმა უფრო გამოიჩინა თავი შაჰ აბასის წინაშე და „დაიმსახურა შაჰის სიყვარული და პატივისცემა, გადასცა რა მას საგანძური, რომელიც დატოვა სიკვდილის წინ მისმა მამამ. ეს საგანძური იყო უზარმაზარი, ვინაიდან მიცვალებული თავის

---

[29] L'Ambassade de Don Garcias de Silva y Figueroa en Perse..., Traduite de l'Espagnel par M. De Wicqfort, A Paris, 1667, p. 130.

დროზე, დაეუფლა ლარის[30] მმართველის ჰამდრაიმ ხანის უდიდეს სიმდიდრეს“[31].

მიუხედავად ამისა, იმამ ყული ხანი ვალდებული იყო აღმოეჩინა დახმარება ათი ათასი მებრძოლით (როგორც ფეხოსანი ისე ცხენოსანი) შაჰისათვის, ყოველთვის, როდესაც ეს აუცილებელი იქნებოდა.

თვითონ იმამ ყული ხანი ცხოვრობდა როგორც მეფე და ჰქონდა დიდი და მდიდრულად მორთული სასახლე, ჰყავდა მრავალი მსახური, რომელიც შედგებოდა სამხედრო პირების, პოლიტიკოსებისა და მსახურებისაგან. იმამ ყული ხანი ნაკლებად მკაცრი პიროვნება იყო, თუ შევადარებდით მას მის მდგომარეობაში მყოფ სხვა პიროვნებებს, კერძოდ აღმოსავლეთში.

სპარსეთის იმპერიაში ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა შაჰ აბას I-ის კარზე დაუდ ხანი განჯელი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ დაუდ ხანის შესახებ ნათქვამია: „როსტომ-ხანმა, რომელიც ამ პერიოდში (იგულისხმება შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ. — ი. ტ.) დიდი გავლენით სარგებლობდა შაჰ სეფის კარზე, მოახერხა დაუდ ხანის გაძევება. 1630 წელს დაუდ ხანი ყარაბაღში წავიდა და განჯას დადგა. თეიმურაზს მასთან კავშირი შეუკრავს — „შეიფიცნეს, ადრებეჟანის დაპირვა მოინდომეს“. თეიმურაზი დახმარებია დაუდ ხანს, მათ ერთიანი ძალით ბარდა და ყარაბაღი დაურბევიათ“[32].

რამდენადაც იმამ ყული ხანთან და დაუდ ხანთან დაკავშირებული ამბები განსხვავებულად აქვთ აღწერილი თეატინელ მისიონერებს, გადავწყვიტე მათი ცნობები მივაწოდო მკითხველს.

შაჰ სეფი I-მა, რომელმაც შაჰ აბას I-ის შემდეგ (გარდაიცვალა 1629 წლის იანვარში) სამეფო ტახტი დაიკავა, აითვალისწუნა ეს ორი ქართული წარმოშობის, სპარსეთის სამეფოში მეტად გავლენიანი ხანი — იმამ ყული და დაუდი. შაჰ სეფი ყველა საშუალებას მიმართავდა, რათა ბოლო მოეღო ორივესათვის.

მათ წინააღმდეგ პირდაპირ ბრძოლას შაჰ სეფი ერიდებოდა, ვინაიდან ისინი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ქვეყანაში და ხალხი მადლიერი იყო მათი ხელგაშლილობის გამო. ამიტომ შაჰ სეფი შეეცადა ეშმაკობით მოეღო ბოლო მათთვის. მან გადაწყვიტა დაუდ ხანი განჯელი მახეში გაება და ისე მოეკლა. შაჰ სეფიმ განჯის მმართველი დაუდ ხანი თბილისის ხანადაც დანიშნა, ხოლო თბილისის ციხესიმაგრის უფროსს საიდუმლო ბრძანება მისცა: როდესაც დაუდ ხანი

---

[30] ლარის, ლარისტანის პროვინცია — სამხრეთ სპარსეთში, სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარეობს.

[31] Ibid., p. 130,

[32] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 294.

თბილისის ხანის პოსტის დასაკავებლად თბილისის ციხესიმაგრესთან გამოცხადდებოდა, შეეშვა იგი ციხესიმაგრეში, დაეპატიმრებინა და მოეკლა.

შაჰ სეფის ბრძანება — დაეკავებინა თბილისის ხანის თანამდებობა, დაუდ ხანმა სიამოვნებით მიიღო, მაგრამ რამდენადმე ეჭვი შეეპარა შაჰის გადაწყვეტილების გულწრფელობაში. ამიტომ შაჰ სეფის მან მადლობა გადაუხადა ასეთი დიდი პატივისათვის, მაგრამ თბილისში თვითონ არ წავიდა. იქ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა, რომელსაც განჯიდან უგზავნიდა განკარგულებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემართა ქალაქი და რა გაეკეთებინა.

შაჰ სეფიმ დაინახა, რომ მისი ცდა ჩაიშალა. მაშინ მან განჯაში გაგზავნა ორი თავისი სანდო კაცი, რომელთაც ევალებოდათ თვალყური ედევნებინათ დაუდ ხანის მოქმედებისათვის და ბოლოს როგორმე ბოლო მოეღოთ მისთვის. შაჰის ეს ახალი განზრახვა დაუდ ხანს შეატყობინეს შაჰის სასახლის კარიდან მისმა მეგობრებმა. დაუდ ხანმა მიიღო შაჰის მიერ გამოგზავნილი ეს ორი პიროვნება და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არაფერი იცოდა შაჰის ახალი განზრახვის შესახებ. სინამდვილეში კი შაჰის მიერ გამოგზავნილ ამ ორ პიროვნებას მიუჩინა თავისი სანდო პირები, რომლებიც ყურადღებით თვალყურს ადევნებდნენ მათ.

ამასობაში დაუდ ხანმა თავისი ერთგული კაცი გაგზავნა თეიმურაზ მეფესთან და შეატყობინა ყოველივე ზემოაღნიშნული. ამასთანავე, შეუთვალა, რომ ერთ-ერთ წინასწარ დათქმულ დღეს, დაუდ ხანი ჩავიდოდა თავისი ამალით მასთან, რომელშიც იქნებოდნენ შაჰის აგენტებიც და მათ მიერ უკვე განჯაში გაჩენილი მეგობრები. თეიმურაზ მეფეს თავის კარავთან ახლო უნდა ჰყოლოდა თავისი ჯარი, რომელიც დაუდ ხანის მისვლისთანავე მის ამალაში ამოწყვეტდა დაუდ ხანის ყველა მოწინააღმდეგეს, ხოლო ამის შემდეგ თეიმურაზი თავისი ჯარით დაუდ ხანთან ერთად გასწევდა განჯისაკენ, რათა იქ მოესპოთ შაჰის მომხრეები.

როდესაც დაუდ ხანმა თეიმურაზ მეფისაგან მიიღო სათანადო თანხმობა, შეაგროვა თავისი ქონება და ოჯახით კახეთისკენ წავიდა, სადაც იმ დროს თეიმურაზ მეფე იყო ჩასული. დაუდ ხანის გამგზავრება თეიმურაზ მეფესთან არავის არ გაკვირვებია, ვინაიდან თეიმურაზ მეფე ხშირად იწვევდა მას სანადიროდ კახეთში.

ჩავიდა თუ არა კახეთში დაუდ ხანი თავისი ამალით თეიმურაზ მეფესთან, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წინდაწინ იყო დათქმული, მაგრამ დაუდ ხანის ამალიდან ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ შეძლო გაქცევა. იგი განჯაში ჩავიდა და გააფრთხილა მოსახლეობა მოსალოდ-

ნელი უბედურების შესახებ. მალე თეიმურაზის ლაშქარიც დაუდ ხანთან ერთად მივიდა განჯაში, გაანადგურა და გაძარცვა ქალაქი.

მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მოასწრო მთებში გახიზვნა. მათთან ერთად გაიქცნენ თეატინელი მისიონერებიც — დონ პიეტრო ავიტაბილე და მორჩილი ძმა მატეო ფლორინო. ისინი ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს და დიდი ხნის წვალების შემდეგ გორში დაბრუნდნენ.

ამრიგად, დონ პიეტრო ავიტაბილეს ცდა, დაეარსებინა თეატინელთა მისიონი განჯაში, უშედეგოდ დამთავრდა.

მეორე მხრივ, დაუდ ხანის ამ ამბოხებას მოჰყვა ახალი გართულება საქართველოსა და სპარსეთს შორის. შაჰ სეფიმ გადაწყვიტა შური ეძია თეიმურაზ მეფეზე.

აქაც მომაქვს ცნობები თეატინელი მისიონერებისა, რომლებიც იმ დროს გორში იყვნენ და თვითონ საკუთარი თვალით იხილეს ყველაფერი, რაც იმ პერიოდში საქართველოში ხდებოდა.

სხვა თეატინელ მისიონერთა შორის გამოირჩევა დონ ჯუსტო პრატო, რომლის 1633 წლის ოქტომბერში გორიდან რომში გაგზავნილ წერილში აღწერილია ეს ამბები. ეს წერილი რომში, ვატიკანის არქივებიდან ავიღე და მის შინაარსს აქვე გავაცნობ მკითხველს.

დონ ჯუსტო პრატო გორში ჩამოვიდა დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ რომიდან წამოყვანილ თეატინელ მისიონერთა ჯგუფთან ერთად 1632 წლის 10 ივლისს და აქ დარჩა მთელი თავისი სიცოცხლე (იგი გარდაიცვალა 1638 წელს). ამრიგად, იგი ქართლში როსტომის გამეფებისა და მისი პირველი წლების მმართველობის უშუალო მოწმე იყო.

საქართველოში წამოსვლამდე დონ ჯუსტო პრატო (იგი იყო იტალიის ქალაქ ლეჩედან) მუშაობდა პალერმოში (სიცილია) და სახელი გაითქვა კეთროვანი ავადმყოფების მკურნალობის საქმეში.

დაუდ ხან განჯელისა და თეიმურაზ მეფის ურთიერთობაზე დონ ჯუსტო პრატო წერს: „თეიმურაზ მეფემ დახმარება აღმოუჩინა განჯის პროვინციაში შაჰის მუდმივ ნაცვალს" — დაუდ ხანს. 1632 წლის ოქტომბერში დაუდ ხანი „აუჯანყდა სპარსეთის შაჰს, თავის პატრონს, შეიტყო რა, რომ შაჰი, თითქოს, ცდილობდა იგი მოეკლა"[33]. შაჰმა უკვე მოაკვლევინა მისი ძმა — იმამ ყული ხანი, შირაზის ხანი და ახლა უნდოდა ბოლო მოეღო მისი ძმისათვის.

„ამ შემთხვევის გამო, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — ქართველებმა მთლიანად გაანადგურეს განჯის პროვინცია, რითაც გამოიწვიეს

---

[33] Archivio della SCPF, SOCG, „Persia, Georgia, Mingrelia, Tartaria", anno 1648, vol. 209, f. 147.

სპარსეთის შაჰის რისხვა, რომელმაც გაიგო რა [ქართველების] ამ წარმატების შესახებ, მაშინვე გაგზავნა საქართველოს წინააღმდეგ დიდძალი არმია, რომელიც სხვა ლაშქრობის განხორციელების მიზნით, უკვე სრულ მზადყოფნაში ქალაქ ისფაჰანში იდგა".

ჯუსტო პრატოს თანახმად, განჯის ლაშქრობა მოხდა 1632 წლის 8 ოქტომბერს და მხოლოდ 1633 წლის 1 იანვრისათვის გამხდარა გორში ცნობილი, რომ სპარსეთის არმია საქართველოში სალაშქროდ მოდიოდა. მაგრამ ბევრს ეგონა, რომ შაჰის მიერ გამოგზავნილი არმია 20—30 ათასზე მეტი არ იქნებოდა. ამიტომ სპარსეთის ჯარის მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ ცნობას დიდი შიში არ გამოუწვევია. მხოლოდ იანვრის ბოლოს როგორც ხალხმა, ისე თეიმურაზ მეფემაც დაიწყეს სათანადო მზადება. ხალხი ჩვეულებრივად შეუდგა თავისი ქონების მიწაში ჩამალვას[34]. შაჰმა კი ნამდვილად დიდძალი არმია გამოგზავნა. ამ არმიას შაჰ სეფიმ სათავეში ჩაუყენა როსტომ ხანი, რომელიც იმავე დროს ქართლის მეფედ (ჯანიშინად) დაინიშნა. თეიმურაზ მეფემ ზოგიერთ ღონისძიებას მიმართა. „მან მოქმედებისაკენ მოუწოდა კახეთისა და ქართლის სამეფოების ჯარებს, მაგრამ, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — ამ დროისათვის უკვე ხმა გავრცელდა, რომ საქართველოსკენ მომავალი სპარსეთის არმია მეტად ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო". მიუხედავად ამისა, განაგრძობს ჯუსტო პრატო, ერისთავებმა არ მოისურვეს თეიმურაზ მეფის დასახმარებლად თავიანთი ლაშქრის გამოყვანა. ასევე მოიქცნენ თეიმურაზის სამეფოს ყველაზე უფრო ღირსეულნი — სამეფოს ლაშქრის მთავარსარდალი ამილახვარი და თავადები, კერძოდ, ფარსადანი, რომელსაც თითქმის ერისთავის ხელისუფლება ჰქონდა. მეფეს არ დაეხმარნენ თავადები და აზნაურები...

ყველამ მათ მეფეს ბოდიშის მოხდით უარი უთხრეს იმ საბაბით, რომ განჯის ლაშქრობა, რომელმაც სპარსეთის შაჰის გაჯავრება გამოიწვია, მოხდა „როგორც დივანის, ე. ი. სახალხო პარლამენტის (სახელმწიფო საბჭოს. — ი. ტ.), ისევე მათთან (ქართველ ერისთავ-დიდებულებთან. — ი. ტ.) შეთანხმების გარეშე. ეს ასეც იყო ნამდვილად" — წერს ჯუსტო პრატო.

იმ დროს, როდესაც თეიმურაზ მეფე თბილისთან ახლოს ერთ-ერთ ვიწრო გასასვლელთან უკვე თავის ლაშქარს ელოდებოდა, ხოლო მასთან იყო მხოლოდ სამი ათასი კაცი, მოვიდა უტყუარი ცნობა, რომ შაჰის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი შედგებოდა 123 ათასი კაცისაგან, მათ შორის უმრავლესობა ცხენოსანი იყო.

---

[34] Ibid.

თეიმურაზ მეფისათვის მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. დახმარების იმედი არსაიდან იყო. მეფე იძულებული იყო უკან დაეხია. „როგორც კი იგი დარწმუნდა ამ უკანასკნელ ცნობაში, თეიმურაზმა... უფრო უკეთესი ადგილის შერჩევის საბაბით, ბრძანა შემსხდარიყვნენ ცხენებზე. ასევე გასცა ბრძანება: მეფესთან მყოფ პატრიარქს, ეპისკოპოსებს და განსაკუთრებით, დედოფალს, სამასი სხვა ქალის თანხლებით, თავი შეეფარებინათ ბაშიაჩუკის მიუვალ მთებში“.

ამის შემდეგ თეიმურაზ მეფეს საჯაროდ განუცხადებია თავისი ჯარისკაცებისა და თანამებრძოლებისათვის, რომ ისინი უკან იხევენ, ვინაიდან თქვა მან, წერს დონ ჯუსტო პრატო: „დღეს ჩვენი ძალები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ ასეთ მრავალრიცხოვან არმიას, რამდენადაც, ჩვენი ერისთავები თავიანთი ხალხით ჯერ კიდევ არ მოვიდნენ“.

დონ ჯუსტო პრატო წერს, რომ ეს მოხდა 1633 წლის 18 თებერვალს, დღით ოთხშაბათს. მეორე დღეს დილის 5 საათზე გორში მაცნე მოსულა და ხალხისთვის შეუტყობინებია: „თავს უშველეთ, ვისაც შეუძლია, ვინაიდან მეფე გაიქცა, ხოლო სპარსეთის არმია უკვე შემოვიდა ქართლის სამეფოშიო...“ მთელი ქალაქი ფეხზე დადგა — შენიშნავს დონ ჯუსტო პრატო.

ყველაზე მეტი სიმშვიდე კათოლიკე მისიონერებს შეუნარჩუნებიათ, „ვინაიდან, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — ვიცოდით, რომ ჯარის გენერალი, სარდლად წოდებული და ახალი მეფე, რომელსაც ერქვა ხოსრო მირზა, ხოლო სპარსელების მიერ როსტომ ხანად წოდებული, ქართველი რჯულგანდგომილი და დედოფლის — თეიმურაზის მეუღლის ბიძაშვილია. იგი დიდი პატივით ეპყრობოდა ფრანკებს (ევროპელებს. — ი. ტ.) სპარსეთში“.

იმავე დილას წმიდა მამა დონ ჯაკომო დი სტეფანო და წმიდა მამა ამბროსიო დუშ ანჟუში შესხდნენ ცხენებზე და სპარსელების შესახვედრად გზას გაუდგნენ, მაგრამ გაიგეს რა, რომ სპარსელები ჯერ კიდევ გორიდან სამი დღის სავალი მანძილით არიან დაშორებული, საღამოს უკან დაბრუნდნენ.

„ეშინოდათ რა სპარსელი ჯარისკაცების მოულოდნელი თავდასხმისა, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — სპარსელების ჯარის წინამძღოლთან შესახვედრად გორიდან რამდენიმე კაცი გაგზავნეს“. ისინი შეხვდნენ სპარსეთის ლაშქარს, წარსდგნენ როსტომ მეფის წინაშე. „მეფემ მაშინვე დააჯილდოვა პირველი მაცნეები, ბრძანა რა თითოეულისათვის მიეცათ ფარჩის ხალათი, ხოლო მაცნეების მეთაურს უბოძა მამასახლისის თანამდებობა, ე. ი. კაპიტნის, ანუ ქალაქის მერის თანამდებობა, რომელიც დაემორჩილებოდა მეფის ყველა ბრძანებას“. გო-

რიდან მისულ ამ მაცნეებს უთქვამთ როსტომ მეფისათვის, რომ გორიდან მათ შესახვედრად კათოლიკე მისიონერებიც წამოსულან, მაგრამ ისევ უკან დაბრუნებულანო.

როსტომ მეფემ კაცი გაგზავნა მისიონერებთან, დაამშვიდა ისინი, თავისთან მიიწვია და კარგად დაასაჩუქრა. „მეფემ ჩვენ მოგვცა, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — მეტად შეღავათიანი სიგელი, რომლითაც განამტკიცა არა მარტო ყოველივე ის, რაც გვიბოძა თავის დროზე თეიმურაზ მეფემ, არამედ გაგვანთავისუფლა შემოტანილი საქონლის ბაჟისაგან და ბინის ქირის გადასახადისაგან. ამასთანავე, გვიბრძანა, რომ დავმორჩილებოდით მხოლოდ მის პირად განკარგულებებს ყველა საკითხში... მან გასცა ბრძანება, გარდა წყლისა და მზის შუქისა, არავის გაებედა ჩვენს სამფლობელოში შესვლა, მოვემარაგებინეთ წყლით, მარილითა და სხვ. და ყველაფერი ეს დაამტკიცა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით.

მხოლოდ ერთი ამბის გამო დარჩენილან მისიონერები ნაწყენი როსტომ მეფეზე: „მან წაგვართვა, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — მეგრელი ყმაწვილი, მეტად საზრიანი ახალგაზრდა, სახელად სქვამი კოჩი, რომელიც დაუდ ხან განჯელმა გვაჩუქა იმ საბაბით, რომ ეს ყმაწვილი იყო იმ მეამბოხის საკუთრება, რომელიც შაჰის წინააღმდეგ გამოვიდა და ახლა ეს ყმაწვილი, თითქოს, მას ეკუთვნოდა.

როსტომ მეფემ ასევე სამი ბიჭი წაართვა წმიდა მამა ავგუსტინელებს. სამაგიეროდ მეფე დაგვპირდა ჩვენთვის საჩუქრად მოეცა სხვა ყმაწვილები, მაგრამ მან ეს დაპირება არ შეასრულა, თუმცა ამის შესახებ არა ერთხელ მოვაგონეთ მესამე პირის საშუალებით“.

როგორც დონ ჯუსტო პრატო და ასევე სხვა კათოლიკე მისიონერები აღნიშნავენ, სპარსელები და თურქები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რათა საქართველოდან წაეყვანათ ახალგაზრდები. ისინი მათ იყენებდნენ პირველ რიგში თავიანთი ლაშქრის გასაძლიერებლად და ასევე ამით დიდ ზიანს აყენებდნენ საქართველოს. აქ ხომ ათეულ და ასეულ ყმაწვილებზე არაა ლაპარაკი, არამედ ათასობით ახალგაზრდაზე, რომლისაგან საქართველო განუწყვეტლივ იცლებოდა და ქვეყანა ნადგურდებოდა.

წარმოდგენაც კი ძნელია, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — თუ რამდენად დიდია სპარსეთისა და კონსტანტინოპოლელი თურქების სიხარბე ყმაწვილი ქრისტიანებისადმი. ამ მხარეებში ვერავინ ბედავს გადაიყვანოს ბიჭები ერთი ადგილიდან მეორეში, მაშინაც კი, როდესაც მას მიჰყვება საკუთარი მამა. მცირე მოწყალების ფასად (სპარსელები და თურქები) ართმევდნენ მათ ბავშვებს, არა მარტო იმიტომ, რომ იყოლიონ ბავშვები, არამედ იმ მიზნით, რომ აიძულონ ისინი

უარი თქვან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, რომელიც მათ მეტად სძულთ“.

იმის დასადასტურებლად, რომ სპარსელებს და თურქებს სწორედ ქრისტიანი ყმაწვილები აინტერესებდათ და არა სხვა, დონ ჯუსტო პრატოს მოაქვს ერთი მაგალითი: „გასულ წელს მეფე თეიმურაზს მადლობა უნდა გადაეხადა ერთ-ერთი სპარსელი ბატონისათვის, მისგან მიღებული ერთ-ერთი სამსახურისათვის. ამ მიზნით თეიმურაზმა იყიდა საქართველოს მეზობელ მხარეში მცხოვრებ კერპთაყვანისმცემლებისაგან ოთხი ყმაწვილი და საჩუქრად გაუგზავნა იმ სპარსელს. მიიღო რა ისინი სპარსელმა, თუმცა ბიჭები იყვნენ თავისთავად ლამაზი, მან მაშინვე შენიშნა, რომ ისინი კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და წამოიძახა: „არა, აბა მხოლოდ ერთი შეხედეთ, ვინ გამომიგზავნეს! მე მინდოდა მიმეღო ვინმე მისი ქრისტიანი და არა კერპთაყვანისმცემელი, რომელიც მე თვითონ ბევრი მყავს“.

განსაკუთრებით სპარსეთში ბევრი იყო ქართველი: „დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით — რჯულგანდგომილებით, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობაც კი სახელმწიფოში. თვითონ სპარსეთის შაჰი აბასიც კი ქართველი ქრისტიანი ქალის შვილი იყო“.

შაჰ აბას I-მა აღმოსავლეთ საქართველოში ზედიზედ სამი ლაშქრობის დროს (1613—1617 წწ.), დონ ჯუსტო პრატოს ცნობით, 60 ათასი ოჯახი წაიყვანა საქართველოდან. თითო ოჯახში იგი არა ნაკლებ ოთხ სულს გულისხმობს. აქედან, მისივე ცნობით, 1633 წლისათვის იმ რიცხვიდან დარჩენილი იყო მხოლოდ 20 ათასი ოჯახი, დანარჩენი დაიხოცა.

ამრიგად, განაგრძობს დონ ჯუსტო პრატო, „ქართველების შემწეობით სპარსეთი გამდიდრდა... ასე რომ, ამჟამად სპარსეთის არმია შედგება ქართველი და სომეხი რჯულგანდგომილებისაგან. ამასთანავე, საუკეთესო თანამდებობები, დაწყებული თვით მთავარსარდლიდან, სპარსეთის არმიაში დღეს უკავია ქართველ რჯულგანდგომილებს. აი რატომ იყო, რომ (როდესაც ქართლში როსტომის მეთაურობით სპარსეთის ლაშქარი შემოვიდა. — ი. ტ.) ქართველების მხრიდან არავინ არ ფიქრობდა წინააღმდეგობის გაწევას, ვინაიდან ყოველ ქართველს იმედი ჰქონდა, რომ შეხვდებოდა თავის ახლობელს — შვილს, მამას, ძმას ან ქმარს და ა. შ.“

ამრიგად, 1633 წლის 18 თებერვალს თეიმურაზ მეფემ თბილისიდან უკან დაიხია. ოთხი დღის შემდეგ — 23 თებერვალს სპარსეთის არმია ქართლში შემოვიდა, გორს მოუახლოვდა და გორიდან ოთხ მილზე

განლაგდა, მაგრამ მალე დაიწყეს თავიანთი კარვების გაშლა პირდაპირ გორის კარიბჭეებთან.

1633 წლის მხოლოდ 31 მაისისათვის მისულა გორთან სპარსეთის მთელი არმია. სპარსეთის ლაშქარმა „თანდათანობით ალყა შემოარტყა მთელს ქალაქს და მის გარშემო გაშალა 15 ათასი კარავი... ქალაქის გარეუბანი სავსე იყო ხალხით, ცხენებით, აქლემებით, ხარებით, კარვებით".

მთელი ეს ლაშქარი გორში დარჩა იმავე წლის 12 ივლისამდე, ე. ი. 44 დღე. ამ დროის განმავლობაში კირისა და უბრალო ქვისაგან ქალაქის გულში სპარსეთის ლაშქრის ჯარისკაცებს 25 დღეში აუგიათ ციხესიმაგრე. სამუშაოზე დაკავებული ყოფილა 20 ათასი კაცი. ციხესიმაგრეზე დაუდგამთ 15 ზარბაზანი. დამცველები შეიარაღებულნი ყოფილან მშვილდისრით. მსგავსი ციხესიმაგრეები როსტომ მეფეს აუგია ქართლში კიდევ სამ ადგილას, „რათა ეს ადგილები კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა".

თეატინელ მხატვარ-მისიონერს დონ კრისტოფორო დე კასტელის დაუხატავს გორისციხე და საჩუქრად მიუცია როსტომ მეფისთვის, ხოლო ამ უკანასკნელს უთქვამს, რომ ამ სურათს საჩუქრად სპარსეთის შაჰ სეფის გავუგზავნიო.

თეატინელი მისიონერები წერენ, რომ როსტომ მეფის მოსვლით ქართლში რეპრესიები არ დაწყებულაო, ალბათ, ამიტომ მოსახლეობა პროტესტს არ გამოთქვამდა ახალი მეფის მიმართო და დონ ჯუსტო პრატო დასძენს: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმერეთის მეფესთან მყოფ თეიმურაზს გაუჭირდება ქართლში დაბრუნება, რომ ქართველებს (ქართლელებს, — ი. ტ.) არა აქვთ საბაბი, უკმაყოფილება გამოთქვან ახალი მთავრობის მიმართ".

ამასთანავე, დონ ჯუსტო პრატო მიუთითებს: „თეიმურაზმა ხომ სხვა დროს სამჯერ დაჰკარგა ტახტი და ისევ აღიდგინა იგი. საქმე ის იყო, რომ თეიმურაზი თავისი მამაცობისა და ქცევის გამო უყვარს თავის ყველა ქვეშევრდომს.

ახლაც თავისი სამეფო ტახტი მან დაჰკარგა მხოლოდ თავისი გულკეთილობით, ვინაიდან არ ისურვა მაშინვე დაესაჯა ისინი, ვინც პირველად უარი თქვა მხარი დაეჭირა მისთვის სპარსელების წინააღმდეგ. თეიმურაზს რომ შეძლებოდა შეეგროვებინა არმია, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა სპარსელები ვერ გაბედავდნენ ჩაბმულიყვნენ გაშლილ ომში, ვინაიდან ყველა მათგანს ეშინოდა მხოლოდ თვით თეიმურაზის ხმლისა".

დონ ჯუსტო პრატო მიუთითებს იმ დიდ შიშზე, რომელიც როსტომ მეფეს ჰქონდა თეიმურაზის მიმართ. იგი ყოველთვის ელოდებოდა

თეიმურაზის მოსვლას თავისი ძალებით. როსტომის ეს შიში უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან გაუშვა თავისი ლაშქრის დიდი ნაწილი და დაიტოვა მხოლოდ მცირე. „მას ეს მოეჩვენა არა საკმაოდ. მას ღალატის ეშინოდა და არ უნდოდა, რომ მისი გარნიზონი ღამით მძინარე ენახათ. მან უბრძანა თავის ხალხს, რომ დღე-ღამე ფრთხილად ყოფილიყვნენ. ყოველ ღამეს იგი აწყობდა სადღესასწაულო ნადიმს მუსიკით, ფანფარებით, ბარაბნის დაკვრითა და ბაქაბუქით. ისინი იძინებდნენ მხოლოდ მზის ამოსვლისას და ეძინათ საღამომდე. ის ორი თვე (ივლის-აგვისტო), რომელიც მან აქ (გორში. — ი. ტ.) დაჰყო, ასეთ ვითარებაში გაატარა".

როსტომ მეფის მოსვლით დაზარალებულა მხოლოდ თავადი ფარსადანი, „რომელიც, თითქმის, ერისთავის ხელისუფლებას ფლობდა", ვინაიდან მან მაშინვე არ აღიარა ახალი მეფე. მისი ადგილ-მამული გაანადგურეს, იქიდან „6 ათასი ბიჭი წაიყვანეს და სპარსეთის შაჰს საჩუქრად მიართვეს. სხვა მსგავსი ძარცვა როსტომის არმიას არ ჩაუდენია. ჯარისკაცები იქცეოდნენ ზრდილობიანად და მორიდებულად, არავის მიმართ არ იჩენდნენ სიმკაცრეს, ყველაფერზე იხდიდნენ ფულს და ჩვენც დიდ სამსახურს გვიწევდნენ" — შენიშნავს ჯუსტო პრატო. მაგრამ დონ ჯუსტო პრატოს ამ სიტყვების გაზიარება არ შეიძლება. არსებობს საბუთები, რომლებიც მიუთითებენ იმ მძარცველობასა და ძალადობაზე, რომელსაც ჩადიოდნენ სპარსელები მოსახლეობაში.

სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ სპარსეთის არმიას ყოველთვის თან დაჰყვებოდა დიდი და მდიდარი ბაზარი, სადაც ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა. ახლაც, როცა სპარსეთის ლაშქარი გორში მოვიდა, მას თან ახლდა ეს ბაზარი. ამდენად, ჯარსაც თან ახლდა სიმდიდრე და ხელსაყრელი პირობები. „სპარსელი ჯარისკაცი, — წერს დონ ჯუსტო პრატო, — ცხოვრობს მოხერხებულად. მისთვის აუცილებელი არაა იფიქროს ძარცვასა და ქურდობაზე[35], ვინაიდან გარდა სოლიდური ხელფასისა, რომელსაც, როგორც წესი, კვირაში ერთხელ ღებულობს ყოველი ჯარისკაცი, არმიას თან ახლავს დიდი ბაზარი, სადაც ყველაფერია, რაც მას მოესურვება. კაცს ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ თითქოს, იმყოფები ნეაპოლის ქუჩებში — დუქნები მსოფლიოში ცნობილი ყველა ხელოსნის ნაწარმით, ყველა შემთხვევისათვის საჭირო საქონელი- ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა, რაც კი კაცს სჭირდება". მისიონერებიც სარგებლობდნენ ამ ბაზრით.

როსტომ მეფეს დაუნიშნია ახალი კათალიკოსი (ალბათ, ევდემოზ I დიასამიძე), „რომელიც უფრო ჯარისკაცს ჰგავს, — წერს დონ ჯუსტო

---

35 არც აქაა სწორი ჯუსტო პრატო. სპარსელ ჯარისკაცებს სწორედ ძარცვასა და ქურდობაზე ეჭირათ თვალი ყოველთვის.

პრატო, — ვიდრე მღვდელმსახურს. იგი ძალიან ცოტას ზრუნავს ღმერთის კულტის სამსახურზე. ეს ადამიანი გასულ წელს განჯაში ომის დროს თეიმურაზთან ერთად იყო. საკუთარი ხელით მან მოჰკლა რამდენიმე სპარსელი, იმისათვის რომ მოეხსნა მათთვის ძვირფასეულობა". მაგრამ თეატინელ და სხვა მისიონერებთან იგი კარგად ყოფილა განწყობილი. „მას სიამოვნებას ჰგვრის მასთან ჩვენი მისვლა". ისიც იყო რამდენჯერმე ჩვენთან ვიზიტად" — შენიშნავს დონ ჯუსტო პრატო.

როდესაც ქართლში როსტომ მეფის მეთაურობით სპარსეთის ლაშქარი შემოვიდა, კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა შეიკვეცა. მთელმა რიგმა სიძნელეებმა იჩინა თავი. აუცილებელი გახდა რამდენიმე ხნით ქართული და თურქული ენების შესწავლის შეწყვეტა, რომელთა შესწავლა „თავიდანვე დიდი მონდომებით დავიწყეთ" — ატყობინებდა რომს დონ პიეტრო ავიტაბილე.

კიდევ ერთი შენიშვნა დონ ჯუსტო პრატოს ცნობების მიმართ: დონ ჯუსტო პრატო არაა ზუსტი, როდესაც ეხება თეიმურაზ მეფის დამოკიდებულებას გორში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მიმართ. არსებობს სხვა მისიონერების (დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო, დონ არქანჯელო ლამბერტი, დონ კრისტოფორო დე კასტელი და სხვ.) მიერ რომში გაგზავნილი წერილები, სადაც აღნიშნულია თეიმურაზის კარგი დამოკიდებულება კათოლიკე მისიონერებისადმი, რომის პაპისადმი. აღნიშნულია ასევე მისიონერებისადმი მისი მხარდაჭერა, დახმარება და მფარველობა.

მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ დონ ჯუსტო პრატო თეიმურაზისადმი ასეთ დამოკიდებულებას იჩენს მას შემდეგ, რაც თეიმურაზმა დატოვა თავისი სამეფო და ქართლის მეფე გახდა როსტომი. დონ ჯუსტო პრატოს აზრით, თეიმურაზმა თითქოს ტახტი დაჰკარგა იმიტომ, რომ მისიონერების რჩევას არ ღებულობდა და სხვ.

საქართველოში კათოლიკე მისიონერების ნორმალური მუშაობისათვის თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული ენის შესწავლას. ჯერ კიდევ 1628 წლის 28 მაისს საქართველოსკენ მიმავალი დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელიც ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო საქართველოში თეატინელ მისიონერთა მისიონის შექმნისა, ალეპოდან წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიის წინაშე სვამდა საკითხს იმის შესახებ, თუ რაზე უნდა მიექციათ პირველ რიგში ყურადღება საქართველოში მუშაობის დროს.

დონ პიეტრო ავიტაბილე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად თვლიდა ქართული ენის შესწავლას. მისი აზრით, საქართველოში სამუშაოდ ჩასულმა მისიონერმა პირველ რიგში თურქული მაინც უნდა იცოდეს,

„ამის გარეშე ყოვლად შეუძლებელია მუშაობა საქართველოში" — წერდა იგი, ხოლო შემდეგ უნდა შეუდგეს ქართული ენის შესწავლას.

ამასთან დაკავშირებით, დონ პიეტრო ავიტაბილე მოითხოვდა მისიონერების მომარაგებას თურქული ენის ლექსიკონებით, სადაც მოცემული იქნებოდა გარდა სიტყვებისა, ამ ენის შესწავლის წესები. შემდგომში ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ქართული ენის მიმართაც.

დონ პიეტრო ავიტაბილეს თანმხლები დონ ჯაკომო დი სტეფანო საქართველოში ჩამოსვლამდე დაეუფლა თურქულ ენას, ხოლო გორში ჩასვლის შემდეგ, მან პირველმა შეისწავლა ქართული ენაც. ქართულ ენას სწავლობდა ყოველი მისიონერი, როგორც კი საქართველოში ჩამოვიდოდა.

სწორედ ამ დროს წამოიჭრა მისიონერების გორიდან საქართველოს სხვა მხარეში გადასვლის საკითხი. ამ დროისათვის მათი ნორმალური მუშაობისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი იყო დასავლეთ საქართველო, კერძოდ სამეგრელო[36].

---

[36] Archivio della SCPF, SOCG, vol. 4, ff. 321—321vº: „Aleppo, 28 maggio 1628".

დოკუმენტები

ДОКУМЕНТЫ

DOCUMENTS

დოკუმენტები

ქართული თარგმანი კომენტარებით

№ 1.

პაპი ურბან VIII-ის წერილი თეიმურაზ მეფეს

იბერიის მეფეს თეოფილეს[1]
მოძღვართა მოძღვარი ურბან VIII

უძლიერესო მეფევ, სალამი და ღვთის წყალობის ნათელი შენ!

როგორც ყოვლისშემძლე უფალმა გადაწყვიტა, მიწიერ სამეფოებს, რომლებიც მარადიული მბრძანებლის მოხარკენი არიან, არასოდეს არ ექნებათ მტკიცე საფუძველი, თუ ისინი არ ეყრდნობიან ქვაკუთხედს, რომლის გადალახვა არ ძალუძს ჯოჯოხეთის კარს.

ამიტომ ღვთაებრივ მმართველობაში დახელოვნებულნი და ადამიანის სულიერი გადარჩენის სრულყოფილი ქრისტიანი ხელმძღვანელები, გაძლიერებულნი მრავალი შეიარაღებული ლეგიონითა და ტრიუმფების დიდების გვირგვინებით შემკობილნი, მუხლს იდრეკენ დიდი მოციქულის — რომის პაპის ფერხთ წინაშე, უხდიან რა მას სარწმუნოებრივი თაყვანისცემის ხარკს.

იმ დროს, როდესაც შენს უმაღლესობას ამჟამად სურს შევიდეს კათოლიკური ეკლესიის რიგებში, ღვთაებრივი მხედრობა უკვე ემზადება შეუდგეს ახალი სახელმწიფოს დაცვას. ეს განზრახვა, რომელიც მოვიდა შენთან ღვთაებრივი საგანძურიდან ანგელოზ-მფარველთა დახმარებით, წარმოადგენს ციური მოწყალების უტყუარ დადასტურებას. გაფანტული ებრაელების შემგროვებელი და მსოფლიოს ხალხების განმკურნავი ღმერთი გულმოწყალეა და არ გვივიწყებს.

ამიტომ ჩვენ მშობლიური სიყვარულით შევხვდით საყვარელ შვილს, წმიდა ბასილის ბერს ნიკიფორე ირბახს, რომელიც შენ გამო-

გზავნე ჩვენთან წერილით, როგორც შენი ძლიერების დამადასტურებელი და შენი ღვთისმოსაობის თავდები.

ახლა უმორჩილესად ვევედრებით ღმერთს, რომლის ხელშია მბრძანებელთა გულების არსი, მიიყვანოს შენი უმაღლესობის ღვთისმოსაობის განზრახვა სასურველ დასასრულამდე, ხოლო შენ, ანგელოზების დახმარებით, რაც შეიძლება მალე შეხვიდე დედა რომის ეკლესიის წიაღში.

გვინდა გაგანთავისუფლოთ საეკლესიო დაბრკოლებებისაგან და მოგცეთ საეკლესიო ინდულგენციების ნაყოფი, რომლითაც ჩვეულებრივად სარგებლობენ ისინი, ვინც შეჰფიცებს ნეტარ პეტრეს — რომის მმართველი პაპის პიროვნების სახით.

ამ სღვთო საჩუქრებს გადმოგცემთ ღირსეული მორჩილი ძმის მირის[2] არქიეპისკოპოსის საშუალებით, თუ იგი ნახჭევანის ეპარქიაში გაჩერდება. თუ იგი იქ არ იქნება, მას შესცვლიან თეატინელი მღვდელმსახურები, რომლებიც უკვე გამოვგზავნეთ თქვენს ქვეყანაში სახარების საქადაგებლად. თუ ისინი ვერ შეძლებენ თქვენს სამეფოში შემოსვლას, მაშინ ჩვენ ვუბრძანებთ, გამოიძახონ სპარსეთიდან ავგუსტინელი წესის ბერები ან ფეხშიშველი კარმელიტები, რომელთა საშუალებით შენ ღვთის შვილთა რიგებში ჩაირიცხები.

ხოლო, როდესაც შენ ყველა წესის დაცვით აღიარებ ორთოდოქსულ[3] სარწმუნოებას და საზეიმოდ განაცხადებ მორჩილებას, და ეს ცნობა ჩვენთან მოვა, მაშინ სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც ყოვლისშემძლე მოსამართლის ჩაგონებით ახდენს მეფეების ტახტზე დასმას და სამფლობელოების გადანაწილებას, დაამტკიცებს შენს მონარქიულ მმართველობასაც პაპის საზეიმო ლოცვა-კურთხევით. შემდეგ შევეცდებით შენი უმაღლესობისადმი ძმურად განვაწყოთ ქრისტიანი მეფეები, განსაკუთრებით დავიყოლიოთ შენთვის სასურველ მეგობრობაზე ესპანეთის მეფე.

კარდინალთა წმიდა კონგრეგაციამ[4], რომელიც დაკავებულია სარწმუნოების გავრცელებით, მიუთითა ზემოხსენებულ ნიკიფორეს, სახელდობრ, თუ რას მოელის და რას მოითხოვს შენი უმაღლესობისაგან რომის ეკლესია.

საჭიროა მთელი ძალით იზრუნო, რათა ეკლესიის მეთაურები და მღვდელმსახურები, იბერიის სულის მწყემსები, რომლებიც უფლის სახლში ცხოვრობენ, შენთან ერთად ერთსულოვნად აღიარებდნენ პეტრეს სახელმწიფოს — ეკლესიის ხილულ მეთაურს — რომის ტახტის სახით.

ხომ შეუძლებელია მოიფიქრო იბერიის მშვიდობისათვის რაიმე უფრო ხელსაყრელი და ციური მფარველობის მისაღებად უფრო მართებული?

ჩვენ კი ვითვალისწინებთ რა სულის ხსნაში პაპის ხელისუფლების სიდიადეს, ქება-დიდებას შევასხამთ ღვთისმოსავი სიხარულით და ზეიმით, გულმოწყალე მამას, თუ შევძლებთ მოციქულებრივი სიყვარულით გულში ჩაგიკრათ შენ, ხელმწიფევ, თავისი იარაღის დიდებითა და მხნეობით განთქმულო და შეგამკოთ მადლით, რომელიც საშუალებას აძლევს კათოლიკე მმართველებს ღვთისმოსაობით ადამიანური ხელისუფლების ყველა სხვა ტიტულზე მაღლა დადგნენ.

დაწერილია რომში, წმიდა პეტრეს საყდარში, მეთევზის ბეჭდის ქვეშ, 1628 წლის 2 დეკემბერს. ჩვენი მმართველობის მეექვსე წელს[5]

---

[1] Archivio della SCPF,"SOCG, vol. 181, ff. 165—166v°; J. Silos C. R., Historiarum Clericorum Regolarium..., pp. 599—600; Arch. Lamberti, Colchide Sacra, pp. 116—117; Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, pp. 107—108; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97—99, 615—616.

შეიძლება მკითხველმა თქვას: კი მაგრამ, რა საჭირო იყო პაპის ამ წერილის კიდევ ერთხელ გამოქვეყნება, თუ იგი უკვე ზემოხსენებულმა ავტორებმა (მათ შორის, მ. თამარაშვილმა მისი ქართული თარგმანიც) გამოაქვეყნეს?

საქმე ისაა, რომ რომის არქივიდან ჩემს მიერ ამოღებული ამ წერილის ლათინური ტექსტი შევადარე ზემოხსენებული ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს, და ყველგან განსხვავება (უზუსტობა) ვპოვე. მაგალითად, მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ამ წერილის ტექსტში 15-მდე ლათინური სიტყვა გამოტოვებული ან შეცვლილია სხვა სიტყვებით. არაფერს ვამბობთ ცალკეულ ორთოგრაფიულ უზუსტობასა და სასვენ ნიშნებზე.

წერილის ბოლო გვერდზე, მარჯვნივ ქვემოთ, ვერტიკალურად, სხვა ხელით იტალიურად მიწერილია: „Breve di Papa Urbano 8. al Rè Theofilo d'Iberia o della Georgia. 2 X-bre 1628“ („პაპის ურბან მე-8-ის წერილი იბერიის ანუ საქართველოს მეფეს თეოფილეს. 1628 წლის 2 დეკემბერი“). ეს მინაწერი არა აქვთ ჯ. სილოსის, არქ. ლამბერტის, ბ. ფეროსა და მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ამ წერილის ტექსტებს.

ჯ. სილოსის, არქ. ლამბერტისა და ბ. ფეროს მიერ გამოქვეყნებული ამ წერილის სათაურია: „Urhanus Papa Octavus, Dilecto Filio Regi Iberiae“; მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებულის: „Dilecto Filio Regi Iberiae Theimraz kan“. ჩემს მიერ არქივიდან ამოღებული წერილის ტექსტის სათაური კი ასეთია: „Theofilo Regi Iberiae. Urbanus P. P. VIII“.

გარდა ამისა, ჩემს მიერ არქივიდან ამოღებული წერილის ტექსტში არსად არაა მოხსენიებული არც „თეიმურაზი“ და არც „თეიმურაზ ხანი“, არამედ, იბერიის მეფედ მოხსენიებულია „თეოფილე“.

იბერიის მეფისადმი მიმართვაში ხან „თეიმურაზისა“ და ხან „თეოფილეს“ ხმარების შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი (იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 246).

მ. თამარაშვილთან ამ წერილის ტექსტი თავდება სიტყვებით: „რომი 2 დეკემბერი 1628 წ." როგორც მკითხველი შენიშნავს, აქ მთელი აზრია გამოტოვებული წერილის შედგენის სადაურობაზე („წმ. პეტრეს საყდარში, მეთევზის ბეჭდის ქვეშ...").

მ. თამარაშვილთან არც წერილის წყაროა ზუსტად მითითებული (იგივე მდგომარეობაა ჯ. სილოსთან, არქ. ლამბერტისთან და ბ. ფეროსთან). მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი, უფრო ბ. ფეროს მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს ემთხვევა.

მ. თამარაშვილს თავის ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნში (იხ. M. Tamarati, L'Eglise Géorgienne,... pp. 506—507) მოაქვს ამ წერილის ფრანგული თარგმანი, ხოლო სქოლიოში წყაროდ მითითებულია დონ ბართ. ფეროს მიერ ლათინურად გამოქვეყნებული ტექსტი.

[2] მირი — ქალაქი მცირე აზიაში.

[3] თუ კათოლიკური?

[4] წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგია (საბჭო).

[5] აქ მოთავსებული პაპის წერილი შედგება 4 ხელნაწერი გვერდისაგან. ამ წერილის ჩემს მიერ დადგენილი ტექსტი ორიგინალის ფოტოპირით, ქვეყნდება პირველად.

№ 2.

თეიმურაზ მეფის წერილი პაპ ურბან VIII-ს
ჩვენს უფალს ურბან მერვეს

ქართველთა მეფე თეიმურაზ ხანი[1]
აღმოსავლეთი

თქვენი უწმინდესობის უმაღლესი ლოცვა-კურთხევით და ა. შ.

უმაღლესი საზეიმო და თავაზიანი სიტყვების შემდეგ [თეიმურაზის წერილში][2] ლაპარაკია იმ წერილზე, რომელიც თქვენმა უწმინდესობამ (პაპმა. — ი. ტ.) თეიმურაზ მეფეს გამოუგზავნა[3]. [თეიმურაზი პაპს სწერს]: მივიღეთ თქვენი წერილი თქვენს მიერ ჩვენთან გამოგზავნილი თეატინელი ღირსეული მამების, სახელდობრ, მამა დონ პიეტროსა[4] და მამა დონ ჯაკომოს[5] საშუალებით. მათი ჩამოსვლა განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშანია ჩვენდამი, რასაც ჩვენც სათანადოდ ვუპასუხებთ, მივიღეთ რა ისინი საღვთო ადამიანისმოყვარული შეცნების სულისკვეთებით და გავუწიეთ მათ მფარველობა, რის გამოც ამ მამებს ყველა ეპყრობა ყოველგვარი შესაძლებელი მოწყალებისა და კეთილგანწყობის ნიშნით.

მათ ვუბოძეთ შესანიშნავი ადგილი ეკლესიის ასაშენებლად, სადაც მოხერხებულად განლაგდნენ; მათ აქვთ ღვთის ტაძარი შესასვლელით და ჰოლით, სადაც დღე და ღამ ლოცულობენ.

გარდა ამისა, მათ აღმოვუჩინეთ ყველა მოწყალება. განვუცხადეთ რა ჩვენი ნება-სურვილი, რომ სრული უშიშროებითა და ურყევად შეუძლიათ მათ დაიცვან თავისი რელიგია, განახორციელონ მისი წმინდა წეს-ჩვეულებები და, რომ არვინ გაბედოს მათ რაიმე დაბრკოლება შეუქმნას. უფრო მეტიც, გადავწყვიტეთ დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ, რათა ილოცონ ჩვენზე უფლისადმი.

იმის შესახებ, რომ თქვენი უწმინდესობა, კეთილი მამა გვწერს და მიგვითითებს, რომ ჩვენ, ჩვენ ქვეშევრდომებთან ერთად ყური დავუგდოთ, შევიგნოთ და დავემორჩილოთ ხსენებული წმინდა მამების სიტყვებს და ვიყოთ მტკიცე, შეურყეველი და მედგარი რწმენისადმი, ქრისტესადმი და მისი მიმბაძველი; ამაზე გიპასუხებთ, რომ ჩვენ მადლობას ვუძღვნით უფალ ღმერთს იმისათვის, რომ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროიდან დღემდე, ღმერთისა და მისი ციური სამყოფელის შემწეობით, მოწყალებამ და ადამიანთა სიყვარულმა ნამდვილი რწმენისა და ქრისტესადმი მტკიცედ, შეუპოვრად და ღრმად გაიდგა ფესვი ჩვენს ორგანიზმში და ვინახავთ მათ ჩვენს გულში. სავსებით სწორია, რომ ჩვენი სამეფო რამდენიმე ხნის განმავლობაში — 1614 წლიდან 1620 წლამდე აღმოჩნდა თურქი[6] ტირანის ხელში, რომელმაც თავს დაგვატეხა ძარცვა, ნგრევა და უსამართლობა, მაგრამ მიუხედავად ამისა რწმენა და ქრისტეს კანონი შევინარჩუნეთ მტკიცედ და უცვლელად.

და ეს ჩვენი მაგალითი უფრო მეტად, ვიდრე სხვა რამ ცხადჰყოფს, რომ რჯულგანდგომის გზას ჩვენ არ დავადექით და რწმენისაგან არავითარ განდგომას ჩვენ არ დავუშვებთ. ვინაიდან, ღმერთის დახმარებით, ეს ჩვენი სიმტკიცე და ურყეობა ქრისტეს რჯულისადმი გაგრძელდება საშინელი სამსჯავროს დღემდე. ამჟამად ღმერთის წყალობით და თქვენი უწმინდესობის ჩვენი მამის ლოცვა-კურთხევით, ვართ მშვიდობიანად ჩვენს ქვეყანაში.

ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულმა და ერთგულებამ აიძულა დედაჩვენი, სპარსეთის ხელმწიფის სასახლის კარზე წასულიყო, ეზრუნა თითოეული ქრისტიანისათვის, ქართველებისათვის, რომლებიც სპარსეთის სამეფოში იმყოფებოდნენ, დაებრუნებინა ისინი საკუთარ სამშობლოში, თავისი რწმენისა და რელიგიურ წიაღში.

სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებით დედაჩვენი დააპატიმრეს და ტანჯვითა და წამებით აიძულებდნენ რწმენისათვის ეღალატა. მთელი სისასტიკით, გონებაჩლუნგი მძვინვარე სიჯიუტით ექცეოდნენ მას და ასევე ჩვენს წინააღმდეგაც გამოიყენეს მთელი თავიანთი შესაძლებლობა და ძალები[7].

აი უკვე ერთი წელია, რაც დედაჩვენის ძვლები, ე. ი. ჩვენი დედის სხეული, ანუ მისი ნაწილი[8], ღირსეულმა მამამ ამბროსიო ავგუსტინელმა ქალაქ ისფაჰანიდან, პართიის სამეფო კარიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოიტანა. ამისათვის, მადლობის ნიშნად, მე იგი ავიყვანე ჩემი მფარველობის ქვეშ და აღმოვუჩინე მოწყალება, მივეცი რა მას კერა და მიწა იმრიგად, რომ შეძლოს იცხოვროს და ააშენოს სახლი და ეკლესია, სადაც შეეძლება ილოცოს უფლისადმი... ამბროზიო განუწყვეტლივ ლოცულობს ჩვენთვის.

რაც შეეხება ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას, ამის შესახებ თქვენს უწმინდესობას მოახსენებენ წმინდა მამები. მათ ნახეს გატიალებული ველები, ხისა და ქვის შენობების დარჩენილი ნანგრევები და ის, რომ ეკლესიებში არ დარჩა არც ერთი [წმინდანის] გამოსახულება, არც ერთი იქ არსებული ვერცხლის ნივთი, როგორც ამის შესახებ მოახსენებენ თქვენს უწმინდესობას თვითონ წმინდა მამები. ამიტომ გევედრებით [გამოგვიგზავნოთ] ეკლესიაში სამსახურისათვის აუცილებელი ნივთები, თუნდაც ცოტაოდენი. ეს არის სულ ის, რასაც ვთხოვთ თქვენს უწმინდესობას: გასცეს განკარგულება და იზრუნოს ამაზე, ვინაიდან სიყვარული და კაცთმოყვარეობა ყველაზე უფრო ვლინდება მნიშვნელოვან საქმეებში, მოწყალებისა და ურთიერთკავშირების განხორციელებაში, როდესაც მისწრაფება რომისადმი არსებობს.

ამით ვამთავრებ წერილს და ვარწმუნებ თქვენ უწმინდესობას ჩემს ერთგულებასა და სამსახურში თქვენდამი იმ დახმარებისა და ლოცვებისათვის, რომელსაც თქვენ ყოველდღიურად წარმოთქვამთ ჩვენი ქვეყნისათვის...

დე, უფლის მოწყალებამ და მფარველობამ გადააქციოს ეს დაპირება საქმედ და აღსრულდეს.

ქრისტეს დაბადებისა და ამ ქვეყანაში მისი გამოჩენიდან 1629 წლის იანვრის თვის მე-5 დღეს დაიწერა ეს წერილი.

ქართველთა მეფის წერილი
ჩვენს მეუფეს, ურბან VIII-ს,
1629 წლის 5 იანვარი[9].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, ff. 396—396v°.

[2] აქამდე სიტყვები წერილის მთარგმნელს — ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს ეკუთვნის.

[3] „იმ წერილზე, რომელიც თქვენმა უწმინდესობამ...“ თეიმურაზ მეფის სიტყვებია. წერილი თარგმნილია სპარსულიდან. ხოლო რამდენადაც მთარგმნელმა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეომ თავისუფლად არ იცოდა სპარსული, ამიტომ იგი გადმოსცემს წერილის შინაარსს და არა დეტალურ თარგმანს.

[4] იგულისხმება დონ პიეტრო ავიტაბილე.

[5] იგულისხმება დონ ჯაკომო დი სტეფანო.

[6] აქ იგულისხმება მაჰმადიანი, მაჰმადიანობა.

[7] პირველი გვერდის მარცხენა ველზე სხვა ხელით მიწერილია: „... et finalmente,... con... tormenti crudelissimi che li detero nel suo corpo la amazon".

[8] იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 136.

[9] წერილი შედგება ორი ხელნაწერი გვერდისაგან. დაწერილია იტალიურ ენაზე. ამ წერილის მეორე ვარიანტს არ აწერია „აღმოსავლეთი", მაგრამ მისი პირველი გვერდის მინდორზე მიწერილია სხვა (ჩემი აზრით, ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს) ხელით: „მთარგმნელი მამა ჯოვანი ტადეო ფეხშიშველ კარმელიტთა ორდენიდან".

მართალია, თეიმურაზ მეფის ამ წერილის მეორე ვარიანტი შინაარსის მიხედვით დიდად არ განსხვავდება პირველისაგან, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, აქ მივცეთ ამ წერილის პირველი ვარიანტის ქართული თარგმანი, ხოლო მეორე ვარიანტის პირველი აბზაცის ქართული თარგმანი და იტალიური ტექსტი კი მთლიანად.

თეიმურაზ მეფის ამ წერილის ლათინური ტექსტი და მისი ქართული თარგმანი იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107—109, 618—619.

№ 2ა.

თეიმურაზ მეფის წერილი პაპ ურბან VIII-ს
(მეორე ვარიანტი)

ჩვენს უფალს, ურბან მერვეს
ქართველთა მეფე თეიმურაზ ხანი[1]

თარგმნა ფეხშიშველ კარმელიტ
ჯ ო ვ ა ნ ი ტ ა დ ე ო ·მ[2].

თქვენი უწმინდესობის უმაღლესი ლოცვა-კურთხევითა და ა. შ. აღმავალი და საზეიმო, სასიყვარულო და თავაზიანი სიტყვების შემდეგ [თეიმურაზის წერილში ლაპარაკია] იმ წერილის შესახებ, რომელიც თქვენმა კეთილშობილებამ (პაპმა. — ი. ტ.) გამოგვიგზავნა და გადმოგვცეს თქვენს მიერ ჩვენთან გამოგზავნილმა თეატინელმა ღირსეულმა მამებმა, სახელდობრ, წმინდა მამებმა დონ პიეტრომ და დონ ჯაკომომ. ისინი ჩამოვიდნენ დანიშნულ და სასურველ ადგილას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მეტად საუკეთესო და კარგ დროს, რაც ჩვენთვის სასიხარულოა და მადლობელი ვართ...

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, 1622—1629, vol. 180, ff. 10—11.

[2] მიწერილია სხვა ხელით. ჩვენი აზრით, მთარგმნელის — ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს მინაწერი უნდა იყოს. ამ წერილის იტალიურ ტექსტს აქ მთლიანად ვათავსებთ თავისი ორიგინალის ფოტოპირით. ორივე ვარიანტის იტალიური ტექსტი და ორიგინალების ფოტოპირი პირველად ქვეყნდება.

№ 8.

მეფე თეიმურაზ I-ის წერილი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს

+

იესო, მარიამი

ქართველთა მეფის, თეიმურაზ ხანის, წერილი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს[1] აღმოსავლეთი

მთარგმნელი ფეხშიშველი კარმელიტი მამა ჯოვანი ტადეო[2].

ღრმად პატივცემულო ბატონებო, უმაღლესნო, მეუფენო, ქომაგებო წმიდა თავშესაფარისა, სადაც იმყოფება სიყვარულითა და კაცთმოყვარეობით შეკავშირებული მართლმორწმუნეთა საზოგადოება.

სათანადო ტიტულებისა და ჩვეულებრივი ცერემონიალის, პატივისა და მადლობის გამოხატვის შემდეგ[3] [წერილში ნათქვამია, რომ] ღირსეული წმიდა მამები თეატინელები, რომლებიც თქვენმა ღრმად პატივცემულმა მოწყალებამ[4] გამოგზავნა, ჯანმრთელად ჩამოვიდნენ ამ ქვეყანაში. მადლობელი ვართ მოწყალებისა და კაცთმოყვარეობისათვის, რაც ჩვენთან მათ გამოგზავნაში გამოიხატა.

მათი ჩამოსვლა აღინიშნა იმით, რომ მათ ვუბოძეთ ყველაფერი, რაც მათთვის აუცილებელი იყო. რაც შეეხება მათ ჩამოსვლის ძირითად მიზანს, მათ ჩვენ აღმოვუჩინეთ დახმარება და კარგად მივიღეთ. მათმა შრომამაც უკვე ნაყოფი გამოიღო, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც აღნიშნულია პაპის სიგელში და რომიდან მიღებულ წერილში. მაგრამ ამის შესახებ თქვენ გაცნობებენ ზემოხსენებული წმინდა მამები თავიანთი წერილებით. თქვენი უწმინდესობა მათგან ასევე მიიღებს სხვა სასიამოვნო ცნობებს. ამასთანავე, წმინდა მამები გამოთქვამენ თავიანთ თხოვნას, რომ მოამარაგონ ისინი ყოველივე იმით, რაც მათთვის აუცილებელია, რათა ისინი ადგილზე მიღებულ იქნენ კარგად.

როცა ღირსეულ მამა დონ ჯაკომო თეატინელს, მათი მაღალი დიდებული მეუფეობის დავალებით აქ გამოგზავნილს, ყველა ამ წმიდა მამის სახელით თქვენ მაღალ დიდებულებასთან გამოვგზავნით[5], სი-

ტყვიერი დაპირებითა და პატივისცემით ვავუწყებთ, ავუხსნით და დავუდასტურებთ თქვენს მეუფეობრივ უწმინდესობას, თუ როგორაა საქმეები ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენის მხრიდან გპირდებით, რომ ყველა სასულიერო და საერო პირს, განსაკუთრებით კი წმიდა მამებს, რომლებიც აქ, ჩვენს ქვეყანაში და მის პროვინციებში ჩამოვიდნენ, მაღალი და ბრწყინვალე, დიდებული სახელის მქონე ქვეყნიდან, აღმოვუჩენთ ყოველგვარ მოწყალებას და მფარველობას. მათ მიეცემათ ხელსაყრელი ადგილები, სადაც შეეძლებათ საცხოვრებლად დაბინავდნენ.

სხვათა შორის, რაც ამჟამად აუცილებლად სჭირდება ჩვენს ქვეყანას — ეს არის ექიმი, რომელიც ზედმიწევნით ფლობს თავის პროფესიას, ვინაიდან ჩვენს მხარეში მძვინვარებს საშიში ავადმყოფობანი.

ამიტომ გთხოვთ გამოგზავნოთ ექიმი, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზრდება მფარველობა და კაცთმოყვარეობა, რაც ქრისტეს რწმენაში და კანონში ჰპოულობს თავის სრულყოფილ გამოხატულებას, საპასუხო გრძნობას და დასაწყისს.

გულწრფელად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, მოწყალენო მეუფენო, არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყებთ თქვენს მსახურს და მთხოვნელს.

დაბოლოს, გარწმუნებთ, რომ ნებისმიერ სამსახურში და ყველა საქმეში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში თქვენ დაგჭირდებათ, თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ჩვენი იმედი შეგვატყობინეთ რა ამის შესახებ, იგი უფლის წყალობით ზუსტად შესრულდება.

ეს წერილი დაიწერა ჩვენი სურვილის აღსანიშნავად ამ ქვეყანაში ქრისტეს გამოჩენიდან 1629 წლის 5 იანვარს[6].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 180, f. 195.

[2] ეს სიტყვები მიწერილია სხვა ხელით, ჩემი აზრით, მთარგმნელის — ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს ხელით. ჩანს, რომ ეს წერილიც თავდაპირველად სპარსულად იყო შედგენილი და რომში ჩასვლის შემდეგ იგი ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეომ თარგმნა.

[3] ეს შესავალი ნაწილი მთარგმნელს ეკუთვნის.

[4] იგულისხმება წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგია.

[5] პირველ ხანებში გათვალისწინებული იყო თეიმურაზ მეფის ელჩის ტიტულით მისიონერებიდან დონ ჯაკომო დი სტეფანო წასულიყო. მაგრამ, როგორც საბუთებიდან ჩანს, თეიმურაზ მეფემ „ვერ გაიმეტა“ დონ ჯაკომო დი სტეფანო, რომელმაც კარგად იცოდა თურქული და ხშირად საუბრობდა თეიმურაზ მეფესთან.

[6] წერილის ამ გვერდზე წმიდა მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს ხელით, მარცხენა ველზე მიწერილია ვრცელი ტექსტი, მაგრამ ჩვენ შევძელით იქიდან მეტად ცოტა ამოგვეკითხა. აი ის, რაც ამოვიკითხე: „არა წმიდა მამა დონ ჯაკომო დი სტეფანო თეატინელი, არამედ წმიდა მამა სომეხმა დომინიკანელმა [წაიღო წერილები გორიდან რომში]... წმიდა მამა დონ ჯაკომო სწავლული ბერებიდან... შეცდომა

იმაში მდგომარეობდა, რომ ვარაუდობდნენ, რომ წმიდა მამა დონ ჯაკომო დი სტეფანო წავიდოდა რომში. იგი შემდგომში ნამდვილად ჩავიდა რომში, მაგრამ სხვა მიზნით, რაც ცნობილია ღირსეული მამა მორჩილი ძმა ავგუსტინელისათვის...“

წერილი შედგება ერთი ხელნაწერი გვერდისაგან. დაწერილია იტალიურ ენაზე, გაკრული ხელით და ამიტომ მეტად ძნელად იკითხება. წერილს თავში დასმული აქვს ჯვარი.

ჩემს მიერ დადგენილი წერილის ტექსტი, თავისი ორიგინალის ფოტოპირით, იბეჭდება პირველად.

№ 4.

თეიმურაზ მეფის წერილი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს

წერილი მეფისაგან წმინდა კონგრეგაციას[1]

მეფის ეს წერილი წმიდა კონგრეგაციისადმი უფრო მოკლეა. ჩვეულებრივი ტიტულებისა და მისალმებების შემდეგ (რომლებიც ძნელია ჩვენს ენაზე ზუსტად გადმოსცე, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გამოვტოვე, მით უფრო, რომ მათ წერილის დასაწყისში უკავიათ არა ერთი პწკარი, არამედ მთელი სამი სტრიქონი) [თეიმურაზ მეფე] გადადის საქმის არსზე და ამბობს[2]: მასთან გამოგზავნილი წმიდა მამები ჩამოვიდნენ, რომ ისინი მან სიყვარულით მიიღო და მათი სურვილის მიხედვით, უბოძა ის, რაც სჭირდებოდათ, როგორც ამის შესახებ წმიდა მამებმა უკვე მისწერეს მის უწმინდესობას რომში და ამ წერილების მიხედვით შეუძლიათ გაიგონ ჩვენი მდგომარეობა; რომ მხოლოდ წმინდა მამა დონ ჯაკომო, რომელიც (როგორც მისი უწმინდესობის მიერ გამოგზავნილი) ჩამოვიდა სხვა ცნობილ წმინდა მამებთან ერთად[3] (მგონია, რომ აქ იგულისხმება მამა ჯაკომო დომინიკანელი[4]), ზეპირად წარმოგიდგენთ ანგარიშს ამ მხარეში საქმეების მდგომარეობის შესახებ[5]. [ამასთანავე] მისი უწმინდესობის (რომის პაპის. — ი. ტ.) ბერებიდან ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვა, მიღებული იქნება სიყვარულით და უზრუნველყოფილი მფარველობით.

იმის გამო, რომ ამ ქვეყანამ (საქართველომ. — ი. ტ.) განიცადა ნგრევა და ძარცვა, რომელიც ერთიმეორეს მოჰყვა, აქ არ დარჩა ერთი ექიმიც კი, მაშინ, როდესაც ქვეყანაში ავადმყოფები არიან. [თეიმურაზ მეფე] თხოვს წმიდა კონგრეგაციის კარდინალებს, გამოუგზავნონ კარგი ექიმი, რაც დიდი პატივისცემის ნიშანი იქნება [თეიმურაზ მეფის] მიმართ.

[გარდა ამისა, თეიმურაზ მეფე] დასძენს, რომ იგი შეურყევლად დგას ქრისტიანულ რწმენაზე და იმედოვნებს, რომ ეს მეუფენი (წმ. კონგრეგაციის კარდინალები. — ი. ტ.) არ დაივიწყებენ მისთვის ილოცონ, ხოლო ის, რაც შეიძლება მის ქვეყანაში ამ მეუფეებს დასჭირდეთ [თეიმურაზ მეფისათვის], საკმარისი იქნება მხოლოდ აცნობონ ამის შესახებ, რათა გულმოდგინედ მოემსახუროს მათ.

ჩვენი უფალის იესო ქრისტეს დაბადებიდან 1629 წლის პეიდერუალის თვის ხუთი რიცხვი[6].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, f. 339.

[2] აქამდე მთარგმნელის სიტყვებია. ამის შემდეგ კი თეიმურაზის. მაგრამ, როგორც მკითხველი შენიშნავს, გადმოცემულია თეიმურაზის წერილის მხოლოდ შინაარსში მესამე პირში და არა წერილის ზუსტი თარგმანი. აქი თვითონ მთარგმნელი ამბობს, რომ ძნელია ამ სიტყვების ზუსტად თარგმნაო. როგორც ჩანს, წერილი დაწერილი იყო სპარსულ ენაზე და მთარგმნელმა — ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეომ არ იცოდა ისე კარგად ეს ენა, რომ წერილები ზუსტად ეთარგმნა.

[3] დონ ჯაკომო დი სტეფანოსთან ერთად გორში ჩავიდნენ: დონ პიეტრო ავიტაბილე და მორჩილი ძმა კლავდიო. ისინი ალინჯიდან (სომხეთი) გორში მიაცილა სომეხმა დომინიკანელმა ბერმა.

[4] ეს სომეხი დომინიკანელი ბერი ჯაკომო რომში მიემგზავრებოდა. სწორედ ამ დომინიკანელმა ბერმა წაიღო რომში თეიმურაზ მეფის წერილი. დონ ჯაკომო დი სტეფანო რომში არ წასულა. უფრო გვიან (1630 წლის აგვისტოში) თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილები რომში წაიღო დონ პიეტრო ავიტაბილემ.

[5] დომინიკანელ ბერ ჯაკომოს დავალებული ჰქონდა არა მარტო გადაეცა ვატიკანში თეიმურაზ მეფის წერილი, არამედ ზეპირადაც მოეხსენებინა საქართველოს ამბების შესახებ.

[6] თეიმურაზის ეს წერილი, როგორც უკვე ითქვა, თარგმნილია სპარსულიდან (დასაშვებია ისიც, რომ იგი ბერძნულიდან იყოს თარგმნილი). ვამბობ სპარსულიდან იმიტომ, რომ მთარგმნელის სტილი ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს სტილს ჰგავს, ხოლო მან, სპარსული იცოდა და, როგორც პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, იგი საქართველოდან რომში მიღებულ სპარსულ ენაზე დაწერილ წერილებს პიეტრო დელა ვალესთან ერთად თარგმნიდა იტალიურად.

თეიმურაზ მეფის ეს წერილი შედგება ერთი ხელნაწერი გვერდისაგან. დაწერილია იტალიურ ენაზე.

წერილის ბოლოს, იქ სადაც თვე უნდა ეწეროს, წერია სიტყვა „პეიდერუალ". ამ სიტყვის მნიშვნელობა დღემდე ვერ გავარკვიე.

ჩემს მიერ დადგენილი წერილის ტექსტი, თავისი ორიგინალის ფოტოპირით პირველად ქვეყნდება.

№ 5.

კათოლიკოს ზაქარიას წერილი რომის პაპს, ურბან VIII-ს

✝

ქართველთა პატრიარქის წერილი ჩვენს უფალს, ურბან VIII-ს[1]

აღმოსავლეთი

თარგმნილია ფეხშიშველ კარმელიტ მამა ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს მიერ[2].

უმაღლესი ლოცვა-კურთხევისა და თქვენი უწმინდესობის ლოცვის და ა. შ. რიგიანი ტიტულების დასახელების, ჩვეულებრივად მიღებული ცერემონიალის შესრულებისა და პატივისცემის აღთქმის შემდეგ[3] [წერილში ნათქვამია]: ძალიან მსურს ვიხილო, ვემსახურო და ვიარო თქვენი უწმინდესობის მიერ ნაჩვენები გზით.

გაცნობებთ, რომ უფლის, მეფისა და მისი შვილის მამობილის წყალობით, ჩვენი სახელმწიფო უბედურებიდან გადავიდა დამშვიდებულ მდგომარეობაში და ჩვენი უბედურება შეიცვალა ბედნიერებით. თუმცა როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში ჩვენ წმინდა რწმენის შენარჩუნებისათვის დიდი დევნა განვიცადეთ.

რაც შეეხება ჩვენს სარწმუნოებას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ჩვენის მხრიდან, არ ყოფილა უფლის მიერ მოცემული ცნებებისა და წმინდა კანონის არავითარი დარღვევა, ე. ი. იმათი ცნებებისა და კანონის დარღვევა, ვინც თავისი ნეტარებითა და დიდებული ციური სამყოფელოთი, მთელი მსოფლიოს თავშესაფარსა და ქომაგს წარმოადგენს. განსაკუთრებით კი შვილის მამობილი იყო და მუდამ იქნება ჩვენი მწყალობელი და დამცველი.

ჭეშმარიტადაა ნათქვამი, რომ თითქოს, სარკეში ჩანდა ყველაფერი, რაც მოხდა: მისი ღვთიური განგება, მადლობის მოვალეობა და ჩვენი პატივისცემა; მისი მოწყალების ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი არის ყოველივე ის, რასაც თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, აკეთებთ ჩვენთვის, ე. ი. თქვენი მაღალი ტახტიდან თქვენ დიდებულ გამოხედვას აღირსებთ ჩვენს სახეს და განადგურებულ ქვეყანას;

განუხრელად თვალყურს ადევნებთ ჩვენს ბედ-იღბალს და აგზავნით რა ამ მიზნით, თქვენი სახელით თეატინელ წმიდა მამებს, რომლებიც კიდევაც ჩამოვიდნენ ჯანმრთელად.

ჩვენმა მეფემ კი აღმოუჩინა მათ მოწყალება და მფარველობა, უბოძა რა კარგი ადგილი და ეკლესია, სადაც უშიშრად, დამშვიდებულნი და თავმდაბლად დღე და ღამ ეზოში, შიგნით თუ საკურთხევლთან, ვინმეს შეწუხებისა და ხელშეშლის გარეშე, დაკავებულნი არიან განუწყვეტელი ლოცვით.

მეფემ ჩვენს სამეფოში მიიღო გადაწყვეტილება თავისი სურვილის მიხედვით, გასცა ბრძანება და განუცხადა ყველას, რომ წმინდა მამები დარჩნენ და იცხოვრონ საქართველოში — თავისუფლად, უშიშრად, მშვიდად და ყველას მიერ მშვიდობიანად გარემოცულნი, რათა მათ გულმოდგინედ ემსახურონ თავიანთ სარწმუნოებასა და მის წმინდა წეს-ჩვეულებებს; ილოცონ უფლის წინაშე ჩვენთვის — მეფისა და სამეფოსათვის; არავინ გაბედოს ხელი შეუშალოს ან დაბრკოლება შეუქმნას მათ.

უფრო მეტიც, მისმა უბრწყინვალესმა უმაღლესობამ (თეიმურაზ მეფემ. — ი. ტ.) ისურვა, რომ ყველა მისი ვასალი და ქვეშევრდომი მთელი სიზუსტით და სიხარულით ემსახუროს და მფარველობა გაუწიოს მათ, თუ ისინი ამის შესახებ მიმართავენ მათ.

რაც შეეხება იმას, რასაც მისი უწმინდესობა (რომის პაპი. — ი. ტ.) წერს თავის წერილში — რომ ყველამ ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ და დავემორჩილოთ ზემოხსენებულ წმიდა მამების სიტყვებს და მოძღვრებას, ასევე ვიყოთ მტკიცე და შეურყეველი წმიდა სარწმუნოებისადმი, ქრისტეს ერთგული, მშვიდი და მორჩილი, ამაზე გიპასუხებთ:

მადლობელი ვართ უფალი ღმერთის, რომ იმპერატორი კონსტანტინე დიდის დროიდან დღემდე ღმერთისა და მისი დიდებული ციური სამფლობელოს წყალობით გვაქვს მადლი და სიყვარული ნამდვილი სარწმუნოებისადმი; ისევე, როგორც ქრისტეს რწმენა მტკიცედ, უცვლელად და შეურყევლად, ღრმად და გულითადად ზის ჩვენს ორგანიზმში და განმტკიცებულია ჩვენს გულში.

და ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს: როდესაც ჩვენი სამეფო ერთ დროს — 1614 წლიდან 1628 წლამდე თურქის[4] ხელში მოექცა, ხოლო თურქის ქვეშ იგულისხმება სპარსეთის ხელმწიფე შაჰ აბასი, რომელიც, როგორც ტირანი ძარცვავდა, ანადგურებდა და იყენებდა ყოველგვარ ძალადობას ჩვენი ხალხის მიმართ. იყო შემთხვევა, როცა იძულებით ან ზოგჯერ თავისი სურვილით, ქართველები გამაჰმადიანდებოდნენ, მაგრამ ეს იყო იშვიათად და მთელ ქართველ ხალხს ეს სენი არ შეჰხებია. ესენი იყვნენ ცალკეული ურჯულოები და წინდა-

ცვეთილები, რომელთა ჩამოშორებამ ქრისტიანული ეკლესიის მთელ სხეულს ზიანი ვერ მიაყენა. ამდენად, ეკლესიის სხეულის არსებობა უცვლელი დარჩა.

აი რატომაა ქრისტეს კანონს ჩვენში, მთელს საქართველოში, ყველა ქართველი მტკიცედ და მუდმივად იცავს და მომავალშიაც დაიცავს. ყოველგვარი სისუსტისა და დათმობის გარეშე. ასე რომ, ღვთის წყალობით, ნამდვილი ქრისტიანული სარწმუნოება იარსებებს ჩვენთან საშინელ სამსჯავრომდე.

მას შემდეგ, რაც სპარსეთის შაჰი ჩვენს ქვეყანას შემოესია, ვერცხლისა და მოვერცხლილი საგნები, რაც კი გაგვაჩნდა, ეკლესიაში და მის გარეთ, არაფერი არ დარჩა, ყველაფერი გაიტაცეს. ამიტომ ვთხოვთ თქვენს უწმინდესობას, გაითვალისწინოს ჩვენი მდგომარეობა და გაიღოთ ჩვენი ეკლესიისადმი რაიმე მოწყალება. ეს ღვთისმოსავი და წმიდა საქმე გახდება კაცთმოყვარეობისა და სიყვარულის ყველაზე არსებითი საბუთი.

ჩვენი უფალი ქრისტეს დაბადებისა და ამ ქვეყანაზე მისი გამოჩენიდან 1629-ე წლის იანვრის თვის 5-ს, ხოლო რეფორმით შეცვლილი კალენდრის მიხედვით 19 რიცხვს დაიწერა ეს წერილი[5].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, ff. 394—394v°.

[2] ეს მინაწერი მთარგმნელ ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს უნდა ეკუთვნოდეს.

[3] აქამდე წერილის მთარგმნელის, ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს სიტყვებია.

[4] ეს სიტყვა — „თურქი", ჩვენ წინა წერილშიც შევხვდა. აქ კი თვითონ მთარგმნელი იძლევა მის განმარტებას. „თურქი" — საერთოდ მაჰმადიანის აღმნიშვნელ სიტყვადაა ნახმარი, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ნიშნავს „სპარსელს" ან „შაჰს".

[5] წერილი შედგება ორი დიდი ფორმატის ხელნაწერი გვერდისაგან. იგი დაწერილია იტალიურად, მაგრამ თარგმნილია სპარსულიდან. აქ მის სპარსულ ტექსტსაც ვაქვეყნებ. აქვე ქვეყნდება ამ წერილის მეორე, იტალიური ვარიანტიც თარგმანის გარეშე, ხოლო შემდეგ, სპარსული ტექსტი თარგმანითურთ.

კათალიკოს ზაქარიას ამ წერილების ჩემს მიერ დადგენილი იტალიური ტექსტები მათი ორიგინალის ფოტოპირებით, (ასევე სპარსულიც), პირველად ქვეყნდება.

№ 6.

კათოლიკოს ზაქარიას წერილი პაპ ურბან VIII-ს[1]

ყველა ის, ვინც ქრისტეს თაყვანს სცემს და მასზე ლოცულობს, ღმერთი დააკმაყოფილებს. ჩვენ მონა-მორჩილები ვართ მაღალადგილოვანის, სახელმწიფოს სიძლიერისა და სიდიადის საფარველის, მისი უდიდებულესობის[2], რომელსაც იესო ქრისტეს ოჯახის სიწმინდისა

და მისი ქრისტიანი შვილების წინამძღოლის გვირგვინი უპყრია; ეს დიადი ბედნიერება მას მინიჭებული აქვს იმ ერთარსების მიერ, რომელიც ყოველთვის სამეფო ტახტისათვის ძლიერებისა და ბედნიერების მომტანია და ყოველნაირი უბედურებისაგან იცავს მას.

შემდეგ [კათოლიკოსი პაპს] მოახსენებს, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი წმიდა მამები ჩამოვიდნენ და ჩვენი ქვეშევრდომები მათ დიდის პატივისცემით შეხვდნენო. საუკეთესო ადგილები და ეკლესიები ჩააბარეს და ისინიც განმარტოებით ცხოვრობენ და დღეღამეს ღვთის ლოცვაში ატარებენო.

ხოლო, რაც შეეხება მისი უწმინდესობის რჩევას, რომ ჩვენ შევესმინა ზემოხსენებული წმიდა მამების სიტყვა და შეგვემცნო გზანი უფლისანი, მოგახსენებთ, რომ მოყოლებული ფადიშაჰის წინაალმდეგ ომებისა, ვიდრე დღემდე, ჩვენს სამეფოში უფლის სიყვარული ყოველთვის გვეპყრა ხელთ და ეს რჯული ჩვენს გულებში მტკიცედ არის გამჯდარი; თუმცაღა დრო იყო, როცა ჩვენს ქვეყანაში ძარცვასა და თარეშს ჰქონდა ადგილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენს სჯულზე მტკიცედ ვიდექით და არავითარი შეცდომა არ დაგვიშვია.

იდიდოს მისმა (უფლის. — ი. ტ.) სახელმა, რადგან ცნობილია, რომ განკითხვის დღეს ეს სარწმუნოება გაიმარჯვებს. ამჟამად მისი უდიდებულესობის მუდმივი ღვთაებრივი ვარსკვლავი ჩვენს ქვეყანაში სუფევს და თუ ჩვენ ქვეყანაში ეკლესიებს შორის რამე განხეთქილებას ჰქონდა ადგილი დღეს ამის მსგავსი არაფერი არისო.

ჩვენი თხოვნაა ეკლესიების შესახებ ზოგიერთი ამბავი შეგვატყობინოთ, რაც კიდევ უფრო განამტკიცებსო სიყვარულს ჩვენს შორის.

დაიწერა ქრისტეს შობიდან ათას ექვსას ოცდა ცხრა წელს, თებერვლის თვეს[3].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, 1631—1645 vol. 180, ff. 30—30v°.

[2] სიტყვა „უდიდებულესობა“ ეხება რომის პაპს, ამიტომ აქ უფრო სწორი იქნებოდა არა „უდიდებულესობა“, არამედ „უწმინდესობა“.

[3] წერილი სპარსულიდან თარგმნა ნუგზარ დუნდუამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

წერილი შედგება ორი გვერდისაგან: ერთ გვერდზე მოცემულია წერილის სპარსული ტექსტი, ხოლო მეორეზე მხოლოდ ზაქარია კათალიკოსის ხელრთვა, რომელიც იშიფრება შემდეგნაირად: „კზი მოგახსენებ კსნ კსნ კსნ ადიდენ ზა: კ(ათალიკო)ზი მოგახსენებთ: კ(ირილეი)ს(ო)ნ კ(ირილეი)ს(ო)ნ კ(ირილეი)ს(ო)ნ ადიდენ ზ(აქარი)ა.

„კათალიკოზი მოგახსენებთ: უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე, ადიდენ, ზაქარია“. („კირილეისონ“ ბერძნულიდან: „უფალო შეგვიწყალე“).

ეს ხელრთვა გაშიფრა ნუკრი შოშიაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

№ 7.

კათოლიკოს ზაქარიას წერილი, რომელიც რომში გაიგზავნა[1]

მის უმაღლესობას, ვეზირათსა და სიდიადის საფარველს, სიკეთისა და სიყვარულის, მოწყალებისა და სიმამაცის ბურჯს..., რომ ყოველთვის მისი უდიდებულესობის მონა-მორჩილნი ვიყავით და ვართო; და იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენი ბედნიერი შეხვედრის გზა ღვთის მიერ საუკეთესოდ არის დაცული.

შემდეგ [კათალიკოსი ზაქარია] მოახსენებს, რომ წმინდა მამები, რომლებიც თქვენ გამოგზავნეთ, ჩამოვიდნენ და ჩემმა ქვეშევრდომებმა ისინი დიდის პატივისცემით მიიღეს და რაც სჭირდებოდათ, ყველაფერი მისცესო.

ცნობები ხსენებული წმინდა მამების შესახებ რომის პაპის წერილში იყო დაწერილიო და ჩვენც წიგნის მეშვეობით მოგახსენებთ, რომ თუ ამჟამად თქვენი უდიდებულესობის რომელიმე წმინდა მამათაგანი კვლავ გვეწვევა, უფრო მეტი წყალობით მივიღებთო.

იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივი დროის მანძილზე განხეთქილებას ჰქონდა ადგილი და მკურნალობაში განსწავლულები აღარ დაგვრჩა თხოვნა გვაქვს, რომ ერთ-ერთი თქვენი მკურნალობაში განსწავლულთაგანი გამოგვიგზავნოთ, რათა იმრავლოს სიყვარულმა ჩვენ შორის და რაც კი რამ საქმე და დავალება ექნება მას, ყველაფერი მოგვახსენოსო.

დაიწერა ქრისტეს დაბადებიდან ათას ექვსას ოცდაექვს[2] წელს, თებერვლის თვეს[3].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, 1631—1645, vol. 180, ff. 23—23v°.

[2] აქ შეცდომა უნდა იყოს. წერილის შინაარსის მიხედვით, შეუძლებელია, რომ ეს წერილი დაეწერათ 1626 წელს. მისიონერები, რომელთა შესახებ ლაპარაკია, როგორც ცნობილია, საქართველოში (გორში) ჩამოვიდნენ 1628 წლის დეკემბერში, მაშასადამე, ეს წერილი უნდა დაეწერათ 1628 წლის დეკემბრის შემდეგ. ჩემი აზრით, ეს წერილიც, როგორც წინა წერილი, დაწერილია 1629 წლის თებერვალში.

[3] წერილი შედგება ორი სპარსულად დაწერილი გვერდისაგან. აქაც წერილის ტექსტი მოცემულია ერთ გვერდზე, ხოლო მეორე გვერდზე — მხოლოდ წერილის ავტორის ხელრთვა. წერილი სპარსულიდან თარგმნა ნუგზარ დუნდუამ, ხოლო ხელრთვა ამოშიფრა ნუკრი შოშიაშვილმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

კათალიკოს ზაქარიას ხელრთვაში აქაც იკითხება: კზი: კ(ათალიკო)ზი. კზი მოგახსენებ კსნ კსნ კსნ ზა: კ(ათალიკო)ზი მოგახსენებ: კ(ირიელეი)ს(ო)ნ, კ(ირიელეი)ს(ო)ნ, კ(ირიელეი)ს(ო)ნ, ზ(აქარი)ა.

№ 8.

კათალიკოს ზაქარიას წერილი
წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს

ქართველთა პატრიარქის წერილი
წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს[1]

მთარგმნელი ფეხშიშველი კარმე-
ლიტი მამა ჯ ო ვ ა ნ ი ტ ა დ ე ო[2].

ღრმად პატივცემულო უმაღლესნო მეუფენო, ქომაგებო წმიდა თავშესაფარისა და მართლმორწმუნე საზოგადოების ადგილსამყოფელოსი, რომელიც ერთიანია და შეკავშირებულია სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის სახელით, სადაც წარმოდგენილია უფლისა და წმიდა სულის სახე — ახლა და მარადის რწმენის დიდებისა და სიძლიერის დადასტურება; როგორც ღვთის ნამდვილი კანონის საფუძველი და დასაყრდენი, რომლის დასაცავად, ღრმად პატივცემულმა მეუფეებმა თავი მოიყარეს დიდ საეკლესიო კრებაზე და საკრებულოში, თან მიჰყავთ რა ყველა, ღვთიური კანონის სწორი გზით.

სათანადო და შესაფერისი ტიტულების, ცერემონიალისა და ჩვეულებრივად მიღებული თავაზიანობის შემდეგ, თეატინელი ღირსეული მამების, ე. ი. სწავლული ბერების შესახებ [წერილში ნათქვამია], რომ წმიდა მამები, რომლებიც თქვენმა მოწყალებამ ჩვენთან გამოგზავნა, ჯანმრთელად ჩამოვიდნენ ამ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენმა უბრწყინვალესმა მეფემ მიიღო პატივით, აღმოუჩინა მათ მფარველობა: გასცა განკარგულება მაშინვე მიეცათ მათთვის ყოველივე აუცილებელი.

რაც შეეხება იმ რჩევას და მსჯელობას, რომელიც ნათქვამია ხსენებული წმიდა მამების მიერ ჩამოტანილ წერილში, მათ შეუძლიათ თვითონ მისწერონ და თავიანთ წერილებში ჩამოაყალიბონ როგორც თხოვნა, ისევე პასუხებიც.

რაც შეგვეხება ჩვენ, აქ ყველას — სასულიერო და საერო პიროვნებას, განსაკუთრებით წმინდა მამებს, რომლებიც მათი დიდებულების (წმიდა კონგრეგაციის კარდინალების. — ი. ტ.) დავალებით ჩვენს ქვეყანაში და მის პროვინციებში ჩამოვა, აღმოვუჩენთ ყველა შესაძლებელ მოწყალებასა და მფარველობას და უფრო მეტსაც, ვიდრე დღემდე აღმოგვიჩენია. სხვა ამბებთან ერთად ისინი დაადასტურებენ იმ მუდმივ ცვლილებებს და არეულობას, რაც ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტელმა შემოსევებმა, განადგურებამ, ადამიანთა გადასახლებამ,

დევნამ, უბედურებამ გამოიწვია და ერთი მეორის მიყოლებით თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას.

ბოლოს და ბოლოს, მოხდა ისე, რომ ჩვენს ქვეყანაში არ დარჩა არც ერთი კარგი, გამოცდილი მკურნალი, თავისი ხელობის კარგი მცოდნე მაშინ, როდესაც მისი უდიდებულესობის (თეიმურაზ მეფის. — ი. ტ.) სახელის კარზეც კი არიან ავადმყოფები. ამიტომ იგი (თეიმურაზ მეფე. — ი. ტ.) გთხოვთ თქვენ ღრმად პატივცემულო ბატონებო, ხელი შეუწყოთ ჩვენთან კარგი პრაქტიკის მქონე, გამოცდილი ექიმის გამოგზავნას, რაც იქნებოდა ყველაზე უფრო დამადასტურებელი საბუთი კაცთმოყვარეობისა და სიყვარულისა, რომლებიც თქვენ განზრახული გაქვთ ყოველდღიურად აღმოუჩინოთ ჩვენს ქვეყანას; ამავე დროს, ყველა თქვენი თხოვნა, უფლის წყალობით და სურვილით, მაშინვე იქნება დაკმაყოფილებული და შესრულებული...

უფალი ქრისტეს დაბადებისა და ამ სამყაროში მისი გამოჩენიდან 1629 წლის „ბიდერვაცის“ თვის 5-ს დაიწერა ეს წერილი[3].

მშვიდობით.

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 180, ff. 22—22v°.

[2] მიწერილია სხვა ხელით, რომელიც მთარგმნელს — ჯოვანი ტადეო დე სან ელიზეოს უნდა ეკუთვნოდეს.

[3] წერილი შედგება ორი გვერდისაგან. იგი დაწერილია იტალიურ ენაზე. ხელთ მაქვს ამ წერილის მეორე ვარიანტი, რომლის სათაური ასეთია: „ქართველთა პატრიარქის წერილი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს. აღმოსავლეთი“, შემდეგ მოდის წერილის ტექსტი. მთარგმნელის მინაწერი მას არა აქვს. ამ მეორე ვარიანტის ჩემს მიერ დადგენილ ტექსტს ორიგინალის ფოტოპირით, ქართული თარგმანის გარეშე, აქვე ვათავსებ.

წერილის ბოლოს მიწერილია სიტყვა: „ვალე“, რაც ნიშნავს: „მშვიდობით“. არ ვიცი ვის ეკუთვნის ეს სიტყვა: წერილის გადამწერს, თუ კათალიკოს ზაქარიას.

რაც შეეხება სიტყვას: „ბიდერვაც“, ვერ დავადგინე. შეიძლება თვის აღმნიშვნელი იყოს.

№ 9.

თეიმურაზ მეფისა და კათოლიკოს ზაქარიას მიერ რომში გაგზავნილი წერილების მოკლე შინაარსი

ქართველთა მეფისა და პატრიარქის მიერ ჩვენი უფლისა და პროპაგანდა ფიდესადმი მიწერილი წერილების მოკლე შინაარსი[1]

მეფის (თეიმურაზ მეფის. — ი. ტ.) მიერ ჩვენი უფალისადმი (რომის პაპისადმი. — ი. ტ.) მიწერილ წერილში, ტიტულებისა და პატრი-

ვისცემის გამომხატველი მრავალი სიტყვის შემდეგ (რომელთა თარგმანის ზუსტი გადმოცემა ჩვენს ენაზე ძნელია და უკავია წერილის სათაურის შემდეგ არა მარტო პირველი პწკარი, არამედ მისი მომდევნო მთელი ექვსი სტრიქონი) მთავარ საკითხებზე ნათქვამია შემდეგი[2]:

რომ [თეიმურაზ მეფის სახელზე] გამოგზავნილი წერილი ჩააბარეს მას თეატინელმა ღირსეულმა მამებმა პიეტრომ და ჯაკომომ[3]; იგი მიღებულ იქნა დროულად; და რომ, მან (თეიმურაზმა. — ი. ტ.) აკოცა წერილს, დაიდო თავზე და მოისმინა მისი შინაარსი. ზემოხსენებული ღირსეული მამები მან ალერსიანად მიიღო. მისცა მათ კარგი საცხოვრებელი ბინა და ეკლესია, სადაც უკვე მოეწყვნენ კიდეც და დღე-ღამ ღვთისმსახურების საქმით არიან დაკავებული; მათ მიიღეს თავისუფლება ღვთისმსახურება შეასრულონ თავიანთი რიტუალის მიხედვით და მთელი გულმოდგინებით.

რაც შეეხება წმინდა მამის (აქ, მგონია, იგულისხმება მისი უწმინდესობა) წერილში მოცემულ რჩევას, მოვუსმინოთ მის მიერ გამოგზავნილ წმინდა მამებს და გავყვეთ ქრისტეს გზას, მადლობა ღმერთს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან დღემდე უფლის სამფლობელოს წყალობით (ანუ კონსტანტინეს შემწეობით, რომლის დროსაც მათ მიიღეს ქრისტიანობა) მისი ქვეყანა (საქართველო. — ი. ტ.) ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მტკიცედ და ურყევად მიჰყვება ქრისტეს გზას.

მართალია, რამდენიმე წლის წინათ, მისი ქვეყანა გაანადგურეს თურქებმა (ამ სახელის ქვეშ იგულისხმება სპარსელები, ე. ი. ყიზილბაში ჯარისკაცები, წარმოშობით თურქები[4] და ქართველების მიერ თურქებად წოდებულნი), მიუხედავად ამისა, არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა სარწმუნოების ღალატისა. ისინი დარჩნენ ურყევი და უცვლელი თავიანთ რჯულისადმი.

ასე რომ, თუ იქნება უფლის წყალობა, ქრისტეს სარწმუნოება მის ქვეყანაში ყოველთვის დარჩება ჭეშმარიტ აღდგომამდე, მისი მამის ვარსკვლავით (ე. ი. მისი უწმინდესობის სურვილით) და უფლის თანაგრძნობით (ე. ი. მისი დახმარებით და წყალობით) იგი (თეიმურაზ მეფე. — ი. ტ.) უკვე დამშვიდებით ფლობს თავის ქვეყანას.

რომ დედამისი წავიდა სპარსეთში შაჰის კარზე, რათა ხელი შეეწყო იმ ქრისტიანებისათვის, რომლებიც აღმოჩნდნენ თურქების (სპარსელების. — ი. ტ.) ქვეყანაში, დაუბრუნდნენ თავიანთ სამშობლოსა და თავიანთ ძველ სარწმუნოებას.

სპარსეთის შაჰის ბრძანებით მისი (თეიმურაზის. — ი. ტ.) დედა დააპატიმრეს და სასტიკი წამებით გარდაიცვალა. უკვე ერთი წელიწადია[5], რაც მისი ძვლები ისფაჰანიდან (თეიმურაზს. — ი. ტ.) ჩამოუტა-

ნა ავგუსტინელმა მამამ ამბროსიომ, რომელსაც მან (თეიმურაზ მეფემ. — ი. ტ.) დიდი მოწყალება აღმოუჩინა, მისცა რა ეკლესია, კარგი საცხოვრებელი და იგი დღემდე დაკავებულია ღვთისმსახურების საქმიანობით.

რომ წმინდა მამის (ე. ი. მისი უწმინდესობის) მიერ გამოგზავნილი ბერები თვითონ დარწმუნდნენ, რომ მისი (თეიმურაზ მეფის. — ი. ტ.) ქვეყანა განადგურებულია, ეკლესიებში არაფერი დარჩა. ამის შესახებ მის უწმინდესობას მოახსენებენ წმინდა მამები.

იგი (თეიმურაზ მეფე. — ი. ტ.) თხოვნით მიმართავს მის უწმინდესობას, გამოუგზავნოს საეკლესიო საგნები (წერილში ლაპარაკია საერთოდ, მაგრამ, მგონია, რომ იგულისხმება საკურთხევლის, დიდებისა და ღვთაებრივი შეწირვისათვის საჭირო საგნები), რასაც იგი მიიღებს, როგორც დიდ პატივს.

და რომ, ყოველივეს, რაც კი დასჭირდება მის უწმინდესობას, მის (თეიმურაზ მეფის. — ი. ტ.) ქვეყანაში, ცნობის მიღებისთანავე მთელი მონდომებით შეასრულებს.

ჩვენი უდიდესი იესო ქრისტეს დაბადებიდან 1629 წლის პიდერვალის[6] თვის 5-ში დაიწერა ეს წერილი. მოგესალმებით.

წერილი[7].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, ff. 398—398v°.

[2] აქამდე მთარგმნელის სიტყვებია ან იმისა, ვინც წერილი შეადგინა.

[3] იგულისხმებიან: დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო...

[4] „წარმოშობით თურქები", ე. ი. მაჰმადიანები.

[5] თეიმურაზ მეფეს დედამისის ნეშტის ნაწილი პორტუგალიელმა მისიონერებმა 1628 წლის ივნისში ჩამოუტანეს. იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 134.

[6] აქ წერია „პიდერვალ", წინა წერილში კი (იხ. აქვე, საბუთი № 4) წერია „პეიდერუალ", „პეიდერვალ".

[7] წერილის ბოლოს მიწერილია „წერილი". ამ სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია.

წერილი შედგება ორი ხელნაწერი გვერდისაგან. დაწერილია იტალიურ ენაზე, კარგი კალიგრაფიით. წერილის ტექსტი, მისი ორიგინალის ფოტოპირით პირველად ქვეყნდება.

№ 10.

დონ პიეტრო ავიტაბილეს მოხსენებითი ბარათი წმიდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიას

უგანათლებულესო და ღირსშესანიშნავო ბატონებო და ფრიად პატივცემულო პატრონებო[1]

კონსტანტინოპოლიდან უკვე გაცნობებდით, უგანათლებულესო მეუფენო, იმ დაბრკოლებებსა და სიძნელეების შესახებ, რომლებიც იქ (კონსტანტინოპოლში. — ი. ტ.) აღმოჩნდა[2] რომ გზა განგვეგრძო და, იმის შესახებაც, თუ როგორ გადავურჩით სიკვდილს მისი უქრისტიანესი უდიდებულესობის[3], ბატონი ელჩის მფარველობის შემწეობით, მაგრამ იმ პირობით, რომ იმავე გემის კაპიტანი[4], რომელმაც ჩვენ იქ ჩაგვიყვანა, უკანვე იტალიაში დაგვაბრუნებდა.

ამრიგად, ჩვენ იძულებული გავხდით დავბრუნებულიყავით სიცილიაში, საიდანაც გემით გავემგზავრეთ[5]. მაგრამ დავბრუნდით რა მესინაში, მაშინვე კვლავ კუნძულ მალტაზე გავემგზავრეთ და იქ ალექსანდრიისკენ მიმავალ გემში ჩავსხედით. ალექსანდრიიდან კი იძულებულნი გავხდით, ხანგრძლივი შემოვლითი გზით (რათა ვინმესათვის ცნობილი არ გამხდარიყო ჩვენი მგზავრობა) ბაგადეტლის უდაბნოში მივსულიყავით, ხოლო იქიდან ისევ შემოვლითი გზით ისფაჰანისაკენ წავსულიყავით, ოღონდაც კი ყაზვინში მყოფი შაჰ აბასისაგან შორს ვყოფილიყავით.

ისფაჰანიდან გავედით და ხუთმეტი დღის შემდეგ უკვე თავრიზის გზაზე ვიყავით. გავიარეთ რა ალინჯა, იძულებული გავხდით ერევანში წავსულიყავით.

და ბოლოს, უკვე ორი წლისა და ცხრა დღის მგზავრობის შემდეგ[6], უფალმა მოიღო წყალობა, ისურვა ჩვენი დამშვიდება და ჩავედით გორში, საქართველოს მიწაზე, სადაც გავჩერდით 14[7] დეკემბერს საღამოს, დიდებული წმინდა ქრისტიანი-მსახური ქალის[8] დღესასწაულის წინა დღით, რომლის მოღვაწეობის შედეგად ეს სამეფო ქრისტიანულ სარწმუნოებაში მოექცა.

ამრიგად, მეორე დილას პირველი წირვა მივუძღვენით ამ უდიდებულეს წმინდანს, რომელიც მეტად განთქმულია ამ მხარეში. ჩვენთვის ეს იყო უდიდესი ნუგეში. მან მოგვცა ჩვენი წმინდა მოგზაურობის წარმატებით დასრულებისა და უხვი მოსავლის მიღების ახალი იმედი.

თუ რამდენი ტანჯვა და სევდა გადავიტანეთ ჩვენ ამ იმდენად ხანგრძლივი მოგზაურობის დროს, არ მოგიყვებით, ვინაიდან ჩემი თხრობა მეტისმეტად გრძელი იქნება. საკმარისია, რომ ეს ყველაფერი იცის უფალმა ღმერთმა, რომლისადმი სიყვარულით განვიცადეთ ეს ტანჯვა.

მოგახსენებთ მხოლოდ, რომ უკანასკნელი შეტევა ჩვენზე ეშმაკებმა ერევანში მიიტანეს, როდესაც ჩვენ სულ რაღაც ათი დღის სავალზე ვიმყოფებოდით საქართველოდან. ერევანში აღმოგვაჩინეს, შეგვიპყრეს და საშინელი ძალადობით საწამებელში ჩაგვაგდეს, ხოლო შემდეგ სასამართლოს წინაშე დაგვაყენეს. ჩვენი ბარგი გახსნეს, საგნები აღწერეს, ხოლო ჩვენ სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანით დაგვემუქრნენ.

და აი, როდესაც აღმოვჩნდით არაჩვეულებრივ უცნაურ ვითარებაში, ყოველგვარი დახმარებისა და იმედის გარეშე, რის შესახებაც დაწვრილებით ვწერთ ჩვენს წმინდა მამას ორდენის გენერალს, მოულოდნელად გაგვანთავისუფლეს.

მაგრამ ყველა ჩვენს ტანჯვაში, რაც გზაში განვიცადეთ, უფალი თავისი მოწყალებით ასე თუ ისე განუწყვეტლივ ამარაგებდა ჩვენს ძალებს კეთილი ბერების განწყობით, რომლებიც გზაში გვხვდებოდნენ. მაგალითად, ალეპოში მივიღეთ ბევრი მოწყალება და დიდი დახმარება პატივცემული ფრანცისკანელი მამებისაგან, რომლებმაც ფულით მოგვამარაგეს (რაც ჩვენ უკვე გაგვითავდა), რათა გზა განგვეგრძო.

ისფაჰანში, სადაც, დიდი ხნის ფეხით სიარულის გამო, ნახევრად მკვდარნი ჩავედით, კარგად მიგვიღეს იქ მყოფმა ჩვენმა ფეხშიშველმა კარმელიტებმა და ავგუსტინელმა მამებმა, რომლებიც ასევე იქ არიან. ეს მამები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა დაგვხმარებოდნენ და მფარველობა გაეწიათ ჩვენთვის. მოგვამარაგეს წერილებით სომხებისადმი (რომელთა მხარეში ჩვენ უნდა გაგვევლო). ყოველმა მათგანმა, ვისაც როგორ შეეძლო არ დააყოვნეს დახმარება აღმოეჩინათ ჩვენთვის.

მაგრამ შეუძლებელია ქაღალდის ერთ ფურცელზე გადმოცეს ის სიხარული, რაც ჩვენ მივიღეთ ალინჯაში. რომ არ გვქონდა სხვა ჯილდო, ასე ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადატანილი ტანჯვისათვის, მარტო ეს იყო საკმარისზე მეტი, რათა ჯეროვნად დაეფასებინათ ჩვენს მიერ გადატანილი სიძნელეები ამ [სპარსეთის] ვრცელ სამეფოში, რომელიც სავსეა თურქებით (მაჰმადიანებით. — ი. ტ.) და სქიზმატიკოსებით.

აქ არის ერთი პატარა ადგილი, სადაც როგორც ეკლებს შორის ყვავილები, არის ათეული რომაულ-კათოლიკური ადგილი (სწორედ

აქ მოვედით ჩვენც). მიძნელდება გადმოგცეთ, რამდენად დიდი იყო მათი სიხარული ჩვენი იქ ჩასვლის გამო. ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი ეკლესიაში ჩვენი წირვის მოსასმენად, ვინაიდან ჩვენ სწორედ იმ დროს მივედით, როცა შეიძლებოდა წირვის დაწყება. წირვის დამთავრების შემდეგ ყველას უნდოდა ხელებზე გვმთხვეოდა. ბევრი ცრემლი დაღვარეს იმის გამო, რომ მათ საკუთარი თვალით იხილეს თვით რომიდან ჩამოსული მღვდელმსახურები. ვიგონებთ რა ამას გული გვეტანჯება.

აქაური ხალხის მთელი ღვთისმოსაობა — ეს არის აქ მყოფი დომინიკანელი კეთილი მამების ერთგულებისა და წმინდა მაგალითის ნაყოფი. ისინი იცავენ ამ ბატკნებს მრავალრიცხოვანი მგლებისაგან, რომლებიც მათ გარშემო დაძრწიან. ეს კეთილი ბერები თავიანთი სამსახურით მოუწოდებენ და აღაფრთოვანებენ სხვებს კეთილი საქმეებისათვის. ამ მამებმა, რომელთა სათავეში დგას წმიდა მამა, მორჩილი ძმა სომეხი აგოსტინო, მიგვიღეს ისეთი კაცთმოყვარეობით, რომელზე უფრო მეტის გაკეთება არ შეეძლოთ ჩვენ საკუთარ წმინდა მამებსაც კი.

ხსენებულმა წმინდა მამამ, მორჩილმა ძმამ აგოსტინომ იზრუნა ჩვენი დარჩენილი გზის გავლის უზრუნველყოფაზე აუწერელი კაცთმოყვარეობითა და გულმოდგინებით. თუმცა მეტად ძნელი აღმოჩნდა მისი ხელიდან განთავისუფლება. მას ძალიან სურდა, მასთან დავრჩენილიყავით, ზამთრის თვეები მაინც, რათა ამ ხალხში მასთან ერთად გვემოღვაწა. მაგრამ მხურვალე სურვილით აღსავსეებს გვსურდა, რაც შეიძლება მალე მივსულიყავით დანიშნულ ადგილას, იქ, სადაც მიდიოდა ჩვენი გზა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, წავსულიყავით წინ.

დაინახა რა, რომ ჩვენ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი გზა განგვეგრძო, გამოგვიყო გამყოლები: მღვდელი ერთი განათლებული პიროვნებით. ისინი მას ემსახურებოდნენ წირვის დაყენებაში. ამ წირვას ისინი სომხურ ენაზე ასრულებდნენ. ამ გამყოლებმა დიდი სამსახური გაგვიწიეს გზაში. იცოდნენ რა მათ ადგილობრივი ენა, შეძლეს გულთბილად მიეღეთ ყველას, ვინც კი გზაში გვხვდებოდა.

ჭეშმარიტად, უგანათლებულესო მეუფენო, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თვითონ ღმერთმა გამოგზავნა წმიდა მამა, მორჩილი ძმა აგოსტინო მოციქულად ამ მხარეში, სადაც მეფობს ჯოჯოხეთი, რათა ყველას ეხილა მისი მოწყალების სასწაულები. ამ წმიდა მამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ მხარეში ნამდვილი კათოლიკური სარწმუნოების შენარჩუნება. ვინაიდან აქ საშინელი სილატაკე სუფევს, ხალხი დაბეჩავებულია უმძიმესი ხარკით, მათ არაფერი გააჩ-

ნიათ ამ ხარკის გადასახდელად და ამიტომ ასეთ ადამიანებს სასტიკად სცემენ.

მაგრამ უფრო საშიშია კანონი, რომელიც შაჰმა გამოსცა. ამ კანონის თანახმად, ყოველი ქრისტიანი თავისუფლდება ხარკისაგან, თუკი იგი თავის სარწმუნოებას გადაუდგება; მეორე მხრივ, ხარკის გადაუხდელობის შემთხვევაში მთელს თავის ქონებას კარგავს როგორც ის, ისევე მისი ახლო ნათესავი.

ასე რომ, უგანათლებულესო მეუფენო, თქვენ ხედავთ, რამდენად დიდ საშიშროებაში იმყოფებიან ქრისტეს ეს საწყალი ბატკნები; რამდენად მოქმედი უნდა იყოს მწყემსის სიტყვა, რომელიც მოუწოდებს მტკიცედ იდგეს თავის სარწმუნოებაზე და წინააღმდეგობა გაუწიოს მზაკვრობას, რომელსაც აწყობენ ჯოჯოხეთის მგლის ჯოგები. ხშირად ხდება, როცა ღარიბი მამები იძულებულნი არიან ლუკმა-პური გაუნაწილონ თავისიანებს, დაეხმარონ მათზე უფრო ღარიბებს, რომელთაც სარწმუნოების შეცვლის საშიშროება მოელით ხარკის გადაუხდელობის გამო.

ასე რომ, აქ შეიძლება გამოვიყენოთ მრავალი მოწყალება, რომელიც დამახასიათებელია ქრისტიანული სამყაროსათვის, კერძოდ კი წმიდა კონგრეგაციისათვის, ვინაიდან გამოდის ისე რომ, ბევრი იძულებულია სარწმუნოება შეიცვალოს მისი უკიდურესი სიღარიბის გამო და წმიდა მამას, მორჩილ ძმას აგოსტინოს რომ ჰქონდეს რაიმე საშუალება მათ დასახმარებლად, მაშინ არ მოხდებოდა ეს ბოროტება.

უგანათლებულესო მეუფენო, ცხადია, ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ ჩვენ ვერ შევძელით თავი შეგვეკავებინა კვნესისა და მწარე ცრემლებისაგან, როდესაც ხსენებულმა წმიდა მამამ აგოსტინომ გვიამბო ამ სიღატაკეზე და უფრო მეტიც, გვითხრა, რომ ხუთას ესკუდს, რომელიც გამოყოფილია წმიდა კონგრეგაციის მიერ მათი ღარიბი მონასტრის შესანახად და ღარიბთა დასახმარებლად, სამი-ოთხი წელია, რაც ვერ ღებულობს. ეშმაკების წაქეზებით ხომ არ ხდება ის, რომ ეს საწყალი ხალხი განწირულია დასაღუპავად?

ამასთან დაკავშირებით, მუხლმოდრეკილნი გევედრებით თქვენ, უგანათლებულესო მეუფენო, იესო ქრისტეს სიყვარულითა და სურვილით, რომელიც აქვთ წმიდა სარწმუნოებით აღფრთოვანებულთ, უარი არ უთხრათ ზემოაღნიშნული თანხის გამოგზავნაზე. ძნელია სიტყვებით გამოხატო ამ წმიდა ეკლესიის სიღარიბე. საწყალი წმიდა მამები იძულებულნი არიან გაგზავნონ ყმაწვილი მორჩილები სამუშაოდ, მათ სახლს გარეთ ლუკმა-პურისათვის, ვინაიდან, სხვანაირად შიმშილით დაიხოცებიან. სწორედ ეს აწუხებს წმიდა მამას, მორჩილ ძმას აგოსტინოს, რომ ასეთ ვითარებაში მას არ შეუძლია მთავარი ყურად-

ლება მიაქციოს მათ სწავლებასა და აღზრდას, დაიცვას თავისი მოწაფეები გარეშე გავლენისაგან, როგორც ეს სასურველია. ყოველივე ამის მიუხედავად, ეკლესიას ისინი ინახავენ ისეთი მაღალი ღირსებითა და სიყვარულით, რომ ამას არ შეუძლია სამსახური არ გაუწიოს უდიდესი ნუგეშისცემას.

ჩვენ მათთან მივედით მოულოდნელად. მაშინვე დავაყენეთ წირვა და არაჩვეულებრივად ავმაღლდით სულიერად მათი ქცევისა და ყველაფრის გამო, რაც კი შეეხება ღვთისმოსაობას. ისინი მღერიან, ლოცულობენ და ემსახურებიან წირვას უცვლელად ისეთივე ზერმით, როგორითაც იტალიის ეკლესიებში. ყველა რიტუალი მეტად ზუსტადაა დაცული; თუ სიტყვა ჩამოვარდა სიზუსტეზე, დავძენთ, რომ ისინი ამას შეასრულებდნენ უფრო თავისუფლად, რომ საერთო პირობები ჰქონდეთ.

უგანათლებულესო მეუფენო, როცა გადავწყვიტე ამის შესახებ თქვენთვის მომეწერა, მხოლოდ სინდისის ქენჯნა მაწუხებდა, რათა თქვენთვის მომეხსენებინა სიმართლე, რომელიც ძნელია გაიგოთ ამ ქვეყნების სიშორის გამო. ამიტომ მეჩვენა აუცილებლობად, წარმომედგინა თქვენთვის ასეთი ვრცელი ანგარიში.

ახლა დავუბრუნდეთ იმას, რაც მე მოგახსენეთ ჩვენს ჩასვლაზე გორში — ასე ეწოდება იმ ადგილს, სადაც ჩვენ გავჩერდით. ჩვენს შესახვედრად მოვიდა მღვდელმსახური მორჩილი ძმა ამბროზიო წმიდა სარწმუნოების წმიდა ავგუსტინელთა ორდენიდან და აუწერელი სიხარულით გადაგვეხვია, წაგვიყვანა თავის სახლში, მიგვიღო ისეთი თავაზიანობითა და სიყვარულით, როგორის უნარიც შესწევს კაცთმოყვარეობით აღსავსე ბერებს. მისი სტუმართმოყვარეობით ვისარგებლეთ არა რამდენიმე დღე, არამედ მთელი თვენახევარი. ამასთანავე, ჩვენ ვიყავით სამნი[9] და კიდევ შემოგვიერთდა ორი წმიდა მამა დომინიკანელი, რომლებიც ალინჯიდან გამყოლად მიგვიჩნია წმიდა მამამ, მორჩილმა ძმამ აგოსტინომ.

აღტაცების ღირსია ის, თუ როგორი სიმშვიდით იტანს იგი (წმიდა მამა ამბროსიო. — ი. ტ.) ამ მძიმე ტვირთს და როგორ გულუხვად გვამარაგებდა ჩვენ ყველა აუცილებელით. გვაძლევდა რა საჭიროზე მეტს, იგი მაინც ხშირად წუხდა და ბოდიშს იხდიდა, რომ არაფერს არ აკეთებს. სავსებით იცავდა ჩვენი ბატონის, ქრისტეს, მიერ მიცემულ რჩევა-დარიგებას, რომელიც ამბობდა: „con le¹e osia feceritis, dicite, q-a servi inutiles sumus“. ჩვენ კი ძალიან გახარებული ვიყავით არა იმდენად იმ სიკეთისათვის, რომელსაც მისგან ვიღებდით, არამედ უფრო იმისათვის, რასაც ვჭვრეტდით, თუ წმინდა სამოცი-

ქული ტახტს როგორი შესანიშნავი მღვდელმსახური ჰყავს ამ მხარეში.

შემდეგ, როდესაც წავედით თეიმურაზ მეფესთან, მან (ამბროზიომ. — ი. ტ.) მოგვამარაგა ცხენებით, მოგვცა გამყოლი და შეადგინა შესანიშნავი მფარველობითი წერილი, რომელიც ჩვენთვის არაჩვეულებრივად სასარგებლო აღმოჩნდა, რამდენადაც მეფე დიდ ანგარიშს უწევდა ამბროზიოს[10].

ამრიგად, ჩვენ წარვსდექით მეფის წინაშე და წარვადგინეთ მისი უწმინდესობის წერილი, რომელიც მეფემ დიდი პატივით მიიღო და ჩვენც დიდი პატივი დაგვდო. ასე მოიქცა პატრიარქი ზაქარიაც, რომელიც ამ სამეფოს ყველა პრელატიდან, ყველაზე უმაღლესი პიროვნებაა. გამოიჩინა დიდი პატივი თქვენი უგანათლებულეს მეუფეთა წერილისადმი და გამოხატა დიდი სიხარული ჩვენი ჩასვლის გამო. ერთმაცა და მეორემაც ნებართვა მოგვცა აგვეგო ეკლესია, დაგვეყენებინა წირვა და გვექადაგა ისე, როგორც ამას ჩვენები აკეთებენ იტალიაში. მათვე მიგვიწვიეს დავსწრებოდით მათ წირვას, სადაც არ უშვებენ სომხებს, როგორც სქიზმატიკოსებს. კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მათი ხალხი (ქართველები. — ი. ტ.) დაესწრება ჩვენს წირვას.

პირველ ხანებში ჩვენ არ შევეცადეთ ნათლობისა და სხვა საიდუმლო ზიარების მიცემის ნებართვა გვქონოდა, თუმცა ამის უფლება მოგვცეს რომში. ჩვენი აზრით, ამისათვის სჯობია დაველოდოთ უფრო ხელსაყრელ მომენტს. რამდენიმე დღე მეფესთან გავატარეთ. ამის შემდეგ, იგი დიდი სიყვარულით გამოგვემშვიდობა, მოგვამარაგა ხორბლეულითა და სხვა პროდუქტებით, რომლებიც ჩვენთვის გორში გაგზავნეს. მან გვითხრა, რომ მალე ჩამოვიდოდა [გორში] და უკეთ იზრუნებდა ჩვენზე. ამრიგად, კვლავ [გორში] დავბრუნდით და ჩავსახლდით მეფის განკარგულებით ჩვენთვის გამოყოფილ სახლში მისი ჩამოსვლის მოლოდინში.

ჩვენს მიერ გადაცემული წერილების საპასუხოდ ხელთ გვაქვს ოთხი წერილი: ორი მეფისაგან და ორიც პატრიარქისაგან. ორივენი წერენ მის უწმინდესობას და თქვენს უგანათლებულეს მეუფეობას. ეს წერილები გადავეცით წმიდა მამა დომინიკანელს, რომელიც გვახლდა მოგზაურობაში (ალინჯიდან გორამდე. — ი. ტ.). იგი აქედან (გორიდან რომში. — ი. ტ.) წავა 27 მარტს[11]. იგი თეიმურაზს შეჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავრება და თავის ხელით ჩაიტანს ამ წერილებს რომში. ამასთან დაკავშირებით, მე მას მივეცი მოწყალების სახით რამდენიმე დინარი.

როდესაც მეფემ და პატრიარქმა ისურვეს მიეწერათ რომში საპასუხო წერილები, აქ მყოფმა რამდენიმე კალოგერმა[12] ბერძენმა ატეხა ჩხაური და შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, მიუხედავად მეფის ბრძანებისა, დაეწერათ წერილი ბერძნულად, მათგან არც ერთმა არ დაწერა მეფის მიერ ნაბრძანები სიტყვები. მათ ნაცვლად შეუფერებელ სიტყვებს წერდნენ.

ასე რომ, მეფემ გვითხრა: „მათ ძალიან არ უნდივართ ჩვენ და მე არ მსურს, რომ რომელიმე მათგანმა დამიწეროს წერილი, ვინაიდან მათ არ ვენდობი".

ამიტომ, მეფესა და ჩვენს შორის საერთო შეთანხმების შემდეგ, გადაწყდა წერილები დაეწერათ სპარსულად და არა ქართულად იმიტომ, რომ საეჭვო იყო ვინმეს წაეკითხა ისინი რომში, სპარსულ ენაზე დაწერილ წერილს კი თავისუფლად წაიკითხავდნენ.

უგანათლებულესო მეუფენო, ახლა ზოგიერთი ცნობა აქაური ხალხის შესახებ. პირველ რიგში მათ სულიერ ცხოვრებაზე. ისინი ჩახლართული არიან ბერძნების ყველა დაბნეულობაში, ვინაიდან მათ არ ჰყავთ სხვა მოძღვარი, არც ხელმძღვანელი, გარდა ბერძნებისა. მიუხედავად ამისა, ისინი ანტიპათიურად არ არიან განწყობილი ლათინელების მიმართ. პირიქით, ჩვენდამი სიყვარულით და კეთილგანწყობით არიან.

საერთოდ, აქ ადამიანები ალერსიანი და მეტად კეთილგანწყობილი არიან და, მგონია, რომ სრულებით არ არიან ჯიუტი. მათში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სხვადასხვა სახის ცრურწმენა და უვიცობა მრავალ საკითხში, მაგრამ ეს ადამიანები უზნეო კი არ არიან, თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ჩვენ გავიგეთ და ვნახეთ. უფრო მეტიც, ისინი აღსავსე არიან სურვილით, გაერკვნენ სარწმუნოების ცნებაში, და ჩვენ, ლათინელებს გვეპყრობიან დიდი პატივისცემით, როგორც განათლებულ ადამიანებს. ასე რომ, თუ ვიქონიებთ ღმერთის დახმარების იმედს და კარგად შევისწავლით მათ ენას, მაშინ შედეგებიც კარგი გვექნება.

ახლა საერო ვითარების შესახებ. ეს სამეფო იმდენად განადგურებულია, რომ საცოდაობაა სანახავად. ჩვენ გავიარეთ ამ სამეფოს დიდი ნაწილი და შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, რომ არ გვინახავს არც ერთი სახლი, რომელიც ფეხზე მდგარიყო, ვინაიდან გასულ წლებში სპარსეთის შაჰმა, ამ მეფისადმი (თეიმურაზ მეფისადმი. — ი. ტ.) მეტად განრისხებულმა, მის წინააღმდეგ გაგზავნა მთელი თავისი არმია და ამრიგად, დაანგრია ქვეყანა ისე რომ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ როგორც დიდ ისე პატარა სამფლობელოებში ქვა ქვაზე არ დატოვა, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი, სპარსეთში გარეკა და მონად აქცია. მხოლოდ ნაწილმა უშველა თავს

გაქცევით და თავი შეაფარა ახლომდებარე ადგილებს. თვითონ მეფე [თეიმურაზი] დიდი ხნის განმავლობაში ლტოლვილი იყო და არც ისე დიდი ხანია, დადო რა ზავი სპარსელებთან, დაბრუნდა სამშობლოში. ახლა ცდილობს წესრიგში მოიყვანოს თავისი უბედური დანგრეული სამეფო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ხალხი თანდათანობით ბრუნდება სამშობლოში თავიანთ ძველ ადგილებში. უკვე დაიწყეს თესვა, ზოგიერთი საკვები პროდუქტი უხვადაცაა. მაგრამ ძირითადად ხალხი აქ ისეთ სიღატაკეშია, რომ თითქმის ყველა ტიტველია. [მძიმე მდგომარეობაშია] თვითონ მეფეც, რომელიც რომელიღაც კარავშია თავშეფარებული. იგი მთელი თავისი სახელმწიფოდან, რომელიც საკმაოდ დიდია, ვერ აგროვებს იმაზე მეტ შემოსავალს, ვიდრე ადრე აგროვებდა, ვინაიდან, აქ აღარ არსებობს შემოსავალი აბრეშუმიდან და ვაჭრობის სხვა დარგებიდან.

ამრიგად, იმედი არ უნდა გვქონდეს მეფის დახმარებისა არც ეკლესიის შენობის აგებაში და არც სხვა მსგავსი საჭირო საქმის წამოწყებაში. და თუ იტალიიდან არ მოვა რაიმე დახმარება, ჩვენ მუდამ ვიქნებით ღია ცის ქვეშ და ვერ შევძლებთ ვუპასუხოთ და წარმოვადგინოთ ჩვენს მიერ გათვალისწინებული ღვთისმსახურების ნახევარიც კი. რამდენადაც თვითონ მეფეს, მისი სიღარიბისა გამო, არ შეუძლია ჩვენ დახმარება აღმოგვიჩინოს. უფრო ნაკლები დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ სხვებს, რომლებიც უფრო მეტ სიღარიბეში არიან, ვიდრე მეფე.

რაც შეეხება აქაურ ეკლესიებს, ყველა დანგრეულია, კედლებზე წმიდანთა სახეები დამახინჯებულია, საკურთხევლები ჩამონგრეულია; წმიდა ვაზები, ზარები, საერთო მორთულობა — გაძარცულია. ასე რომ, ეკლესიებში არაფერი დარჩა. საწყალ ყველა ეპისკოპოსს და მღვდელს, გაქცევიდან ამას წინათ დაბრუნებულთ, არავითარი შესაძლებლობა არ აქვთ აღადგინონ საკურთხევლები. ამიტომ, როდესაც ისინი წირვას აყენებენ და შეწირვას ატარებენ, შეუძლებელია ცრემლების გარეშე უყურო ამ სანახაობას. დააყენო წირვა შანდლებისა და ჯვრის გარეშე, ცარიელ საკურთხეველში, ხის ჯამებით, იმდენად ღარიბულ სამოსში, რომელიც საეჭვოა ჩვენში ვინმემ გამოიყენოს საკურთხეველში მტვრის გადასაწმენდ ჩვრად.

საერთოდ, უნდა წარმოიდგინოთ მთელი ის სიღარიბე, რომელიც შეიძლება არსებობდეს სამეფოში, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც ომმა გაანადგურა. ამიტომ პატრიარქს უნდოდა თავის წერილში თხოვნით მიემართა მისი უწმინდესობისათვის, ღირსად ჩაეთვალა და გამოეგზავნა მისთვის მოწყალების სახით სამოსელი, მიტრა და კიდევ

რაიმე სხვა საგანი. მაგრამ დავარწმუნეთ იგი, რომ არ მიეწერა მისი უწმინდესობისათვის ამის შესახებ. ვუთხარით, რომ ჩვენ თვითონ მივწერთ წერილს თქვენ უგანათლებულეს მეუფეობას იმის შესახებ, რაც მისთვის საჭირო იქნება. ამიტომ გემთხვევით მუხლებზე დაჩოქილი და გთხოვთ გასცეთ განკარგულება ყველა იმ საგნის გამოგზავნაზე, რომლებზეც ნათქვამი იქნება წერილში, თუ, ცხადია, ამას საჭიროდ ჩათვლით: სამოსელი, სამღვდლო სამოსელისათვის საჭირო დამატებითი საგნები, ე. ი. თვითონ სამღვდლო შესამოსელი, ოლარი, საბუხარი, ქამარი, თეთრი შესამოსელი, ომოფორო[13], მიტრა, ხელთათმნები, მოძღვრის კვერთხი, საკურთხევლის მანტია[14], ბალიში, თასის ორნამენტები, ვერცხლის თავის ბადია, ვერცხლის საცეცხლური, საკმეველი, ალისფერი სამოსელი, წყვილი მოვერცხლილი შუშის ჭურჭელი საყრდენით, სურათი წმიდა პეტრეს გამოსახულებით ეკლესიისათვის და პირველმღვდელმთავრის (პაპი ურბან VIII-ის. — ი. ტ.) პორტრეტი.

თქვენი ნებართვით და თქვენდამი დიდი პატივისცემით, ნებას მივცემ თავს, ეს სია განვაგრძო და დავურთო უმდაბლესი თხოვნა, გამოგზავნოთ რაიმე ასევე მეფისათვის პირველმღვდელმთავრის სახელით. გთხოვთ, არ გაგიკვირდეთ ამდენი კადნიერი თხოვნა, ვინაიდან რომიდან ჩემი გამომგზავრების დროს, თქვენ, უგანათლებულესო მეუფენო, მითხარით, რომ მე მაგზავნიდით ამ ქვეყანაში კალების[15] სახით, რათა მენახა ამ სამეფოს საჭიროებანი. ახლა კი, ჩემი აზრით, სინდისის მოვალეობით, ვალდებული ვარ ეს საჭიროებები წარმოგიდგინოთ.

ამრიგად, შეიძლება გამოგზავნოთ შემდეგი: რომელიმე ლამაზი საათი, რომელიც რეკავს და ფეხებზე დგას, რამდენიმე ქრისტეს ჯვარცმა — კარგი ნამუშევარი, კარგი მასალიდან გაკეთებული, მარჯნის რამდენიმე გვირგვინი; ქრისტეს, მადონას, წმიდა პეტრეს და წმიდა პავლეს, წმიდა გიორგის, წმიდა ქრისტიანი მსახური ქალის (რომელსაც აქ ნინოს უწოდებენ) სურათები, კარგი ხელით გაკეთებული და პირველმღვდელმთავრის პორტრეტი: რამდენიმე კარგი მხატვრული ნამუშევარი, ვერცხლის მოოქრული ვაზა; ოქროსფერი ქსოვილი, მატერიის ნაჭერი, მეფის ჩასაცმელად და ასევე აბრეშუმის ნაჭერი მხატვრული ნამუშევრით და რამდენიმე ვერცხლის მორთული სურათი.

მახსოვს, ამ ქვეყანაში ჩვენი გამომგზავრების წინ, როდესაც ვიმყოფებოდი წმიდა კონგრეგაციის შენობაში, მიბრძანეს, არ მისცე არავის დაპირებაო. მე მტკიცედ ვიცავ ამ ბრძანებას და არასოდეს არვის არაფერს ვპირდები. ამისათვის მოწმედ მოვუწოდებ მოწყალე ხელმწიფეს და გარწმუნებთ თქვენც, უგანათლებულესო მეუფენო, რომ

ამ სტრიქონებს ვწერ არა ჩემი კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, არც იმისათვის, რომ მივაღწიო ჩვენთვის რაიმეს, თუნდაც დროებით მინიმალურ მოგებას, არამედ მხოლოდ იმისათვის, რათა ღვთის დიდებისათვის ცხადად განვიხილო არსებული მდგომარეობა.

რაც შეეხება მეფეს (თეიმურაზს. — ი. ტ.) და პატრიარქს (ზაქარიას. — ი. ტ.), რომლებიც ჩვენი პატივისცემისა და ძღვენის შედეგად თავისუფლად შეიძლება მივიყვანოთ დიდი მღვდელმთავრის მორჩილებამდე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეფე (თეიმურაზი. — ი. ტ.) ფლობს შთამბეჭდავ გონებას, რაც მასთან მოსაუბრე ადამიანში გაოცებას იწვევს; იგი არაჩვეულებრივად ღვთისმოსავია და მეტად ხალისით ჩაერთვება ხოლმე საუბარში მოციქულთა წმიდა წერილებისა და ეკლესიის წმიდა მამების მოძღვრებათა შესახებ. დღემდე იგი გამოხატავს დიდ პატივისცემას პირველმღვდელმთავრისადმი და ჩვენი კათოლიკური დოგმებისადმი მნიშვნელოვან მიდრეკილებას იჩენს.

პატრიარქი კი ლაპარაკობს დიდ პირველმღვდელმთავარზე და ასევე კათოლიკური ეკლესიის საქმეებზე იმრიგად, რომ ყველა, ვინც კი მოისმენდა მის ამ გამოთქმებს, მას უთუოდ კათოლიკედ ჩათვლიდა და არა სქიზმის მიმდევრად.

ამიტომ, რამდენადაც ქრისტე ერთადერთი სულის გადარჩენისათვის მზად იყო საჭიროების შემთხვევაში კიდევ ერთხელ განეცადა ჯვრის ყველა წამება და სიკვდილი, მე მგონია, რომ დახარჯო ორიოდე ათასი ესკუდი იმ იმედით, რომ თითქმის დარწმუნებული იყო მოიპოვო მრავალი სული, არც ისე დიდი მსხვერპლია.

ასევე ცუდი არ იქნებოდა რაიმე საჩუქარი გამოეგზავნოს მიტროპოლიტსაც — სახელად ალავერდელს, რომელიც წარმოადგენს მეორე სამღვდელო პიროვნებას ამ სამეფოში და ასევე დაიწეროს წერილი ჩვენი რეკომენდაციით, ვინაიდან იგი მეტად ახლოა ბერძნებთან. მაშინ, როდესაც ჩვენი მეგობრობის საშუალებით შეიძლებოდა გადმოსულიყო ჩვენს მხარეზე.

გარდა ამისა, წერილებში, რომლებიც დაიწერება მეფის, ასევე პატრიარქისა და მიტროპოლიტის (ალავერდელის. — ი. ტ.) სახელზე, გთხოვთ, არავითარ შემთხვევაში არ იყოს რაიმე ნახსენები არც ბერძნებზე, არც სარწმუნოებაზე, მიმართავთ რა მათ მხოლოდ სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი სიტყვებით, უჩვენებთ რა, ამასთანავე, ჩვენს სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ჩვენ მიგვიღეს კეთილგანწყობით. ასეთი სიფრთხილე აუცილებელია, რათა

არ მივცეთ საბაბი ბერძნებს, შეთხზან ახალი ცილისწამება ჩვენზე და თესონ განხეთქილება. ის, რაც შეეხება ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტების საკითხს, ეს საკითხი დავვიტოვეთ ჩვენ, ვიმყოფებით რა ადგილზე, სისტემატურად ამით ვართ დაკავებული.

თავის წერილში მეფემ, როგორც ამას თქვენ თვითონ ნახავთ, ყველა საშუალებით ისურვა მიემართა თქვენი უგანათლებულეს მეუფეობისადმი თხოვნით, გამოუგზავნოთ მას ექიმი, რამდენადაც, ამ ქვეყანაში ექიმი სრულებით არ არის და არც არავითარი იმედია იმისა, რომ სხვა ქვეყნიდან გამოუგზავნონ. მეფის სურვილი იმდენად დიდია, რომ თუ მისდამი ამ მოწყალებას გამოიჩენთ, იგი დავალებული დარჩება.

ამიტომ გთხოვთ იესო ქრისტესადმი სიყვარულის სახელით, იმოქმედოთ და ხელი შეუწყოთ მასთან ექიმის გამოგზავნას. თქვენთან არც ისე ძნელია მოინახოს ვინმე, ვინც ნაკლებადაა დატვირთული სამუშაოებით და ვისაც სურს იხილოს ახალი სამყარო და ხალისით გამოემგზავრება. მხოლოდ საჭირო იქნება, თქვენო უგანათლებულესო მეუფენო, კეთილ ინებოთ და მოამარაგოთ იგი მოგზაურობისათვის ყოველივე აუცილებელით.

იტალიიდან ჩამოსულ ნებისმიერ ექიმს აქ ქება-დიდებას შეასხამენ, როგორც ესკულაპიოს[16], ხოლო ჩვენ, როგორც კი იგი ჩამოვა, ვიზრუნებთ, რომ მეფის მხრიდან მოექცნენ მას ისე, რომ მან არ ინანოს ამ ქვეყანაში ჩამოსვლა. და თუ თქვენ ვერ შეძლებთ ექიმის გამოგზავნას, მაშინ ჩვენ, ყოველ შემთხვევისათვის, ვწერთ და ვთხოვთ ცალკე წერილში ჩვენი ორდენის გენერალს (მეთაურს. — ი. ტ.).

უგანათლებულესო მეუფენო, გთხოვთ მომავალშიც არ დაივიწყოთ და დაეხმაროთ ჩვენი წმიდა მისიონის განმტკიცებას, რომლის შესახებ დადგენილება თქვენ თვითონ მიიღეთ თქვენივე სურვილით და გულმოდგინებით, რათა გაგვევრცელებინა წმიდა კათოლიკური სარწმუნოება, ვინაიდან ახლა უკვე ყველა ამ საქმის წარმატების იმედი ჩანს.

ამ ქვეყნის მოსახლეობის ქცევა ცხადყოფს, რომ ისინი მეტად უფრთხილდებიან ამ ქვეყანაში ჩვენს ჩამოსვლას. თვითონ მეფე ხშირად აღნიშნავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან თავის ქვეყანაში ფრანკები[17] მიიღო, უფალმა დაიწყო მისთვის კეთილ საქმეთა კეთება. უკანასკნელ დროს, სულ რაღაც ორი თვის წინ[18], მან მოიპოვა დიდებული გამარჯვება, გავიდა რა თავისი ხალხით სალაშქროდ ერთ-ერთი ურჯულო თავადის, სახელად ლესგის[19] წინააღმდეგ და გაანადგურა მისი თექვსმეტი ნეშომპალა[20]. ამ ბრძოლაში დაიხოცა ბევრი ხალხი, თვითონ თეიმურაზმა დაჰკარგა 7—8 ათასი კაცი.

მეფემ გვითხრა, რომ მივსულიყავით მასთან მისალოცად და თან მიგვეტანა საპასუხო წერილები. მისი აზრით, გამარჯვება, რომელიც ახლა მოიპოვა, იყო ჩვენი ლოცვების ნაყოფი. მან დიდი მადლობა გვითხრა, რომ ასე მხურვალედ ვლოცულობთ ღვთის წინაშე მისთვის.

და ბოლოს, დაჟინებით გთხოვთ, უგანათლებულესო მეუფენო, რაც შეიძლება მალე გამოგზავნოთ ჩვენი თანაამხანაგები ისე, როგორც ეს თავის დროზე იყო შეთანხმებული, მაშინვე, აქ ჩვენი ჩამოსვლის შესახებ ცნობის მიღებისთანავე.

გარდა ამისა, გევედრებით ქრისტეს სახელით, კეთილ ინებოთ და გამოგვიგზავნოთ აგრეთვე დახმარება, რათა შევძლოთ შევუდგეთ თუნდაც პატარა ეკლესიის აგებას, რომ არ დავაწვეთ ამ ღარიბ ხალხს, რომელიც მეტად გაჭირვებულად ცხოვრობს. მაშინ შევძლებთ შევასრულოთ ჩვენი უწმინდესი მოვალეობა დიდი ღირსებით და უფრო მეტი უხვი ნაყოფის მიღების იმედით. ამის შესახებ თქვენთან, უგანათლებულესო მეუფენო, უფრო ფართოდ საუბარი ექნება ჩვენი ორდენის გენერალს წმიდა მამას.

გთხოვთ იესო ქრისტესადმი სიყვარულის სახელით, მაპატიოთ ამ წერილის არაჩვეულებრივი სიდიდე, რაც გამოწვეულია არა სხვა რამით, გარდა სურვილისა, წარმოგიდგინოთ თქვენ მთელი ანგარიში ყველა საქმეზე, თანახმად თქვენს მიერ, უგანათლებულესო მეუფენო, გაცემული განკარგულებისა.

და ბოლოს, მუხლმოდრეკილი ჩემ თანაამხანაგ წმიდა მამა დონ ჯაკომოსთან ერთად, ვადასტურებ თქვენდამი ჩვენს ულრმეს პატივისცემას და მორჩილად ვითხოვთ თქვენს წმინდა ლოცვა-კურთხევას.

გორიდან, 1629 წლის 28 მარტი[21].

თქვენი უგანათლებულესი მეუფეობის უმდაბლესი და უღირსი მსახური

დ ო ნ პ ი ე ტ რ ო ა ვ ი ტ ა ბ ი ლ ე,
სწავლული ბერი[22].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 115, ff. 388—390v°.

[2] იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 218.

[3] იგულისხმება საფრანგეთის მეფე ლუი XIII (1601—1643 წწ.).

[4] იგულისხმება ფლორენციელი გემის კაპიტანი კაზიმო ორლანდი, რომელმაც ეს მისიონერები თავისი გემით კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა.

[5] ისინი მესინადან (სიცილია) გავიდნენ 1626 წლის 2 დეკემბერს.

[6] 1628 წლის 14 დეკემბერს.

[7] 1628 წლის 14 დეკემბერს.

[8] იგულისხმება წმიდა ნინო.

[9] დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო და მორჩილი ძმა კლაუდიო.

[10] რაკი ცხენები დასჭირდათ, თეიმურაზ მეფე გორიდან შედარებით შორს ყოფილა ამ დროს. ალბათ, ისევ საფურცლეში, გორიდან ერთი დღის სავალზე რომ მდებარეობდა.

[11] დონ პიეტრო ავიტაბილეს ამ წერილზე დასმულია თარიღი: 1629 წლის 28 მარტი. თუ 27 მარტს წავიდა დომინიკანელი მისიონერი, მაშინ გამოდის, რომ მან ეს წერილი მეორე დღეს დაწერა? ალბათ, დომინიკანელი მისიონერის გასვლა გორიდან მოხდა რამდენიმე დღის დაგვიანებით.

[12] ტექსტში: „Caloiri" („Calogeri", „Caloceri") — ეს ორდენი კი არა, ბერძენი ბერების ჯგუფია, რომლებიც თეიმურაზ მეფისა და სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის სასახლის კარზე იყრიდნენ თავს. როდესაც დონ კრისტეფორო დე კასტელის უნდოდა ეხმარა არამეგობრული, მტრული სიტყვა, იგი ამ სიტყვას ხმარობდა, ვინაიდან „კალოგერი" ლათინელების სასტიკი მტერი იყო და, მაშასადამე, ბერძენი მღვდლები — კალოგერები სხვადასხვა ინტრიგებს აწყობდნენ კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ.

[13] „amitto", „ammitto", „amietus" — ომფორო, ორი ლენტა (ბანტი). შეკრული, რომელსაც მღვდელი თავზე ატარებს და მხარზეა ჩამოშვებული.

[14] „Pallio", „pallium" — ბერძენი ბერების ზედა ჩასაცმელი, მანტია.

[15] Caleb — გადმოცემით ებრაელთა ერთ-ერთი ტომიდან, რომელიც მოსემ ქანაანში მიიწვია; იგი შევიდა აღთქმულ ქვეყანაში, ვინაიდან სიძნელეების წინაშე გულს არ იტეხდა.

[16] Ascipios, Esculape, Aesculapus, Aesculapius — ესკულაპიო, ნახევრად ღმერთი, აპოლონის ვაჟიშვილი, ავადმყოფთა განკურნების ხელოვნების შემქმნელი და განმავითარებელი. ბერძნულ მითოლოგიაში („ასიპიოს") მედიცინის ღმერთი; წარმოდგენილი იყო კვერთხით მარჯვნივ ან მარცხნივ, რომლის ირგვლივ შემოხვეულია გველი. ჩრდილოეთის ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი. გველის მატარებელი („მეენოსეც").

[17] ფრანკები — ყველა ევროპელ მისიონერს, მიუხედავად მისი ეროვნული წარმოშობისა, აღმოსავლეთში უწოდებდნენ „ფრანკებს", ე. ი. ევროპელებს.

[18] ე. ი. 1628 წლის დეკემბრის ბოლოს ან 1629 წლის იანვრის დასაწყისში.

[19] ალბათ, ლეკები.

[20] ტექსტში წერია: „cedici terricciule di lui..." ე. ი. ნეშომპალა.

[21] წერილს გარკვეულად აწერია: „1629 წლის 28 მარტი", იგი ეჭვს არ იწვევს.

[22] წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე და შეიცავს ექვს ხელნაწერ გვერდს. ჩვენს მიერ დადგენილი ტექსტი, მისი ორიგინალის ფოტოპირით, იბეჭდება პირველად.

№ 11.

თეიმურაზ მეფის წერილი რომის პაპს ურბან VIII-ს

იბერიის მეფისა[1]

უნეტარესო, უზენაესო ურბან მერვევ, მთელი რომის, დიდი ქალაქის, პაპო და პატრიარქო, მამაო ჩემო, რომელიც ზიხარ წმიდა მოციქულ პეტრეს ეკლესიაში, გიძღვნით შენ მრავალ სალამს. თუ ჩვენს ამბავსაც იკითხავ, ღვთის წყალობით დღემდე ჯანმრთელად ვართ.

გასულ წელს[2] ჩვენთან მოვიდნენ წმიდა მამები დონ პიეტრო და დონ ჯაკომო[3] და მოგვიტანეს შენი წერილები[4].

ერთ-ერთ მათგანს შენთან წამოსვლა უნდოდა, მაგრამ კვლავაც დარჩნენ და თქვეს: მოვითმინოთ მცირე ხანს, რათა მოვიხილოთ აქაურობაო. ახლა კი მე ვაგზავნი წმიდა მამა დონ პიეტროს თქვენს უნეტარესობასთან, რათა მოგესალმოს ჩემი სახელით. იგი თვითონ მოგითხრობს თუ როგორ მივიღეთ ისინი — როგორც მათ ეკუთვნოდათ ისეთი პატივი ვეცით. მივეცით ადგილი ეკლესიაში სალოცავად და ასევე ადგილი საცხოვრებლად.

უფრო ადრე აქ ჩამოვიდა წმიდა მამა ავგუსტინელი. ჩვენ მივიღეთ იგი და აღმოვუჩინეთ პატივი შესაძლებლობის მიხედვით, თუმცა მეტი პატივისცემის ღირსი იყო. მაგრამ ჩვენი ქვეყანა განადგურებულია ბოროტი სპარსელების მიერ. წმიდა მამა დონ პიეტრო მოგითხრობთ, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა. იმედი გვაქვს, წმიდა მამა პიეტროს კვლავ ჩვენთან გამოუშვებ.

ჩვენთან დაბრუნდა ნიკოლოზი[5], ჩვენი ნიკიფორე და მოგვითხრო, თუ როგორ კარგად ეპყრობოდა მას შენი ნეტარება და როგორი პატივი აღმოუჩინეს მას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რამაც დიდად გაგვახარა[6].

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ერთი გამოცდილი ექიმი და ერთი მხატვარი ეკლესიის მოსახატავად. ასეთები აქ არავინ გვყავს, რომ ჩვენი დაქცეული ქვეყანა აღვადგინოთ.

სხვა არაფერი გვაქვს შენთვის გასაცნობი. ჩვენ მრავალი ტანჯვა და წვალება გადავიტანეთ, მაგრამ ჩვენი უფალი იესო ქრისტეს წყალობით დავბრუნდით სამშობლოში და ვიმედოვნებთ, ვიხილოთ იგი უკეთეს მდგომარეობაში.

შვიდი ათას ას ოცდა თვრამეტი წელი.
XIII ინდუქციონი თებერვლის თვის პირველი დღე[7].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 180, f. 19.

[2] იგულისხმება 1628 წლის 14 დეკემბერი, როცა გორში ჩამოვიდნენ თეატინელი მისიონერები: დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო და მორჩილი ძმა კლაუდიო. მაგრამ ამ წერილის დაწერის მომენტში, ამ მისიონერების ჩამოსვლიდან უკვე გასული იყო ორი წელი.

[3] იგულისხმება დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო.

[4] იგულისხმება 1626 წლის 4 მაისის წერილი, რომელიც პაპმა ურბან VIII-მ თეიმურაზ მეფეს მისწერა. იხ. ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, გვ. 230—231.

[5] ნიკიფორე ირბახი ევროპიდან გორში დაბრუნდა 1629 წლის აგვისტოს.

[6] ნიკიფორე ირბახმა თეიმურაზს ჩამოუტანა პაპი ურბან VIII-ის წერილი 1628 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული. იხ. აქვე, დოკ. № 1.

[7] აქ გამოყენებულია ქვეყნის გაჩენის 5508-წლიანი ბიზანტიური ერა (რომელიც საქართველოში იხმარებოდა XI საუკუნიდან). ამიტომ აქ დასახელებულ რიცხვს — 7138, უნდა გამოვაკლოთ 5508, მივიღებთ 1630-ს. ამრიგად, ეს წერილი დაწერილია 1630 წლის 1 თებერვალს.

წერილი დაწერილია ლათინურ ენაზე და შედგება ერთი ხელნაწერი გვერდისაგან. წერილის ქართული თარგმანი, ჩემს მიერ დადგენილი ტექსტი და ორიგინალის ფოტოპირი ქვეყნდება პირველად.

№ 12.

თეიმურაზ მეფის წერილი პაპ ურბან VIII-ს[1]

მის უნეტარესობას და უმაღლესობას, სრულიად დიდი ქალაქის, რომის, პაპს და პატრიარქს ურბან VIII-ს.

მამაო ჩვენო, რომელიც განაგებ წმიდა მოციქულის პეტრეს ეკლესიას, მიიღეთ ჩვენი დიდი სალამი. თუ გაინტერესებთ ჩვენი ამბავი, ღვთის ნებით აქამდე კარგად ვართ. შარშან აქ ჩამოვიდნენ წმიდა მამა დონ პიეტრო და წმიდა მამა დონ ჯაკომო, რომლებმაც ჩამოგვიტანეს თქვენი წერილები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ. ერთ-ერთმა მათგანმა მოინდომა თქვენს უნეტარესობასთან უკან დაბრუნება, მაგრამ ბოლოს ისევ მთხოვეს, რომ ცოტა კიდევ მოგვეცადა[2], რომ ენახა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ჩვენს ქვეყანაში.

ახლა კი ვაგზავნი წმიდა მამა დონ პიეტროს[3] თქვენი უნეტარესობის წინაშე, რათა გადმოგცეთ ჩვენი სალამი და მოგახსენოთ თვითონ მან, თუ როგორ მივიღეთ თქვენი ხალხი, როგორ მივეცით მათ ეკლესიისათვის ადგილი და მივუჩინეთ ბინა.

ავგუსტინელი წმიდა მამა[4], რომელიც მათზე ადრე ჩამოვიდა, ასევე პატივით მივიღეთ და კიდევ უკეთესად დავაბინავეთ.

ჩვენი ქვეყანა გააჳერანეს ურჯულო სპარსელებმა. თუ რა მდგომარეობაში ვართ, ამის შესახებ მოგახსენებს თვით წმიდა მამა დონ პიეტრო.

უკან დაგვიბრუნდა ჩვენი ნიკოლოზი, რომელმაც ყველაფერი გვიამბო თქვენი უნეტარესობის შესახებ, თუ როგორ დიდებულად და პატივით მიიღეთ იგი, რამაც დიდად გაგვახარა.

გთხოვთ, გამოგვიგზავნო ერთი კარგი ექიმი და კარგი ხელოსანი ეკლესიათა აღსადგენად, იმიტომ რომ ვეღარავის ვერ ვპოულობთ ჩვენში ისე დაცარიელებული და გაპარტახებულია ჩვენი ქვეყანა.

სხვა რა მოგწეროთ თქვენო უნეტარესობავ.

ბევრი ჯაფა და სიმწარე გვაქვს გადატანილი, მაგრამ ისევ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ძალით ვიმედოვნებთ და გვჯერა, რომ ყველაფერი უკეთესად იქნება.

წელი 7138, ინდიქტიონი 13, თვე თებერვალი[5].

(თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ფ ი ს ბ ე ჭ ე დ ი)[6]

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 180, ff. 18—18v°.

[2] ალბათ, ამიტომაა რომ დონ პიეტრო ავიტაბილეს რომში გამგზავრების სხვადასხვა თარიღი არსებობს.

[3] გორის მისიონის პრეფექტი დონ პიეტრო ავიტაბილე.

[4] იგულისხმება პორტუგალიელი წმიდა მამა ამბროსიო დუშ ანჯუში.

[5] 1630 წლის თებერვალი. გამოდის, რომ ეს წერილი წინა წერილის (№ 11-ის) ვარიანტი უნდა იყოს. მხოლოდ იგი ლათინურადაა დაწერილი, ხოლო ეს კი ბერძნულად. იქნებ იგი ამ ბერძნული წერილის თარგმანია.

[6] ამ წერილის ბერძნული ტექსტი დაადგინა, გადაწერა და ქართულად თარგმნა ავთ. ნებიერიძემ; თეიმურაზის ბეჭედი კი ამოიკითხა ნუკრი შოშიაშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

აი, თეიმურაზის ბეჭედიდან ამოკითხული ტექსტი დედნის შრიფტით:

ႼႷႪ҃ႡႧႠ ႶႧ҃ႱႧႠ ႧႤႱႪႨႱႢ҃Ⴌ Ⴃ҃ႧႨႱ ႣႠ ႫႱ҃ႥႨ Ⴑ҃ႫႡႨႱႠ
Ⴜ҃ ႷႭႥႪႨႱႠ ႱႠႵႠႰႧႥႪႭႱႠ ႫႤႴႤ. ႧႤႨႫႳႰႠႦ

მხედრული ტრანსკრიპცია (ქარაგმების გახსნით):

წყ(ა)ლ(ო)ბ(ი)თა ღ(მრ)თ(ი)ს(ა)თა თესლის(ა)გ(ა)ნ დ(ავი)თის და მ(ო)ს(ა)ვი ს(ა)მ(ე)ბისა წ(მიდისა) ყოვლისა საქართვ(ე)ლოსა მეფე. თეიმურაზ.

№ 18.

კათოლიკოს ზაქარიას წერილი რომის პაპს ურბან VIII-ს

ზაქარია ღმერთსშევედრებული სრულიად იბერიის კათოლიკოსი[1]

თქვენო უნეტარესობავ, სრულიად დიდი ქალაქის რომის მპყრობელო ურბან VIII, მოგესალმებით შენ. თუ გაინტერესებთ ჩვენი ამბები, კეთილად გახლავართ.

შარშან ჩვენთან ჩამოვიდნენ შენს მიერ გამოგზავნილი ხალხი. აქ არის წმიდა მამა დონ პიეტრო და წმიდა მამა დონ ჯაკომო, რომელთაც ჩამოგვიტანეს შენი წერილები და რომელთაგანაც ჩვენ გავიგეთ თქვენი ამბები.

ახლა იმისათვის ვაგზავნით შენთან დონ პიეტროს, რათა გადმოგცეს ჩვენგან სალამი. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს ხალხს კარგად შევხვდით და მოვუმზადეთ ყველაფერი მათთვის შესაფერისი, მივუჩინეთ ადგილი, რათა იქ ააშენონ ეკლესია და საცხოვრებელი ბინები [მივეცით], თითქმის მეფის სასახლის გვერდით.

მათ ჩვენ უფრო მეტად ვეცით პატივი, ვიდრე სპარსელების მიერ ჩვენს გაპარტახებულ ქვეყანას [მოეთხოვებოდა], თუმცა წმიდა მამა დონ პიეტრო თვითონ მოგახსენებთ, თუ რა დღეშია ჩვენი ქვეყანა.

მოვიკრებთ გამბედაობას და გთხოვთ, კვლავ გამოგვიგზავნოთ წმიდა მამა დონ პიეტრო უკანვე, იმიტომ რომ მას კარგ ადამიანად ვთვლით.

ჩვენი წმიდა მამა ნიკოლოზი ჩამოვიდა და მოგვითხრო თქვენი უნეტარესობის შესახებ, თუ როგორი პატივით მიიღეთ იგი. ჩვენ შესაფერისად გავიხარეთ.

ასევე [მოგახსენებთ], რომ ჩემი ეკლესიაც დანგრეულია და გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ერთი კარგი ექიმი და კარგი ხელოსანი ეკლესიების აღსადგენად. [ხელოსანი] რომელიც ცნობილს გახდის აქ შენს სახელს, განგადიდებს მთელს მსოფლიოში და ჩვენს ეკლესიასაც დიდ სარგებლობას მოუტანს.

სხვა რა მოგწეროთ თქვენო უნეტარესობავ.

ბევრმა უბედურებამ გაანადგურა ჩვენი ქვეყანა. [მაგრამ] ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ძალითა და შეწევნითა ისევ [გაკეთილშობილდება] და გამოსწორდება იგი.

წელი 7[138], ინდიქტიონი 13, მარტის თვის 18[2].

[ხელისმოწერა]: ზ ა ქ ა რ ი ა.

ხელრთვა: კზი: კ (ა თ ო ლ ი კ ო) ზ ი ქართლისა საქართველოსი[3].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 180, ff. 21—21v°.

[2] წერილი დაწერილია ბერძნულ ენაზე და შედგება ორი ხელნაწერი გვერდისაგან. ტექსტი დაადგინა და თარგმნა ავთ. ნებიერიძემ. წერილის ქართული თარგმანი, დადგენილი ტექსტის ორიგინალი ფოტოპირით, ქვეყნდება პირველად.

[3] ხელრთვა ამოიკითხა ნ. შოშიაშვილმა.

№ 14.

თეიმურაზ მეფის წერილი პაპ ურბან VIII-ს

ქ. წყალობითა ღვთისათა იესიან დავითიან სოლომონან პანკრატონან მეფე[1]

ქ. ყოვლისა საქართველოსა მტკიცედ მპყრობელი ჭეშმა[რიტად] მართლმადიდებელი წ[მინდი]სა სამებისა მეფე მეფეთა ღვთივ გვირგვინოსანი თეიმურაზ ვიკადრებ აჰა თქუენ ყ[ოვლა]დ ქებულო დიდისა და ათა მოძაბავისა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა საჭეთ მ[პყრობელო] და კლიტეთა მათ სასუფეველისათა მპყრობელისა მოციქულთა თავისა პეტრე სიმტკიცისა ქრისტესისა და პავლე პირისა ქრისტესისა ეკლესიისა ზედამდგომელი პაპა რომისა მერვესა [წმი]დასა ორბანსა.

მადლობა სახიერსა და ჭეშმარიტსა ღვთისა და დასა ღვთისმშობელს მარადის ქალწულსა მარიამს ვითა წმიდა [ეკლ]ესია თქუენი კეთილად დამყარებულ არს აწე თქუენი [ბერები] მოვიდეს და მწვედ გვეამა და სადაც გამოირჩივეს ჩვენს...

დავაყენეთ ეკლესიაც კარგი ააშენეს. აქამდის უსჯულ[ოთაგა]ნ საქრისტიანოს ბევრი ძალი სჭირდა და აწ იესო ქრისტეს აღარავინ არის ქრისტეს მტერი აგარიანთაგან ჩუენი ეკლესია დ[იდად] მოოხრებული არის და რასაც ქრისტეს გულისათვის [ეკლესი]ის სამკაულითა და იარაღით მოეხმარებით ქრისტე დაგიმად[ლებთ] არად ჩუენ არა

გვაკლია რა და აქ არა[იში]ების და მხატვარ და აქ[იმი] გამოგზავნეთ.
ქორონიკონსა სამს და ცხრამეტსა ივლისსა ერ[თსა] კოზმან და მიანესსა[2].

[თეიმურაზის ბეჭედი].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 180, ff. 13—13v°.

[2] 1631 წლის 1 ივლისი.

წერილი დაწერილია ქართულად და შედგება ორი ხელნაწერი გვერდისაგან. ჩვენს მიერ დადგენილი ტექსტი, ორიგინალის ფოტოპირით, ქვეყნდება პირველად.

წერილის ბოლოს დასმულია თეიმურაზ მეფის ბეჭედი, მაგრამ იგი მეტად ამოშლილია და ვერ იკითხება.

№ 15.

კათოლიკოს ზაქარიას წერილი პაპ ურბან VIII-ს

მერვესა რომისასა ურბანოს[1]

ქ. მე დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა კურ(თხეულ)ისა საუფლოსა და მირონისა ღ(მერ)თ მყოფლისა ჭეშმარიტად მართლისა სამებისა მქადაგებელი და ყოვლისა საქართველოსა დიდი მამათ მთა(ვა)რთ მთავარი კათალიკოზი ზაქარია მოგიკითხავ შენ დიდისა და ცათა მობაძავისა მოცი(ქუ)ლთა თავისა პეტრესი და პავლესი საყდრისა მქონებელისა პაპასა.

მერმე თქუენი ბერები მოვიდეს აქა წიგნი გ(ებო)ძათ და მოსაკითხავი და მოგუივიდათ. ღ(მერ)თ(მა)ნ ამოდ და ბედნიერად (გამ)ყოფოს.

თქუენი ბერები არიან აქა და თქუენის გულისათვის ძმასა და შვილსავით მივჰყრობივართ და მამული (მი)ვეცით და ეკლესი(ე)ბიც აშენეს.

აქაურს ამბავსა და (საუკუთ)რის საყდრისასა იკითხუენ ესე მოვახსენოთ აგარია(ნთაგან) ავოკრებული არს და რასაცა საყდარს იარაღითა მო(გვეკმა)რებიან ჩუენგან არა მოხსენებისარა.

ქორანიკონსა სამ(ას)და ცხრამეტსა[2].

---

[1] Archivio della SCPF, SOCG, vol. 180, f. 1.

[2] 1631 წელი.

წერილი დაწერილია ქართულად და შედგება ერთი ხელნაწერი გვერდისაგან.

წერილის ბოლოს კათოლიკოს ზაქარიას ბეჭედია დასმული, მაგრამ იგი იმდენად ამომქრალია, რომ არაფერი არ იკითხება.

წერილის ამოკითხული ტექსტი თავისი ორიგინალის ფოტოპირით იბეჭდება პირველად.

№ 16.

პაპი ურბან VIII-ის წერილი თეიმურაზ მეფეს

უძლიერეს მეფეს თეიმურაზ ხანს
იბერიის ბრწყინვალე მეფეს[1]
პაპი ურბან VIII

[თეიმურაზ მეფემ] ეს წერილი მიიღო თეატინელი მღვდლის პიეტრო ავიტაბილეს საშუალებით, რწმუნებით, რათა პირველმა მიიღოს ნათლობის ნაყოფი[2].

უძლიერესო მეფევ, სალამი და ღვთიური მადლიერების ნათელი შენ.

მიცურავს ხმელთაშუა ზღვის ტალღებზე და ვრცელდება ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდება მაუწყებელი შენი დამსახურებისა, რომელიც იბერიის მეფის ქებისაკენ იპყრობს რომის ყურადღებას; ადასტურებს რა ბრწყინვალე გამარჯვებას, რომელიც მან მოიპოვა აზიის იბერიაში.

შენი უდიდებულესობა ჭეშმარიტად ხედავს, რომ მისი ახალი სახელმწიფო გარშემორტყმულია ციური დაცვით და მას ანდობს ანგელოზთა მხედრობას, როდესაც სიხარულით ხვდება ვატიკანის კარავიდან ამ მხარეში მცველად მისულ მღვდელმსახურებს.

სარწმუნოება, რომელსაც ისინი ქადაგებენ ხომ მფარველობაა მეფეებისა და ხსნა ხალხისა. თუ ეს სარწმუნოება მთელი ძალაუფლებით გაბატონდება შენს პროვინციებში, მაშინ შენ ნახავ, თუ როგორ განიარაღდება რისხვა, რომელიც შეთქმულებაზე ფიქრობს და როგორ დადგება მშვიდობა, რომელიც ზეიმობს ბიწიერებაზე.

ციურ საგანძურიდან შენთან გამოგზავნილ იმდენ მხსნელ განზრახვებზე გვაცნობა ჩვენ ახლა უსაყვარლესმა შვილმა, თეატინელმა მღვდელმა პიეტრო ავიტაბილემ, რომელმაც შენი უდიდებულესობის წერილი ჩამოიტანა.

დე, დაილოცოს შენი სამეფო კვერთხი და დე, დაეხმაროს მეფის ლეგიონების ხმალს ყოვლისშემძლის მარჯვენა, რომელმაც შთააგონა კონსტანტინე დიდის ძლევამოსილება, რომელსაც პატივს სცემენ თვით იბერიაში, როგორც მისი რელიგიის დამფუძნებელს. იგი პატივს სცემდა მღვდელმსახურებს, ხოლო მტრებს ანადგურებდა. მას ჰქონდა [უფლება] ეხილა ციურ ღრუბლებში მბრწყინავი ჯვარი, რომლის წინაშე ქედს იხრის ეკლესია, ხედავს რა მის ძირში რომის პაპს.

როდესაც ანათებს ეს დღე, ხსნისა და სიხარულის დღე, ოდეს შეგვიძლია მოვეხვიოთ შენს უდიდებულესობას, კონსტანტინეს მაგალითით შთაგონებული და გართხმული მეფეთა ელჩების საშუალებით, მეფის პირით კეთილშობილ სამოციქულო ფერხთან, რომელიც მიდის ღვთიური კანონის გზით? როდესაც ქრისტიანული რესპუბლიკის უძლიერეს მეფეებს შეუძლიათ გიწოდონ შენ ძმა ეკლესიაში?

ბოლოს და ბოლოს, დატოვე განზე ყველა დაბრკოლება იბერიის მეფობის მიღების შემდეგ უძლეველი იარაღის დახმარებით, დე, იყოს შენი ღვთისმოსაობის მოწმე ვატიკანის ტაძარი, რომელშიც რომის ტაშისცემის ქვეშ მოსმენილი იქნება ელჩობის სურვილი, რომელიც მოუტანს ხარკს ღვთისმოსაობის მორჩილებას ნეტარ პეტრესადმი, რომელსაც მეფეები აჰყავს მუდმივი ნეტარების ტრიუმფალურ ტახტზე.

ვიმედოვნებთ, რომ პაპის ლოცვებით ყოვლისშემძლე უფალი მიგიყვანს ნატვრის აღსრულებამდე, ხოლო ჩვენ, ჩვენს ლოცვებში ვანდობთ უფალს შენ და შენს სამეფოს. ამასთანავე, ჩვენ გვსურს შენთან დაბრუნდეს ხსენებული მღვდელი პიეტრო ავიტაბილე. სახარების სიყვარულისადმი თავგამოდებით და შენი მფარველობის იმედით, არ უშინდება იგი გზას, რომელიც აღსავსეა ბუნებრივი და აგრეთვე სხვაგვარი საფრთხით.

ცხადია, იგი და სხვა მღვდელმსახურები როგორც ავგუსტინელები, ისე თეატინელები, ღირსნი არიან ისარგებლონ თქვენი უდიდებულესობის კეთილმოწყალებით. ისინი ტოვებენ სამშობლოს, რომელიც უხვია ცხოვრების სიხარულით, ნათესავებს, რომლებიც სიყვარულს აფრქვევენ, არა ოქროს გამო და არა იმის გამო, რომ მოაგროვონ მოსავალი სიტკბოებით სხვისი სამყაროს მინდვრებზე, არამედ მოიტანონ შენი ქვეშევრდომების სული, ჯოჯოხეთის მგლების ბრჭყალებიდან გამოგლეჯილი, ქრისტეს ფერხთან.

ზემოხსენებული პიეტრო დაწვრილებით მოახსენებს შენს უდიდებულესობას ჩვენს განზრახვებს, ხოლო ჩვენ ვლოცულობთ შენი ბედნიერებისათვის წმინდა სულის კეთილმყოფელობით.

დაიწერა რომში წმინდა მარია მაჯორეს [ტაძარში] და ა. შ. 1631 წლის 14 ივლისს, ჩვენი მმართველობის მერვე წელს.

ფრიად პატივისცემით[3].

---

[1] Archivio Segreto Vaticano. Miscellinae, 10, Urbanus VIII. Pont. Max. Epist. ad Princip. Ann. VIII, 2 Gen. 1630—15 Sep. 1631. Epist. ad Princip., vol. 45, ff. 146v° (160v°) — 147v° (161v°).

[2] მეტად გაკვრით, მიწერილია სხვა ხელით.

პაპის ასეთი შინაარსის წერილი (თუმცა სხვა თარიღით დაწერილი — 1631 წლის 21 ივნისი) გამოაქვეყნეს: ჯ. სილოსმა (იხ. I. Silos, C. R., Historiarum Clericorum, p. 604) — 1655 წელს, ბ. ფერომ (იხ. Don Bart. Ferro C. R., Istoria delle Missioni, pp. 117—118)—1704 წელს, ხოლო მ. თამარაშვილმა—1902 წელს (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 117—119, 624—625). სამივე ავტორთან ამ წერილზე დასმულია ერთი და იგივე თარიღი—1631 წლის 21 ივნისი. ჯ. სილოსი და ბ. ფერო წყაროს არ მიუთითებენ. მ. თამარაშვილს კი წერილის ლათინური ტექსტის ბოლოს (იხ. გვ. 625) მითითებული აქვს მხოლოდ — „Archiv. Vati" წყაროს ასეთი მითითება კი არაფერს არ იძლევა.

როგორც უკვე ითქვა, წერილების საერთო შინაარსი ერთნაირია, მაგრამ ზემოხსენებული ავტორების მიერ გამოქვეყნებული წერილების დასაწყისი და ბოლო, არ ემთხვევა არქივიდან ჩემს მიერ ამოღებულ ტექსტს.

როგორც ჩანს, ამ წერილის ერთ-ერთი ვარიანტი, განსხვავებული თარიღით ჰქონდა მხოლოდ ჯ. სილოსს, ხოლო მისგან ისარგებლეს ბ. ფერომ და მ. თამარაშვილმა.

[3] ამრიგად, პაპი ურბან VIII-ის მიერ თეიმურაზ მეფისადმი 1631 წლის 14 ივლისს გამოგზავნილი წერილი მთლიანად, ჩვენს მიერ დადგენილი ტექსტით (წერილი დაწერილია ლათინურ ენაზე, შედგება სამი ხელნაწერი გვერდისაგან) და ორიგინალის ფოტოპირით, ქვეყნდება პირველად.

№ 17.

კათოლიკოს ზაქარიას წერილი პაპ ურბან VIII-ს

დიდად პატივცემულ ძმას ზაქარიას მთელი იბერიის მიტროპოლიტად აღიარებულს[1]

პიეტრო ავიტაბილეს, რომელიც იქ [იბერიაში] ბრუნდება, ამ წერილს ვანდობ[2].

პაპი ურბან VIII

ფრიად პატივცემულო ძმაო, სალამი შენდა.

დე, ამოვიდეს სამართლიანობის მზე — ქრისტე, თქვენი ხალხების გულში. დე, ინუგეშონ ალალმართალთა თავყრილობებმა, დე, გაი-

ფურჩქნოს ყვავილები ღვთაებრივი მადლისა აზიის იბერიაში. ვიმედოვნებთ, რომ ძალიან მალე იქ დამწიფდება ჩვენთვის ტკბილი ნაყოფი, ღირსეულნი დაამშვენებენ ანგელოზთა სუფრას.

ჩვენ მოვუსმინეთ ამ შორეულ ქვეყნიდან ჩამოსულ გამოჩენილ შვილს, თეატინელ მღვდელს პიეტრო ავიტაბილეს, მოვუსმინეთ თითქმის მოციქულებრივი მადლის სიხარულით. მან დაგვიმოწმა, ყოვლისშემძლის როგორი გულმოწყალება მჟღავნდება იმ კეთილშობილებაში, რომელთაც მეფისა და მიტროპოლიტის სახელით თქვენთან გამოგზავნილ რომის ეკლესიის მღვდლებს აღმოუჩენ.

ჩვენ ღმერთს ვევედრებით, რომელმაც თავი მოუყარა მიმოფანტულ ისრაელებს, რათა დაიწყოს უკვე მოქმედება თქვენს შორისაც, ინებოს მოყვანა იბერიის მთავრებისა და ხალხის ვატიკანის ამ წმინდა მთასთან, რათა რწმენის ამ წმინდა ადგილას გაუღოს ზეციური სამეფოს კარები მორწმუნე ერებს ქურუმქურუმებმა.

რაკი ჯერჯერობით რომი ხალხთა მშობლიურ ნუგეშად ჩანს, შენ ხალხს იტალია ტაშისცემით ელოდება. მეწამული გვირგვინით შემკობილმა და ყოველი კათოლიკური ეკლესიის რჩეულმა სამოციქულო სენატმა არა მცირედად გაიხარა, როცა გაიგო, რომ იბერიაში, შენი ზრუნვის შედეგად, ღიაა ეკლესია ჩვენი მღვდლებისათვის. უეჭველია, რომ იქ დამკვიდრდება ყოველი სათნოება ციდან მოვლინებული და ამა მიწისა მხსნელი მსახურნი; იქ დაიდებს სავანეს სამეფოთა მცველი ლოცვა-ვედრება; იგი მარადიული ციხესიმაგრიდან მოუხმობს ანგელოზთა კრებულს, რათა ერთდროულად გაიმარჯვოთ ბიწიერებსა და მტრებზე.

გვსურს, რომ ზემოხსენებული პიეტრო დაბრუნდეს თქვენთან, როგორც ჩვენი ყურადღებისა და თქვენდამი განწყობის მოწმე. იგი ჭეშმარიტად ყოველგვარი პატივისცემის ღირსია იბერიის ხალხის მხრიდან, როგორც ადამიანი, რომელმაც დაივიწყა სამშობლო და ახლობლები ამ ხალხის ხსნისათვის.

მისგან შეიტყობ, თუ რატომ ვერ წამოიყვანა მან თანამგზავრებად ეგზომ საშიშ გზაზე თქვენს მიერ ნათხოვნი მხატვრები და ექიმები. გვსურს არა მარტო ენდო მას, არამედ აღმოუჩინო დახმარება მთელი შესაძლებლობით. შენ შემწედ ამ კეთილმოწყალებაში შეიძლება თვით ღმერთი დავიმოწმოთ, რომელიც აღიარებს მას მღვდელმსახურებაში და მიიღებს მოგზაურის სახით.

და მაშინ, როდესაც შენ აღმოუჩენ დახმარებას შენი ქომაგობით, სათნოებით ბარაქიან და ღვთიური სიყვარულით აგზნებულ სხვა ავგუსტინელ და თეატინელ მღვდლებს, შენ დაიმსახურებ ამით უმაღ-

ლესის მოწყალებას, რომელსაც ჩვენ ვევედრებით კათოლიკურ სარწმუნოებას შენი ბედნიერებისა და იბერიის სამეფოს ხსნისათვის.

შედგენილია რომში, წმიდა პეტრეს ტაძარში ზემოხსენებულ დღეს[3].

---

[1] Archivio Segreto Vaticano. Miscellinae, 10. Urbanus VIII. Pont. Max. Epist. ad Princip. Ann. VIII, 2 Gen. 1630 — 15 Sep. 1631. Epist. ad Princip. vol. 45, ff. 148 (162)—149 (163); I. Silos C. R., Op. cit., pp. 604—605; Don Bart. Ferro C. R., Op. cit., pp. 118—119; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120—121.

ამ ზემოხსენებულ სამივე ავტორთან იგივე თარიღია, რაც თეიმურაზ მეფის წერილზე — 1631 წლის 21 ივნისი. ჩვენს მიერ არქივიდან ამოღებულ წერილსა და თეიმურაზისადმი მიწერილ წერილზე კი დასმულია 1631 წლის 14 ივლისი.

[2] მიწერილია იმავე ხელით წვრილად.

[3] წერილი შედგენილია ლათინურ ენაზე და შეიცავს სამ ხელნაწერ გვერდს. ზაქარიას ამ წერილის ჩვენს მიერ დადგენილი ლათინური ტექსტი, ორიგინალის ფოტოპირით ქვეყნდება პირველად.

№ 18.

თეიმურაზ მეფის წერილი პაპ ურბან VIII-ს

თარგმანი წერილისა, რომელსაც მეფე თეიმურაზი წერს უმაღლეს ქურუმს ურბან VIII-ს[1]

ღვთაებრივი წყალი, იესო, დავითი, სოლომონი...

მე ვარ თეიმურაზი — საქართველოს[2] ყველა მხარის მბრძანებელი, ხანთა ხანის გვირგვინის მფლობელი.

შენდამი სამსახურის გაწევის მიზნით ვწერ ამ წერილს იმას, ვინც ღვთის წყალობით გამოგზავნილია ზეციდან ელჩად; შენ, ვინც არის ეკლესიების გასაღები, თაყვანსაცემი პაპის, პეტრეს და პავლეს საყდარში მჯდომს, რომელიც ქადაგებ ქრისტეს პირის შესაბამისად და ხარ ეკლესიის მასწავლებელი.

